

8105
3-26

მარკეტი

თვიური ჟურნალი

წელიწლი შეცხრა

№ X

ო ქ თ თ მ ა მ ა ნ ი, 1902



Օ Պ Ո Լ Ո Խ Ը

1902

1902

შინაანსი

I.— სოდო, სოდო! — ბარნაფეხის	გვ. 1
II.— ხეთი. — რუს-ოსმალთის (1877—1878 წ.) უკანასკნელ თმის დროის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ევანგელოფისა (გაგრძელება)	15
III.— ტარას ბულბა. — (ძოთხრიბა) ნ. ვ. გოგოლისა, თარ- გმანი თხ-ანისა (გაგრძელება)	82
IV.— სამნი. — მ. გორგიასა, თარგმანი პოლუმორდვიხო- ვისა. (გაგრძელიბა)	104
V.— არეოლოგიური მოგზაურობანი და შეიცვალ- ები. — ე. თაუაიშვილისა	111
VI.— მაკჩეტ. — გერვინიუსისა (გაგრძელება)	149
VII.— უცხოეთის მიმღებლება. — 1. სერბია, — 2. რუმინია, — 3. Laissaz faire, laisser passer. — 4. მაკედონია. — 5. კლე- რიკალისმი	31
დამატება. — საბირძნეთის ქველი ისტორია დასაუზი- სიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. — ფრან- გულიდან ნათარგმნი ვ. ლ. — ს	241—272

ქ. ბათუმი

8(05)

ა მ ს ა გ ე

280

თვიური ჟურნალი

წელიწიდი მეცნე

№ X

თბილისი, 1902



ტელეგრაფი

სამსახურის მიერ მიმღები სამუშაოების სამსახური

1902

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 Октября 1902 г.

შინაარსი

I—სოკო, სოკო!	ბეჭედისა	1
II—ხელი. — რუს - ფსმაფლის (1877—1878 წ.) უკანასკნელ ამის ღრთის ისტორიული რომანი. რაფფისა (თარგმანი სომხურიდან) ბ. ეგანგულოვისა (გაგრძელება)	15
III—ტარას ბულბა. — (მოთხრობა) ნ. გ. გოგოლისა, თარ- გმანი ინ-ანისა (გაგრძელება)	82
IV—სამედი. — ბ. გორგისა, თარგმანი ბოლუმთრდვინო- ვისა. (გაგრძელიბა)	107
V—არხეოლოგიური მოგზაურობათი და შეიცვალ- ები. — ე. თაუაიშვილისა	1
VI—მაპბეტ. — გერგინიუსისა (გაგრძელება)	19
VII—უცხოუთის მიმოხილვა. — 1. სერბია, — 2. რუმინია — 3. Laissaz faire, laisser passer. — 4. მაკედონია. — 5. კონ- ტიკალისმი	31
დ ა მ ა ტ ე ბ ა. — საბერძნეთის ძველი ისტორია დასაზყი- სიდან დამოუკიდებლობის დაპარგვამდე. — ფრან- გულიდან ნათარგმნი გ. ჟ—ს	241—272

სოკო, სოკო!

ხომ იცნობთ ცალხელ ჯამბრულას, ან სოკოს რომ ჰყიდის? არც კი გაგიგონიათ?! ან კი რა გასაკვირველია, როცა რმისთანა ჭიების დანახვა დურბინდითაც ძნელია.

ჯამბრულა სოფელ ფლატიანიდან არის. ამ სოფელს ცხვირწინ რომ ქალაქი უდევს, ზურგზე ტყე აკრავს, რომელიც უზარმაზარ მთას ასდევს ქოჩირამდინ. მეტათ სასაჩვებლო არის სოფლისათვის ეს პატარა ქალაქი: ყველა ნაწარმოებს ფასი აქვს იქ; ქათამი, კვერცხი, ბოსტნეულობა, მხალი, ხილი ტყისათუ ბალისა, რეე-მაწონი,—ყველაფერი ფასათ იყიდება იქ და ანაზღათ თუ კაცს არაფერი მოექებნება სახლში და ვერაფერს მოიმხობს ბაზარში გასატანათ, მაშინ თითონა შრომობს ქალაქში დღიურათ და ყოველთვის შოულობს საქმეს, რადგან, რაც უნდა იყოს, ეს ქალაქიც ქალაქია და ათასგვარი მოთხოვნილება აქვს. ფლატიანელი ერთი ძმა რომ სოფლათ ირჯება და შინაურის საქმეს უძლვის, მეორე ქალაქში ადგა რომელსამე ხელობას და ამ ორმაგი შრომით წალმა ატრიალებენ ოჯახს, პირნათლათ იხდიან მოვალეობას.

ჯამბრულას ძმა სოფელში ცხოვრობდა, თითონ კი ქალაქში იყო გასული საშოვარზე. მაშინ ცალხელი არ იყო ის, არც ქალარა; მარჯვენა ზედვე ჰქონდა ახალგაზღა ვაჟეკაცს. ხელი კი არ იყო დალოცვილი, მანქანა იყო საქებური. იცით რა მარჯვე იყო და ხვავიანი ის მკლავი! მაგრამ მოსწყდა, დაიმარხა, დაიკარგა: უბედურმა შემთხვევამ უცბად მოამსხვრია ჯამბრულას ხელი, ცეცხლმა გაუარა მაშინ მკლავში. ტკივი-

ლი კი არ იყო ის, დადაგვა იყო, ნაკვერჩხლის გატარება ხორციში. გონის რომ მოვიდა ჯამბრულა, სახლში იწვა მაზარის ქვეშ. მისგან წვა-დაგვით შეგროვილი ფული, მისი ვერცხლის ქმარ-ხანჯალი, მისი საათი, სადღესასწაულო ტანი-სამოსი,—სულ იმსხვერპლა იმ უბედურებამ. როდესაც ფეხზე წამოდგა ავათმყოფი, ის მაზარა-ლა შერჩა, რომელიც ზედ ეხურა.

II

ხეიბარი ადგა ჯამბრულა ლოგინიდან. ლონე მოსდევდა, გული ერჯოდა, გარჯა კი აღარ შეეძლო: იარაღი აღარა ჰქონდა ზედ. იტანჯებოდა.. მარცხენა შერჩა, მაგრამ რა უნდა ექნა მარტო იმას, როდესაც მხოლოთ წახმარებას იყო ნაჩვევი და თავისთავათ საქმის გაკეთების შენო არა ჰქონდა. დარღში ჩავარდა ვაუკაცი. თავმომწონე ბიჭი, რომელიც აქამდინ არავის ხელში შემაცეურელი ირა ყოფილა, რომელსაც თავიც უცხოვრებია და ყველასათვის შემწეობაც მიუცია, ეხლა გლახაკი. შეიქმნა, სხვის ხელში შემყურებელი საპყარი.

მალეც გამოსცადა, რა ძნელი ყოფილა სხვის ულუფაზე ყოფნა: ძმა, რძალი, ჰატარები აქამდინ რომ უალერსებდნენ და მის მზესა ფიცულობდნენ, ეხლა განზე გადგნენ, რადგან აღარას გამოელოდნენ მისგან; უბლვეროდნენ, ზურგს უქცევ-დნენ.

წყეული მარიკოც რომ შორს გაუხტა! გული კი არა, ქვა სდებია მკერდში ი გულმკვდარს. ახლა ჯაშიანთ სოლომანას ეარშიყება. ჯიბის ბარაქა კი ჰქონდა მისგან გამგქრალი. ჰა მუზიკა, ჰა დაირა, ჰა კალმის დანა და ათასი წვრიმალი. ისე როგორ ამოვიდოდა მარიკო ბაზარში, რომ არ ენახა ჯამბრულა და არ გაპნაზებიყო, ახალი რამ სურვილი არ გაეცხადებინა. მემრე რა სწრაფათ უსრულებდა ბიჭი ყველა ნდომას! — აღარაფერი ახსოვს! მაინც ყველაფერი აღალი იყოს იმაზე: ბდლვრიალა თვალებში რომ დავჭრნიდი ხოლმე, ცხა-

დათ სამოხხეში შევდიოდი. რას გიცირთ? სიტყვა გვქმნდა
მიცემული, დანიშნულებივით ვიყავრთ, მხოლოთ მარჯვე დროს
ველოდი. ვაუკაცი ვიყავ მაშინ საიმედო, ეხლა კი ჩენჩი ვარ
გამოფიტული, ყიჭო რამ გულგამოცლილი ვის რათ უნდი-
ვარ!

საპყარი იყო ჯამბრულა და ყველაფერი უნდა აეტანა,
მოეთმინა; ყველას ფეხქვეშ უნდა დაჭვებოდა, ყველასთვის
თვალწარბში უნდა ეყურებინა. მემრე რა ძნელი იყო ეს!
და მით უფრო, რომ მაინც ცივათ ეპყრობოდნენ. ბევრჯელ
დაჰგმო ბიჭმა განგება, რომ იმ უბედურ დღეს მთლათ არ მო-
უსპო მას სიცოცხლე.

გულდამწვარი კაცი რამდენჯერმე ამოვიდა ქალაქში, მაგ-
რამ აქ უფრო სტკიოდა, ემლვრეოდა გული, რადგან საქმეს
ხედავდა, სათავისო საქმეს, მისი გაკეთება კი აღარ შეეძლო.
იქაურმა ამხანაგებმაც მალე მიანებეს მას თავი: ნახეს დასახიჩ-
რებული და გაშორდნენ: ის მთლათ უხმარი შექმნილიყო.
ქალაქიდან ყოველთვის გულდასერილი ბრუნდებოდა ბიჭი და
ბოლმის ცრემლი სდიოდა.

ჯალაბისაგან მოძულებულს, ტოლს-წორისაგან გულაუ-
რილს, სატრფოსაგან მივიწყებულს, ცხოვრების მორევილან
გარიყულ უხმარ ვაუკაცს ორი გზა-ლა ედო წინ: სამარისაკენ
და მთხოვრობისკენ, ხოლო პირველ გზის უარ ჰყოფდა მისი
ძალლონით სავსე სიჭაბუკე და მეორეს მისი თავმოყვარეობა.
მაგრამ ლმერთი არ გასწირავს კაცს ბედისგან განაწირსა: ადა-
მიანი რომ გულქვავათ დახვდა საპყარს, ბუნებამ შეიწყნარა
ის, მოწყალებისა ხელი აღულო მას და მიუპყრა პური არსო-
ბისა სავსებისაგან თვისისა.

III

ჯამბრულას შემოდგომაზე დაატყდა უბედურება და ზამ-
თრის დამლევამდინ ისე აითვალწუნეს სახლში ეს ხორცმეტი,
რომ სისხლი გაუშრეს. გაზაფხულის პირს ხომ მთლათ გაუ-

ბოროტლნენ: ყველა შრომობდა, მუშა ხელი ოქროს ფასათა ჰლირდა, ის კი ეგდო კოლოტივით, უსაქმოთ აღამებდა დღეს; ჭამის მეტს ვერას ახერხებდა.

ერთ დიღას გაბოროტებულმა რძალმა ისეთი სიტყვები მიარტყა საპყარს, რომ მათი ატანა შეუძლებელი შეიქმნა. გამწარებული ვაუკაცი გამოვიდა გარეთ და დიღხანს ეგდო გომურთან ჩაფიქრებული. დაპირა მდინარისაკენ დაშვება და მის ზეირთებში მოსპობა თავის აწ უხმარ და უაზრო ყოფნისა, მაგრამ ვერ გაბედა: მის ძალის მისამართ სავსე არსებას ცხოვრება სწყუროდა და მოსპობის წარმოდგენაშ თავზარი დასცა; დაპირა ქალაქში წასვლა და მთხოვრობის დაწყება, მაგრამ როცა წარმოიდგინა, რომ ხელი უნდა გაეწოდა ნაცნობ ქუჩებში ნაცნობი ხალხისათვის,—იმათთვის, ვისგანც მხოლოთ კუთვნილი სასყიდლის მიღებას იყო ჩვეული, სირცვილმა დაწო, აღმური აედინა. ადგა, გასწია უაზროთ ტყისაკენ.

თოვლი მთლათ გამდნარიყო, მიწა კი ჯერ არ გამშრალიყო, ნიადაგს ისევ ეტყობოდა ლვარის ნადენი. ენძელი მოპურებულიყო, აღარ ხასხასებდა, წითელ იას მოეფინა მინდორი; აქა-იქ ყუდროზე ნამდვილი იაც გაშლილიყო და მორცხვათ იღიმებოდა. მიწა ყველგან აფუებული დახვდა, ნაყოფის გამოსაღებათ გამზადებული. ახლათ გამოლვიძებული ბუნება ჯერ ისევ იშმუშნებოდა, ტკბილ ოცნებას ვერ გამორკვეოდა, იმედებით სავსე იღიმებოდა.

ჯამბრულამ გაიარა ბუწკნარი, შევიდა აყრილ ტყეში, შეჭყვა ხევხევ. ხევში აქა-იქ ისევ იდო ნამქერი; გაყინული ნაპირი აპხლეჩოდა მას და იქიდან ეონავდა ნაღნობი. გაუღენ-თილი მიწიდან ბალახ-ყვავილს ამოეყო თავი: ტყის პირში რომ ხეებს ფოთლებიც გამოტანილი ჰქონდათ, აქ მხოლოთ ეხლა დახლეჩილიყვნენ დატენილი კოკრები და ოდნავ ჰმოსავლნენ შემწვანებულ ყლორტებს, ირგვლივ გაზაფხულის სუნი იდგა, — სუნნელება, რომელსაც გამოსცემს ნაყოფის გამოსაღებად გამზადებული ბუნება, და რომელიც ისე აღუღებს ძარღვებში სისხლს.

გაფურჩქვნის ხანს ყველა სულდგმული გამოსცემს, როგორც ყვავილი რამ, ახალ სიცოცხლის მომასწავებელ სუნნელებას და იგი სუნნელება ეშხზე მოიყვანს სხვას. თქვენ არ გიგრძვნიათ ეს?

ჯამბრულის მოეწონა ან კარა ნაკადი და ჩამოჯდა ჯირკზე. უხლა-ლა იგრძნო დაღალვა; მუხლებმა უუილი დაუწყეს. მოპივნოდა კიდეც, მაგრამ ლუქმა არა ჭირნდა თან: ისეც ეხათრებოდა ძმის ოჯახში პურის აღება და დღეს ხომ რა ჭამისა სცხელოდა, როცა ისე გამწარებული გამოვარდა შინიდან. აქა-იქ ტყის ჩიტები ხმაურობდნენ. ცის სიცრციდან წეროების ყრიტინი მოისმოდა.

— ნეტაი თქვენ, რომ უზრუნველათა ცხოვრობთ! — შენატრა ჯამბრულამ: — გამჩენელს უხვად განუბნევია თქვენთვის სარჩო, ყველა ხე ან კლდის ნაპრალი ბინათ მოუცია თქვენთვის.

— ცოტა სჭირიათ იმათ: მარცვალი და წყალი: მაგრამ განა ადამიანს არ შეუძლიან მცირეთი დაკაყოფილდეს. თუნდა მე! ნეტა ლუქმა პურის შოვნა შემეძლოს, თორემ ღმერთს როგორ დავგმობდი. ან კაცს რათ შევაწუხებდი. ვიცხოვრებდი ჩემთვის ტკბილად. ვაი, რომ მომესპო ცხოვრების ყველა სახსარი! ფრთა მოტეხილ მფრინველსა ვგევარ. აბა მოფშვნიტეთ მხარი რომელსამე იმ წეროთაგანს, თუ ლაუგარდ ციდან ქვასავით არ დაეშოს ტალახში და შიმშილით. არ ამოხდეს სული.

ვაუკაცს უფრო აერია დარღები, გული ამოუჯდა, თვალთ ცრემლი მოედინა.

— რა ვარ ეხლა მე, რა? მოტეხილი ხე დასალპობათ გადებული. ვის რათ უნდივარ, ვის რით ვარგივარ, ან ჩემ თავს ან სხვას? არავის! არაფრით! როგორც ეს გადაჩეხილი წიფელი, რომელიც დახავსებულა, ლპობა შეპპარვია. ჩალპება კიდეც უსარგებლოთ. ტყუილად-ლა უჭირავს ადგილი, ტყუილად!

უყურებდა ჯამბრულა დაყანდებულ წიფელას, ცნობის-მოყვარეობით ათვალიერებდა, თითქო პირველათა ხედავს. აბრუ-ნებულ ხესაო. ამ თვალიერების დროს ხის ქვედა მხარეზე ახლათ ამოფუჩურებულ სოკოს მოჰკრა თვალი. ამავე დროს ჯამბ-რულას გაუელვა სასიკეთო აზრმა და იმედის შუქი გაუკვესა უნუგეშოდ ჩაბნელებულ გულში. მივიღა, ხელი შეახო ნაზ სოკოს უსუნა, გემოთ ნახა. ისე ნაზად ეხებოდა სოკოს ბუნჯ-გალს, თითქო შუშის სიფრიფანა რამ უჭირავსო ძვირფასი. მოჩხადა ქუდი და მაღლობა შესწირა ზეცას.

— დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი, რომ არ გას-წირავ კაცს და შენ გაჩენილს შენვე დაჯრჩენ!

ჯამბრულამ ფრთხილად დაკრიფა სოკო; სულ ქორფები დაარჩია; ჩაიწყო მაზარის კალთაში და სიცვარულით შეხედა დახავსებულ წიფელს.

— ხომ მოჩეხილხარ და მიწაზე გდებით დამპალხარ, მაგრამ მაინც გამოსადეგი ყოფილხარ, სიკეთის მოტანა შეგძლებია; მე კი მოთლათ უხმარი რამ მეგონე, ქვეყანაზე მეტ ბარგათ დადებული.

ჯამბრულამ გასწია ქალაქისაკენ. ეხლა ჩქარის ნაბიჯით მიღიოდა ის. სიმაგრე და სისწორე აჩნდა მის ნაბიჯს, განსაზღვრულ საქმეზე მიმავალი კაცის ნაბიჯი იყო ის. ქალაქში პირდაპირ იმ ოჯახს მიატანა, სადაც კიდევ ახსოვდათ ჯამბულა და მისი მარჯვე სამსახური. ბატონმა გასინჯა სოკო, გახედ-გამოხედა მას, ასუნ-დასუნა თავისი მოქნილი საყნოსელით და ორ აბაზათ დააფასა მინატანი; თანაც შეაქო ჯამბრულას მხნეობა, მოუწონა იმას, რომ მთხოვრობას არ მიჰყო ხელი.

ჯამბრულა ჩალისიანათ დაბრუნდა შინ და რძალს გაუწოდა ფული. ეფენამ ჯერ გაკვირვებით დახედა თეთრს, მე-მრე ზაზლი დაეტყო სახეზე და ტუჩები დაებრიცა; ორი თი-

თით აიღო ფული ისე ფრთხილათ, თითქო ეშინოდა რამე მწიკვლი არ ამყვესო.

— გიწყალობეს? მოითხოვე? ახლა უნდა თქვან ალუდანთ სახლიდან არის ეს გლახაო; შენისთანა ბედშავისაგან უნდა გატყდეს ჩემი ოჯახის სახელი.

— არ უწყალობებიათ, არც მითხოვნია მოწყალება.

— მაშ ალბათ მოიპარე საღმე.

— რას მაწუხებ, ადამიანო, და ცდილობ უფრო დამჩაგრო?! როდის გინახამ ჩემ ხელში ნაარმევი, რომ ეხლა ეჭვი მოგაქვს? ღმერთმა შემაძლებინა შრომით ვიცხოვრო: სოკო გავყიდე და იმისი ფასია.

— მართლა, ბიჭო?! ყოჩალ! გაულიმა რძალშა და ჩაიდო ფული ჯიბეში.

▼

იმ დღიდან შეეჩვია ჯამბრულა ტყეს, დაუახლოვდა მას, გაიცნო, შეისწავლა. აქამდინ ხომ ხეების გროვა ეგონა ის უბრალო, ეხლა ნახა, რომ იქ თავისებური ცხოვრება ყოფილა გაშლილი, ჰაზრით სავსე ცხოვრება, ადამიანთა ბრძოსათვის საგულისხმიერო. აქ განიცადა ჯამბრულამ ხელშეუხებელი ბუნება, შეურყეველ-შეუმწიკვლელი,—ისეთი, როგორიც გამოვიდა დამბადებელის ხელიდან. იქ აეხილა ჯამბრულის გონების თვალი, ჩამოეცალა მის მხედველობას ამაო ზრუნვათა მტკერი და მიშხვდა, რასა ჰნიშნამს ის, როდესაც ქმნილება გრძნობს მისადმი მინიჭებულ არსებობის სიკეთეს, როდესაც იგი ნეტა-რებს ამ მისადმი მინიჭებული არსებობით: შეპსტროფის და შეპხარის მცენარე ცხოველმყოფელ მზეს, მისკენ იწვდის ტოტებს, მისკენ მიიღოს მთელი საფის არსებით; იგი დაპხარის ჩახჩა-ხა ნაკადს და მადლობითა სვამს მალუცხლებელ ნამს; იგი სურვილით გადუშლის გულ მკერდს უცხოთ შეზავებულ ჰაერს და ხუჩხუჩებს მის სიწმიდეში.

სხვა არა უნდა-რა ამ ახოვან წიფელს, ოღონდ ნუ მოუკლებთ მიწას, სინოტიეს, ჰაერსა და მზეს. და რათ უნდა მოაკლოთ, როდესაც ეს ყველაფერი მრავალი მოუმადლებია გამჩენელს და ყველასათვის საკმაო? რათ გინდათ დაიშუროთ ვისთვისმე ესე უხვათ მონიჭებული კეთილი? ნურც შეუმღვრევთ ამ სიმდიდრეს, ნუ შეუბლალავთ! მიეცით მაგ ტყის მშვენებას ნება ცამდინ ალიპყროს ტოტები, ჩაეკონოს დედამიწას ფესვებით და ინეტაროს! მიეცით ამის ნება ახოვანს და იმსახურეთ: ინებეთ მისი ნაყოფი, მოიჩრდილეთ მის ქვეშ. იცით რამდენა სულდეგმულს აძლევს ბინას და საზრდოს ის ბუმბერაზი? არა კმარა ყველა ეს?! მაშ შეეხეთ იმასაც: დაჭერით შტოები, მთლათ დაასხიპეთ, ოღონდ თითონ მას კი ნუ მოუსპობთ სანეტარო არსებობას!

აგერ მწყაზარი ირემი, მშვენიერი ქმნილება ღვთისა! ნეკერ-ბალახი, ნამი და ჰაერი; სხვა არაფერი უნდა იმას, რომ იხაროს და დაამშვენოს ტყე. რათ გინდათ დაუშალოთ მას ყოფნა, როდესაც ეს ყველა ღვთისწყალობა მრავალია. მოფენილი ქვეყანაზე? ნუ მოუსპობთ მას სიცოცხლეს, ნუ აატირებთ! იცით, როგორ შექხარის ის თავის არსებობას?!

ამათ მიპახეთ! ნუ ინებებთ მიპაძოთ სისხლის მსმელ მხეცებს და ელტოდეთ სხვის ვნებას. მაგრამ თქვენ მტაცებლებსაც გადააჭარბეთ: აღარ გეკიდებათ ძლომა; ჰელენეთ დაუცხრომა-ლად და ჰერუტავთ სისხლს, ისე ჰბდლვნით და ხვეჭავთ გარშემო, თითქო ათასი წლის სიცოცხლე მოგელოდდეთ; ისე არ ინდობთ არავის, თითქო დედამიწა მხოლოდ თქვენთვის იყოს დაარსებული; არ გინდათ სხვამაც ვინმე იბოგინოს ზედ. გსურთ ყველა სურვილი დაიკმაყოფილოთ, თითქო შეიძლებოდეს ნდომის დაოკება, თითქო სურვილები უფრო-და-უფრო არ იზრდებოდნენ და არ ძლიერდებოდნენ, როცა უთმობთ მათ. ნდომახომ ჭიაკოკონაა, რომელიც უფრო ძლიერდება, რაც შეტა აყრით ჩალა-კაჭას.

სამარის კარამლინ ბრძოლა-დროტვინვაში ატარებთ სიცოცხლეს და აღარა გცალიანთ დასტკბეთ ან თქვენდამი მონიჭე-

ბულ არსებობით, ან ქვეყნის სიმშევნივრით. ვაი, თუ უკანას-კნელ უამს აგეხილოთ გონების თვალი და ჰნახოთ, რომ მთე-ლი სიცოცხლე მხოლოდ მზადებაში, ცხოვრებისთვის მზადე-ბაში დაპლიტ. მაშინ ინატრებთ კიდევ ერთ წუთს, მხოლოდ ერთ წამს, რომ იხილოთ და იგემოთ სიტკბოება არსებობისა და არსთა მშვენიერება, მაგრამ ვეღარ მიხვდებით ამას და გამო-უთქმელი სევდა მოიცვავს თქვენ გულს, განუსაზღვრელათ დაგ-ნანდებათ ფუჭად ჩავლილი ცხოვრება და სინანულის ცრემლე-ბი აგითრთოლდებიან წამწამზე. მომისმინე, საყვარელო, მერწ-მუნე! პირისპირ ვიხილე სიკვდილი და არარაობა იმ უბედურ უამს და ვიგრძენ ყველა ეს.

— აღარა მინდა-რა, ჩემთვის აღარაფერი მინდა! მაზარა და ლუქმა პური მასულდგმულებენ მე და ქმარა! მსურს მხო-ლოდ დავტკბე იმით, რომ ვარ, დავდივარ ამ მშვენიერ ქვეყა-ნაზე და შემიძლიან მისი მზერა. თქვენა გვონიათ ცოტაა ეს? განუწყვეტელი ზრუნვა ამაოებაზე გიბამთ თქვენ თვალებს და გიშლით დაინახოთ, რა დიდი ზღვაა ეს ნეტარებისა. გული მეღება სიხარულით, როცა ვხედავ, რომ მეც არსებათა ნაწილს შევადგენ, რომ მეც ურევივარ ქმნილებათა ფერხულში. ღმერთს რომ ჩემთვის ყოფნა მოუნიჭებია, მე ვტკბები ამ ყოფნით და გული მილიმის. მსურს სხვებიც ტკბებოდნენ თვითი არსებო-ბით და უმღერდეთ გული.

v1

შეცვალა ჯამბრულამ ცხოვრება: წინათ რომ თვალი რჩე-ბოდა ჩაცმა-დახურვაზე და ცხენ-იარაღზე, ეხლა მაზარას და შვინდის ჯოხს ანაცვალა თავის მისწრაფებები; აღრე რომ საჭ-მელს იყო შეჩვეული და არ მოსწონდა, საცა ნაირნაირი. არა მზადდებოდა, ეხლა ხმელ ყუსაც ქადასავით შეექცეოდა, მეტადრე ანკარა წყალში დამბალს; უწინ რომ მტკაველ მიწი-საჟის შეზობლებს ეტანებოდა და გულზე სკლებოდა, როცა სხვის წარმატება ესმოდა, ეხლა ყველა ამას ზურგი შეაჭია-

დაინახა, რომ მის სამკვიდრებელად ქვეყანაზე სამი ადლი მიწა კმაროდა. ცდილობდა რაც შეიძლებოდა ცოტა ადგილი დაეკირა საძმო სახლში, რომ უფრო მცირედ შეენიშნათ ის, რომ ფეხქვეშ არავის მოსდებოდა ძმის ოჯახში, რომ არავინ შეეწუხებინა იქ.

მაინც იშვიათათ არის ჯამბრულა შინ, მთელ დღეს ტყეში აღამებს. ბევრჯელ ლამესაც იქვე ათევს: თავშესაფარი ადგილები იცის. როცა ბუწკნარს ასცდება და საირმე ტყეში ავა, მაშინ და ამოისუნთქებს თავისუფლათ. წინდაწინ ნადირისა ეშინოდა და ეს უმღვრევდა სიამოვნებას, ეხლა ეს შიშიც გადიყარა გულიდან.

— უკნებელ ცხოველებს მე არას ვერჩი და ისინიც შემეჩვივნენ, აღარ მიფრთხიან; საშიში მხეცების ხასიათი კი შევისწავლე და აღვილათ ვახერხებ ავცდე მათ, ან გავაქციო ხმაურობით, თუ მეტი გზა არ არის.

მოეწონება ცალხელს რომელიმე ლალად აზღილი, ცამდინ აწვდილი. ხე და წამოწვება მის ძირას. ხშირ ფოთლებ შუა მაინც მოჩანს ლავეარდი ცა. მზის სხივები მხოლოთ სასიამოვნოთ ანათებენ და ათბობენ აქ, მათ სიმწვავეს კი ვერა გრძნობს კაცი: ტყის ჩრდილი და სინოტი აქარწყლებს მათ სიცხეს.

— რა გრილა, სასურველო! იქ, ტყის იქით კი, სიცხით იწვის ხალხი, გახურებულ ჰაერთან მტკრათ ნაქცევ მიწა-ნაგავს ჰყლაპავს და იშხამება. ბული დგა იქ სიმყრალისა და აღამიანს სუნთქვას უხუთავს. ხვირთქლში ცურავს იქ აღამიანთა ბრბოლელავს გალექებული, იბრძის. ბრბო მისდევს შესაძენს, რომ გული იჯეროს და იხაროს, კმაყოფილება კი გაურბის მას, გულის სისრულე კი ვერ შეუპყრია, როგორც აჩრდილი რამ. რა იცის ბრბომ, რა ახლოა მასზე ნეტარება, ან ვინ დააჯერებს მას, რომ იგი მისდევს მხოლოთ მოჩვენებას, რომელიც ქაქანით მიიყვანს მას სამარემდინ და იქ შემზარავ ხარხარს დააყრის თავს.

ჯამბრულა ხედავს ფოთლებ შეა თეთრ ლრუბლებს და მათთან ნავარდობს ცის სივრცეში; ის ყურს უგდებს ფოთლების შრიალს და ესმის, რაზე საუბრობენ ისინი: ისინი დაპნატ-რიან თავს, რომ არსებობენ, რომ თბებიან მზის სხივებზე, რომ სუნთქავენ ტურფათ შეზავებულ ჰაერით, რომ ჰსვამენ ზეციურ ნამს,— მაღლობენ შემოქმედს, რომელმაც მიანიჭა მათ ყოფნა. სიყვარულით უმზერს ჯამბრულა ხის ბუმბერაზ ლეროს და ამაყობას მის ძლიერებით, უხარიან, რომ წინააღმდეგნი ძალი ვერ შეჰმართვენ მას, ვერ შემუსრავენ; ესმის მასაზრდოებელი ნამის უუჯუნი ამაყ ლეროში და სურვილით ჰკოცნის დედამიწას, რომელიც აძლევს საზრდოს ყოველ არსებას,— როგორც ამ ტყის მშვენებას, ისე იმ ჰაწაწინა ჭიას, რომელიც აფერადებულა სიხარულით და აგერ მალხაზათ მიგოგავს: ბალახზე.

— ახ! ნეტავ განუწყვეტლივ მამყოფო ამ ღვთის წყალობაში, ნეტა გამრია ამ არსებებში, შემაერთო მათთან განუყრელათ, ისე კი, რომ არ დამებშოს გონების თვალი, რომ ვხედავდე, ვგრძნობდე ჩემ ნეტარებას.

მაგრამ ჯამბრულას არ შეეძლო სამუდამოთ ტყეში დარჩენილიყო: ღამდებოდა და უნდა დაბრუნებულიყო შინ. ბინდანდირს რომ შინ მიღიოდა, მისი გონება ისევ იქ იყო, უდაბურ ტყეში, და ბაგეზე ღიმი უქროდა, სახეს ნათელი ეფინებოდა.

მეტათ ძნელი იყო ჯამბრულასათვის ზამთარი. კიდევ კარგი, რომ ღიღხანს არა გრძელდებოდა ის. ზამთრობით ის გომში ბუნაგდებოდა, რომ კერასთან ადგილი არ დაეჭირა და ვისმეთვალის ეკლათ არ მოსჩვენებოდა. მაინც ვერა სძლებდა ისე, რომ რამდენჯერმე არ დაეხედნა ტყისათვის; ვერ გაეძლო უიმისოთ, როგორც შეკვეთილს გაიკვლევდა ნამქერში გზას: თავის ნაცნობ ახოვნებისკენ და მიესალმებოდა მათ, ანუგეშებდა ახალი ცხოვრების მოლოდინით, როდესაც ცხოველს-მყოფელი მზე ისევ დაუბრუნდებოდა ტურფებს და აამწვან-ააყვა-ვებდა მათ.

დატრიალდება თუ არა ჰაერში გაზაფხულის სუნი, ჯამბრულის გული გაეღება, სევდა გაულხვება, გულს მოეშვება, კაეშანი დაუღნება და იმედთა მიშრალ-მიშქრალი ნაკადი ნუგეშით აევსება, აუპირთავდება, აულელდება. ხედავს ცალხელი კეთილის მოახლებას და სიხარულით გული უძგერ-უმღერის; მთელი თავისი არსებითა გრძნობს ბუნების განახლებას და თითონაც ახლდება, ხალისდება.

დაბლობში რომ თებერვალშივე იწყება გაზაფხული, მწვერვალებს თიბათვეში ძლივს მიახწევს, ისე რომ როცა თხილიან-ში ზაფხულია, აყრილ ტყეში, იალალებთან, მაშინ იშლება გაზაფხულის ყვავილი და იფურჩქნება ტყე, ფოთლით იმოსება; თვალჩაუწვდენელ ლრანტებში ჯერ ისევ დნება თოვლის ნამჭერი და არც კი გადაშლილა ლანძილი. ჯამბრულა. სარგებლობდა ამით და როგორც დიდმარხევის პირველ კვირაში, ისეც კალოობას, სიცხე-პაპანაქებაში, ჩამოჰქონდა ტყიდან ახალ-ახალი სოკო. ქალაქში რომ სიცხით გულშემოყრილი ხალხი ყინულსა და სარდაფებს ეტანებოდა, იქ რომ ბული და მტვერი ხეს ფოთოლს უხრუშტავდა, ჯამბრულა სალამ-სალამოობით გაიძახოდა: სოკო, სოკო! და იცით, რა სოკო მოჰქონდა, იცით, რა სოკოს ამოალაგებდით, ფთხილათ რომ გადასწევდით ბურის ფოთლებს? გრილს, როგორც წყაროს წყალს, სუფთას, როგორც ცის ნამს, ფაფუქს, როგორც, დუმას, კარაქივით გემრიელ სოკოს! მე ვიცი ჭია ეყოლებოდა! ჯამბრულა ერთი შეხედვით იცნობდა სხვა რამ სულდგმულისაგან შელახულ სოკოს და ხელს არ ახლებდა იმას; მხოლოთ შეურყეველ რასმე ჰქონდა.

→ სოკო ჭიის ლუკმაც არის და თუ იმან მიმასწრო, ხელს ალარ ვახლებ: რათ მინდა სიცოცხლე მოუსპო სულ-დგმულს, ან გუნება აურიო ჩემ მუშტარს?!

ჯამბრულამ კარგა იცის, რომელი ხის სოკო უფრო გემრიელია და ნიშანდობრ ახსოვს დაყანდებული ხეები; იცის რომელი ხისაგან როდის უნდა მოისთვლოს ეს ნაყოფი და როგორც გაზაფხული იწევს თანდითან ზევით, ისეც ჯამბრულა ოღმა მისდევს მთას საშორისათვის.

სოკოს შესაგროვებლათ ორი კალათა აქვს ხურჯინში ჩამაგრებული, გასასყიდათ კიდევ ხოკერი უჭირავს ხელში. ეს ხოკერი საწყაოა და იმის ფასიც განიხრულია: უხვობის დროს ორშაურათ ჰყიდის, სიმცირის დროს კი აბაზამდინ აღის იმისი ფასი. კალათებს ძირში ჩადუნას უფენს. ხომ გახსოვთ, რა დიდხანს ინახავს ჩადუნა ტყის სუნნელებას? ზევიდან ბუერას აფარებს, ცივი წყლით ნაპკურებ ბუერის ფოთლებს, და იმისთვის არის, რომ მისი ჩამოტანილი სოკო პაპანაქებაშიაც ისევ სალია და სუნნელი.

მიდის ჯამბრულა მძიმე ნაბიჯით ქალაქისაკენ და თან მუშტარზე ფიქრობს, საზრამს ვის უნდა მიჰყიდოს დღეს სავაჭრო; ვარაუდსა სწევს, ვინ რამდენს აიღებს.

— ზევით ქუჩაზე წავალ, ქვეით ხომ იმდღეს გავატარე, ნისლიშვილის მეუღლე გადმომძახებს ბალკონიდან; ერთ კიბეზედაც არ ჩამოსდგამს ფეხს. მთელ კალათას დამატასებინებს, მეჩინჩება, არ კი იყიდის; მარტო ერთ საწყაოს აიღებს.. ან რათ უნდა მეტი? სუმათ არიან, ერთი ყმიწვილი-და დაცანუალებს ოჯახში. ბუერის ფოთლოსაც თან გააყოლებს, ესეთი ჩვეულება აქვს. ეჭ, სიბერე შეეპარა, ღაბაბი გუდა ლელვივით ჩამოეკიდა.

— მემრე ეკალაანთ ნენე მომეგებება წინ. გასტეხს სოკოს, გემოთ ნახავს, დაიწუნებს; მაინც იყიდის. რამდენსამე გროშს დამიკლებს. ყველას ისე უშვრება, ვისგანაც რას იყიდის. რათ უნდა?! ისეც დოვლათზე ზის.

— ასანა გაიგონებს ჩემ ძახილს და გამოვარდება. ნეტა ავცდებოდე! რა შავია, რა წვეტია, რა შამფურაა! — აფსუსი არ არის ი ბეგივით ქმარი ადგა თავს ყურთმაჯშეყრილი.

— გაუმარჯოს ბატონ თენგიზს!

— აა ჯამბრულ, შენა? ხმა დაგხრინწიანებია, მგელი ხომ
არ დაგინახამს? აბა მიჩვენე სოკო.. კარგია, კარგი! რა მოგცე
ხოკერში?

— აბაზი, ჩემო ბატონის

— როგორ შეიძლება! აშ შუა ჭაფხულში რა დროს სოკოა,
რომ ქვირათაც აფასებ.

— ტყუილათ შევაჭრება ბატონი თენგიზ. ეს თითონაც
ოცის ბატონმა; იმის სახლში მისი ცოლია პატრონი და ეგ
უიმისოდ ბლითსაც ვერ უყიდის თავის ბალლს.

— უთუოთ გაუვლი დარიკოს. რა თეთრია; გამჭვირვალე!
რა ფაშფაშა! გული მიდარის მის დანახვაზე. რა კეთილია!
უთუოთ მომიკითხამს; ხიკეთეს მისურვებს. ნეტა გრძნობს
და მისი ქმარი, რომ სამოთხოსთვის მოუხვევია ნ ჩეიმალა
მკლავები?

— სოკო, სოკო!

კ. ბათუმი

ხ ე ნ ი ღ

რუს-ოსმალოს (1877—1878 წ.) უკანასფნელ ომის
დროის ისტორიული როგორი

რ ა ც ფ ი ს ა

(თარგმანი სომხურიდან).

IXV

თომას-ეფენდი მოხუცის სახლში კიდევ რამდენიმე დღე
უნდა დარჩენილიყო, რაღან სოფ, ო... ში ჯერ საქმეები არ
დაებოლოვებინა.

მოხუცის ოჯახში წელიწადში რამდენჯერმე ერთი სხვა
სტუმარიც გაჩნდებოდა ხოლმე. იგი არარატის მაზრელი ერთი
ახალგაზდა კაცი იყო; მოდიოდა მოხუცთან, ცხვარს, ხარებს,
მატყლსა, ყველსა და ერბოს ყიდულობდა და გასასყიდათ
ალექსანდროპოლის ანუ ერევნის მხარეს მიჰქონდა. სამაგიე-
როთ სოფ. ო... ში ისეთი საქონელი შეჰქონდა, რომელიც
იმ მხარეს არ მოიპოვებოდა, მაგალითათ, ტანისამოსის სხვა და
სხვა ქსოვილები, ჩითი, ტილო, მაუდი, ჩაი-შაქარი, ყავა და
სხვა მრავალი წვრილმანი. ქალაქებს და შორებულ სოფლები-
სთვის, როგორც მაგ. სოფელ ო... იყო, ამ გვარი წვრილი
ვაჭრები ძლიერ საჭირონი არიან. იგინი გლეხს საჭირო საგ-
ნებს აწვდიან და სანაცვლოთ მისგან ისეთს საგნებს ყიდულო-
ბენ, რომლის შორს წალება, გასასყიდათ სხვაგან გატანა, გლეხს

ძალიან უძნელდება, მეტადრე იმ გვარ ქვეყანაში, საღაც არც რიგიანი გზებია და რაც არის, იმაზედაც ქურთების ყაჩალების შიშით მისვლა-მოსვლა თითქმის მთლათ შეჩერებულია.

ყოველთვის, როცა-კი ეს ჭაბუკი გაჩნდებოდა, მოხუცის ოჯახში დიდი მხიარულობა ჩამოვარდებოდა ხოლმე. იგი ძლიერ დაშინაურებული იყო და ყველა ისე ექცეოდა, როგორც თავის ოჯახის წევრს. როდესაც-კი სოფ. ო... ში შევიდოდა თავის პატარა ქარავნით, რომელიც რამდენიმე დასაპალნებული ჯორისგან შესდგებოდა,—მაშინვე მოხუცის სახლისკენ გასწევდა, ცალებს ჩამოხდიდა და მთელი კვირაობით იქა რჩებოდა; მაგრამ როდესაც თავის სავაჭრო საქმეებს მორჩებოდა, ისევ თავის გზას გაუდგებოდა ხოლმე.

ეს ჭაბუკი ამ ხელათ სწორეთ თოშას-ეფენდის მოსვლის მეორე დღეს გაჩნდა და ის იყო ჯორებისგან ცალებსა ხდიდა, რომ ხარჯის ამკრებს შეეხება.

— ოჰოს! აქა ხარ?—უთხრა მან და პირჯვრის წერით მიუახლოვდა:—ოჰ, შენ დანახვას, ეშმაკის დანახვა მერჩივნა: ამ ხელათ ჩემი საქმე ცუდათ წავა... სახელითა მამისათა და ძისათა...

ეფენდიმ გულიანათ გადიხარხარა, ხელი მოსჭიდა და სახეზე დააცემდა, თან უთხრა:

— ხენთი ხარ, ხენთი (სულელი)! ათასჯერ მითქვამს, რომ ხენთი ხარ-მეთქი.—კარგი, ეს დარჩეს: შენ ის მითხარი, რომი მოგიტანია თუ არა?

— ცოტა ზახრუმალი (არაყი) მოგიტანე. დალიე, რომ ეს საბრალო გლეხები შენი კლანჭებიდან განთავისუფლდენ, სიცილითვე უპასუხა ჭაბუკმა.

ამ ლაპარაკის დროს იქვე მახლობლათ იყვნენ გლეხები, რომლებიც ახალგაზდა კაცს შველოდნენ ჯორებიდან ცალების ჩამოხსნასა და შინ შელაგებას. ეფენდის არაფრათ ექაშნიკა, რომ ჭაბუკის ხუმრობას იქ მდგომი გლეხებიც ისმენდნენ; ამიტომ ჩქარა გაშორდა, ვითომდა სოფელში ბევრი საქმე მაქვსოდა თან ჭაბუკს მიმართა: „დღეს სადილი ერთათა ვკამოთო.“

— შენთან პურის ჭამა სწორეთ ცოდვაა, მიუგო ჭაბუკმა.

— აბა რა, „ვირის კუდი არც დაგძელდება, არც დამოკლდებაო“, შენი კკუაც ასეა,—წარმოსთქვა ეფენდიმ:—„ვირი გინდა იერუსალიმში წაიყვანო, მაინც ვირობას არ მოიშლის და თავის დღეში, მულდუსი“ არ გახდებაო.“

— ოჲ, შენ რომ ვირების არაკებს მოხსნა პირი, ხომ ბოლო აღარ ექნება, მიუგო ჭაბუკმა და პირი შეუბრუნა.

ეფენდი გაშორდა.

მოხუცის ოჯახში ყველას შეეტყო ვარდანის მოსვლა (ჭაბუკის სახელი ვარდანი იყო) და ცალების გახსნას მოუთმენლათ მოელოდდა, რადგან ვის გინდა, რომ დავალებული რამ არ ჰქონდა? ვარდანმა ცალები დარბაზში დააწყო; მთელი ოჯახი შემოეხვია. ერთი ეკითხებოდა: „წულები რომ დაგაბარე, არ მომიტანეო?“ მეორე — „ჩემი დაბარებული ქუდი არ მოიტანეო?“ ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან ერთი და იგივე გაისმოდა, ყველა რაღაც ნივთა სთხოვდა; არც თუ ბავშვები აძლევდნენ მოსვენებას, კალთებზე ებლაუჭებოდნენ და ათას რამესა სთხოვდნენ.

— მოგიტანეთ, მოგიტანეთ! — უპასუხებდა ჭაბუკი: — ყველას მოგიტანეთ.

— მაშ მომე, მაშ მომე! გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— ჯერ ერთი დამასვენეთ, თქვე ეშმაკის ბლარტებო, და შემდეგ, როცა გავხსნი, ყველაფერს დაგირიგებთ, ეუბნებოდა იგი.

— ეხლა, ეხლა! მერე არ გვინდა! მაინც არ ასვენებდნენ.

მთელი ოჯახი ისე დაახლოვებული ჰყავდა ვარდანს, რომ მის ლაპარაკისთვის ყურადღება ალარც-კი მიუქცევიათ, მის-ცვივდენ და ცალებს თითონ დაუწყეს ხსნა. თოკები და ჭილობები რომ შემოხსნეს, ზედ დაეცნენ და დაბარებულ საგნებს ტაციობა დაუწყეს. ყმაწვილი კაცი-კი შორი-ახლო გამდგარის ყო, მათს ულივ-ულივსა და მხიარულებას გულ-კეთილი ღიმილით შესკეროდა და თან სიცილით. ამბობდა:

— თქვენი ჭირი არ მენახოს, ემაგრე ქურთებიც-კი არ იკლებენ ვაჭრებს.

ცალებს ახლოს მარტო ერთი სტეფანიკა ანუ ახლანდელი ლალა არ მიჰყარებია, შორი-ახლო იდგა და მათს მხიარულებას დაღრმებული შეცყურებდა, ხან-კი კიდეც იღიმებოდა.

ჭაბუკი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რატომ შენ-კი არაფერს იღებ?

— რა ავიღო?... მიუგო წამოწითლებულმა ლალამ.

მართლაც და რა უნდა აელო? ფარული და ყალბი ვაჟობა დიდიხანია ბობეზრებოდა, ქალის შესაფერი საგნის აღება-კი არ შეეძლო. ვარდანი მიუხვდა ამ ფიქრს და ნელი ხმით უთხრა:

— შენთვის ერთი კარგი რამა მაქვს მოტანილი.

— რა არის? ჰკითხა ლალამ ჩუმათვე.

— მერე მოგცემ, მაგრამ იცოდე, არავის-კი აჩვენო...,

ლალამ კვლავ გაიღიმა და გაშორდა.

ვარდანი ასე ოცდა ხუთი წლის, მაღალი და მოხდენილი ტანის ჭაბუკი იყო, თუმცა სახე ისე ღრმათა ჰქონდა დაღარული, რომ შეუძლებელი იყო გეთქვათ — ლაშაზიაო. დიდი, შავი მოელვარე თვალები მის სახეს უფრო ავაზაკურ ელფერსა ზდებდა, თუმცა მომსხო ტუჩებზე მუდამ რაღაც მწარე ნაღველი ეხატებოდა. საქმეში ისეთი მოხერხებული და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, რომ ერთი ნახვითვე იტყოდით წრეს გადასული ღონიერი უნდა იყოსო. იმ მიღამოში დანამდვილებით არავინ იცოდა- ვინ იყო, საღაური, ან რა წარსულის მექონე? ბერე-კი მის ყოფაქცევის შესახებ ბევრს რამეს ლაპარაკობდნენ, უფრო კი ცუდს. ერთნი ამბობდნენ: „თოკიდან გაქცეული და ათას ბნელ ხვრელში ნაძრომი ვინმეაო: ერთხანათ ერთი მონასტრის ძმობის წევრი ყოფილიყო, შემდეგ მასწავლებლობისთვის მოეკიდნა ხელი, მაგრამ რა მიზეზით დასტოვა ან ერთი, ან მეორე — სწორეთ არავინ იცოდა. მხოლოდ ეს არის, მისი მონასტრებში ყოფნისა და მასწავლებელის ცხოვრებიდან ბევრ სახუმარო ამბებს

ლაპარაკობდნენ, რაც მის დაუდგრომელსა და წრეს გადასულ ხასიათს ამტკიცებდა.

მაგრამ ყველაზე მართალი კი უფრო ის იყო, რომ იმ შხარეს განთქმული იყო, როგორც შესანიშნავი კონდრაბატისტი. რაც კი ამ ხელობისთვის საჭირო იყო ვაჟკაცობა, მოხერხება და ეშმაკივით გაქნილი ჭკუა — ყველა ეს საკმაოთა ჰქონდა. მუდამ განსაცდელისა და საშიშარ შემთხვევებთან ბრძოლის წყალობით ხასიათი რკინასავით გამაგრებოდა, მოურიდებელი და ლომის გამბედაობის მქონე შექმნილიყო.

ვარდანს ერთი სხვა თვისებაც ჰქონდა. თომას-ეფენდის გარდა, მთელი სოფელი და მისი მიდამო სულ „ხენთა“, (სულელს) ეძახდნენ. რაში მდგომარეობდა მისი „ხენთობა“? ვარდანი სულელი კაცი არ იყო: ძალიან ნაკითხი და მრავალ მხრივ განვითარებული იყო. ცხოვრებას კარგათ იცნობდა და ადამიინთა არსებობის ვითარებაც კარგად ჰქონდა შესწავლილი. მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ სულ ახალგაზდა იყო, გამოცდილება დიდი ჰქონდა და ადამიანთა ვერაგობის გამო ბევრი ტანჯვავება გამოევლო. მაში რაღაში მდგომარეობდა მისი ხენთობა? მარტო იმაში, რომ პირფერობა ჭირივით სძულდა და დაუბინებელი მტერი იყო კაცთა ყოველ-გვარ ცრუმორწმუნებისა და შემცდარი შეხედულობისა; ძალიან გულახდილი, მოურიდებელი იყო და რასაც კი ადამიანს ცუდ რამეს შენიშნავდა, ყველა-ფერს ჭირში ეუბნებოდა. არც თავის საკუთარ ნაკლულევანებას ჰფარავდა, ყველაფერს აშკარათ აღიარებდა; ამგვარ ადამიანებს კი ხალხი ყოველთვის სულელს ეძახის! ხალხი სულ იმას თხოულობს, რომ ადამიანი გარედან სხვა იყო და შიგნიდან სხვა; ამიტომაც არის, რომ სიმართლის მთქმელი ჭირივით ეჯავრება.

მეტი წილი ძველ ბრძენთა და წინასწარმეტყველთა, თვით ცნობილი პაპლული და მოლლა ნასრედინიც სულელებათ ითვლებოდნენ, თუმცა მათი „სისულელე“ ერთგვარ სიბრძნესაც შეიცავდა. ვარდანი არც ბრძენი იყო, არც წინასწარმეტყველი, მაგრამ განვითარება, მსჯელობა, ლაპარაკის კილო და ყოფა-

ქუევა ასეთი ჰქონდა, რომ მდაბიო ხალხს რაღაც სულელათა
და უხამსათ მიაჩნდა.

ლალას რომ უთხრა, „შენთვის ერთი კარგი რამ მომიტანიაო“
და თან საიდუმლოთ გარდაცემას დაპირდა, — ეს გარემოება მის-
აშეარა და გულ-ახლილ ხასიათს ეწინააღმდევებოდა. თითქო
რაღაც განსაკუთრებული გრძნობა ატანდა ძალას ასე მოქცე-
ულიყო. თითქო გულში აღთქმული რამ აქვს დაფარული და
უნდა, რომ სხვებისათვის მიუწლომელი იყოსო. ეხლა იმის-
შემთხვევას ეძებდა, რომ სტეფანიკას როგორმე შეხვედროდა
და რაც შეიძლებოდა ისეთს ადგილზე, რომ ვერავის შეენიშნა.
შემთხვევაც მალე მიეცა.

სრულიათ გადამავიწყდა ოდნავ მაინც თვალი გადამევლო
მოხუცი ხაჩოს ეზოს მდგომარეობისათვის. ეზოს მეტი წილი
ხეებით და სხვა-და-სხვა გვარის ბუჩქებით იყო სავსე. ბალახე-
ული ხომ ისე ატეხილიყო, რომ რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე
კაცს ვეღარ გაარჩევდით.

ვარდანი რომ თავი საქონლის დაბინავებას მორჩა, გარეთ
გამოვიდა და ბალისკენ გაიარა. იქ, ხეების ჩრდილში უნდოდა
სულის მშვიდობა, განსვენება ეპოვნა. გულზე მძიმედ რაღაც
დასწოლოდა, სული რაღაც ტკბილი, ნეტარი გრძნობებით
ულელავდა... ამ გვარი შემთხვევის დროს შეყვარებულის გულს-
ხე, უვავილი და ხის ფოთოლთა შრიალი უფრო მეტათ ანუ-
გეშებს ხოლმე, ვიდრე ვისიმე მჭევრმეტყველური საუბარი. რბილ-
ბალაზე იყო წამოწოლილი, დაბურული ხეების ტოტებ შეა-
მოლურჯო ცის კამარას დიდხანს რაღასაც უაზროთ შეჰყურებდა,
თან თვალ-ყურს ადევნებდა მოთეთრო ნაწყვეტ ღრუბლებს,
რომელებიც ცის სივრცეში გაჩქარებული დასრიალებდნენ,
ბოლოს ერთათ იკრიბებოდნენ და შავ წვიმის ღრუბლებათ
იქცეოდნენ; რაღაც ქარიშხალის სუნი დიოდა... ასეთსავე მდგო-
მარეობაში იყო ვარდანის გულიც. შიგ დაფარული რაღაც
გამოურკვეველი ლტოლვილება-მისწრფებანი ერთმანეთში არე-
ულიყო და იმ წმინდა გრძნობად გადაქცულიყო, რომელსაც
ფსიხოლოგები სიყვარულს უწოდებენ...

ვარდანმა. დიდი ხანია იცოდა, რომ სტეფანიკა ქალი იყო; იცოდა აგრეთვე ის მიზეზიც, რამაც აიძულა მისი მშობლები თავინთი ერთათ ერთი ქალი ვაჟის ტანისმოსითა და სახელით აღზარდნათ. უბედური ქალის ამ გვარმა მდგომარეობამ უფრო მეტათ მიიზიდა ახალგაზდა კაცის ყურადღება და იმავე გარე-მოებამ გაავსო მისი გული იმ გმირული გრძნობით, რომ საბრალო ქალი ამ გვარ უკანონო და ბუნების წინააღმდეგ მდგომარეობისაგან გამოეხსნა. სიბრალულის გრძნობამ სიყვა-რულის გრძნობას დაუთმო გზა. გარნა ვარდანის გულში ეს გრძნობა იმდრომდე სდუმდა, დაფარული იყო. იმ დღემდინ ერთხელაც არ გამოუაშკარავებია სიყვარული და გაკვრითაც კი არ შეუტყობინებია, რომ მისი ქალობა იცოდა, თუმცა მეტად დაახლოვებული იყო და ხშირათ ბუნებაც თავისას თხოულობდა... თვით ვაჟურათ მორთული ქალიშვილიც-კი, თუმცა ბევრს ცდილობდა დაემალნა, უნებურათ ამჯლავნებდა იმ განსაკუთ-რებულ თვისებებს, რაც ქალთა ბუნების ხვედრია და რასაც პასკ-მოსული ქალი ველარ დაჭარავს...

ვარდანი დიდ ხანს იყო ბალში. წამოწოლილი და მოუს. ვენრად ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე. უცებ რალაც შრიალი შემოესმა, მოიხედა და ნახა, რომ სტე-ფანიკა მისკენ მიემართებოდა. საბრალო ჭაბუქს გულმა ძგარა-ძგური დაუწყო, მისი რკინის გული არას დროს ასე არ აძე-რებულა...

სტეფანიკა მიუახლოვდა, რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე გაუბედავათ გაჩერდა და უთხრა:

— საღილი მზათ არის, მამა გეძახის:

— ეფენდიც იქ არის? ჰკიოხა ვარდანმა და ერთ, მომალ-ლო ადგილის ჩამოჯდა, რომელიც ხვეული ბალახით ისე იყო გარ შემორტყმული, რომ ნამდვილ საგრილებელ ქახს წარ-მოადგენდა.

ეფენდის ბსენების უმალ სტეფანიკას სახეზე რალაც ჭირ-ლმა გადაჭრა და უპასუხა:

— ეშმაკმა-კი წაილოს მისი ზავი და ტანი, — იქ არის.

— ეფენდი არც შენ გიყვარს, სტეფანიკ? არც
სხვა ვის უყვარს, რომ მე მიყვარდეს?

ვარდანმა იფიქრა: საჩუქრის ჩასაბარებლათ ამაზე უკეთესს
დროს ვეღარ ვიხელთებო და სოხოვა, რომ პატარა ხანს ბალში
მოეცადნა, ვიდრე თითონ წავიდოდა და მოიტანდა. მაშინვე
დარბაზისკენ გაეშურა და რამდენიმე წუთის შემდეგ პატარა
შეკრული ბოხია მოარბეინა. კვლავ ქოხის შვავს ადგილისკენ
გასწია და სტეფანიკაც იქ მიიწვია.

— მამა მელის, უთხრა სტეფანიკამ.

— ნუ გეშინია, ძალიან არ დავგვიანდებით. დაჯე ჩემთან,
სტეფანიკ, ჯერ სადილის დრო არ არის. ახლავ, გადმოგცემ,
რაც შენთვის მომიტანია.

გახარებული სტეფანიკა გვერდით მოუჯდა, ვარდანმა-კი
ბოხის დაუწყო ხსნა. შიგ ლამაზი ნახატებით მორთული
პატარა შავი ყუთი იდო. ვარდანმა ჯიბიდან პატარა გასაღები
ამოიღო და ყუთი გააღო. შიგ ქალის სხვა-და-სხვა სახელ-
საქმი იარაღი ეწყო: მაკრატელი, სათოთე, სანემსე და სხ-
უველა ეს, ვერცხლისა იყო და ლამაზათ მოვარაყებული. ყუ-
თის ერთს მხარეს სარკე ჰქონდა ჩასმული, ძირში-კი დატანე-
ბული ჰქონდა რაღაც საკრავი, რომელმაც მომართვის უმაღ-
ლამაზათ წყან-წყარი დაიწყო. სტეფანიკას თავის დღეში ამგ-
ვარი მშვენიერი რამ არ ენახა და ამიტომ გაოცებული შე-
ურებდა.

— კარგია? ჰკითხა ეარდანმა და თან თვალებში შეაშტერ-
და, — აიღე, შენთვის მომიცია.

თუმცა პირველში სტეფანიკა საჩუქარმა ძალიან გაახარა,
მაგრამ უცებ დაღონდა, თითქო რაღაც გაახსენდა და საჩუქა-
რის აღება უმძიმსო. ამიტომ საჩუქარზე უარი განაცხადა და
წუთიერი აღშფოთების შემდეგ უპასუხა:

— მე რათ მინდა მაკრატელი, სათოთე, სანემსე? .. უგენი
ხომ ქალისებია? ჩემთვის სხვა რამ უნდა მოგეტანა, ვაკეს
შესაფერი რამ უნდა მოგეტანა... მე ხომ ჭალი, არა ვარ? ..

ეს სიტყვები ისეთია აკან კალებულის ხმით წარმოსთქვა, თითქო ნაზი ალის ფერი ტუჩები ეწვისო.

ვარდანი ამ გვარ გულჩახვეულებას არ მოელოდდა; სრულიად გაშტერდა, სულიერი აღშფოთება, ვეღარ შეიძაგრა და უთხრა:

— შენც ქალი ხარ, ლალა....

— ოჲ, ჩემი სახელიც-კი გცოდნია?... წამოიძახა საბრალო ქალმა და ვარდანს გულზე მიესვენა.

ჭაბუკმა გულში ჩაიკრა, რომ არ დავარდნილიყო. ლალამ საშინელი გულის ფანცქალითა და ცრემლის ყლაპვით რამდენჯერმე გაიმეორა: „მე ქალი ვარ... დიალ ქალი ვარო... ყმაწვილი ქალის კლიტე-დადებულ ბაგეთაგან ეს აღსარება პირველათ წარმოითქვა წინაშე იმ ყმაწვილი კაცისა, რომელიც უყვარდა, მაგრამ ამ გრძნობის გამომუღავნებას-კი იმ დღემდინ ვერა ჰქონდა.

გარნა ამ ტკბილ დავიწყებაში შეყვარებულებმა სრულებით ვერაფერი შენიშნეს-რა, რომ შორი - ახლოდან წყვილი თვალი შეცყურებდა მათ და მათი სერბარულით, თითონაც ხარობდა. ეს წყვილი თვალი გახლდათ სარაც საკრავის ხმას მიეზიდნა ბალში.

— „ეხლა-კი ლალა დახსნილია!... თქვა მან გუნებაში და გამობრუნდა.

XXV

ოდაში სუფრა გაშლილი იყო, მასპინძელი და თომასეუფენდი მარტო ვარდანს-ლა ელოდნენ. იქვე იყო მთავრობის მიერ მიჩენილი ორი პოლიციელი, ორი საჭაგლი პოლიციელი, რომელნიც ეფენდის ყოველ სისახაგლესა და ბოროტმოქმედებაში ერთგულათ ებმარებოდნენ. სასტუმროში სხვა ალარავინ იყო, რადგან მოხუცის შვილები სუფრაზე დასხდომას თავის დღეში ვერ შექმედავდნენ, როდესაც ეფენდისთხნა საპატიო სტუმარი ჰყავდათ ხოლმე.

— ეხლა მოვა და იმდენს იყბედებს, იმდენს იყეფებს, რომ სადილს ჩაგვაშხამებს, თქვა ეფენდიმ ვარდანის შესახებ.

— თუმცა ხშირათ გესლიანი ხუმრობა იცის ხოლმე, მაგრამ გულით ძალიან კეთილი ბიჭია, შენიშნა მამასახლისმა.

— ეგ მეც კარგათ ვიცი, მამასახლისო, რომ ცუდი გული არა აქვს, მაგრამ პირში-კი გველის შხამი უდგას. ხუმრობა ყველასთან ხომ არ იქნება! მე რომ ჩავახველებ ხოლმე, მსმენელნი შიშით კანკალებენ. უნდა იცოდეს, ვინ არის თომას-ეფენდი. სულთანის ფირმანი ხომ ნახე? ახლა ისიც უნდა იცოდე, რომ არზრუმის ვალი გვერდიდან არ მიშორებს ხოლმე. აი თუ არა გჯერა, ამათა ჰყითხე, — უთხრა ესა და ხელი პოლი-ციელებზე მიუშვირა.

„მელამ თავის კუდი მოწმათ მოიყვანაო,“ რომ იტყვიან, სწორედ ეფენდიზე იყო გამოჭრილი. როგორი ტყუილიც უნდა ეთქვა, ის ორი ავაზაკი მუდამ მზათ იყვენ ეფენდის სიტყვა დაედასტურებინათ, თითქო ნაფიცი მოწმენი არიანო.

— განა ისე-კი არა მჯერა? უპასუხა მამასახლისმა.

თომას-ეფენდი ვარდანზე მარტო დილანდელი შეურაცხებისათვის-კი არ იყო გაჯავრებული, არამედ ვარდანს ჩვეულებათ ჰქონდა, როდესაც-კი ეფენდის შეხვედებოდა; რაიმე სირცხვილი ეჭმევინა.

— მე რომ მოვინდომო, — თქვა მედიდურად ხარჯის ამკრებმა: — ერთ წუთში ქვეყანას პირქვე დავამხობ და მაგ უმსგავსს-კი დავუმტკიცებ, ვინც არის თომას-ეფენდი.

— ყმაწვილია, ეფენდი, — უთხრა გულკეთილმა ხაჩომ: — ყმაწვილის სიტყვას-კი სასწორზე არა სდებენ. მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ვარდანი ისეთი ცუდი ბიჭი არ არის, როცემ თქვენა გულით.

ამ დროს ვარდანიც შევიდა: ძალზე გაფითრებულიყო, რაღაც ფიქრში იყო გართული და სრულიად ხმას არ იღებდა. ეფენდი რომ ვარდანს წუთის წინ გაჯავრებითა და ყოყოჩაბით ახსენებდა, როგორც იტყვიან ხოლმე „ცუდი ამოიძუა“ და ჩვეულებრივი პირფერობით უთხრა.

— დალოცვილის შვილო, რამდენს მალოდინებ? არ იცი, რომ თომას-ეფენდი უშენოთ პირში ერთ ლუკმა პურსაც არ ჩაიდებს?

— ვიცი... მიუგო ჭაბუკმა, პირზე არც-კი შეუხედნია, გადავიდა და თავის ადგილას დაჯდა.

ვარდანს საღილზე თითქმის ხმა სულ არ ამოულია. ისე გულჩათხრობილი და დალონებული იყო, რომ უნებურათ იფიქრებდით, ან ავათ არის, ანუ სტკივა რამეო. ყოველთვის მხიარული ვარდანი ღრუბლით მოცულ ცასავით მოქუშულიყო. სიყვარული ზოგს ნეტარებასა და სიხარულსა ჰგვრის, ზოგს ჭიუიდან შლის, ზოგის გულს წმინდა გრძნობით ავსებს და ზოგის მწარე სიცოცხლეს სიტკბოებათ გარდავქმნის ხოლმე, — მაგრამ ამავე სიყვარულს ვარდანის გული ნაღველისა და სევ-დის ბუღეთ გარდაექცია. ძლიერ ცოტას სჭამდა, უგემურათ იკინებოდა, მაგრამ სმას-კი ძალას ატანდა, თითქო გულში ანთებული გენია ღვინოთ უნდა ჩააქროსო.

თომას-ეფენდი-კი ჩვეულებრივ ბევრსა ლაპარაკობდა. თავის აწმუო-წარსულიდან უთვალავი ამბები მოჰყავდა. იმის დასამტკიცებლათ, რომ ნახეთ, რა დიდი კაცი ვარო. ნერსეს *) პატრიარქისულ „შვილო“-ს მეძახისო. ხრიმიანი (სომხების ახლან-დელი კათალიკოსი) არ მოსწონდა, ძალიან თავდაბალი კაცია; თავს იქამდინ იმცირებს, რომ ვალაც ვანელ — შუშელ (სომ ხეთის უმთავრესი ქალაქებია) მუშებს „ემასლიათებაო“; ნუბარ ფაშა ისე წერილს არ მომწერს რომ „კეთილშობილო მეცო-ბარო“ არ მიწოდოსო; ბოსფორის ნაპირზე შშვენიერი სასახლე მაქვს წამოჭიმული, რომელიც ინგლისელებსა აქვთ ქირითაო; ჩემს მამა-პაპათ იერუსალიმის ტაძრისათვის დიდი ფული შეუ-წირნიათ და ამიტომ წმ. იაკობის მონასტერში მათი ჩამოზა-ლობის საღლეგრძელოთ ყოველ დღე პარაკლისებს იხდიანო; ჩემსა და ოთიანის შორის უსიამოვნების ჩამოვარდნის მი-ზეზი ის არის, რომ სიძეთ ვუნდოდი, თავისი ქალი შემო-

*) სომხების გამოჩენილი პატრიარქი იყო კასტანტინეპოლიში, მთ.

მაძლია, მაგრამ ცივი უარი შევუტვალეო და სხ. და სხ... თო-
მას-ეფენდი ათასს ამ გვარ ზღაპრებს ამბობდა, მაგრამ ვარდანი
ყურსაც არ უგდებდა, თითქო აქ არაფერიაო; გულუბრყვილო
მოხუცი-კი ყველაფერს დიდის. ყურადღებით ისმენდა, მის გაო-
ცებას საზღვარი არა ჰქონდა. „ოჟ, ჩემი ქალი რა ბედნიერი
იქნება, ამისთანა დიდი კაცის ცოლი რომ გახდეს! ოთიანის
ქალი დაუწუნებია და ბოსფორის ნაპირზედაც სასახლე ჰქო-
ნიაო!“ ფიქრობდა გუნებაში.

ლაპარაკი ახლა პოლიტიკაზე ჩამოაგდო. ეს სწორეთ ის
არეულ-დარეულობის დრო იყო, ბალკანეთის ნახევარ კუნძუ-
ლის სლავიანთა ტომები რომ თავისი სისხლის მეოხებით თავი-
სუფლების მოპოვებას ცდილობდნენ. მათი მდგომარეობის
გამოსარკვევათ კონსტანტინეპოლიში კონფერენცია იყო შემ-
დგარი და დიპლომატიის გამოჩენილმა გაიძევერა მითჰად-თაშა-
მაც სწორეთ მაშინ გამოსცა ოსმალეთის კონსტიტუცია, თო-
მას-ეფენდი-კი სოფლის ოდაში გაბრტყელებულიყო და სომხის
ერის მომავლის საქმესა სწყვეტავდა.

ჯერ სლავიანთა ხენთობას (სულელობა). შეეხო, როგორ
ჰქონდავნ და ოსმალოსთანა. „კეთილის მყოფელ“ ერს უჯანყ-
დებიანო? შემდეგ დაიწყო ჰომების საშინელი კიცხვა, რომ
მათშიაც მოიპოვებიან იმისთანა „ხენთები“ (სულელები), რომ
ოსმალეთის ულელს აუტანელათ თვლიან და რაღაც მოქალაქო-
ბრივს. თავისუფლებაზე თუ თვით-მართველობაზე ოკნებობე-
ნო. თან ვედიდურათ გამოაცხადა: ოსმალეთი რომ არ იყოს,
სომხობა დალუპული იქნებოდა, რადგან თავის თავის მოვლის
თავი არა აქვსო.

ეს-კი ვეღარ მოითმინა ვარდანმა და მიუკო;

— თქვენისთან ებისათვის, რომლებიც ასმალეთის უწე-
სოების წყალობით სომხის სისხლს სწოვთ, დიაღ თქვენის-
თანა მულთეზიმთა და ხარჯის ამკრებთათვის ასმალეთის უკა-
ნონო და უსამართლო მთავრობა, რა თქმა უნდა, მუდამ ხელ-
საყრელი იქნება. თევზის ჭერა თქვენ მღვრიც წყალში გიყვართ
და მიტომაც წმინდა წყალი გეჯავრებათ. თქვენ სიბნელეს

აღმერთებთ, რადგან ქურთებისთვის სინათლე ხელ-მოსაცემი არ არის...

— მოწყალეო ხელშწიფევ! — სიტყვა გააწყვეტინა ეფენ-დიმ: — ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ გვერდით ორი პოლიციე-ლი ზის!

— ამ პოლიციელებით ის საბრალობელი გლეხები შეა-შინე, რომლებიც იმდენად ბეცები არიან, რომ სჯერათ, ვი-თომ თქვენ ბოსფორის ნაპირზე სასახლეები გედგათ, ოთიანის ქალი დაგეწუნებინოთ და წმ. იაკობის მონასტერში შენი სუ-ლის საოხად პარაკლისებს. იხდიდენ... თქვენა და ყველა თქვენი მსგავსნი წყევლა-კრულვის, მხოლოდ წყევლა-კრულვის ლირსნი ხართ!.. თქვენა ხართ სომხის სახლის დამქუცევნი, თქვენა, უბ-რალო მულთეზუმიდან მოკიდებული (რომლის წარმომადგენე-ლიც თქვენა ბრძანდებით) პორტის იმ მაღალ მოხელეებამდინ, რომელნიც თავიანთი პირადი სარგებლობისათვის თავიანთ ერ-საც კი ღალატობენ...

თომას-ეფენდიმ გაჯავრება არ დცოდა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ იყი მხოლოდ მაშინ ჯავრობდა, როდესაც მოწი-ნააღმდეგე მისი საკბილო ვინმე იყო. და რაც უნდა ექმნა, ყველაფერი გაუვიდოდა, ვარდანს კი დიდი ხანია იცნობდა და დარწმუნებულიც იყო, რომ მასთან ბაქი-ბუქობა არ გაუვი-დოდა. ამიტომაც, რომ თავისი უცაბედი შეცდომა რო-გორმე გაესწორებინა, ლაპარაკს ხუმრობის კილო მისცა და უთხრა:

— ეტყობა, მაგარი ღვინო ყოფილა. შე დალოცეილო, სმის თავი რომ არა გაქვს, მაგდენს რათა სვამ?

ვარდანმა მხოლოდ ცერათ შეხედა და აღარაფერი უპასუხა. სახეზე ეხატებოდა საშინელი ზიზლი, რომელიც იქ მჯდომ პირ-ფერ ეფენდისგან იყო გამოწვეული.

ჩუმათ იყო აგრეთვე ხაჩოც. მართალია, ვარდანს სიტყვე-ბის სიმართლე სწამდა, მაგრამ მისი მოურიდებლობა შეინც არ მოსწონდა, რადგან სამსახურის კაცთან ამგვარი ლაპარაკი უმარ-თებულოდ მიაჩნდა. ეს იყო მიზეზი, რომ სადილის გათავება

ძალიან გაეხარდა, მაგრამ საბრალომ ის კი არ იცოდა, რომ ქარიშხალი ჯერ წინ იყო.

ნასადილევს, იქაურ ჩვეულებისამებრ, უშაქრო ყავა შემოიტანეს. ეფენდის თურმე ნაბრძანები ჰქონდა, რომ ყოველთვის, როდესაც კი ხაჩის სახლში ყავას მიირთმევდა, ჩიბუხი უეჭველათ სტეფანიკას უნდა მოემზადებინა,— „რაღაც სტეფანიკას ხელით გატენილი ჩიბუხი ძლიერ გემრიელიაო“ იტყოდა ხოლმე. საბრალო ქალის ბედისწერაში რაღაც საოცარი საიდუმლოება იფარებოდა. ფათავ-ბეგი ეწვეოდათ, სტეფანიკას ხელით მიირთმეულ ყავას თხოულობდა და თან ამბობდა: „სტეფანიკას ხელით მოტანილი ძალიან გემრიელიაო“, თომას-ეფენდი იქნებოდა და—იმავე აზრით ჩიბუხს ატენიებდა. ვთქვათ, ბეგმა იცოდა, რომ სტეფანიკა ქალი უყო და ამიტომ უყვარდა. მაგრამ ეს საიდუმლო სომხის ეფენდიმაც იცოდა? მასაც უყვარდა, რომ მისი ხელით მომზადებული ჩიბუხი გემრიელათ ეწვენებოდა?..

სტეფანიკამ თათრული გრძელი ჩიბუხი შეიტანა, ეფენდის მიუხსლოვდა და ის იყო კიდევ უნდა გადაეცა. მთლად გადარეული ვარდანი ფეხზე წამოვარდა. ოსმალური ჩვეულების საზიზლარი მნიშვნელობა ძალიან კარგად იცოდა, ამიტომ მივარდა ყმაწვილს, ხელიდან ჩიბუხი გამოსტაცა და ფანჯრიდან გარეთ გადისროლა; თან სტეფანიკას შეუტია:

— სტეფანიკ, გადი აქედან!

ეფენდი ისე გაცხარდა, თითქო ჩიბუხი თავში უთხლეშნიათ.

— ამ გვარი ხუმრიბა შე არ მიყვარს, — სთქვა მან: — ეს ჩემი პატიოსნების შელახვაა.

— შენისთანებს პატიოსნებაზე ლაპარაკის ნებაც აღარა აქვთ.

— მე? მე? მთელი მაზრის მულთეზიმს? გაცეცხლდა ეფენდი.

— დიალ, შენ—მთელი მაზრის ავაზაკა.

ხარჯის ამკრებავმა გაიწივ-გამოიწია, ვითომდა ადგომა მინდაო.

— აღგილიდან არ დაიძრა, თორემ ძალლივით ჩაგალრძობ!

— უთხრა ვარდანმა და თან ხმალს ხელი გაიკრა.

— უბრალოთ ჯავრობთ, ბატონო, — ჩაერია ერთი პოლი-
ციელთაგანი: — ეფენდის თქვენთვის ცუდი ხომ არა უთქვაშს-რა?

ვარდანმა პოლიციელს ყურიც არ ათხოვა და ისევ ეფენ-
დის მიმართა:

— შე ლირფო, შენა! დაჩვეულხარ ოსმალოსავით სომხის
სახლში შესვლას, მისი პურის ხეთქვას, ღვინის ცეცხვლას და
თან მის რძალსა, ქალსა თუ ყმაწვილ ბიჭებს სურვილისამებრ
იმსახურებ. შე მურდალო, შენა!..

მოხუცი ხაჩო გაქვავებულივით იდგა. ენა დაბმოდა, პირ-
ჯვარს-და იწერდა და გუნებაში ღმერთს ევედრებოდა, რომ
ცუდი არაფერი შემთხვეოდათ.

რამდენადაც ეფენდის ტყუილი ლაპარაკი, ბაქი-ბუქი და
მუქარა უყვარდა, იმდენადვე მელაძუა და მხდალი იყო. რო-
დესაც ნახა, ვარდანი საშინლად იყო გაბრაზებული, მიხვდა,
რომ მასთან არ გაუვიდოდა ის, რაც ალაშკერტელ გლეხებთან
გასდიოდა. გარდა ამისა, ჭაბუქს წელზე ხმალი ეკიდა და „მოს-
კოვის ხელმწიფოს“ ქვეშევრდომი იყო. ამიტომ თაქისი ბაქი-
ბუქი გვერდზე გადადო და წყნარი ხმით უთხრა:

— ღმერთმა ხომ იცის, რომ მე ოსმალოთა ჩვეულებებს
არ მივდევ. უბრალოდ ცილსა მწამებ, ვარდან.

ვარდანმა იმავე გამწყრალი კილოთი უპასუხა:

— შენა გწამებ უბრალოთ ცილს?.. შენ არა ხარ, რომ
ოსმალებთან ერთათ ნამაზს ასრულებ და იმავე დროს კი სომ-
ხის ეკკლესიაში წირვებს ახდევინებ, რომ ტეტიებს თვალები
აუბა?.. შენ არა ხარ, რომ ყოველ ოსმალოსთან სულ იმას
გაიძახი, სომხები „გიაურები“ არიანო და სომხებთან კი ოსმა-
ლებსა ლანძღავ?.. შენ არა ხარ, რომ მთავრობასთან აბეზლებ
ყოველ პატიოსან სომებს, რომელიც კი გაბედავს და თავის
ერის კეთილდღეობისთვის იფიქრებს?.. შენ არა ხარ, რომ
ავაზაკთა ბრბოებს უამხანაგდები, სასამართლოს წინაშე ტყუი-
ლად ფიცულობ, თუ სომხები სულ უკანონოთა და უბრალოდ

აცხადებენ პროტესტს მცარცველების. წინააღმდეგაო?.. შენ არა ხარ, რომ ბარე ათ ალაგას დაქორწილებულხარ, ცოლი შეგირთავს, მერე ყველასთვის თავი მიგინებებია და ეხლა აქაც აპირებ ცოლის შერთვას?.. — შენა და ოსმალოთა ჩვეულებას არ მისდევდე?.. მაგრამ მე ამასაც ვიტყვი, რომ ოსმალო ათას წილათ უფრო პატიოსანია, ვიდრე შენი მსგავსი სომეხი, რაღაც შენ არც კომეხი ხარ და არც ისმალო.

უკანაელი სიტყვები — ეფენდი ათჯერ დაქორწილებული და ახლა აქაც ხელ ახლა ცოლის შერთვას აპირებსო — საწყალ მოხუცის გულს მეხივით მოხედა. არა რომ თავის საყვარელ ლალას იმ კაცისთვის ზრდიდა, რომელსაც კასტანტინეპოლიში გამოჩენილი ნათესავები ჰყავდა, ბოსფორის ნაპირზე მშვენიერი სასახლე ჰქონდა წამოჭიმული და რომელსაც ცნობილი ოთიანის ქალი დაეწუნებია... „არა, არა! ფიქრობდა მოხუცი, — ვარდანი ცილსა სწამებს, ეფენდი ასეთი მატყეარა არ არისო“...

ვარდანმა რომ გულზე მოწოლილი ნაღველი მთლიათ აღმოანთხია, ადგა და გარეთ გავიდა. ეფენდიმ ამ შემთხვევით ისარგებლა, ბაქი - ბუქობის გუდას კვალად პირი მოხსნა და მოჰყვა:

— არა, უეჭველათ სულთანს უნდა მივწერო, — სთქვა და თავის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა: — თვით რუსის ხელმწიფესაც მივწერ და მაგ საძაგელს ციმბირში დავაკარგვინებ... თომას-ეფენდისთან მაგნაირი ხუმრობა არ გამოაღება... „ვირს სანამ არა სცემო, თავის ყადრს ვერ გაიგებსო“, ნათქვამია.

თომას-ეფენდის ჩვეულებათა ჰქონდა. თავის მოწინააღმდეგეს დიდი კაცების სახელით დამუქრებოდა, ვითომდა ნახეოდათთან როგორ დაახლოვებული ვარ და. რასაც მოვინდომებ, ყველას ავასრულებო. მართალია, მოხუცი ხაჩო სულელი კაცი არ იყო, მაგრამ, რაღაც მაგვარ ეფენდებისგან ბევრი მწუხარება ეწვნია, მათი მძლეთა-მძლეობა იმასაც გლეხებსავით სჯროდა. ეს იყო მიზეზი, რომ როდესაც ეფენდიმ წარმოსთქვა —

ციმბირში დავაკარგვინებო, თვალებში ცრემლი მოერია, მუსლებში ჩაუგარდა და შეევედრა;

— ლვთის გულისთვის, ნუ დააკარგვინებთ! ჩემს ჭალარას მაინც აპატიეთ! ხომ იცით, რომ ხენთია?..

ეფენდი ჩაფიქრდა, თითქო მძიმე რამ უნდა გადაწყვიტოს, და ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა:

— ეჭ, მოხუცო, შენს ხათრსა და პურ-მარილს რა ვუთხრა, თორებ არ ვაპატიებდი!

xvi

ოჯახს რომ კეთილდღეობის ნირი შეეშლება, უბედურობა ზედ ატყდება თავს, თითქო ერთმანეთში პირი შეუკრავთო. მოხუცის ოჯახს გარშემო უბედურება შემოხვეოდა და თავზედაც ათასი ხიფათი დასტრიალებდა.

ვარდანისა და ეფენდის ჩეუბმა მთელ ოჯახზე მძიმე შთაბეჭდილება იქნნია. ოჯახის ერთი წილი ეფენდის სიმხდალეს დასცინოდა და სანაცვლოთ ვარდანის საქციელს აქებდა; მეორე წილი-კი, პირ-იქით, ვარდანს ამტყუნებდა და ამბობდა: ნამდვილი ხენთია, უთავბოლო ლაპარაკი იცისო. ყველაზე ძალიან-კი ოპანა და ჰაკო იყვენ გაჯავრებული: გაიძახოლნენ: „მთავრობის კაცის ასეთი შეურაცხება როგორ შეიძლებაო?“ მათის აზრით მთავრობის კაცის წინააღმდეგობის გაწევა დიდი დანაშაულია, თუნდა ეს წინააღმდეგობა კერძო შინაურ საქმეშიაც გამოიხატებოდეს.

ნაკლებ დამწუხარებული არც თვით მოხუცი ხაჩო იყო. თუმცა ვარდანს არ ამტყუნებდა, მაგრამ მის საქციელს მაინც უმართებულოთა სთვლიდა. ეფენდის კარგად იცნობდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ძველი ბორიტ-მომქმედი ეცდებოდა და ვარდანს რაიმე ვნებას მიაყენებდა, და თუ იმას ვერას დააკლებდა, მაშინ თავის ჯავრს მოხუცის ოჯახზე ამოანთხევდა. მოხუცის ოჯახის მთავრობასთან დასასმენათ ეფენდის

ბევრი საბუთი ჰქონდა, რადგან ვარდანისთანა გამოჩენილ კონდრაბანდისტს მოხუცი სახლში ბინას აძლევდა.

მეორე მხრივ ხაჩის ერთი დიდი იმედიც უცრუვდებოდა. ის გარემოება, რომ ეფენდი რამდენჯერმე ყოფილა დაქორწილებული და ცოლები სხვა / და სხვა აღილას გაუშევია, გონებიდან აღარ შორდებოდა, მოსვენებას არ აძლევდა. თავისი ერთათ-ერთი ქალი მისთვის უნდა მიეთხოვებინა, საყვარელი ქალის მომავალი ბედნიერება სიამოვნებით გულზე ულიტინებდა, ეხლა-კი მთელი ეს იმედი ერთბაშათ ინთებოდა!.. თან-კი ეჭვი ეპარებოდა, ან და რითი შეეძლო დაჩრწმუნებულიყო, რომ ვარდანის ნათქვამი სიცრუე არ იყო? მართალია, ვარდანს ტყუილის მოლაპარაკეთ არ თვლიდა, მაგრამ ჩხუბის დროს ნათქვამი კეშმარიტებაც-კი ხშირათ საეჭვოთ უნდა ჩაითვალოსო, ფიქრობდა გუნებაში.

გარნა იმ საზიზლარი და უსირცხვილო ხარჯის ამკრებისა ნეტა მოხუცს რა მოსწონდა, რომ თავის საყვარელი ქალის ბედ-ილბალს ცბილ ეფენდის უგდებდა ხელში. მოხუცმა კარგათ იცოდა, რომ ეფენდი ერთი უგულო, შეუბრალებელი და უშმიგვასი მძარცველი იყო; იცოდა, რომ მისთვის ამ ქვეყნათ წმინდა არა იყო-რა და მზათ იყო თავისი საკუთარი სარგებლობისათვის მთელი ქვეყანა მიწასთან გაესწორებია.—მოხუცს ყველა ეს მაინც ავიწყდებოდა, როდესაც თვალიშინ რაიმე ძალას ანუ თანამდებობას უყურებდა. თავისი დახავსებული რწმენის წყალობით მუდამ მზათ იყო მუნდირის წინაშე მუხლი მოედრიკა. მისი აზრით, თვით იმ გვარი უბრალო მოხუცეს მუნდირშიაც-კი, როგორც სახაზინო მულთეზუმია,—დააღიმ მუდირშიაც-კი ქარწყლდება და იკარგება ყოველგვარი უპატიოსნება და ბოროტ-მოქმედება. თანამდებობა ჭუჭყასა რეცხავსო, ფიქრობდა იგი.

სწორეთ ეს იყო მიზეზი; რომ მოხუცს გულით უნდობა ეფენდისთანა სიძე ჰყოლოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო? ჩვეულებრივ ბრბოზე მაღლა იდგა და მთელი სოფელიც თავს უხრიდა! მიუხედავათ იმისა, რომ ხაჩი სადა ხასიათისა და სა-

კმაოთ საღი გონების პატრონი იყო, მაინც, როგორც მემა-
მულება და სოფლის მამასახლისს, თავისი პატივმოყვარეობა
ჰქონდა. ძნელათ თუ დათანხმებოდა, რომ თავისი ქალი (ისიც
იმ გარემოებაში აღზრდილი) უბრალო გლეხისთვის მიეცა.
თომას-ეფენდის არჩევანს ერთი სხვა აზრიც უწყობდა ხელს.
როგორც მამასახლისს, აღგილობრივ მთავრობასთან საქმე არას
დროს არ გამოელეოდა და ეფენდი-კი ამ შემთხვევაში ძალიან
გამოსადევი კაცი იყო, ანუ მიაჩნდა. ეხლა კი ეს იმედები
უქარწყლდებოდა...

ყველა ამ დარღებთან ერთათ ფათთაჭ-ბეგის მიერ გაბმული
ქსელიც რომ სცოდნოდა, მოხუცის გულს სამარის მეტი ვე-
ლარაფერი მოასვენებდა. მაგრამ შეილები ჯერაც არაფერს
ატყობინებდნენ. ეს საიდუმლო ძმებს საშინლად უღრღნიდა
გულს, მეტადრე ჰაირაპეტასა და აპოს, რომელთაც ძმებთან უსარ-
გებლო მოლაპარაკების შემდეგ აღარ იცოდნენ, ლალასთვის
უებდურებას რითი აეშორებიათ. ბეგი რომ გაეტაცნა და წაეყ-
ვანა, ლალას ხვედრი როგორი უნდა ყოფილიყო? მაპადიანის
ცოლობას აიტანდა, თუ იგიც სონასავით მწარე სიცოცხლეს
თავის მოკვლით მოულებდა ბოლოს?..

ყველა ეს ტანჯვა-წუხილი, ყველა ეს ფიქრი-ვარამი სულ
ლალას გამოთ იყო გამოწვეული, მაგრამ იმავე დროს-კი მხო-
ლოდ ერთი ლალა იყო, რომელიც მხიარულებდა და თავის
თავს უუბედნიერესს არსებათა თვლიდა. საყვარელი არსებისგან
საჩუქრის მიღების წამიდანვე ვაჟური ტანისამოსი ველარ აე-
ტანა, თითქო სადგისები უყრიაო. ქალი იყო და ამიტომაც
უნდოდა ქალურ ტანისამოსში ყოფილიყო გამოწყობილი. მე-
ულლეთ წოდებულიყო... ახალგაზდა კაცის კოცნა ტუჩებზე
ჯერაც არ შეშორობოდა, ყურში ჯერაც მისი ტკბილი ხმა
ჩასძახოდა. მაგრამ როცა ვარდანის გამარჯვება ნახა, ისიც იმის-
თანა კაცთან, რომლის წინაშეც მთელი სოფელი კანკალებდა—
ამის შემდეგ ხომ ვარდანის ლირსება მის თვალში ერთი ათასად
ძლიერდებოდა. არ ვიცი კი რათა, მაგრამ მამაკაცთა ძალა,
სიდიადე და სხვებზე რითიმე მალლა დგომა ქალებს ძლიერ

მოსწონთ. ოლტაცებაში მოდიან, როდესაც მამაკაცში იმისთანა რამეს აღმოაჩენენ, რაც თავიანთთვის მიუწვდომელი და შეუძლებელია. და ით ეხლა ლალასთვისაც ვარდანი სათაყვანებელი უფრო იმ დღიდან შეიქმნა, როდესაც ამაყი ხარჯის მკრებავი მიწასთან გაასწორა, ისიც ის ხარჯის მკრებავი, რომელიც კი რივით ეჯავრებოდა. მისი უსირცხვილო და უკადრისი ლირფობა საბრალო ქალს ბევრჯელ ეწვნია. ამიტომ, როდესაც-კი ეფენდი იმათსა გაჩნდებოდა, ცდილობდა დამალულიყო; თვალით არ ჩვენობოდა; მაგრამ ცდა ამაოდ უვლიდა: მამა აბარებდა, რომ ეფენდისთვის ჩიბუხი მოემზადებია, რადგან მისი ხელით გატენილი ჩიბუხი სასიამოვნო იყო ხოლმე...

ოდაში ნახული და გაგონილი ლალამ ყველაფერი თავის უფროს ძმას ჰაირაპეტას უამბო: — ძალიან კარგი უქნია, უპასუხა ჰაირაპეტამ: — ეგ საზიზლარი ძალლივით უნდა ჩაელრძო! საბრალო გლეხების ტანჯვა-წვალებას დაჩვეულა და ჰელნია ყველა მათი მსგავსი იყოს! ..

ლალას უნდოდა თავის ძმას ყელზე გადახვეოდა, ყველაფერი გულახლით გავზიარებია, რომ ვარდანი უყვარდა, დიდი ხანია უყვარდა, და ეთხოვნა ამ საგანზე მამასთან მოელაპარაკნა. მაგრამ ვეღარ დასცალდა: ჰაირაპეტა საჩქაროთ გარეთ გამოვიდა, თითქო გარეთ უძახის ვინმეო.

მის მეუღლეს, სარას, დღეს უნდა ენახა ფათთაპ-ბეგის ცოლი, ხურშიდა. დილა აღრიანათ გაჩნდა ჯავო და გამოუცხადა: ქალბატონმა მიზეზათ სოფელ ო...ს ძველი სალოცავი მოიგონა და სამლეოს დასაკვლელათ მოდის და შენციქ უნდა წამოხვიდეო.

ეს სალოცავი როგორც სომხებს, აგრეთვე ქურთებსაც ძლიერ ხატათ მიაჩნდათ და ამიტომ ყველანი თანაბარა თაყვანსა. სცემდნენ. — სარას ძალიან გაეხარდა, რომ ხურბშიდა არ დაზარებოდა და მისი თხოვნა შეესრულებია.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ჰაირაპეტა ისე საჩქაროთ გაშოვიდა სახლიდან. სოფელს გარეთ გავიდა და სარას დასახვედრათ გაეშურა, რომ თათბირის შედეგი მალე შეეტყო. შუა

გზაზე ერთი ტინის კლდის ჩრდილში დაჯდა და მოუთმენლათ ლოდნა დაუწყო სარას, რომელიც ამ გზით უნდა დაბრუნებულიყო.

ის ადგილი, სადაც ჰაირაპეტა იჯდა, ძლიერ საყურადღებო სანახავს წარმოადგენდა. მთელი მთის ძირობა უამთა ვითარებისაგან დამსხვრეული ტინის კლდის ნამტვრევებით იყო მოფენილი. იქაურობა წვრილიანითა და სხვა-და-სხვა გვარი ჯაგებით დაფარულიყო, შიგა და შიგ-კი მოზრდილი ხეებიც ერია; ჰაირაპეტას ყურადღება ერთმა მახლობლად მდგომარე მაუალობ მიიპყრო: საბრალო ხეს წყეული ფიტრი საშინლათ მოსდებოდა, მისი გველივით დახლაკნული ყლორტები მაჟალოს ტოტებს ისე შემოხვევოდა, თითქმ მისი გაქრობა, დახრჩობა და ერთბაშათ გადაყლაპვა უნდაო. მართლაც საბრალო მაუალოს ზევითა ტოტები გაფიტულიყო, ფოთლები მთლათ ჩამოსცვინოდა და კიდეც გამხმარიყო... არის იმ გვარი წუთები, როდესაც ჩვეულიბრივი მომაკვდავიც-კი დროებით ფილოსოფოსათ გადაიცევა ხოლმე. „აი ჩინებული მაგალითი, ფიქრობდა ჰაირაპეტა, — ეს შეუბრალებელი ფიტრი არც ირჯება, არც მუშაობს, არც ფესვები აქვს გადგმული მშობელმიწაში; თავისზე უფრო განვითარებული მცენარე კლანჭებში მოუგდია, ძალზე შეუბოჭავს, მისით მუქთათ საზრდოობს, შეუბრალებლათა სწოვს და როდესაც მაცოცხლებელ წვენს მთლათ გამოსწოვს, ჰკლავს კიდეცა. განა ქურთიც ასე არ გვეპყრობა? განა იგიც ისეთივე ფიტრი არ არის და სომხის სისხლით. არა ცხოვრობსო?...“

ჰაირაპეტა გრძნობიერი და საკმაოთ ნათელი შეხედულების კაცი იყო. ასეთი შეხედულება საიდან რეეთვისებია? რა თქმა უნდა, თავის სამშობლოს გარეთ ერთხელაც არის. ფეხი რომ არსად გაედგა, ისეთივე ვიწრო და დახავსებული შეხედულებისა იქნებოდა, როგორც სხვა მისი თანამემამულენი. მაგრამ ბედმა მისი ცხოვრების ჩარხი სხვაფრივ დაატრიალა. მთელი თავისი სიყმაწვილე უცხო ქვეყნებში ჰქონდა გატარებული. ჯერ ისევ ბალლი იყო, რომ რაღაც მიზეზისა

გამო თავის მამასთან უსიამოვნება შეემთხვა. არც აცია, არც აცხელა, დასტოვა მამის სახლი და სხვა-და-სხვა ქვეყნებში დაიწყო სიარული. ბოლოს ბედმა თავი კოსტანტინეპოლში ამოაყოფინა, იმ კოსტანტინეპოლში, რომელიც ევროპისა და აზის ნამდვილ ნასკვს წარმოადგენს. იქ მან ბევრი რამ გამოსცადა, ცხოვრების მრავალს ტალღას შეეჯახა და, თუმცა საფუძვლიანათ არც ერთი ხელობა არ შეუსწავლია, მაგრამ ბევრი ისეთი ნათელი აზრი შეითვისა, რაც ჩვეულებრივ გლეხს ფიქრათაც-კი არ მოუვა.

ჰაირაპეტა კარგა ხანს იჯდა კლდის ჩრდილში და მოუთმენლათ სარას ელოდდა. მზე ის იყო ჩასვლას ეპირებოდა და თვისი უკანასკნელი სხივებით მთის მწვერვალებს დიდებულ შუქსა ჰყენდა.

ბოლოს სარაც გამოჩნდა. ჰაირაპეტამ შორიდანვე შენიშნა მისი მოლიმარე სახე და მიხვდა, რომ სასიხარულო ამბავი უნდა მოჰქმნებოდა.

— ქალია თუ ვაჟი? — შორიდანვე შეეკითხა ჰაირაპეტა.

— ვაჟია, ღიმილით მიუგო მეუღლემ და, როდესაც ახლოს მივიდა, გვერდით მიუჯდა, დასასვენებლათ, რაღან ძლიერ დალლილიყო.

ამ გვარი მდაბიო, ხალხური კითხვა-პასუხი იმას ნიშნავდა, თუ შობილი რომელ სქესს ეკუთვნოდა, ე. ი. საქმე სასიხარულოთ დაბოლოვებული იყო თუ სამწუხაროთ, რაღან გლეხის შეხედულებით ვაჟი მხიარულობის მომასწავებელია, ქალი-კი — მწუხარებისა.

სარამ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, თავისუფლათ ამოსუნთქა და, როდესაც ცოტა დაისევნა, თავის ქმარს ქურთის ქალისაგან რაც გაეგო, ყველაფერი უამბო. აი მისი შინაარსიც:

ხურშიდას ეთქვა: ამ უამათ ბეგი სტეფანიკაზე იმდენს აღარ ფიქრობს, რაღან ისეთ საქმეებშია გართული, რომ ჯერ ხნობით მისი (სტეფანიკასი) სიყვარულიც-კი გადავიწყდა. არზრუმის ვალისგან მოწერილობა მოსვლია და ეხლა რაღაც

სამზადისშია: თავის ტომის მამაკაცთა სთვლის, იარაღსა და ფულს ურიგებს, რომ საჭირო ცხენები იყიდონ, ტანისამოსი შეიმზადონ და სხ... მაგრამ თუ რას მოასწავებდა ყველა ეს სამზადისი, თითონ ხურშიდამაც არა იცოდა-რა. მაინც რჩევა მიეცა, რომ სტეფანიკა შორს საღმე წაეყვანათ, ან კი-დევ ჩქარა საქმრო გამოენახათ და ჩქარავე გაეთხოვებინათ, რადგან კარგად იცოდა და დარწმუნებულიც იყო ბეგი სტე-ფანიკას სიყვარულს გულიდან არ ამოიღებდა და ერთხელაც არის წადილს აისრულებდა. „თუმცაო,— დაემატებია ხურშიდას — თუმცა ამის შესახებ მამაჩემსაც მოველაპარაკე და კიდეც დამპირდა, რომ ბეგის გაავზნებულ სურვილს ალვირს ამოვდებო, მაგრამ მე ბეგის დაპირებას ვერ ვენდობი. იქნება საქმე იქამდინაც მივიდეს, რომ იძულებული გავხდე ჩემი ქმრის სახლი დავტოვო და სამუდამოთ გავეყაროვო“.

ჰაირაპეტა სარას ლაპარაკს დიდის ურადღებით ისმენდა და, როდესაც დააბოლოვა, უთხრა:

— მოსალოდნელი შიში მაინც არაფრით ქარწყლდება. შენ ნათქვამში სასიხარულო მხოლოთ ერთი რამა, სახელდობრისა, რომ საქმე რამდენიმე ხნით გადაიდება და ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა სტეფანიკას ბედი როგორმე უკეთ მოვაწყოთ.

— მეც სწორეთ მაგრე მგონია, მიუგო სარამ.

— მაშასადამე როგორ უნდა მოვიქცეთ? შეეკითხა ჰაირაპეტა.

— მეტი ლონე არ არის, ლალა უნდა გავათხოვოთ.

— მაგით მაინც ვერ დავისხნით. ბეგს შეუძლია ქმარს გამოჭვლიჯოს უბიღან და წაიყვანოს.

— ჩვენც ისეთს მივათხოვოთ, რომ აქ არ დააყენოს და უცხო ქვეყანაში წაიყვანოს, უთხრა სარამ.

— აზრი ჩინებულია, — მიუგო ჰაირაპეტამ, — მაგრამ მაგრა სთანა კაცი სად უნდა ვიშოვოთ? შენ კარგად იცი ამ გვარ ქორწინებას ჩვენ გლეხთაგანი არავინ იკისრებს, რადგან იფი-ქრებს: ლალა რომ უცხო მხარეს წავიყვანო, ბეგი სახლს გა-

დამიბუგავს და მთელ ჩემს ნათესაობასაც მუსრს გაავლებსო. ვინ იქნება იმისთანა, რომ ამ გვარათ თავი გასწიროს?

— კაცი მზათ არის, მიუგო სარამ ღიმილით.

— ვინ არის?

— ვარდანი.

სარა მოუყვა და ყველაფერი უამბო, რაც ენახა და გაეგონა თავიანთ ბალში, სადაც ვარდანი და ლალა ერთმანეთს გულში ჩაჰკვროდენ და საუკუნო სიყვარულს ეფიცებოდნენ. ჰაირაპეტის დალვრემილმა და მწუხარებით გატანჯულმა სახემ მხიარული გამომეტყველება მიიღო.

— ეგ კარგი ამბავია, თქვა—ჰაირაპეტამ:—ვარდანს და მხოლოდ ვარდანს შეუძლია ლალას დახსნა.

მზე უკვე ჩასული იყო. ცოლ-ქმარი წამოდგა და შინისკენ გაეშურა. გზაში ჰაირაპეტა სულ იმის ფიქრში იყო, თუ პეგი რა სამზადისში უნდა ყოფილიყო, ან იარაღს რათ არიგებდა? რაიმე საშინელი განძრახვის სამზადისი ხომ არ აქვსო, ფიქრობდა გუნებაში.

* * *

კარგა შებინდებული იყო, როდესაც ცოლ-ქმარი შინ დაბრუნდა. შინ შეიტყეს, რომ თომას-ეფენდი ვარდანთან მოქადარ უსიამოვნების შემდეგ სახლიდან გაჯავრებული წასული იყო. ამ გარემოებას მოხუცი ძალიან დაენალვლიანებია, რადგან ეშინოდა, რომ ხარჯის მკრებავს ცუდი რამ არ შეემოხვია მათვეის.

თუმცა ვარდანმა აფეთქება და გულზე მოსვლა მსწრაფლათ იცოდა, მაინც ისეთი უზრდელი არ იყო, რომ უბრძლოთ ვისთვისმე შეურაცხება მიეყენებია. იგი საზიზლარ კაცათ სოვლიდა ეფენდის, რომელიც ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთა იარაღათ გარდაჭცეულიყო და თავის ზანამომეთ სისხლსა სწოვდა, არბევდა და მიწასთნ ასწორებდა. ვარდა ამისა, ვარდანმა მისი წარსულიც კარგად იცოდა. მატან-

ტალა-მატყუარა სომხეთის ბევრ აღგიღას ყოფილიყო იმავე თანამდებობაზე და, მართლაც, ბევრჯელ დაქორწილებულიყო, ცოლები მიეტოვებინა და მრავალი სხვა ქალიც გაეწილებინა. ახლაც ლალაზე იმავე საზიზლარი მიზნით ეჭირა თვალი, მოხუცის გულ-უბრყვილობით სარგებლობდა და უნდოდა თავის „საქმენი საგმირონი“ ერთი საძაგელი საქმით კიდევ გაემდიდრებინა. რაღა თქმა უნდა, ამას ვარდანი ვერ აიტანდა, მეტადრე იმ ქალის შესახებ, რომელიც სალოცავ ხატათ გარდა-ქცეოდა.

მაგრამ ხაჩოს სახლიდან ეფენდის ჩქარა წასვლის მიზეზი მარტო ის არ იყო, რომ ვარდანთან უსიამოვნება მოუხდა და ამიტომ „ხენთის“ თვალით დანახვა აღარ უნდოდა. ამ გვარ შემთხვევების დროს ეფენდი მეტათ მომთმენი კაცი იყო: ამ გვარ ამბებს დიდი ხანია შესჩვეოდა და უფრო მწარე შეურაცხებანიც აუტანია. დღეს მან განსაკუთრებული შიკრიკის ხელით ისეთი ქალალდი მიიღო, რომლითაც უბრძანებდნენ, ხომ რაც შეეროვნილი ხორბალი და ქერი ჰქონდა, ცალ-ცალკე ბელლებში შეენახა და გაყიდვით არც ერთი მარცვალი არ გაეყიდნა, რადგან თვით მთავრობასაც დასჭირდებოდა. როგორც სჩანდა საიდუმლოთ რაღაც არა ჩვეულებრივი საქმე რიგდებოდა: აქ სურსათს აგროვებდენ, ფათთაშებეგის ბანაკში კი იარაღს...

როცა-კი, სახლში სტუმარი ეყოლებოდათ, მოხუცი ხაჩო ურთავათ ოდაში იყო და სტუმარს არ შორდებოდა ხოლმე. ვარდანს ნამდვილ სტუმრათ არც-კი სთვლიდნენ: ყველის სახლის შვილათ მიაჩნდა.

თომას-ეფენდის წასვლის შემდეგ, მოხუცის სახლს ერთი ახალი სტუმარი ეწვია. იგი ერთი გამხდარი, გაყვითლებული, სუსტი და ნაზი აგებულების ახალგაზდა კაცი იყო. გარეგან შეხედულებაზე ეტყობოდა, რომ სასწავლებელში დიდხანს ყოფნას მთლად ჩამოეჭინო. და მიესუსტებინა. არავინ იცოდა, ვინ ანუ რა ხელობის კაცი იყო, მხოლოდ ეს იყო ცხადი, რომ იგი კოსტანტინეპოლელი სომეხი იყო და ამიტომ მოხუცი ხაჩო თავის მოვალეობად სთვლიდა სატახტო ქალაქიდან მო-

სულ სტუმარს ღირსეულად დახვედროდა. თან ერთი სამგზავრო ხურჯინის მეტი არა ჰქონდა-რა; მისი ნახევრად გაცვეთილ-გახუნებული ევროპიული ტანისამოსი-კი ამტკიცებდა, რომ ერთი ღარიბი ვინმე უნდა ყოფილიყო. სოფელ ო...ში ერთ ჩალვადარს მოეუვანა, თავი გაენებებინა-და თითონ კი სადღაც გამქრალიყო. თურმე სოფელში დადიოდა და ღამის გასათევ ბინას ეძებდა, ამდროს ვარდანი შეეხება. ამბობენ, აღამიანთა გულთა შორის საიდუმლო გზაარსებობსო. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, ეს კია, რომ ორი ახალგაზდა მცირე ლაპარაკის შემდეგვე დამეგობრდნენ და, როგორც რომელიმე ფარული აზრის ანუ მიმართულების წევრებმა, გაუცნობლად ერთმანეთს ძმურად ხელი გაუწოდეს. ვარდანმა მაშინვე თან გაიყოლა და მოხუცის სახლში მიიყვანა.

ახალი სტუმარი თავის თავს მიხეილ-დუდუკიანს უწოდებდა. როგორც ოსმალეთის ყოველი მცხოვრების გვარი მამის ანუ პაპის გვარისაგან წარმოიშობება ხოლმე, მისი გვარიც მამის ხელობისაგან წარმომდგარიყო. მამა თურმე დუდუკების გაშეთებელი ყოფილიყო, ე. ი. იმ გვარი საკრავებისა, რომლებსაც ბავშვები აჭყვიტინებენ ხოლმე. ხაჩოს ჭკუაში არ მოუვიდა არც მისი ძნელად გამოსათქმელი გვარი, არც მისი გაყვითლებული სახე, არც მისი მოელვარე, მოუსვენარი თვალები და არც თუ მისი დაფარული და ვულჩათხრობილი ხასიათი, რომელიც ადამიანს ერთი შეხედვითვე რაღაც ეჭვს უბადავდა. მაგრამ ვარდანმა მოხუცს ჩუმად უთხრა, რომ „კარგი ბიჭია, როცა გაიცნობ, იცოდე, შეგიყვარდებაო“.

სახლში რომ შევიდნენ, უცნობმა ვარდანს მხოლოდ ერთი რამ ჰქითხა:

— შეიძლება ამათ კაცი მიენდოს?..

— შეიძლება...—მიუგო ვარდანმა.

სანთლების ანთების უმალვე, ჩვეულებისამებრ, სუფრაც გაშალეს. იმ ღამეს ხაჩოსთან ერთათ მისი ყველა შვილებიც დასხდნენ ვახშმად, რადგან თომას-ეფენდი იქ აღარ იყო და არც თუ სხვა ვინმე „მალალი“ წოდების სტუმარი, რომ იმას

მორიდებოდნენ. გარდანი სახლის კაცად მიაჩნდათ, და ახალ სტუმარს კი ისეთი თვალიზ უცქეროდნენ, როგორც იმ გვარ არსებას, რომელიც იმითაც უნდა დაკმაყოფილდეს, რომ იმ დამეს მაძლარი მუცლით მოისვენებდა.

ვახშამმა მეტად მოწყენით ჩაიარა. გარდანი და ახალი სტუმარი თითქმის ხმას არ იღებდნენ. მოხუციც შვილებს იშვიათათ გამოელაპარაკებოდა. ყოველი მათგანის გული სხვა და სხვა გვარი ვარმით იყო გავსილი.

მოხუცი იმის დარღუში იყო, რომ ხარჯის ამკრები ისე უმაღური წავიდა. ჰაირაპეტა — ქურთი ბეგისა და ლალას ფიქრს გაეტაცნა; სარას ნაამბობი თვალიდან არ შორდებოდა და ფიქრობდა, საქმე როგორ მოეგვარებინა. მოხუცის მეორე შვილები თავიათ სამუშაოზე ფიქრობდნენ, თუ დილაზე ვინ რომელ საქმეს უნდა შესდგომოდა. ვარდანს ლალა გონებიდან არ შორდებოდა და თვალ წინაც სულ მისი მშვენიერი სახე ეხატებოდა. ახალი სტუმარი კი, ერთმა ღმერთშია უწყის, რასა ფიქრობდა...

სურა რომ აალაგეს, სტეფანიკამ სურით წყალი და ტაშტი შეიტანა და ადგილობრივ ჩვეულებისამებრ — ყველას ხელი დააბანინა. შემდეგ ყველამ ჭირჯვარი გამოისახა და ღმერთს მადლობა შესწირა. მოხუცმა თავისი გძელი ჩიბუხი გააბოლა, ბ. დუღუკჩიანმა კი უბიდან მშვენიერი საპაპიროსე ამოილო, — რაც მის გახუნებულ ტანისამოსს სრულიად არ შეშვენდა, — გახსნა, ერთი ძვირფასი სიგარა ამოილო, გძელი ფჩხილებით წვერი წაჰგლიჯა და წევა დაუწყო. პატარა ოჭახი მალე ჰავანის თუთუნის სუნელოვანებით გაივსო. ეტყობოდა, იგი ერთს დროს ცხოვრების კმაყოფილებას არ უნდა ყოფილიყო მოკლებული, მაგრამ ახლა კი გარემოებას რაღაც უცნაურ მდგომარეობაში ჩაეგდო.

ვახშმის უკან ლაპარაკი თომას-ეფენდიზე ჩამოვარდა. ბ. დუღუკჩიანისთვის ვარდანს ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა და ამიტომ ეხლა ლაპარაკის საგანი მისოვთის ძნელი აღარ იყო.

მოხუცმა ხაჩომ ვარდანს მეტად ზრდილობიანად შენიშნა, რომ დღევანდელი შენი საქციელი მოუფიქრებელი იყოვო.

— კარგად იცი, რომ ჩემ შვიდი ვაჟისაგან არ გარჩევ, — უთხრა მან და იქ მსხდომ თავის ექვს შვილსა და ფეხზე მდგომ სტეფანიკას თვალი გადაავლო.

მოხუცს ჩვეულებათა ჰქონდა შვიდი ვაჟი ეხსენებინა და შვიდივე ვაჟის სახელით დაეფიცნა. სტეფანიკასაც ვაჟებში სთვლიდა, მაგრამ რა იცოდა, რომ სტეფანიკას ქალობა ვარდანმა დიდი ხანია იცოდა!

— ამ შვიდი ვაჟიშვილის მზემ, ტყუილს არ ვამბობ, — განაგრძო მოხუცმა: — შენც ჩემი შვილი ხარ, ჩემი სახლი — შენი სახლია, მოდიხარ, მიდიხარ და რამდენიც შენს სულსა და გულსა სურს, იმდენი ხანი რჩები. ჩემი სახლის კარები შენთვის ყოველთვის ლიაა. მაგრამ უნდა იცოდე, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა ქვეყნებს არა ჰგავს: აქ თომას-ეფენდისთანა კაცები დიდი, ძალიან დიდი ვინმეები არიან!.. რაც მოისურვონ, ყველაფერს აასრულებენ. ამიტომ ძალა უნებურად პატივი უნდა ვცეთ და მათს ლაპარაკსა თუ მოქმედებას ხშირად უნდა გავუჩუმდეთ... რას ვიზამთ? ნათქვამია: „ბოროტ-მომქმედის ხელის მოჭრა თუ არ შეგიძლია, უნდა ეამბორო და თავზე დაიდოვო“. იქნება ეფენდიმ შენ კი ვერა დაგაკლოს-რა, რადგან აქაური არა ხარ, შაგრამ მისი ავკაცობა და მტრობა შენ ნაცვლად კისრად ჩვენ უნდა დაგვაწვეს. თათრული ანდაზა ხომ გაგიგონია: „ვირისგან შეშინებული კეხსა სცემდაო“.

მოხუცის სტყვებზე ხენთს (ვარდანს) კვალად ჭივინტაკებმა მოუარეს და უპასუხა:

— ჩვენი მხრის სომხებს ოსმალოთა შესახებ ერთი კარგი ანდაზა აქვთ: „ოსმალოს სანამ ლაზათიანად არა სუემ; არ დაგიმეგობრდებაო“. თომას-ეფენდის მე ოსმალებში არ ვარჩევ და ამიტომ ძალიანა ვწუხვარ, რომ ერთი რჯულზე არა ვბეგვე, თუმცა მისი მეგობრობა საჭირო არ არის.

მოხუცს ისეც დანაკებული სახე უფრო მეტად დაუნაოჭდა, ეტყობოდა, ვარდანის პასუხი. არ მოეწონა. სამაგიეროდ

სტეფანიკას სახეზე გაბრწყინებულმა ღიმმა გაიციმუიმა, რაც უეჭველია, ვარდანმაც შენიშნა. სტეფანიკა ჯერაც ისევ ფეხზე იდგა და, როგორც სახლის უმცროსი, მოსამსახურის მაგიერობას ეწეოდა. ვარდანმა აღტაცებით შეანათა თვალები და თან გუნებაში გაიფიქრა: „აი ამ ოჯახის ერთად ერთი ქმნილება, რომელიც თანამიგრძნობს... რადგან მხოლოდ ეს ერთია, რომელსაც იმ საზიზლარი ეფენდის ლირფობა სავსებით უგრძენია“.

— მაგგვარ დაცემულ, უზნეო და საძაგელ ქვემძროშით თქვენ თითონ აძლევთ ნებას, რომ თქვენი შპრანებელნი შეიქმნენ, რადგან ყოველ მათის ბოროტ-მოქმედების წინაშე თვალებ დახუჭულნი მუხლს იდრეკთ და თაყვანსა სკემთ. — განაგრძო ვარდანამა უფრო აღელვებული კილოთი: — მე მესმის, როდესაც ოსმალო ან ქურთი სკარცვას სომეხს, აწვალებს და როდესაც სიცოცხლის ყოველ საშუალებას მოუსპობს, ჰკლავს კიდეც... ღიაღ ეს ყველაფერი მესმის, თითქმის ჩვეულებრივ მოვლენათაც კი მიმაჩნია, რადგან საუკუნოთა განმავლობაში სულ ასე მოქცეულან და ახლაც ასევე იქცევიან. ამ გვარი მოქმედება ოსმალოსა თუ ქურთის არსებობის პირველ მოთხოვნილებათ გარდაჰქცევიათ და ძნელათ თუ სხვაფრივ ცხოვრება შეიძლონ. მაგრამ როდესაც სომეხს თავისი თვისტომი უფრო ცუდად ეპყრობა, ვიდრე ოსმალო და ქურთი, მაშინ ამ გვარი მდგომარეობის ატანა ძალიან ძნელია. ეს სიტყვები თვით ეფენდისაც ვუთხარი პირში, მაგრამ ხმა ჩაიწყვიტა და პასუხა ვერა მომცა-რა.

— მე უფრო მეტს ვიტყოდი, — ლაპარაკში ჩაერია ჭაირაპეტა: — მაგრამ მამა-ჩვენი სულ იმას გვარიგებს, რომ უნდა გავჩუმდეთ, ფხიზლათ უნდა ვიყვნეთ. ერთხელაც იქნება თავისუფლება მოგვეცემა... უნდა მოვითმინოთ... არ ვიცი, როდემდის უნდა ვითმინოთ?...

— ვიდრე იესო ქრისტე მოვიდოდეს! — დაცინვით უპასუხა ვირდანმა: — მაგრამ ვაი რომ ქვეყნად ერთი სომეხიც

აღარ იქნება, რომ თავისუფლებით დასტკბეს!... ყველა ასშა-
ლოთ ანუ ქურთათ იქნება გარდაქცეული...

— „მოთმინება სიცოცხლეა“ — წარმოსთქვა მოხუცმა მქა-
დაგებელის კილოთი: — ჩვენი მღვდლები, ჩვენი სულიერი მამე-
ბი სულ ამას გვიქადაგებენ; არა რომ ღმერთი ერთხელაც
არის გაიხსენებს თავის „დაბნეულ ცხოვარს“!.. უნდა მოვით-
მინოთ, შვილებო, „მოთმინება სიცოცხლეაო“ ნათქვაშია.

— მოთმინება სიკვდილია! — წამოიძახა ბ. დუდუკჩიანმა,
რომელიც იმ დრომდე ხმას არ იღებდა და მათ ბაასს გაჩუმე-
ბული ყურს უგდებდა. მისი ფერმკრთალი სახე მთლად გაყვით-
ლდა და მისმა გაცრეცილმა ტუჩებმა თრთოლა დაიწყო.

— მოთმინება სიკვდილია! — გაიმეორა გაჯავრებული კი-
ლოთი: — მოთმინებას ადამიანი მხოლოდ სამარეში ეჩვევა...
ამგვარი ებრაული მოთმინება, როგორიც ჩვენა გვაქვს, და-
ლუპვის მეტს ვერას შეგვძენს. ებრაელებმა ბევრი მოითმნეს,
ბევრ ტანჯვა-ვაებას გაუძლეს იმ იმედით, რომ მესია მოვი-
დოდა, წმინდა იერუსალიმს განაახლებდა და ისრაელთა ძველ
დიდებას კვალად აღადგენდა... და აგერ დღესაც მოელიან!...
მაგრამ ჩვენ ამ გვარი მოილოდინის იმედიც კი არა გვაქვს და,
არ ვიცი, რიღას მოლოდინი უნდა გვქონდეს?..

— გაიძახიან, ჩვენი მღვდლები, ჩვენი სულიერი მამები
მოთმინებას გვიქადაგებენო!.. — განაგრძო მან იმავე კილოთი: —
აბა კიდეც იმათ აგვიშენეს ოჯახი და იმათვე მიგვიყვანეს ამ
გვარ მონურ მდგომარეობამდინ! თუ-კი იმისთანა რამ მოიპო-
ვება, რომ დამონავებულ და გათახსირებულ ხალხის ხსნა შეეძ-
ლოს, ეს უეჭველად წინააღმდეგობის, უკმაყოფილების გამო-
ცხადება უნდა იყოს, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს ეს წინა-
აღმდეგობა თუ უკმაყოფილება. ჩივილი, უკმაყოფილება, მდგო-
მარეობის გაუმჯობესობის სურვილი — აი ის სამკურნალო ნექ-
ტარი, რომელსაც შეუძლიან მონობისაგან დაგვიისნას. მოთმი-
ნება კი ყველა ამ მაღალ მისწრაფებათა სულთამხუთავია, გამა-
ნადგურებელი...

მოხუცმა არა უპასუხა-რა. ვარდანმა და ჰაირაპეტაშ თანა-გრძნობის ნიშნად ხელი გაუწოდეს. მოხუცის დანარჩენმა შეი-ლებმა კი სულ ვერა გაიგეს-რა და მხოლოდ გუნებაში ფიქ-რობდნენ — აი კიდევ ერთი ხენთიო (დამთხვეულიო).

მოხუცმა ბრძანა სტუმრებისთვის ლოგინი გაეშალათ, შემ-დეგ „ლამე მშვიდობისა“ უსურვა და შეილებთან ერთად გარეთ გამოვიდა. ერთი სახე-მობურული რძალთაგანი შევიდა ოდაში და ლოგინები გაშალა.

ოდაში სანთელი ისევ ენთო. თუმცა სტუმრები დაწვნენ, მაგრავ დიღხანს არ ჩასძინებიათ. ბ. დუდუკჩიანმა თავის ნამწეს სიგარას კვალად მოუკიდა და წევა დაიწყო. ვარდანმა უთხრა:

— მეგობარო, თქვენი ენა გაუგებარია; ძნელად თუ აქ რამეს გაარიგებთ... ხალხთან სალაპარაკოდ არაკები და ანდა-ზები ასობით უნდა იცოდეთ... მაცხოვარმა არაკებით უფრო მეტი საჭმე გააკეთა, ვიდრე მაღალი, განყენებული აზრების ქადაგებით...

— მართალი ხარ, ხალხის ენა ვერ შევითვისე... — მიუგო ბ. დუდუკჩიანმა და გაჩუმდა.

xxviii

ოდაში ზეთის ჭრაქი ჯერაც ისევ ბეჭტავდა და იქაურობას მკრთლად ანათებდა. ვარდანს დიდ-ხანს არ ჩასძინებია; იმ ლამინდელმა ლაპარაკმა ძილი გაუკრთო. თვალ წინ ედგა მოხუცის შეილების გულგრილობა. თავისი და ახლად მოსული სტუმრის „ქადაგების“ მიმართ. უკვირდა, რომ იმ პატიოსანსა და აღფრთოვანებულ ყმაწვილ კაცს ისეთი ეჭვის თვალით უცქეროდნენ. მეორე მხრივ გულს ულონებდა ორი სიყვარული, რომლებიც ბუნებით ერთმანეთისგან ბევრით არ განირჩეოდა: — ერთი იყო სიყვარული დარბეული, მიწასთან გასწორებული გლეხისადმი, მეორე კი ლალასადმი, რომელსაც ზნუობ-რივად ათახსირებდნენ, სძარცვავდნენ... .

თვალი გადააკლო და ნახა, რომ ახლად მოსულ ჭაბუქს ჩასძინებოდა. ჭრაქის მკრთალი სინათლე ოდნავ ანათებდა მის ფერ. წასულსა და გატეხილს სახეს, რომლის ლრმა ღარებიც მოწმობდა, რომ მტკიცე ხასიათის მექონე უნდა ყოფილიყო. არც თუ ძილი ჰგვრიდა მოსევნებას. ძილშიაც რალაც სულიერი ტანჯვა აწუხებდა. დრო გამოშვებით მისი გამშრალი ბაგენი მოძრაობაში მოდიოდენ და ფრანგულათა და სომხურათ ნა წყვეტ-ნაწყვეტათ შემდეგ სიტყვებს გამოსთქვამდენ:

— „გლეხებო... დრო დაგიდგათ... თქვენი თავისუფლება თქვენივე სისხლით უნდა იყიდოთ... აწმყო... მომავალი... ჩვენ გვეკუთვნის... ყველას დაანახვეთ... გმირნო... რომ ოსმალოს... რკინის კეტს... სრულიათ ვერ მოუკლავს... თქვენში სიცოცხლე... და თავისუფლების გრძნობა... გასწით წინ... მამაცნო!...

— საბრალო!... — წარმოსთქვა ვარდანმა და თავი გააქნია: — ეტყობა, ბევრი წაუკითხავს... სომხის გლეხის საწყალი ოდა პარიუის ბარიიკადები ჰგონია და მცევრმეტყველობს!.. საბრალო!..

ამ დროს ვარდანის ყურს სიმღერის ხმა შემოესმა, რომელიც ღამის მყუდროებაში ნაღვლიან ჰანგებათ გაისმოდა.

შოხუცი ხაჩოს სახლში ერთს სხვა არსებასაც გასტეხოდა ძილი; მოუსენრათ ხან ერთ მხარეს ბრუნდებოდა, ხან მეორეზე. მის გარშემო-კი ყველა ლრმა ძილს მისცემოდა და ძალზე ხვრინავდა. მუშის მოქანცულმა და შრომის მოყვარე სხეულმა ძილის გატეხა არ იცის.

მოსვენებით ყოვნა მხოლოდ ლალის არ შეეძლო. ლოგინში ტრიალი მობეზრდა, ჩაიცო და დარბაზიდან ფეხ-აკრუფით. ეზოში გამოვიდა. მე მგონია, თვით თაგვების დევნაში გაგეშილ კატასაც-კი. გაუჭირდება ისეთი სიფთხილითა და უჩამიჩუმოთ სიარული, როგორც ეს ყმაწვილი ქალი გამოდიოდა გარეთ. ეზოში რომ გაჩნდა, ყურ მახვილმა ძალმა შენიშნა და შეჰყეფა. „სსუ“! ძლივს გასაგონი ხმით წაიჩურჩულა-ქალმა. ქალმა იცნო და გაჩუმდა.

გაზაფხულის წყნარდ ლამე იყო. ჰაერი ისეთი გრილი იყო, რომ გაციება ადვილათ შეიძლებოდა. მაგრამ ყმაწვილი ამ გარემოებამ უფრო გამოარკვია, ალანძული სახე გაუგრილა და უფრო კარგ გუნებაზე დააყენა. ფეხაკრეფითვე გაიარა ბალის-კენ და ხეებში შეიძალა. იქ უფრო ბნელოდა და ამიტომ ვერც არავინ შენიშნავდა. ხავერდოვან ბალახზე წამოწვა, თავი იდაყვს თააბჯინა და ცას დაუწყო ცქერა. მთვარე არსაღ სჩან-და. „სად არის, ნეტა? ფიქრობდა ყმაწვილი ქალი,—ვინ იცის, იქნება სძინავსო?“. გარემო სრულს მყუდროებას მოეცვა. ხეე-ბის ერთი ტოტიც-კი არ იძროდა; ყველაფერი განსვენებას მისცემოდა; ის ნიავი, რომელიც ხეების ტოტებს ხშირათ აკვა-ნივით არწევდა ხოლმე, მიმწყდარიყო, მიჩუმებულიყო, თვით მდინარეც-კი, რომლის გიუ-მაჟი ხმაურობა ლამის მყუდროება-ში ყოველთვის შემოსმენია, დაღუმებულიყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიწყნარებულიყო, განსვენებას მისცემოდა, თითქო დიად ბუნებას მისძინებია. მარტო ერთი ლალა არ იყო მო-სვენებით, მხოლოთ იგი ფხიზლობდა.

კარგა ხანს იყო ასე. მისი უმანკო ფიქრი-გონება ერთი საგნილან მეორეზე გადადიოდა. ამასობაში თავისი მოხუც ბაბუასაგან გაგონილი სიმღერა გაახსენდა და მის მოკუმულ ბაგეთაგან უნებურათ საყვარელი სიმღერის ტკბილი ჰანგები გამოკრთა:

„სძინავს მთვარესა ცის ღრმა უბეში,
 „სძინავს ფრინველსა თვის რბილ ბუდეში,
 „სძინავს ნიავსაც, არ არხევს ხეებს,
 „სძინავს მდინარეს, ხმას აღარ იდებს.“

„დედავ, მე-კი რათ არ მომდის ლული?
 „შსურს დამეძინოს—არ მიშეებს წულული!
 „დედავ ეს რაა, ასე რომ მტანჭავს?
 „ეს რა ცეცხლია, გულს რომ მიდაგავს?...“

— სიმღერა რომ გაათავა, თავი მუხლებში ჩამალა, ანთებულ
სახეზე ხელები მიიფარა და მწარე ქვითინი ამოუშო. ლამაზ
თვალთაგან ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდა. რა ატირებდა? —
თითონაც არ იცოდა. მშობელი დედა ხომ არ გაახსენდა, სა-
ყვარელი დედა, რომელიც თვალით არ ენახა და რომლის ბა-
გეთაგან ერთი ტკბილი სიტყვაც არ გაეგონა? მაშ რა ატირე-
ბდა? რა იყო ის გამოურკვეველი გრძნობა, უმანკო გულს რომ
ულონებდა?

გარნა ცრემლებმა ცოტა არა რომ გული დაუმშვიდა. თავი მაღლა აიღო, გარემოს თვალი მიმოავლო და დააშტერ-
და მიცვალებულის საფლავს, რომელიც იქვე ახლოს იყო.
საფლავს გარშემო ოთხი ალვის ხე ისე ჰქონდა შემომწკრივე-
ბული, თითქო სდარაჯობენო. ეს საფლავი იყო მისი დის, სო-
ნასი, რომელიც თუმც არ ენახა, მაგრამ მისი სამწუხარო ამ-
ბავი-კი მრავალჯერ გაეგონა. საბრალო ქალს მდაბიო ხალხის
შეხედულებით მოწამის სახელი მიეღო და ამიტომ მის საფლა-
ვზე ხშირათ ავადმყოფები მიჰყავდათ ხოლმე. მოხუცი მამის
ნებისამებრ ყოველ კვირა-ძაღ საღამოს ზეთის ჭრაქს უნთებ-
ლნენ. ეხლაც ჭრაქი ჯერ არ ჩამქრალიყო, ბჟუტავდა და გა-
ჯით გალესილ საფლავის თავს ოდნავ ანათებდა. ლალა თავ-
ზარდაცემულსავით დაჰყურებდა ზედ. მის აღმფოთებულ წარ-
მოდგენას სონას სამწუხარო ამბავი სინამდვილეთ გარდაექცის
და საფლავი ახლა მთების ერთ ლრმა ღელეში ბდგომ ჭურთის
შავ ჭოხათ ეჩვენებოდა. სონაც ვითომ იმ ჭოხში იჯდა, სახე-
ზე საშინელი უიმედობა გამოეხატებოდა. ხელში საწამლავის
ჭიქა ეჭირა, წამდაუწუმ ტუჩებთან მიჰქონდა, მაგრამ შიშით
ისევ უკან აბრუნებდა. დიდხანს იბრძოდა, ყოყმანებდა და
არ იცოდა — სიკვდილი ერჩია თუ სიცოცხლე. მაგრამ აგერ
ჭოხს მიუახლოვდა ჭურთების წინამძღოლი, რომელმაც მოი-
ტაცა იგი და სამშობლო ოჯახს დააშორა. სონამ შენიშნა;
საწამლავით საჭარა ჭიქა კვალად ტუჩებთან მიიტანა, პირჯვარი
გადისახა და დალია... .

სურათი შეიცვალა.

ლალას წინ ისევ სონას თეთრათ გალესილი საფლავი მო-
ჩანდა.

თვალ წინ წარმოუდგა ახლა ორი აღამიანი: ერთი იყო
თომას-ეფენდი, თვისი ვერაგი და საზიზლარი სახით, მეორე—
ქურთი ფათთაპბეგი, თვისის ველური და მხეცური შეხედულე-
ბით. დიალ წარმოუდგა და მთლათ კანკალმა აიტანა. ნუთუ
ყველაფერი იცოდა? ნუთუ მასაც შეეტყო, რა ორმოსაც უთ
ხრიდა ეს ორი ვაჟბატონი? არა, ლალამ არაფერი იცოდა,
მხოლოდ ინსტიქტიურათ-კი რაღასაც გრძნობდა...

— არა!—წამოიძახა საშინელი ხმით:—მე სონასთან არ
წავალ! სამარისა მეშინია!..

ამ დროს ვიღაცამ წყნარათ მხარზე ხელი დაადო და თან,
მისი სახელი ახსენა:

— ლალა!...

ყმაწვილმა ქალმა ვერა გაიგო-რა.

— ლალა!.. განმეორდა ხმა,—არ გაგიშვებ, რომ სონას-
თან წახვიდე... მე დაგიხსნი.

ქალი უკან მიბრუნდა, ნახა, რომ წინ ვარდანი ედგა.

— ჰო, დამიხსენ!.. წამოიძახა ლალამ, რომელიც ჯერაც
გონზე ვერ მოსულიყო:—დამიხსენ!.. სხვა ქვეყანაში წამოიყვა-
ნე! აქ არ ვარგა... აქ ჯოჯეხეთია!..

ყმაწვილი კაცი გვერდით მოუჯდა.

რამდენსამე ხანს სდუმდნენ; სალაპარაკოთ სიტყვას ვერ
პოულობდნენ. ჯერაც ისევ აღშფოთებული ლალა სცდილობდა
ის საშინელი სანახავი მოეგონებია, რამაც ისე შეაშინა იგი.
ვარდანი-კი ფიქრობდა: „ეს უმანკო, გამოუცდელი ქალი რათ
მეხვეწება, ამ ქვეყანას მომაშორეო, როდესაც აქ ყველას
სათაყვანებლათა ჰყავს გამხდარიო?“ შორს, უცხო ქვეყანაში
რათ უნდოდა წასელა? ნუ თუ ეს ოცნება ყმაწვილი კაცის
სიყვარულს გამოეწვია? მაგრამ არა რომ სიყვარული მისთვის
ჯერ ისევ გამოურკვეველი და ბუნდი გრძნობა იყო? ვარდანი
შეეკითხა:

— რითია ცუდი ეს ქვეყანა?

— ცუდია, ძალიან ცუდია! — მიუგო ძლიერ ნაღვლიანი ხმით: — ამ სამარეს ხომ ხედავ? თქვა ესა, სონას სამარისკენ გაიშვირა ხელი და ჰყითხა:

— იცი შიგ ვინა მარხია?

— ვიცი...

— იცი როგორ მოკვდა?

— ვიცი...

— არ მინდა, რომ სონასავით მოვკვდე, ვარდან! საწამლავისა მეშინია... სამარისაც მეშინია...

საბრალო ქალს თვალები კვლავ ცრემლით აეჭსო.

— ლალა! რათ გვინია, რომ შენც სონას ბედი მოგელის? — შეეკითხა ყმაწვილი კაცი და თან ხელი დაუჭირა: — ეგ მხოლოდ ერთი სამწუხარო შემთხვევა იყო, ყოველი ქალის ხვედრი ხომ ისეთი არ იქნება? რათ ფიქრობ, რომ შენც ეგევე შეგემთხვევა?

— სულ მაგაზე ვფიქრობდი..., სულ მაგას მოველოდდი... სწორეთ იმ დღიდან, რა დღესაც მიგხვდი, რა მიზეზითაც მაც-მევდნენ ვაჟურათ... აქ, ამ ქვეყანაში ქალიშვილი ოჯახისთვის ნამდვილი ღვთის რისხვაა... ღანაშაულია... მეტადრე ლამაზი. ქალიშვილი!.. ყური დამიგდე, ვარდან! მეზობლათ ერთი ნაც-ნობი ქალი მყვანდა, ძალიან კარგი ქალი იყო და ძლიერაც მიყვარდა. დედა მისი ყოველ-დღე სცემდა მხოლოდ იმისთვის, რომ ისეთი ლამაზი ღაბადებულიყო და დღე და დღეც უფრო შშვენდებოდა. „შენაო, — ეუბნებოდა დედა, — რაიმე უბედურებას შეგვამთხვევო“. ნარგიზა (ქალს ასე ეძახდნენ) სულ ტიროდა, რკურემლებოდა. დედა არ უშვებდა, რომ პირი დაებანა, თავი დაევარუნა და სულ დაბლერძილი. ტანისაშოსით ატარებდა. ბოლოს ნარგიზა ქურთებმა მოიტაცეს. აშას წინათ შევხვდი, რაჭ, ღმერთო ჩემო, როგორ დამახინჯებულიყო! სილამაზის ნიშან-წყალიც-კი აღარ ეტყობოდა!.. მეუბნებოდა: „სტეფანიკ, ქურთის ცოლობა ძალიან ცუდიაო...“ და თან ტიროდა...

თითონ ლალამაც ქვითინი ამოუშო. ცოტა რომ დამ-შვიდდა, ჰყითხა:

— აქედან წამიყვან, არა, ვარდან?

— წაგიყვან, არხეინათ იყავი.

— ჩქარა... ჩქარა წამიყვანე! აი თუ გინდა ახლავე... სა-
დაც გინდა წამიყვანო, ყველგან გამოგყვები..

— ცოტა ხანს კიდევ მოითმინე, ჩემო ლალავ, ვიდრე
მამაშენს მოველაპარაკებოდე.

ამ გვარად ისხდნენ ბნელით და მყუდროებით მოცულ
ბაღში და დიდხანს ლაპარაკობდნენ, ვიდრე ნაღვლიანშია გრძნო-
ბებმა სიყვარულის ტკბილს გრძნობას არ დაუთმო გზა.

* * *

მეორე დილით ვარდანს ძალიან გვიან გატელვიძა. რადგან
ლამე მეტი წილი უძილოთ გაეტარებია. უძილობისაგან ფერ
მკრთალ სახეზე რაღაც ფარული სიხარული უბრწყინავდა.
ოთახში მიიხედ-მოიხედა, ბ. დუდუქიანი არსად ჩანდა, მხო-
ლოდ მისი სამგზავრო ხურჯუნი-კი იქვე კუთხეში იღო. „თითონ
სადღა წასულაო?“ გაიფიქრა გუნებაში, ვარდანშა პირველშივე
შეამჩნია, რომ ბ. დუდუქიანი ძლიერ გამოუცდელი ყმაწვილი
კაცი იყო, ამიტომ ყურის გდება ეჭირვებოდა, რომ შორს
არსად წასულიყო.

მოხუცის სახლის ყოველი წევრი ჩვეულებრივ თავის საქმეს
შესდგომოდა. შვილები მინდვრათ გასულიყვნენ.. თითონ მოკ-
ხუციც გარეთ გასულიყო, რომ მუშაობისთვის დაეხედნა. რძლე-
ბი შინაურ საქმეში იყვნენ გართულნი, ასე რომ ცუდათ
არავინ იყო. სახლში მარტო პაირაპეტა დარჩენილიყო, ისიც
მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე ვარდანი განმარტოებით ენა-
ხა. „იქნება სიტყვამ მოიტანოს და ლალას. შესახებ რამე მოვე-
ლაპარაკოვო“ ფიქრობდა გუნებაში. აპოს გარდა მასი დანარ-
ჩენი ძმები ლალაზე თითქმის აღარას ფიქრობდნენ. სრულიად
გადავიწყებოდათ ის გარემოება; რომ შეიძლებოდა ჟათთაპ-
ბეგი ერთს მშვენიერ დღეს მოსულიყო და ლალა გაეტაცნა.
მისი ხვედრი ბედის წერისთვის მიენდოთ და წინანდებურათ

გულში იმეორებდნენ — რაც ლმერთს უნდა, ის იქნებაო. მამაშ კი ჯერაც არა იცოდა-რა: თომას-ეფენდი ისევ თავის სასიძოთ მიაჩნდა და ცდილობდა მისი წარსული დაწვრილებით გამოეკვლია.

ოდაში შესვლისათანავე ვარდანი შეეკითხა:

— სად წასულა ჩემი ახალი მეგობარი?

ჰაირაპეტა მიხვდა, რომ სიტყვა ბ. ღუდუკიანს შეეხებოდა, და მიუგო:

— საკვირველი კაცი ყოფილა ეგ შენი ახალი მეგობარი! ჯერ მზე არ ამოსულიყო, დილა აღრიანათ აღგა, თავისი მალოლ-ყელა წულები ჩაიცო, არც პირი დაუბანია, არ თავი დაუვარუხნია, არც საუზე მოჰვონებია, თავისი მსხვილი ხელ-ჯოხი აიღო და გარეთ გავიდა. „სად მიხვალთ თქო“ ვკითხეთ, მაგრამ თავი გააქნია და გასწია.

— სად წავიდა? შეეკითხა ვარდანი და სახეზე რაღაც მოუთმენლობა დაეტყო.

— არ ვიცი. მხოლოდ ის-კი ვნახე, რომ წყალზე მიმავალი ვიღაც დაბლერძილსა და ფეხშიშველა ქალს შეხვდა, შეაყუნა და ჰქითხა: „ასე ცუდათ ჩატული რათა ხარ? შენ ხელა ქალს მაგეთი ჩატმა-დახურვა არ შეშვენისო.“ ქალმა უპასუხა, რომ რა ვქნათ, ჩემი მშობლები ძალიან ღარიბები არიანო. ბ. ღუდუკიანმა მაშინიერ ქისიდან ერთი ოქრო ამოილო და ღარიბ ქალს გადასცა. მე მგონია, ვარდან, რომ თითონაც იმის მეტი აღარ ჰქონდა.

— შესაძლებელია, — მიუგო ვარდანმა აღშფოთებულის ხმით: — მაგრამ მერე სად წავიდა?

— შემდეგ მივიდა შეგროვილ გლეხებთან, რომელნიც ის იყო საყდრიდან გამოსულიყნენ, ეზოს კარებთან შეჯგუფულიყნენ და ხარჯების გაწერაზე ლაპარაკობდნენ. ბ. ღუდუკიანი გლეხობას მიუახლოვდა და ლაპარაკში. ჩაერია. ხალხს უხსნიდა, რომ გლეხები ბევრით იმაზე მეტს იხდიან, ვიდრე მთავრობამ უნდა გადახდევინოს, მაგრამ საზოგადო საქმეს იგინი, არავითარ ყურადღებას არ აქცევენო. ლაპარაკობდა შე-

სახებ ქალებისა და ვაუების სკოლებისა, რომლებსაც ჩვენი გლეხობა სრულიად მოკლებულია და არც თუ ფიქრად მოსდის ვისმეო. ლაპარაკობდა რაღაც აშანაგობაზე, რომელსაც მიზნად გლეხის ოჯახის მდგომარეობის გაუმჯობესობა უნდა ჰქონდეს; იმ გვარი საზოგადო თანხა უნდა შესდგეს, რომ გაჭირების დროს გლეხს შეეძლოს მცირე სარგებლით ფული აიღოსო და სხ. და სხ.—რომელ ერთი ვსთქვა, ათას ამგვარ საგნებზე ლაპარაკობდა.

— გლეხებმა რაღა უპასუხეს? — უნობის მოყვარეობით იკითხა ვარდანმა.

— გლეხები ძალზე იცინოდნენ, ხარხარებდნენ, პასუხი კი არა გასცეს-რა. ერთმა მათგანმა მეორეს წასჩურჩულა: „ეს კაცი სწორედ ხენთიაო“.

— მადლობა ღმერთს, ხენთი მარტო მე არა ვყოფილვარ! — სთქვა სიცილით ვარდანმა: — მე ასე მეგონა, ხენთს მარტო მე მეძახიან მეთქი. — მერე?

— შემდეგ ერთმა გლეხმა ერთ ჭიქა არყის დასალევად სამიკიტნოში შეიწვია. დუდუქიანმა უარი არ უთხრა. სამიკიტნო გალექილი ხალხით იყო სავსე. დალევით თითქმის არა დაულევია-რა, მაგრამ ყველას მაგივრად კი ფული თითონ გადაიხდა. იქაც გლეხთა კეთილდღეობაზე ლაპარაკობდა, უხსნიდა მათ სილარიბისა და უბედურობის მიზეზებს. აღფრთვანებული იყო, ძალზე გატაცებით ლაპარაკობდა. მე პირველად ვგრძნობდი რა დიდი ძალაც ჰქონია სიტყვას, მაგრამ გლეხებს კი სიცილათაც არ ყოფნიდათ. ერთმა ჭითხა: „რა მოხელე, რა თანამდებობის კაცი ხარო?“ პასუხათ რომ მიიღო, სამსახურის კაცი არა ვარო, ლირფულათ უთხრა: „მაშ რაღა ზაჰლა წაიღეო?“

— მართლაც და მაგისთანა ხალხზე რომ რაიმე გავლენა: იქონიო, ან მაზრის უფროსი უნდა იყო, ან ბოქაული, ან კიდევ თომას-ეფენდისთანა ხარჯის მკრებავი. მაგათთვის უბრალო სწავლულ ადამიანს რა მნიშვნელობა აქვს?.. — წარმოსთქვა ვარ-

დანმა მწუხარებით:—განაგრძე, ჰაირაპეტ, ძლიერ საყურადღე ბოა.

— მე,—განაგრძო ჰაირაპეტამ:—ხელი მოვკიდე და სამი-კიტნოდან თითქმის ძალით გამოვიყვანე, რადგან მეშინოდა უწე-სოება არა მომხდარიყო-რა. კარში რომ გამოველით მითხრა: ახალხის გაცნობა ამისთანა აზგილებში უფრო აღვილია; სიმ-თვრალის ზროს გულ-გაჭხსნილია და არაფერს მოლავსო“. სო-ფელში სიარული დავიწყეთ. მხარზე წიგნაკებით საესე ტყავის ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. წიგნაკებს გამვლელ-გამომვ-ლელს ურიგებდა; ზოგი სულ არ იღებდა, კითხვა არ ვიციო, ზოგი კი ართმევდა, თუმცა არც იმან იცოდა კითხვა. ერთს ამ უკანასკნელთაგანს ვკითხე: „რათ გინდა, რომ ართმევ-მეტქი, და მიპასუხა: „ქალალდია, შინ წავიღებ—რისთვისმე გამომადგება: დედა-ჩემი ბურნუთს მაინც შეახვევსო“.

ვარდანი უფრო დაღონდა, სახეზე რაღაც ნაღველმა გა-დაჰკრა, თითქო რაიმე ფარული ავადმყოფობა სტანჯავსო.

— იმ წიგნაკებისა ხომ არა გაქვს-რა? — ჰქითხა ვარდანმა.

— მაქვს, ორი ცალი მეც გამოვართვი.

ვარდანმა წიგნაკი გადაფურცლა, ცოტა წაიკითხა და გა-ჯავრებით წამოიძახა:

— უვიც ხალხში ამ გვარი წიგნაკების გავრცელება ნამ-დვილი სისულელეა... — მერე სად წავიდა?

— სოფელს გარედ ერთათ გაველით, მერე კი მთხოვა, რომ მარტო დამეტოჯებინა. რაღა უნდა მექნშ, უკან გამოვა-ბრუნდი. პირველსაფე შეხვედრილ გზას დაადგა და ერთი სოფ-ლისკენ გაეშურა, რომელიც შორიდან მოსჩანდა. დიდხანს ვი-დექი და მიმავალს გავყურებდი; ისე მიეჩარებოდა: თითქო ელოდება ვინმეო. შემიძლია დავიფიცო, რომ თითქოც არ ცოლდა, სად მიღიოდა: ხშირად გზა ებნეოდა და აქეთ-იქით უხვევდა.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჰაირაპეტამ ცოტა არა დაუკი-ცის კილორი წარმოსახულა.

— იცი, ჩემო ჰაირაპეტი, — უთხრა ვარდანმა: — შეიძლება თქვენი ხეობის მიხვეულ-მოხვეული გზები არ იცოდეს, მაგრამ ცხოვრების გზაზე კი, გარწმუნებ, კარგად მცოდნე და დახელოვნებული მოსიარულეა.

— მეც სწორედ მაგგვარი რამ შევნიშნე, — უპასუხა ჰაირამ ცეტამ დარცხვენით, რომ დუდუკჩინს უადგილოდ დასცინა: — ეტყობა, ძალიან ნაკითხი უნდა იყოს.

— მაგის ვარდა, ძლიერ კეთილი და პატიოსანი ვინმეა.

მაგრამ ამ უამაღ ჰაირაპეტა ახალგაზღდა უცნობზე იმდენს არ ფიქრობდა; გულით უნდოდა, რომ ლაპარაკი ლალაზე ჩამოვარდნილიყო. იმის შემდეგ, რაც სარამ უთხრა — ლალასა და ვარდანს ერთმანეთი უყვართო — სულ იმის ფიქრში იყო, აი ეხლა გამომიტყდება ვარდანი და აი ეხლაო, რადგან მთელ ოჯახში ვარდანს მისთანა დაახლოვებული და ერთგული არავინ ჰყვანდა. ვარდანს კი ლალა ახლა აღარც კი ახსოვდა, დუდუკჩინის ამბავმა რალაც ფიქრსა და საგონებელში ჩაგდო. წამოდგა და ვარედ ვასვლა დაპირა.

— საღ მიხვალ? — ჰკითხა ჰაირაპეტამ.

— ბ. დუდუკჩინის საძებნელად, — მიუგო მან: — ტყურ-ლად გაგინებებია თავი, ჰაირაპეტი, ძალიან გამოუცდელი ჭაბუკია.

ორივენი ვარედ ვამოვიდნენ.

— თავლისკენ ვავიაროთ, — უთხრა ვარდანმა: — რა ხანია ცხენები არ მინახავს.

გასწიეს თავლისკენ. უზოში ლალას შეხვდნენ, რომელიც ბაღში მოჩხრიალე რუს პირას ჩამომჯდარიყო და პირს იბანდა. ეტყობოდა, იგიც გვიან ჭმდგარიყო.

— დილა მშვიდობისა, სტეფანიკ, — გასძახა ვარდანმა შორ რიღან.

ლალამ არა უპასუხა-რა, მხოლოდ სალაში თავის ქნევით ჩამოართვა და თან რალაც მრავალმნიშნელოვანად გაიღიმა.

ვარდანს თავლაში სამი ლონიერი. ცხენი. ქბა, ერთი. საკუთრათ თავის საჯდომაზ და მეორები-კი მსახურობათვის.

ეს მსახურნი—საქოა და ელოა—კარგა ზორბა ბიჭები იყვნენ და მიტომაც ვარდანი გვერდიდან არ იშორებდა.

— საქო,—უთხრა ერთ მათგანს:—დღესვე ცხენები დააჭე-დინე, სამგზავროთაც ყველაფერი დაამზადე: აქ დიღხანს აღარ მოგვიხდება დგომა.

შემდეგ ცხენებს მიუხლოვდა, ლამაზ გავაზე ხელი გა-დუსო; თან ჩუმათ შესცემოდა, თითქო უნდა შეიტყოს სა-კმაოდ დაუსვენიათ თუ არაო; ან კიდევ, რამდენიმე დღის სა-ვალს ერთს ლამეში გაივლიან თუ ვერაო.

შემდეგ ერთი ცხენის შეკმაზა უბრძანა, რაც მსწრაფლათ იქნა შესრულებული. ცხენზე რომ შეჯდა, ჰაირაპეტას ჰკი-თხა:

— ბ. დუდუკიჩანი საით წავიდა?

ჰაირაპეტამ გზა ანიშნა და ვარდანმაც ცხენი იქით გა-ქუსლა.

კარგა ხანს იდგა ჰაირაპეტა და მიმავალს ვარდანს გაჰ-ყურებდა. თვალს რომ მიეფარა, მწარე ფიქრებს მიეცა: „ცხე-ნებს რათ აჭედინებს? ეს რომელ მგზავრობისთვის ემზადება? ნუთუ ისე უნდა წავიდეს, რომ ლალას შესახებ ერთი კრინ-ტიც არ დასძრას, მისი გაბეღნიერებისთვის არა იზრუნოს-რა? — ან კიდევ ბ. დუდუკიჩანის „ბაგშურმა საქციელმა ისე რათ აღაშფოთაო?“. ამ გვარი ფიქრები გარს ისე შემოხვევლა, რომ თავს ანგარიშს ვეღარ აძლევდა.

ამის შემდეგ სახლისკენ გამოსწია; გზაზე შეხვდა თავისი შეუღლე—სარა, რომელსაც ხელში რძით საფსე მოზრდილი დოქი ეჭირა და ფარეხიდან მოღიოდა.

— ვარდანმა არა გითხრა-რა? ჰკითხა სარამ, შედგა და რძის ჭურჭელი მიწაზე დადგა.

— არა მითხრა-რა, — უპასუხა ჰაირაპეტამ ნაღვლიანათ: — ამ ბოლოს დროს რაღაც გულ-ჩახვეულობა დასჩემდა...

— მე ყველაფერი ვიცი წაილაპარაკა სარამ მხიარულება, დაჯექ ყველაფერს გიამბობ.

ცოლქმარი იქვე ღრიშინაზე ჩამოჯდა.

— სარა მოუყვა და შემდეგი უამბო: ლალა ყველაფერში გამომიტყდა, თურმე წუხელ, როცა ჩვენ ყველის გვეძინა, ისა და ვარდანი საიდუმლოთ გარეთ გამოსულიყვენ და ბაღში მოელაპარაკნათ: ლალამ არა დამიმალა-რა, ყველაფერი დაწვ-რილებით მიამბო. ბოლოს ვარდანს ეთქვა, რომ მამაშენს მო-ველაპარაკები, თუ შეუღლების ნებას მოგვცემს, ხომ რა კარგი, არა და გაგიტაცებ და ძალით წაგიყვანო.

— მაშ მსხურებს მაგისთვის უბრძანა ცხენები. დაამზადე-თო? თქვა ჰაირაპეტამ და ნეკზე იკბინა.

— რა უშავს? დევ გაიტაცოს, დევ წაიყვანოს, უფრო კარგი! — მიუგო სახე-გაბრწყინებულმა სარამ: — მაგან რომ არ წაიყვანოს, სულ ერთია ის წყეული ქურთი წაიყვანს.

— მე წინააღმდეგი არა მაქს-რა, — მიუგო ჰაირაპეტამ: — მაგრამ...

საბრალონი! სხვა დროს რომ შეეტყოთ, თავიანთი ქალი საიდუმლოთ იმისთანა კაცს ელაპარაკებოდა, რომელიც ჯერ მის საქმროთ არ ითვლებოდა, ჯვარზე აცვამდნენ და ტყავს გააძრობდნენ. ეხლა-ცი მწარე გარემოებათა წინაშე უნებურათ თავს იხრიდნენ! ...

xx

ვარდანი მთელ დღეს ცხენიდან არ ჩამომხდარა, სოჭელ-სოჭელ დადიოდა და ბ. დუღუკჩიანს დაეძებდა. კითხვის პა-სუხათ გლეხები ეუბნებოდენ, რომ, მართალია, ვნახეთ მაღალ ყელა წულებიანი ყმაწვილი კაცი, ტანზე ევროპიული ტანი-სამოსი ეცვა, თავზე ფართოთ გადაშლილი შავი ქუდი (შლია-პა) ეხურა, ხელში უშველებელი ჯოხი ეჭირა და მხარზედაც რაღაც წიგნაკებით სავსე ჩანთა ჰქონდა გადაკიდულიო. ყოვე-ლი მნახველი სულ იმას გაიძახოდა: ხენთი იყოვო (სულელი). ბევრი ეძება, ბევრი იკითხა, მაგრამ ყმაწვილი კაცი ვერ-სად ჰპოვა. საღამოზე ხელ ცარიელი ისევ მოხუცი ხაჩოს სა-ხლში დაბრუნდა.

მოხუცის ერთმა მწყემსთაგანმა უამბო, ის ახალგაზდა კაცი მე ვნახე მახლობელ სოფელში, ოსმალოს გლეხებს ჩაეგდოთ ხელში და ძალზე სცემდნენ: ვიცანი, რომ ჩემი აღის (ბატონი) სტუმარი იყო, მივეშველე და გამხეცებულ სოფლელთა კლანჭებიდან ძლიერ გამოვგლიჯეო.

— „ამ გვარი რამის მოლოდინი მქონდაო“... გაიფიქრა ვარდანმა, მწყემს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რათა სცემდნენ?

— მიზეზი ვერ შევიტყე — მიუგო მწყემსმა. — მინდოდა ჯორზე შემესო და ისე წამომეუვანა, მაგრამ არ ინდომა, ფეხითაც კარგად წამოვალო. აბა როგორ მოვა? ვგონებ, ერთი ასოცი-კი არ შერჩა მთელი.

ამ ამბავმა ვარდანი ძალიან დააღონა; კარგად იცოდა, რაც იყო ოსმალოს გლეხის მუშტი, მეტადრე. როცა საბრალო სომხის გვერდებსა ხვდება ხოლმე.

— სად დასტოვე? შეეკითხა კვლავ მწყემსს.

— შუა გზაზე, — აკვანივით მოირწეოდა.

ის იყო ოდაში ჭრაქი აანთეს, რომ უცებ საიდანლაც გაჩნდა დაღლილ-დაწყვეტილი და ტალახში ამოსერილი დუღუკჩიანი, ვარდანს ეგონა დუღუკჩიანი მაშინვე გლეხების ბრიყულსა და გაუთლელ საქციელზე დაიწყებდა ჩივილს, მაგრამ მოტყუცდა, რადგან ცემის შესახებ ერთი კრინტიც-კი არ დაუძრავს. მხოლოდ ეს არის სახეზე საშინელი უიმედობა და ზიზღი ეხატებოდა.

გასწია ოთახის ბოლოს, მუთაქაზე იდაყვი დაანდო და წამოწვა.

— ცოტა თუთუნი ხომ არ გექნებათ? ჰკითხა ვარდანს, — მე სულ გამოვებია.

— ამ საათში, მიუგო ვარდანმა და სათუთუნე ჭოლოფი გაღააწოდა.

ბ. დუღუკჩიანმა აკან კალებული ხელით ერთი პაპიროსი გააკეთა და წევა დაუწყო.

— ეს ხალხი სწორეთ გამოკანაა, ნამდვილი სფინქსია, სთქვა მან თავისთვის.—ან ისტორია სულ არ გააჩნია, ან კი- დევ უჭიცი და მახინჯი ისტორიის მექონება...

გაჩუმდა. პირიდან დაუყენებლივ პაპიროსის ბოლს უშვებდა, თითქო გულზე მოწოლილი ბოლმა-ნალველი თან უნდა გაატანოს.

ჩუმათ იყო აგრეთვე ვარდანიც. ამ ენერგიით სავსე ახალ- გაზდას ღრმა სიბრალულით შეჰყურებდა და თან იმ გამხუ- ცდელ პატარა პეპელას ადარებდა, სანთელს რომ დასტრია- ლებს და თავისი სუსტი ფრთხებით მის ჩაქრობას ცდილობს ხოლმე...

ამ ღროს ოდაში შევიდა მოხუცი; რამდენიმე წუთის შემ- დეგ, ჩვეულებისამებრ, შვილებიც შეგროვდნენ. თუმცა მზის ჩასვლის შემდეგ ერთი საათის მეტი არც-კი გასულიყო, მაინც მაშინვე ვაშამი გაშალეს, რაღან, როგორც მუშა ხალხი, პური ჩქარა უნდა ეჭამათ, მოესვენათ და დილით ადრე ისევ საქმეს შესდგომოდნენ.

ვახშამზე ბ. ღუდუქჩიანმა საქმაოთ ბევრი ღვინო დალია, რამაც მისი დაღონებული გუნება ცოტა არა გაამხიარულა, ასე რომ სიმღერის გუნებაზედაც-კი მოვიდა და იმღერა თაღია- დიანცის შესანიშნავი სიმღერა: „ლმერთო, ჰფარვიდე სომეხ- თასა!“ სუფრას რომ აუმატეს, მოხუც ხაჩოს მიუბრუნდა და უთხრა:

— უბრძანეთ ოდის კარები ჩაკეტონ, რომ ხელთ არავინ შეგვიშალოს: საჭირო რამე მაქვს სათქმელი.

მოხუცი გაოცდა, განა ისეთი რა უნდა ჰქონდეს სათქ- შელიო. თან ერთ შვილს უბრძანა კარები ჩაკეტონა. ყველა სულ-განაბული ელოდდა.

— ჩქარა რუს-ოსმალოს ომი გამოცხადდება.—იცით თუ არა ეს ამბავი? შეეკითხა ყველას.

— არა, ჩვენ არაფერი გაგვიგია. მიუგეს მოხუცმა და მისმა შვილებმა.

— მეტიცი, — თქვა ვარდანმა: — ჩვენში რუსები დიდს სამზადისში არიან.

ამ ამბავმა საბრალო მოხუცს თავზარი დასცა. რუსებსა და ოსმალოს შორის ატეხილ ომს, მოხუცი რამდენჯერმე მოსწრებოდა და ჯერაც არ დავიწყებოდა ის საშინელი შედეგი, რაც მისი წყალობით სომხებს დასტყდომოდა თავს. ჰაირაპეტას გაახსენდა ქურთის ქალის სიტყვები და მიხვდა, ფათთაპ-ბეგი თავის რაზმს რა აზრითაც ამზადებდა.

— დიალ, ომი აუცილებელია, — წარმოსთქვა ვარდანმა საშინელის გულის ტკივილით: — „აქლემები წაიკიდებიან და კოზაქს შუაში გასჭყლეტენ“.*)

— მართალია, — თქვა მოხუცის უფროსმა შვილმა, ჰაირაპეტამ: — ომის ქარცეცხლში სომხები გაწყდებიან, მთლათ გაიუღლიტებიან:

— ეგ მეც ვიცი... თქვა მოხუცმა და მწუხარებისგან ხმა ჩაუწყდა.

— ყური დამიგდეთ, — თქვა ბ. დუდუკჩიანმა. ამ ხელათ იგი ცდილობდა უფრო მდაბიო ენით ელაპარაკნა, რომ ყველასთვის გასაგონი ყოფილიყო: — ეს ომი არაფრითა ჰგავს რუსოსმალოს შორის დღევანდლამდინ მომხდარ ომებს, ამას სულ სხვა აზრი და დანიშნულება აქვს. თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ და, რა თქმა უნდა, არც გეცოდინებათ, რა ხდება მეორე ქვეყანაში, რომელსაც ბალკანეთის ნახევარი კუნძულს უწოდებენ. იქაც ქრისტიანი ერები ცხოვრებენ, რომლებიც სომხებსავით საუკუნოებით იტანჯებიან ოსმალთა მტარვალობის წყალობით. მაგრამ იმათ სომხებივით მოთმინებით ვეღარ აიტანეს, აჯანყდნენ და აი ერთ წელიწადზე მეტაც იბრძვიან, რომ ოსმალოს მძიმე უღელს თავი დააღწიონ. ბევრჯელ გაიმარჯეს, ბევრ გზით დამარცხდნენ და ამ დიდებულ საქმეს აუარებელი მსხვერპლი შესწირეს; ბოლოს რუსები ჩაერივნენ

*) დედანში ასეა: „ცხენი და ჯოხი ერთმანეთს შეებმიან, შუაშიკი ვირი ფეხებს გაფშეკავსო“.

და ქრისტიანთა განთავისუფლების სახელით მფარველობა გაუწიეს. კოსტანტინეპოლიში მყოფ ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა კრება მოახდინეს, რომ დაჩაგრულ ქრისტიან ერებს რაიმეუფლება, რაიმე შელავათი მისცემოდა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ და კრება უსარგებლოთ დაიშალა. და იმ ეხლა რუსეთს უნდა ძალა დაატანოს და ხმლის მეოხებით გააკეთებინოს ის, რაც ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიან ერთა თავის უფლებას შეეხება და რის გაკეთაბაც ოსმალეთმა ნებით არ ისურვა.

თუმცა ამ შემთხვევათა მმბავს დედამიწის თვით მიურუებულ კუნჭულამდისაც-კი მიეღწია, მაგრამ სომხის გლეხთათვის ყველა ეს ახალი ხილი იყო, სრულიად არა იცოდნენ - რა; ამიტომაც იყო, რომ ბ. დუდუქქიანის ლაპარაკს პირდალებული უგდებდნენ ყურს. მხოლოთ ყური მოეკრათ, რომ ოსმალოს რაღაც ომი ჰქონდა, მაგრამ ვის წინააღმდეგ, ან რა საქმის გამოთ იყო ატეხილი — ამისა არა იცოდნენ-რა. ომის ამბავიც მხოლოთ იქიდან იცოდნენ, რომ ამ ბოლო დროს ხარჯის მკრებავნი ძალიან სასტიკათ ეპყრობოდნენ და აკრებითაც წინანდელზე გაცილებით მეტს იღებდნენ: „ეხლა ომიანობაა და მთავრობას უნდა დაეხმაროო“.

— რუსების ახლანდელი ომი ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანთა დახსნის წურევილით არის გამოწვეული, განაგრძობ. დუდუქქიანმა: — მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანთა შორის ყველაზე ტანჯული, ყველაზე დარბეული სომეხია. ეს თქვენც კარგად უნდა იცოდეთ, რადგან ოსმალოს ყოველგვარი მტარვალობა თქვენ თავზედვე გამოგიცდიათ. მაშასადამე დროა სომხებმაც იფიქრონ რამე, რომ აუტანელი მდგომარეობა რითიმე შეიმსუბუქონ.

— ჩვენ რა უნდა ვიფიქროთ. — მიუგო მოხუცმა: — თქვენ თითონვე ამბობთ, რომ რუსები ქრისტიანთა დასახსნელათ იბრძვიანო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მოვლენ და ჩვენც გაგვანთავისუფლებენ.

→ ეგ მართალია, მაგრამ ესეც არ უნდა დავივიწყოთ, — ჩაერია ვარდანი: — ამბობენ „ვიდრე ბევშვი არ იტირებს, დედა ძუძუს არ მისცემსო“. მოთმინებით, სიჩუმითა და დიდი იმე-დების მ-ლოდინით სომხები ვერას მიიღებენ. სომხებმაც ხმა უნდა ამოიღონ.

— დიალ, ხმა უნდა ამოიღონ, — გაიმეორა ბ. დუდუქჩიან-მა: — და ეს ხმის ამთაღება, ანუ უკმაყოფილების გამოცხადება ისევე და იმავე სახით უნდა მოხდეს, როგორც მეორე ქრის-ტიან ერებმა მოახერხეს...

— ის ხომ არ გინდათ თქვათ, რომ სომხებმაც უნდა იბ-რძოლონო?.. გააწყვეტინა სიტყვა მოხუცმა..

— დიალ, სწორეთ მაგის თქმა მინდოდა. ქვეყნათ სულ ასე ყოფილა და ახლაც ასეთი წესია: ვინც იარალის ხმარება არ იცის, ვისაც სისხლის ღვრისა და აღამიანთა ულეტის უნა-რი არა აქვს, იმას ეუბნებიან — თავისუფლების ღირსი არა ხართ. მაშასადამე, თუ სომხებს რისამე მიღება სურთ და თავისუფ-ლება უნდათ, ყველას უნდა აჩვენონ, რომ იმათაც შეუძლიათ ვაჟყაცობა და მოკვლის შნოუა აქვთ. ყველა ამისთვის საჭირო დრო-კი ახლაა...

მოხუცმა მწარეთ გაიღიმა და უპასუხა:

— დალოცვილო, რით უნდა აჩვენონ, რომ ვაჟყაცობისა და კაცის კვლის შნო აქვთ? ისმალო სომებს ერთ უბრალო დანასაც-კი არ არჩენს, რომ გაჭირვების დროს ქათამს კისერი წაჰვლიჯოს!..

ბ. დუდუქჩიანს პასუხის მიცემა გაუძნელდა. ვარდანი შეეშველა:

— მებრძოლნი იყვნენ, თორემ იარალს, რამდენიც გინ-დათ, მე მოგაწვდით. ჩემი ხელობა კარგად იცით — კანდრობან-დისტი ვარ. იარალის შემოპარებისთვის საჭირო ბილიკი თუ ფარული გზები ხელის გულივით ვიცი.

— მარტო იარალი არა კმარა, — სთქვა გონიერმა მოხუც-მა: — თქვენ შეგიძლიანთ აქაურ სომხებს ის გული და ის გმი-რობა შთაუნერგოთ, რაც იმ თავისუფლებისთვის შებრძოლ

ქლისტიანებსა აქვთ? ჩვენისთანა დაბეჭავებულოსა და მონებათ გარდაქცეულ ხალხს ხელში იარაღს რა მნიშვნელობა აქვს?

— ხალხის მაგრე დამცირება კარგი არ არის, მასპინძელო, — მიუგო დუდუკჩიანმა: — ჩვენ ერს ჯერ მთლათ არ დაკარგია არც გული, არც მამაცობა და არც თავისუფლების გრძნობა. საჭიროა რაიმე მიზეზი, მოხერხებული დრო და ეს გრძნობებიც იფეთქებს. ყველაზე მოხერხებული დროც ახლა. რუსეთმა ოსმალოს უნდა ებრძოლოს, დევ ამით სომხებმაც ისარგებლონ და უკმაყოფილების ხმა აღამაღლონ. დარწმუნებული ვარ, რუსები ყველაფრით დაგვეხმარებიან.

მოხუცი ხაჩის არც ერთი შვილი ხშას არ იღებდა. მხოლოდ ერთმა მათგანმა, რომელსაც სახელიად ჰაკოს უხმობდნენ და რომელიც ამ ერთი კვირის წინად ძმებს შორის მომხდარ თათბირის დროს გაიძახდა: — უმჯობესია ჩვენი და, ლალა, ქურთის ბეგს მივცეთ და ამით ჩვენს ოჯახს ერთი მძლავრი ქომაგი გავუჩინოთო, — დიალ ამ ჰაკომ, რომელიც თავის მამისა და ახალგაზდა სტუმრების ბაასს ისე ურწმუნოდ უგდებდა ყურს, — მიმართა ბ. დუდუკჩიანს და უთხრა:

— ძმაო, შენ რაღაც სისხლის სუნი გდის, შენი არც ავი გვინდა, არც კარგი: ხვალ დილით აღრიანად აკრიბე შენი ბარგიბარხანა და აქედან გაგვშორდი, თორემ რაიმე უბედურებას შეგვამთხვევ...

მოხუცმა შვილს ხმა ჩააკმენდონა და თითონ ბ. დუდუკჩიანს მიმართა:

— ჩემი შეილის სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ: თითონაც არ იცის რას, ამბობს. ყური დამიგდეთ, არცარა წამიკითხავს და არცარა ვიკი-რა, სხვა ქვეყნის ერები რას აკეთებენ ანუ რას ფიქრობენ, მაგრამ როგორც მიწის მუშაკმა ერთი რამ ვიკი მხოლოდ: სანამ მიწას არ მოვხნავთ, არ ავაჩილებთ და დასათესად არ დავამზადებთ, არაფერსა ვთესავთ, რადგან ვიცით, რომ უამისოდ თესლი არც გაღვივდება და არც აღმოცენდება. ბევრჯელ მომისმენია ეკლესიაში, ამას თვით მაცხოვარიც ამბობს თავის წმ. სახარებაში.. ეხლა, შვილო, ნიადაგი

ჯერ შზად არ არის. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხალხი ჯერ მომზადებული არ არის - მეთქი. ნიადაგის მომზადება უნდა დაწყებულიყო ამ ოცი, ოცდა-ათი და, ვინ იცის, იქნება ორ-მოცდა ათი წლის წინათაც. ეს სამზადისი რომ აღრევე შესრულებული ყოფილიყო, ეხლა თქვენი თესლებული ნაყოფიერ მიწაზე განიბნეოდა, გაღვივდებოდა, აღმოცენდებოდა, აყვავ-დებოდა და ნაყოფს ერთი ასად, ერთი ათასად გამოიღებდა. ერთს დღეში საქმე არ გაკეთდება. ეს ხომ კარგად ვიცით, ვიდრე ნათესი სამკალად შემოვიდოდეს, ბევრი კარგი და ცუდი ამინდი შეხვდება. ვიცით, რომ ნათესი ბუნების ათასს სიმკაც-რეს იტანს, ხშირად ქარიშხალი აწუხებს, ხან სეტყვა რეგვავს, ხან თოვლი აძრობს და ზან კიდევ გოლვა სწვავს ხოლმე. — ერთი სიტყვით ვიდრე მხენელ-მთესველის შრომა დაგვირგვინ-დებოდეს, ნათესმა ათასი ქარ-ცეცხლი უნდა გამოიაროს... ხალხის გულში ჩაბნეულმა თესლმაც ასეთივე ქარ-ცეცხლი უნდა გამოიაროს, ვიდრე ნაყოფი მომწიფდებოდეს...

— ჩინებული მაგალითია, — მიუგო ბ. დუდუქიანმა: — და ყველაფერშიაც გეთანხმები. მაგრამ კიდევ არის ერთი რამ, რაც მუდამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. ამას იქით მეც თქვენებურად, ესე იგი მდაბიურად უნდა ვილაპარაკო, რომ თქვენთვის უფრო გასაგონი იყოს. თქვენი ნათესი რომ არ გამარგლოთ, არ გათოხნოთ, შამბ-ნარი მოერევა, ნათესს სულს ამო-ჰეთავს, მის ადგილს თითონ დაიჭირს და თქვენი შრომაც სულ უქმად ჩაივლის. განა ეს იგივე ბრძოლა არ არის, მძლავ-რი რომ სუსტს ანადგურებს ხოლმე? ამგვარი ბრძოლა უველა მცენარეთა შორის არსებობს: ერთი სცდილობს მეორე დასჩა-გროს, გაანადგუროს, რომ თავისი არსებობის საქმე უფრო დააწინაუროს. ვისაც ბრძოლის, წინსვლის და მეტოქეობის უნარი არა აქვს, იგი ისპობა, სიცოცხლეს ესალმება. ამ უნარს, ამ ნიჭს, სხვა ნაირათ თავის დაცვაც ეწოდება. თავის დაცვის მასწავლებელი თვით ბუნებაა — ბუნებას ყოველი არსებისთვის, რომელსაც-კი სიცოცხლე და გამრავლება, შეუძლია, თავის მსგავსებთან საბრძოლველათ ნიჭი მიუცია, რასაკვირველია.

ერთისთვის მეტი და მეორესათვის-ნაკლები. ეგვეგ ნიჭი აქვს ხესაც, ბალახსაც, პირუტყვსაც და ადამიანსაც. მხოლოთ ქვას, შეშას და სხვა შკვდარ სხეულებს მოძრაობა და თავის დაცვა არ შეუძლიათ, რადგან მაცოცხლებელი ძალა არა აქვთ. გარნა სადაც სიცოცხლეა, არსებობისთვის ბრძოლაც იქ არის. ეს ბრძოლა სიცოცხლის ბრძოლაა; ყოველი არის მარტო იმის ცდაში-კი არ არის, რომ თავისი თახი დაიცვას, არამედ ცდილობს თავისი მტერი, მოწინააღმდეგე მოსპოს და მით თავისი არსებობისა და განვითარების საქმე უზრუნველ ჰყოს...

— ვვონებ ჩემი აზრი ახლა-კი გესმით,— განაგრძო ბ. დუდუკჩიანმა: — ბუნების კანონით, რაც მცენარეთა და პირუტყვათა ცხოვრებაში ხდება, ესევე ხდება ადამიანთა ცხოვრებაშიაც, აქაც იგივე ბრძოლაა, მხოლოთ უფრო საშინელი, უფრო მრავალ-ფეროვანი. ერთა განვითარებისა და ნიჭის მიხედვით იცვლება მათი თავის დაცვის იარაღიც (იარაღს რომ ვამბობ, მარტო ხმალი და თოფი არა მაქვს მხედვოლობაში, — მჩეწველობა და მეცნიერება იგივე იარაღია). უფრო გაუნათლებელ და ველურ ხალხთა შორის ეს ბრძოლა ფიზიკურ ღონებე, ხმალზეა, დამყარებული. და აი ქურთები და ოსმალები სწორეთ ამ იარაღით გვებრძვიან. თავის დაცვის კანონი ითხოვს, რომ ჩვენც იმავე იარაღით გავცეთ პასუხი, რითაც იგინი გვჩაგრავენ და გვათახსირებენ. ჩემის მხრივ დიდი სისულელე იქნებოდა — იმაზე მეტი მომეთხოვნა, რის უნარი და შეძლებაც ჩვენ ხალხსა აქვს. მე არ მინდა ვთქვა: ხმალი ავილოთ და, ქურთა სმალოს მუსრი გავავლოთ, რომ ჩვენ მამა-პაპათა ნაანდერძევ მიწა-წყალზე მარტო ჩვენ ვიცხოვროთ-მეთქი. — მე მხოლოთ იმას ვამბობ, რომ თავის დაცვის საჭიროება ჩვენც უნდა შევიგნოთ, რათა ქურთმა და ოსმალომ დედამიწის პირიდან არ აღგვევონ. ამ ორ აზრს შუა-კი დიდი ზღვარი დევს...

მოხუცმა სიტყვა გააწყვეტინა და თქვა:

— მესმის, ყველაფერი მესმის, რასაც თქვენ გვიქადაგუბთ. მაგრამ მაინც ის სიტყვა უნდა გავიმეორო, რომელიც წელანწარმოვსთქვი: — ერთბაშათ, ერთს დღეში შეუძლებელია იმისა

თანა დიდი ცვლილების მოხდენა, რომ ჩვენმა ხალხმა მონური თვისება დასტოვოს და თავის დაცვის მნიშვნელობა შეიგნოს. თქვენ, განათლებულნო, ეს საქმე აღრე უნდა დაგეწყოთ. თავის დაცვის მნიშვნელობა ჩვენთვის კარგა ხნის წინათ უნდა გესწავლებინათ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ეხლა, ქრისტიანთა ომის ღროს, თქვენი ნათესი ყანა სასურველ ნაყოფს გამოილებდა. აღრევე არ მოგვამზადეთ, კოსტანტინეპოლიში იმოდენა ხანი ჩუმათ ისხედით, ეხლა-კი მოდიხართ და გვეუბნებით ქურთისა და ოსმალოს წინააღმდეგ ხმალი აიღეთ და თქვენი თავი დაიცავითო. ვის უნდა შეასმინოთ, რომ ეს ყველა შესაძლებელი საქმეა?

— მართალს ამბობთ,—მიუგო ბ. ლულუკჩიანმა წყნარათ: —ჩვენ, კონსტანტინეპოლელნი ზარმაცნი და უზრუნველნი გამოვდექით, წინადღითვე არ მოგამზადეთ. მაგრამ მე იმაზე ხომ არას გამბობ, ვითომ აქაურ სომხებს დავიწყებოდეთ საკაცობრიო მაღალი, კეთილშობილური და დიადი მისწრაფებანი? —ეს ისეთი საგნებია, რომლებიც შესაფერს განათლებასა და განვითარებას ითხოვს და რომელთა გადმონერგვაც ჩვენს, კოსტანტინეპოლელთა მოვალეობას შეადგენდა. მე მხოლოთ თავის დაცვაზე ვლაპარაკობ, ამისთვის-კი არც დიდი განათლებაა საჭირო და არც დიდი განვითარება. თავის დაცვის გრძნობა, როგორც წელან აგიხსენით, იმდენათ ბუნებრივი გრძნობაა, რომ თვით მცენარეს, პირუტყვსა და ველურ ადამიანსაც კი მოეპოვება. ნუთუ სომები პირუტყვზე უფრო დაბალი არსებაა? ნუთუ იმდენათ მომკვდარა, იმდენათ დაცემულა, რომ ქვა და შეშასავით ველარასა გრძნობს?!...

xxi

მოხუცი ხაჩო და მისი შვილები გარეთ გამოვიდნენ: თდაში-კი მარტო ვარდანი და ბ. ლულუკჩიანი დარჩენ.

— მართლაც რომ ნიადაგი მზათ არ არის... შენიშნა ვარდანმა, როცა მარტო დარჩენ და თან მის ძალზე ფერ-მკრთალსა და დალონებულ სახეს შეხედა.

— Մերց զո՞ն արօս ըամենամաց? — Ֆյուտեա ծ. գլուխյանին մա:
ուստի յոլուու, տուդյո ցուլուս հռմելում նշնութեան վագագութաու:
— մեւնցու մերտա ցոնուցրո յապու և սուրու մերտա ցոնուցրո,
զուդրա հայունուտան սուլուցրո յալուալուս մջանելոն. ման սա-
կմառու սույսցլուանատ մեռմոց, հռմ տէպեն, յուսքան բնութառ-
լուցրու մոցալուցրու ուստ եալես վիճատցը մոցցմիագյուղանատու.
մագրամ ամա հա ցապակցուց? արագուրո!.. եալես մուսամիագյու-
ղուտ հայուն արա ցոնութեառ-ռա, հագան սամինցրո վիպուլուցրուտ
ցացսուլու սումեցուու սինամցուու հայուն պարագլուցրաս ար ովուցու,
սումեցուու մեռլուու վարսուլուս օգուցրուտ ցուպացու դաձրմաց-
ծոյլոն; աելանցըլ սումեցու-կո հայուն մեռլուու համցենում մցե-
լու միջուլուցրու նամակցուտ ցուբուծուտ և վարմուցրենուու
ցայլոնց, հռմ ամ ցմուրու սացանցու չերաւ ուսպ գրիգրանցուց
արամցօն, ցագանցօն, ցարձանցօն և օգուցր ներսցեցօն*) սեռուց-
ծոնց!.. վարմուցրենուու ցայլոնց, հռմ սումեցուու միայալ հո-
սեռուցր յալայտա մուսացրեծ սումեցօն ելունցու մերժացլուց,
ցայլուու լուցրու և ցարացրու և օմցարաւ մուցրու հայունուց-
ու նոցտուցրատ մուցրուցրուց! վարմուցրենուու ցայլոնց,
հռմ հայուն սույլուցրու կացառց, օմցայցացրու մոնցրուցրուց
լուտուս ուցալու բրուսացրու և մենցըլ-մուցըլուու ծցուցրուց
լուտուս օմցրու մուցրու լուսուցրուց!.. լարմունցուց-
լու ցուպացու, հռմ մուսացրեծու սմիւրացրուուս սումեցօն Շյա-
ցրենց, տապուան սամշունքու մունցու մշցուունուանատու և ծց-
ունուցրատ սեռուցրեծոնց! — մագրամ ու-կո ալար ցուպուծուտ, հռմ
սումեցուու մուցըլ սույլուցրու սումեցօն ցամուլցուլան; ան սուլ-
ռուցըս և բանչապացրաս ցայլուու մյուսրու; ան կուցչ մալուս
բանցօնուտ ցամակմաւունցօն!.. ար ցուպուծուտ, հռմ ուուսեալու
սումեսու նոցըլուտ վարմուցրուցրուտ ան մուս ուուսեալ-մշցուան
լունցս, անշայլուամատա երուցըս!.. ար ցուպուծուտ, հռմ սարմունց-
նոցօն, յև, հայուն անուտ, ցրուցրուուս մուլունունուս ծոյրչու,
ըարլուցրու և սանաւուու մարտու ուցըն մշցունուցր բամարտս.

*) սումեցուու ուսուրուուս ցամունցու նորուա սամշցուու
մտար.

ნანგრევები-ლა დარჩენილა! არ ვიცოდით, რომ ენა, ეს ეროვნობის წმიდათა წმიდა საუნჯე, სამკვიდრო, სომებს დაუკარგავს და ეხლა ქურთულათ ანუ ოსმალურათ ლაპარაკობს! არ ვიცოდით, რომ აწინდელი გმირ ქურთების უმეტესობა, რომელიც ახლა სომხებს ღვთის რისხვათა და სასჯელათ გარდაქუვია, — ამ ორმოცდაათი თუ ასი წლის წინათ ჩვენ ღვიძლს შეას წარმოადგენდა, ჩვენ ენაზე ლაპარაკობდა და ჩვენს ეკლესიაში ლოცულობდა! .. — ერთი სიტყვით, ჩვენ არაფერი ვიცოდით; აწინდელ სომხეთზე ძლიერ ბნელი და გამოურკვეველი შეხედულობა გვქონდა, დღევანდლამდინ არა ვიცოდით-რა, რომ სომეხთაგან დარჩენილი და აქეთ-იქით გაბნეული გუნდები მწარე გარემოებათა წყალობით, მონობის მძიმე უღლის ქვეშ იქამდინ დაკნინებულან, რომ თავიანთი კარგი თვისებები მთლათ დაუკარგავთ. და სამაგიეროთ რაღაც სულმდაბალი, მხდალი და ვერაგი თვისებები შეუსისხლ-ხორცებიათ... .

ვარდანი ყურადღებით უსმენდა; ბ. დუდუკჩიანი კი კვალათ განაგრძობდა:

— გარნა ხელთ გვეპყრა დიდი ძალა, შეგვეძლო დიდი საქმე გაგვერივებინა. გვერდით გვყვანდა პატრიაქი, ხალხის სულიერი მამა, რომელიც ხორცზე და სხეულზე არას ფიქრობდა; ჩვენ გვქონდა საერო წარმომადგენელთა კრება, რომელიც მარტო ინტრიგებისა და წვრილმანი საქმის უკან დევნაში აღამებდა. ჩვენა გვყვანდა განათლებული ახალგაზღობა, რომელიც საერო კოსტიტუციის წლის თავის სიმღერებით ბოსფორის ნაპირებს აყრუებდა და იმაზე-კი არას ფიქრობდა, რომ სწორეთ იმ დროს სომხეთის მიღამოებში სისხლისა და ცრემლის ტბები დგებოდა... ჩვენს ხელთ იყო მწერლობა, რომელიც არავითარ ყურადღებას არ იქცევდა იმ გარემოებას, რომ სომეხი თავის სამშობლო მიწა-წყალზე რა მდგომარეობა-შია, და უცხოელების ცხოვრებით ყურებს გვიჭედავდნენ. ჩვენს ხელთ იყო სასწავლებლებიც, რომლებმაც სომხეთს ერთი ნაწილი მასწავლებელიც-კი ვერ შესძინა; ჩვენა გვქონდა თეატრი, რომელიც იმის ნაცვლათ, რომ სცენაზე ერთხელაც

არის სომხეთის უბადრუე ცხოვრების, სურათი დაედგათ, საზოგადოებას პარიზის სამზარეულოს ნარჩომებითა ჰქვებავდნენ... ჩვენთან იყვნენ ჩვენი ერის ვითომდა მეთაურნი, რომელიც ბრწყინვალე პარტიის ბობოლებს ფეხებს ულოკავდნენ, ელაქუცებოდნენ და მით თავიანთ საკუთარ დიდებას ეძებდნენ! ჩვენს ხელთ იყო აგრეთვე ნივთიერი ძალა—ვერცხლი, რომელიც მხოლოდ კრეზების სასახლეებს ამშვენებდა და სომხის საკუთილდღეოთ-კი ერთს გროშსაც არა ხარჯავდა! — ერთი სიტყვით, წინ სვლის დროშა ხელში თითქო მარტო იმ ბოროტი მიზნით გვეჭირა, რომ სომხეთისთვის გზა უფრო დაგვებნია და დაღუპვისკენ დაგვექანებინა... .

— ჩემი და რამდენიმე ჩემ თანამოაზრეთა სურვილი ნამდვილ დონ-კიხოტობად მიმაჩნია,— განაგრძო მან: — რის მოლოდინი უნდა გვქონდეს? ამოდენა ხანს კოსტანტინეპოლიში სულ უქმად ვისხდეთ, სომხეთის ცხოვრებას არ ვიკვლევდეთ, არ ვცდილობდეთ ქვეყნის შესწავლას; ხალხის გარემოებათა და საჭიროებათა გაცნობას, არ ვამზადებდეთ მას უკეთე ის მომავლისთვის და უცებ კი გამოვეცხადოთ, ხელში იარაღი მივაჩეჩოთ, რომ თავის დასაცველად იბრძოლოს,— არა, ამით ხალხის თანაგრძნობას ვერ მოვიპოვებთ. მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ ვეძლევი, იმედს მაინც არ ვკარგავ; მეცა და, იქნება, ჩემი თანამოაზრენიც დავმარცხდებით, მაგრამ ჩვენი დამარცხება გზას გაუკაფავს ჩვენს უკან მომავალთ... . იგონი ჩვენი გვამებით მოკირწყლულსა და ჩვენივე სისხლით მორწყულ გზაზე გამოივლიან... .

უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე ვარდანმა თავი ვეღარ შეიმაგრა, მივარდა ბ. დუდუკჩიანს და გადაეხვია.

— ამ გვარი წმინდა საქმე დიალაც რომ მსხვერპლს ათახოვს... დიდება და სახელი იმას, ვინც პირველად შეეწირება მსხვერპლი... . წარმოსთქვა ცრემლ-მორეულმა ვარდანმა:

შუალამე გადასულიყო: ოდაში საწოლი ლოგინები დიდი ხანია გაეშალათ, მაგრამ ორს ახალგაზღას ძილი მაინც არ ეჩქარებოდათ. ბ. დუდუკჩიანი კოსტანტინეპოლის გზა-კვალ დაბ-

ნეულ ახალგაზღობას კრიტიკის საშინელ ცხრილში ატარებდა— არა ნაკლები სისასტიკით ეპყრობოდა აგრეთვე სამღვდელოებას: ფჩენ ქვეყნათ მოფენილ ტაძარ-ეკლესიათა მეათედიც რომ რიგიანი სასწავლებლები ყოფილიყო, სომხეთი ახლა დიდი ხნის დასწრილი იქნებოდათ“, — დააბოლოვა სიტყვა.

უცებ გარედან კარები ოდნავ დააკაკუნდეს. ვარდანი წამოდგა და გააღო. ოთახში შევიღნენ ძმები ჰაირაპეტა და აპო, რომელნიც დანარჩენ ძმათაგან ბევრი კარგი თვისებით განირჩეოდნენ.

— ასე გვიან იმიტომ მოველით, რომ არავის შევენიშნეთ, — სთქვა ჰაირაპეტამ და თავის ძმასთან ერთათ ტახტზე ჩამოჯდა: — უეჭველია, შეგაწუხეთ.

— სრულიადაც არა, — უპასუხა ვარდანმა: — ძილი გაგვიკრთა და ისევ ლაპარაკში ვიყავით გართულნი. უეჭველია, სახლში ყველასა სძინავს.

— ყველას, — მიუგო აპომ: — მარტო მამას არ ეძინა და ძალზე ახველებდა. მამას რომ ხველება აუტყდება, ეს იმის ნიშანია, რომ რაიმე ფიქრშია გართული.

ვარდანი და ბ. დუდუკჩიანი შიხვდნენ, რომ ასე უდროო დროს უბრალოდ ვერ შეჰედავდნენ და მიტომ მიზეზის შეტყობას მოუთმენლად ელოდნენ.

— წელან მამასთანა და ძმებთან ვერაფერი გითხარით, — დაიწყო ჰაირაპეტამ სერიოზულად: — ამის გამო ეხლა მოკაშურეთ, რომ გამოგიცხადოთ: თქვენს აზრებს ჩვენ სრულიად ვეთანხმებით და მზათაცა ვართ თქვენს მიზანსა და მისწრაფებას ყველაფრით ვემსახუროთ, რითაც და რაშიაც კი გამოვდგებით.

დუდუკჩიანის მიმქრალ სახეზე რაღაც სიხარულის ბრწყინვალე ნათელმა გაითამაშა; ეს სიხარული სწორედ იმ მისიონერის სიხარულს ჰგავდა, რომელსაც ორი მორწმუნე მოუგდია ხელთ და ჰგონია — სამწყსო უკვე შემდგარია და ჩქარა ათასებათაც გარდაიქცევა.

— სრულიად შემცდარი აზრია, — განაგრძო ჰაირაპეტამ: — ვეთომ აქაურ სომხებს არც გული ჰქონდეთ, არც სული და არც რამე. მაღალი მისწრაფება, მხოლოდ ერთი რამ არის

შართალია, სახელდობრ ისა, რომ სომხებს საერთო შეგნება, მომწიფება აკლიათ. კერძოდ ყოველი სომები ფრთხილია, უნდო, დაუჯერებელი და საკუთარს ნებას მოკლებული. სულ იშას ელის, მაგალითი სხვამ აჩვენოს, რომ შემდეგ თითონაც მიბაძოს. მაგალითს, მეტადრე საკეთილოდ დაბოლოვებული საქმის მაგალითს, დიდი გავლენა აქვს მაზე. არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ სხვა ქვეყანაში როგორ ცხოვრებენ, ან როგორ მოქმედებენ. ამით ის მინდა ვთქვა, რომ სომები უცხოელებს არ ბაძავს, არამედ ელის, რომ მაგალითი მისმავე მსგავსა სომებმა უჩვენოს.—მაშასადამე ჰირველი მაგალითის მიმცემი ჩვენ უნდა ვიყვნეთ, და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ბევრი მომბაძელი გამოგვიჩნდება. ჩვენ ხალხს მე კარგად ვიცნობ: იმდენი ტანჯვა, იმდენი ვაება გამოუვლია, რომ ამ საათში მზათ არის ქურთისა და ოსმალოს ხორცი შეჭამოს და სისხლი დალიოს, თუ კი საიდანმე საშუალება მიეცემა. გული საშინელი ზიზლითა და ბრაზითა აქვს გავსილი, მხოლოდ ეს ზიზლი და ბრაზი გულში აქვს დაფარული.

ვარდანი და დუდუკინი აღტაცებით ისმენდნენ ჰაირა-პეტას ლაპარაკს, რომელშიაც ხალხის ხმა, ხალხის დაგუბებული ვარამი იხატებოდა.

— ბედნიერია ის ერი, რომელსაც ზიზლი შეუძლია! — წამოიძახა კოსტანტინეპოლელმა ახალგაზლამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით:—ვისაც ზიზლი არ შეუძლია, სიყვარულის გრძნობასაც მოკლებულია...

— მამა-ჩემი ამბობდა ნიადაგი. მზათ არ არისო,—სთქვა ჰაირაპეტამ: —იგი კევიანი კაცია, გულშიაც ბევრი კარგი აზრი აქვს დაფარული. მაგრამ მისი კეთილი რჩევა-დარიგება, მისი სიფრთხილე უკიდურესობამდის მიღის ხოლმე. მოთმინების ძაბილით მთლად დაგვადუნა, დაგვაძინა და უმოძრაობით ლამის უძრავ ქვას დაგვამსგავსოს. ჩვენ მდგომარეობაში, ჩემი აზრით, გამბედაობით, გულადობითა და თავ-აღებულობით (ხენთობით) უფრო მეტი საქმის გაკეთება, შეიძლება, ვიდრე ღრმა და ბრძნული მსჯელობით.

— დიალ, უკიდრე კევიანი მოიფიქრებდეს, სულელი (ხენთი) უკვე წყალს გავაო...—მიუგო ვარდანმა სიცილით.

— ეგ ნამდვილია, — შენიშნა ბ. დუდუკჩიანმა: — ხშირად ჰკვიანებს თავიანთივე ჰკუა ატყუებს ხოლმე და ამ გასულელებას მხოლოდ მაშინ ამჩნევენ, როდესაც ხედავენ, რომ სულელებს თავიანთი საქმე კიდევ დაუმთავრებიათ... ერთხანად ჩვენი კოსტანტინეპოლელი ჰკუის კოლოფნიც იმ აზრისა იყვნენ; რომ სომხებისთვის ოსმალეთის უფიცი და უწეს-რიგო მთავრობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვა რომელიმე განათლებული და კეთილ-განწყობილი მთავრობაო.. ფიქრობდნენ, რომ განათლებულ სახელმწიფოს მაღალი კულტურა სომხებას მთლად შთანთქავს და გადააგვარებს; ეხლა კი სომხებს შეუძლიანთ ოსმალოს გაუნათლებლობით ისარგებლონ; არსებობის ბრძოლაში მეტოქეობა გაუწიონ და გამარჯვებული გამოვიდნენ. ამ გვარი შეხედულება თეორიულად სწორეა, შაგრამ ცხოვრების ქარ-ცეცხლში ხშირად ფილოსოფიის თვით უკულებელი თეორიებიც-კი შემცდარი გამოდგება ხოლმე: ისტორიას ბევრი განსაკუთრებული თვისება აქვს. თუ-კი რომელიმე განათლებულ დიდ ერს შეუძლია პატარა ერები შთანთქას, განა ამასვე გაუნათლებელი დიდი სახელმწიფო-კი ვერ შეიძლებს? განსხვავება მხოლოდ იმაში იქნება, რომ ერთი ნთქავს, სპობს კულტურული იარაღით, მეორე-კი — ბარბაროსულით.

— მე მინდა უფრო ნათლათ ვიღაპარაკო, — განაგრძო ბ. დუდუკჩიანმა: — ჩვენ დღევანდლამდინ არათერი ვიცოდით, სომხეთის შესახებ ოსმალეთს რა ფარული პოლიტიკა ჰქონდა: ყოველი ჩვენგანი ბავშვურის გულუბრყვილობით გაიძახოდა: ჯჩვენი მომავალი ოსმალეთშიაო.“ ოსმალეთში არსებულ უწესოებას, უსამართლოებასა და მტარვალობას ჩვენ მარტო გარეგნულათ ვუცქეროდით და იმას-კი ვერ ვხედავდით, შიგ რა ჯოჯოხეთის ქსელი იყო გაბმული! ვხედავდით რბევას, ხოცვა ულეტვას, ძალით გამაჰმადიანებას და სხვა-და- სხვა პოროტ- მოქმედებას, რომლებსაც ჩვენი მეზობელი ველური ტომები გვაყენებდნენ. ყველა ეს ჩვენ შემთხვევითი, წარმავალი გვეგონა, და ის-კი არ ვიცოდით, რომ საღლაც საიდუმლო, ფარული წამქეჩებელი ყოფილა, არ ვიცოდით, რომ ყველაფერს

უმაღლესი ხელმძღვანელი ჰყოლია!.. მთავრობას ჩეცნ მხოლოდ
იშაში ვამტკუნებდით, რომ სუსტია, უგულო და თავის შეუ-
ბრალებელ ქვეშევრდომთა შეკავება ვერ მოუხერხებიაო. მა-
გრამ ის-კი არ ვიცოდით, რომ ქრისტიანობის აღმოფხვრის
მიზნით მთავრობის სხვა და სხვა მოხელენი ბარბაროსებს სოჭ-
ხების წინააღმდეგ აქეზებდნენ. იქნება იკითხოთ — რა აზრითაო?

— სსმაღლეთმა ძლიერ კარგათ იცის, რომ თუ ევროპისა
ანუ აზიის ნაწილში რომელიმე კუთხე ჩამოეცლება, ამის მიზე-
ზი ადგილობრივი ქრისტიანები იქნებიან; კარგად იცის, რომ
თავის სამფლობელოში მცხოვრები ქრისტიანები მუდამ მიზეზს
მისცემენ ქრისტიან სახელმწიფოებს — სსმაღლეთის საქმეებში
ჩაერიცხნენ და ახალი ადმისავდეთის კითხვა ასტეხონ. თავისი
ნაწილების დაკარგვისა და ქრისტიან სახელმწიფოთა ჩარევის
თავიდან აშორებისთვის სსმაღლეთი იძულებულია ქრისტიანების
მოსპოს, მათი სინსილა გააქროს. — ქრისტიან ქვეშევრდომთა
მიზეზით დაპკარგა ევროპის პროვინციების მეტი წილი და და-
ნარჩენიც ხომ კინკილაზე ჰკიდია. აზიის ნაწილის მთლიანობა
მარტო მცირე აზიაშია დაცული. ამ მხრის უმთავრესი ქრის-
ტიანი ერი-კი, — რომელიც ხელს უწყობს ამ ნაწილის. დარ-
ღვევას — სომხობაა. მაშასადამე ევროპის სახელმწიფოების ხმის
ჩასაწყვეტათ საჭიროა ყველას დაანახვოს, რომ სომხეთში სომხე-
ბი აღარ არიან. ამ ულეტის საქმეში სსმაღლეთს საუკეთესო
ჯალათი აურჩევია — ქურთები და ჩერქეზები.

— რაც ამ 20-30-50 წლის განმავლობაში აქ ამბები მო-
მხდარა, განაგრძო მან, — ყველას საბუთები რომ შევკრიბოთ,
დავრწმუნდებით, რომ ჩემი ნათქვამი სრული კეშმარიტებაა;
დავრწმუნდებით, რომ რაც სომხებს რბევა-აკლება, ტანჯვა-ვა-
ება და სხვა მტარვალობა გამოუვლიათ, შემთხვევითი, ამბები
არ არის; დავრწმუნდებით, რომ ყველა აზაში თავს იფარავს:
წინათვე მოფიქრებული, წინათვე განძრახული აზრი, მიზანი,
რომლის პირდაპირი დანიშნულებაც — სომხების დასუსტება,
განადგურება და ბოლოს მთლათ მოსპობაა. დასამტკიცებლათ
შოლოდ რამდენსამე საბუთს მოვიყვან. სომხისთვის რომ თავის

დაცვის ჩარა მოესპოთ, ამისთვის აჭყარეს იარალი, ზელ-ფეხი შეუკრეს, შეუბოჭეს და სომხების მტერს კი, პირ-იქით, იარალი დაურიგეს. შემდეგ ნახეს, რომ სომხების დასუსტები-სთვის ეს არ კმაროდა; ნახეს, რომ სომხები შრომის მოყვარე, მომჭირნე ხალხია; მოწინააღმდეგეს ეჯიბრება, მეტოქეობას უწევს და თავის არსებობის საქმეს ნივთიერი ძალით—სიმდი-დრით—იცავს. მაშასადამე ყოველი საშუალება უნდა ეხმარათ, რომ სომხები გაეღარიბებინათ, ნივთიერად გაეთახესირებინათ. ხარკები მოუმატეს, ადრევე გამოუცხადებლათ ადგილობრივი ფასიანი ქალალდები გააუქმეს; ერთი სიტყვით ათასნაირი ფი-ნანსიური ხრიკები იხმარეს, რომ ხალხის ხელში ყოფილ ფულს ლირებულება დაჰკარგოდა და მით ხარკების გადახდის საშუა-ლება მოსპობოდა. რაკი ხალხი ხარკებს ნაღდი ფულით ვეღარ მოიშორებდა, იძულებული გახდებოდა შინაური საქონლითა და შეურნეობაში უსაჭიროესი საგნებით გასძლოლოდა, ეს-კი შიწის შემუშავებას, ანუ მეურნეობას პირქვე დაამხობდა. გარ-ნა შიზანს ოშალეთმა ვერც ამ საშუალებით მიაღწია, სომხო-ბა მეტათ კერპი, ყველაფრის ამტანი გამოდგა. თუ თავის სამ-შობლო ნიადაგზე ვეღარას ხდებოდა, უცხო ქვეყნებში მიდი-ოდა და ფულს აგროვებდა; შემდეგ ისევ შინა ბრუნდებოდა და თავისი ოჯახის კეთილდღეობის ქისასა სტენავდა. რსმა-ლეთს სხვა რაღა საშუალებისთვის უნდა მიემართნა? გარდა-სწყვიტა ცხოვრების წყარო სომხებისთვის სამუდამოთ დაეშრო. მამულ დედულის შესახებ ისეთი წყეული და ეშმაქური კანო-ნი გამოსცა, რომ სომხებს მამულის მფლობელობის უფლება ჩამოერთო. რაც სომხების ხელში მამული იყო, სულ კურთე-ბისა, დერებეინებისა, ჩერქეზებისა, „მუჭრებისა“, ყალებისა და სხვა და სხვა ველურ „ეშირათების“ ხელში გადავიდა. — ეს უკანასკნელნი გაბატონდნენ, შრომის მოყვარე და გამრჯე სო-მეხი-კი ამ ბარბაროსთა ყმათა და შონათ გარდაიქცა. სომხე-თში სომეხთა და მავმალიანთა შორის მიწების შესახებ ატესილ დავი-დარაბასა და აუარებელ საჩიტრებს მთავრობა ან სულ უყურადღებოთ სტოვებდა და სტოვებს კიდევ ან კიდევ ხა-

ქმეს ყოველთვის მუსულმანის სასარგებლოთა სწყვეტაეს. ამისი დასამტკიცებელი მაგალითები ათასობითაა. ამ გარჩეულ საქმეთაგან ერთიც კმარა იმის დამამტკიცებლათ, რომ მთავრობას არ უნდა სომებს მიწა შერჩეს, არამედ სულ იმის ცდაშია, რათა სომხები მამაპაპათა სისხლით მორწყულ მამულ-დედულისგან ხელუარიელნი დარჩნენ, მით სომხების უცხო ქვეყნებში გახიზვნას უფრო ხელი შეუწყოს და დაცარიელებულ სომხეთში ქურთები და ჩერქეზები დაასახლოს.

— ახლა ხომ ხედავთ, — განაგრძო ბ. ღუდუკჩიანმა: — რომ ყველა ამ ბოროტ მოქმედებაში რაღაც ჩუმი, საიდუმლო ჯოჯოხეთური მიზანია დაფარული. აღარას ვიტყვი იმ კერძო შემთხვევებზე, რომ დარწმუნდეთ, თუ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელნი სომხებით დასახლებულ მაზრებში სიმშილს როგორ ხელოვნურათ აგდებდნენ, რათა ქურთისა და ჩერქეზის მახვილს გადარჩენილი სომხები სიმშილით გაეწყვიტათ!.. აი უსაზარლესი მკვლელობა, რომელიც მხოლოთ უგულო და შეუბრალებელ ოსმალოს შეუძლია ჩაიდინოს, სიღარიბით ხალხის დასუსტება, ქონებრივათ განადგურება, ცხოვრების ყოველგვარ საღსრის მოსპობა, — აი ის უმთავრესი იარაღი, რომლითაც ოსმალეთი სომხების აღმოფხვრისა ცდილობს; რაღან კარგათ იცის, რომ სხვა იარაღით ძნელია იმისთანა ხალხის მოსპობა, რომლის ძალ ღონეც შრომის მოყვარეობასა და ნივთიერ შეძლებაზეა დამყარებული. ზეითუნის სომხებს სახნავ-სათესი მიწები არა აქვთ: მათი ცხოვრებისა და შემოსავლის უმთავრესი წყარო. რკინის მაღნებია, რომლებსაც ამუშავებენ, სხვა და სხვა იარაღებს ამზადებენ. ამ იარაღებს, ან ისე დაუმუშავებელ რკინას მახლობელ სოფლებში ეზიდებიან, ჰყიდიან და მოვებული ფულით ყოველგვარ საჭიროებას იქმაყოფილებენ. ოსმალეთი მრავალ-ჯერ შეეცადა ეს მაღნები როგორმე ხელში ჩაეგდო და ჩაიგდებდა კიდეც, გმირ ზეითუნელებს რომ. საშინელი წინააღმდეგობა არ გაეწიათ. — ვანის გადაბუგვაც იმ გვარ ხრიკების ნამდვილ ნაყოფათ უნდა ზაითვალოს. ამ ქალაქის სომხობა საკმაოთ შეძლებული იყო; ერთს მშვენიერ ლამეს-კი მთელი

მათი დუქან-ბაზარი ცეცხლმა შთანთქა. მიუხედავათ იმისა, რომ სომხებმა მთავრობას რამდენჯერმე მიმართეს, ამ უკანასკნელმა ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენათ უბრალო გამოძიება-კუ. არ დანიშნა, რადგან თავისი საკუთარი თავის სამართალში მიკეშა არ უნდოდა...

— დღევანდლამდი ის აზრი გვაკვირვებდა, თუ ოსმალეთი ქურთებისა და ჩერქეზების ერისთავებსა და მათ სულიერ მამებს—შეიხებს ასე რათ ეფერება, როდესაც არც მთავრობა არის იმათგან მოსვენებულიო? ხშირათ ხარჯს არ აძლევენ, ხარჯს ვიღა ჩივის, შეერთებულ გუნდებათ მთელ მაზრებს ეცემიან თავს და იკლებენ. ჩვენა ვფიქრობდთა: მთავრობამ რომ მოისურვოს, ნუ თუ ამ ავაზაკთა დაწყნარებას ვერ-შესძლებს-თქო?“ ეხლა-კი გვესმის, რომ ოსმალეთისთვის საჭირო ყოფილი ამ გვარი იარაღი სჭეროდა ხელში. მიზანი ხომ ცხადია...

ბ. დუდუქიანი აღარ ჩუმდებოდა, თითქო გულზე მრწოლილი ნალველი და სევდა ერთბაშათ უნდა აღმოანთხიოსო. ტანჯვა-ვაებაში მყოფი ერის დარღი, მისი უბადრუკი მდგომარეობა, თვალ წინ შავ-ბნელათ მდგომი მისი უნუგეშო მომავალი,— ყველა ეს ერთმანეთში არეულიყო და გულს სამართლიანი წყრომა-სიბრაზით უვსებდა.

— გარემოება, ცხოვრების პირობები თუ კანონები ადამიანს იძულებულ ჰყოფს თავისავე მსგავს ადამიანს ისე მოექცეს, როგორც მას ეპყრობიან, ე. ი. იმავე საწყაულით მიუწყოს; როგორც მას უწყავენ. მეტი ლონე არ არის. ყოველ სულიერთა შორის მხოლოთ ერთი ადამიანია, რომელიც თავის მსგავს მხეცზე უფრო უგულოთა და უფრო უპატიოსნოთ ეპყრობა. მხეცი თავის მსხვერპლს, სხვა არა იყოს რა, ერთბაშათ მაინცა ჰკლავს და აღარ აწვალებს! ადამიანი-კი აუჩქარებლივ, თანდა-თანობით იქცევა: სიცოცხლეს უწამლავს, სტანჯავს, ზე-ობრივ-ქონებრივ ათასირებს და როდესაც ასე თანდათანობით სიცოცხლის ყოველ სახსარს გამოსწოვს, მხოლოთ მაშინ უღებს ბოლოს... ასეთი მკვლელობა უსაშინელესი მკვლელობაა, რა მისი შომქმედიც-ერთათ. ერთი, გარტო ოდენ ადამიანია. ამ

გვარი მკვლელობა მარტო კერძო ადამიანთა შორის არ გეგონოთ: მთელ ერსაც ასევე ეპყრობიან. ჩვენ ერსაც სწორეთ ასეთი მკვლელობა მოელის. ოსმალო, ქურთი და ჩერქეზი რომ ასე ცუდათ გვეპყრობიან, განა მიზნათ სწორეთ ეს აზრი. არა აქვთ?! ნუ თუ ესევე არ არის იმის მიზეზი, რომ სომხეთში სომხები აღარ არიან?!..

ბ. დუდუქჩიანის გრძელსა და დალაგებულ მსჯელობას ვარდანი ლიდი თანაგრძნობით ისმენდა. ბოლოს მწარე ირონიული ლიმილით უპასუხა:

— ჩვენი სომხის ერი სწორეთ საოცარი ერია! მისი გაქრობა, შეუძლებელი რომ არა ვთქვა, ძალიან ძნელია! ნამდვილი ზღაპრული მრავალ თავიანი მდევია, ანუ ჰიდრა, რომელსაც ყოველ მოკვეთილ თავის ადგილს უფრო ღონიერი, უფრო მძლავრი თავი ამოსდის! სალკუნოთა განმავლობაში მსოფლიოს საერთო ზინდანზე სომეხი იმდენი იცემა, ისე გამოიკვეთა და გამოიჭედა, რომ ფოლადის სიმაგრე მიიღო! მისი გატეხვა, გაჭყლეტა არც თუ ისე ადვილია... წრეს გადასული გამძლეა... სომეხმა გაუძლო, სომეხმა აიტანა მტარვალობა თვით უმძლავრესი მონგოლებისა, რომლებთან შედარებით ოსმალეთის მონგოლთა ახლანდელი ჩამომავლობა ბუზებათ უნდა ჩაითვალოს... სომხის ქვეყანა გადალახა მანგულ-ხანმა, ლანგ-თემურმა, ჩინგის ხანმა, ჰულაუნმა და მრავალმა მათმა მსგავსმა. დიალ, განვლეს სომხეთი, ყველაფერი გადაჭლახეს, ვით წარლენამა და გრიგალმა, ყველაფერი დაამსხვრიეს, მიწასთან გაასწორეს; თითონაც დაიმსხვრნენ და ბოლოს ხომ კიდეც განკქრენ. სომეხი-კი ისევ დარჩა. მონგოლთა ახლანდელი ჩამომავალი, ე-ი. ოსმალეთი, გამრჯე და თავისი ხაზინის გამსუქებელი სომხების განადგურებით თავის თავსავე ანადგურებს. მისი ახლანდელი უინანსიური კოტრობა სწორეთ ამ განადგურების ნაყოფია. წინანდელ ოსმალეთს უფრო უკეთ ესმოდა, სომხის ელემენტი რამდენათ სასარებლო იყო სახელმწიფოს სიმკვიდრისათვის. იგი არა თუ ცდილობდა, რომ სომხის შრომის მოყვარე გლეხი მოსვენებითა და არხეინათ ყოფილიყო, არამედ სახელმწიფი.

ფო ხაზინის მთელს გამგეობასაც-კი მდიღარ სომხებს აბარებლა, და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენს ზარაფებს სახელმწიფო ბევრჯელ უხსნიათ ფირანიურ გაჭირვებისაგან.

გათენება მოტანებული იყო, მაგრამ ჩვენი თავებ-შეხუ-
რებული მოუბარნი-კი მაინც ლაპარაკობდნენ. შემდეგ ლაპა-
რაკი რაღაც სამზადისსა და განკარგულების მიცემაზე ჩამოაგ-
დეს. თათბირი გათავდა. ბ. ღულუკჩიანმა უბიღან სამი ცალი:
საღარბაზო ბარათი ამოილო, თავის მეგობრებს დაურიგა და-
თან დაატანა:

— მე ყველაფერში გენდობით; ახლა შეგიძლიათ იცოდეთ
ჩემი ნამდვილი გვარი და ვინაობა...

ბარათზე მშვენიერის ფრანგული ასოებით იყო დაბეჭდილი:
„ალ, სალმანი“.

ბ. ლევან სალმანის მამა; თოროს ჩელები *) გამაჰმადი-
ანებული სომხის კათოლიკე იყო. მისი სარწმუნოების გამო-
ცვლის მიზეზების ამბავი ძლიერ შორს წაგვიყვანს. მხოლოდ
ვიტყვი, რომ თოროსსას დაპბრალდა, ვითომ ერთ ოსმალოს ქალთან
დაახლოვებული კავშირი ჰქონებოდეს; ამიტომ, რომ სიკვდილი
როგორმე თავიდან აეცილებია, იძულებული იყო მაჰმადიანობა
მიეღო და მშვენიერ ფათიმას. (ოსმალოს ქალის სახელი — იყო)
შეუღლებოდა. ლევანის დაბადების შემდეგ ფათიმა გარდაიცვა-
ლა, ასე რომ ბავშვის მთელი მზრუნველობა მამის ხელი იყო.
თოროსსას შოსვენებას არა აძლევდა ის აზრი, რომ მისი შვილი
მისთვის საზიზლარ სჯულის გავლენის ქვეშ უნდა აღზრდილიყო.
სალმანმა (მაჰმადიანობაში — თოროს ჩელებმა) თავისი სამშობ-
ლო ენგურია დასტოვა და კოსტანტინეპოლიში გადასახლდა,
სადაც მას არავინ იცნობდა. თავისი შვილი „ფრერების“ ძმა-
ბას გადასცა, თითონ კი სადღაც ჩაიყლაპა. ამგვარად ლევან
ნი კათოლიკების სამონოზნოში იზრდებოდა; 12. წლისა რომ
შეიქმნა, იტალიაში იქმნა გაგზავნილი. პირველ დაწყებით
სწავლა ბერებისაგან მიიღო. რამდენიმე წელიწადი ვენეტიკის

*) „ჩელებს“ ოსმალები სომხისა და ბერძნის ვაჭრებს უწოდებენ.

(ვენეცია) წმ. ლაზარეს მონასტერში გაატარა. ამასაც თავი მიანება და შემდეგ ვენის მხითარისტების მონასტერში შევიდა. ამგვარად ერთი აღგილილან მეორეში გადადიოდა, მაგრამ საფუძვლიანად კი არაფერი შეუსწავლია. ბოლოს მონასტრის დამყაყებულსა და წამხდარ ჰაერს ერთი ქალის სიყვარულშა დააშორა და პარიზის ცხოვრების ქაოსში შეაცურა. პარიზში პირველში სხვა-და-სხვა გასართობებით სავსე ფუჭ ცხოვრებას მისდევდა; დაუდგრომელად ერთი დასიდან (პარტია) მეორეში გადადიოდა, სხვა-და-სხვა ამხანაგობებში წევრად ეწერებოდა, მაგრამ საქმის გასაკეთებლად კი არა, არამედ მარტო ლაპარაკისათვის. საყვარლის ფულები რომ შემოელია, იძულებული გახდა შრომისთვის მოეკიდნა ხელი: სხვა-და-სხვა საგაზეოო წერილებსა სწერდა და თავს მითი ირჩენდა. მაგრამ უკანას-კნელი აღმოსავლეთის საქმე რომ ასტყდა, დასტოვა პარიზი, დასტოვა თავისი. საყვარელი და კოსტანტინეპოლიში ამოჰყო თავი.

ბ. ეგანგულოვი.

(შემდეგი იქნება)

ტარას გულგა

მოთხოვბა

ნ. გ. გოგოლისა.

ვIII *).

მზე ჯერ საშუალეოზე არ იყო მისული, რომ ყველა
ზაპოროევები შეკრებილიყვნენ. ამბავი მოსულიყო სეჩიდან,
რომ ყაზახთა ლაშქრობის დროს თავარებს მთლად აეკლოთ
იქაურობა: ამოეთხარათ მიწაში საიდუმლოდ დაფლული განძეუ-
ლობა, გაელახათ და წაეყვანათ ყველა ტყვეთ, ვინც კი სეჩში იყო
დარჩენილი და ნადავლის ჯოგებითა და სიმღიდრით პერეკოპი-
საკენ წასულიყვნენ. მხოლოდ ყაზახს მაქსიმ გოლოდუხას მო-
ესწრო დასხლეტა თათრების ხელიდან, მოეკლა მირზა, შეეჭრა
ცეხინებით სავსე ტოპრაკი და მისისავე ტანისამოსით და იმის-
სავე ცხენით გამოქცეულიყო. დღე-ნახევარსა და ორს ლამეს
მოსდევდა თურმე მდევარი, მოუკვდა ჭენებით ერთი ცხენი,
გადაჯდა მეორეზე, დაუვარდა ისიც, შეჯდა მესამეზე და ამით
ძლივს მოაღწია ზაპოროელთა ბანაკამდე; გზაზე გაეგო გოლო-
დუხას, რომ ზაპოროელნი დუბნოში იდგნენ. მარტო ამისი
თქმა-ლა მოასწრო, დანარჩენი კი—რატომ შეემთხვათ ასეთი
უბედურობა, ექეიფ-ელოთავნათ შინ დარჩენილებს ყაზახურათა
და ასე მთვრალები ჩაუცვივდნენ მტერს ხელში ტყვეთა, თუ
სხვა რიგად იყო საქმე,—ან ვინ გააგებინა თათრებს, სად ჰქონ-
დათ ყაზახებს განძეულობა დამალული—ამისი არა უთქვაშს-რა:

*) იხ. „მოამბე“ მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 №-რი.

საშინლად მოწყვეტილ-დაღალულიყო, სახე დასწვოდა, გაპირობოდა ქარისაგანა; დაუცა იქვე და მაგრა დაეძინა.

ამგვარს შემთხვევებში ზაპოროჟელნი დაუყოვნებლივ გამოეკიდებოდნენ ხოლმე მტერსა, რომ ვზაზევე დასწეოდნენ, რაღანაც ტყვეებს მაშინვე მკირე აზისა, სმირნისა, კრიტოსის კუნძულისა და ვინ იცის რომელ ბაზრებზე არ ამოაყოფინებდნენ ხოლმე ჩუბიან თავებსა. ამიტომაც შემოკრბენ ზაპოროჟელნი. ყველას ქუდები ეხურათ, რადგანაც მოვიდნენ არა მთავრობის ბრძანების მოსასმენად, არამედ რჩევისათვის, როგორც თანასწორნი. „ჯერ უფროსებმა გვირჩიეთ!“ ყვიროდნენ ბრძოლან. „გვირჩიე, კოშევოი!“ გაიძახოდნენ სხვები.

და კოშევოიმაც ქუდი მოიხადა, არა როგორც უფროსმა, არამედ როგორც ამხანაგმა და მადლობა უძღვნა ყველასა, რომ პატივი სცეს: „ბევრია ჩვენში უფრო ხნიერიც და უფრო ჭკვიანიც, მაგრამ რაკი პატივი მეცით, მოგახსენებთ ჩემს რჩევას: ნუ დავკარგავთ, ამხანაგნო, დროს და გამოვეკიდნეთ თათრებსა; თორემ ყველამ კარგად იცით, რა ხალხიც არის თათარი; ნადა დავლს ჩვენ კი არ შეგვინახვენ. და დაგვიცდიან, მაშინვე, ვინ იცის, როგორ მიაბნ-მოაბნევენ, მიაფარებენ, ასე რომ კვალსაც კი ველარ მივაგნებთ. მაშ, ჩემი რჩევა ეს არის: წავიდეთ. აქ უკვე საკმაოდ ვიდავლავეთ. იციან ახლა ლიახებმა ყაზახები რის შემძლებლები არიან; სარწმუნოების გულისათვის, რამდენადაც კი ამისი ღონე შეგვწევდა, მაგიერი გადავჭრადეთ; დამშეულს ქალაქს კი, აბა, იმდენს რას გამოვრჩებით. ამ რიგად ჩემი რჩევა ის არის, რომ წავიდეთ.“

„წავიდეო!“ გაისმა ხმა ზაპოროჟელთა კურენებიდან. მაგრამ არ მოეწონა ტარას ბულბას კოშევოის სიტყვა და დაღვრებილი, კადარა შერთული წარბები უფრო ძლიერად გადმოეფარა თვალებზე, თითქოს ჯაგებია მაღალი მთის ქედობაზე ამოსული და ჩრდილოეთის ეკლიანი ჭირხლი მოუკიდებია.

„არა, კოშევოი, შენი რჩევა სამართლიანი არ არის!“ მაუგრ მან: „როგორც საჭიროა ისე არ ამბობ: დაგავიწყდა უთუოდ, რომ ჩვენები ლიახებმა ტყვეო წაიყვანეს? ეტყობა გინდა დავდა

ვიწყოთ და შევლახოთ უწმიდესი და უპირველესი კანონი ამხანაგობისა და ჩვენი მოძმენი მტერს დავუტოვოთ, რომ ცოცხლებს ტყავი გააძრონ, ან მთლად დაგლიჯონ და ქალაქები და სოფლები შემოატარონ, როგორც ეს გეტმანსა და რუსის საუკეთესო გმირებს უცვეს უკრაინაში. განა, უამისოდ კი ნაკლებ შეურაცხველეს ჩვენი წმიდანები? მაშ რაღა ვართ? გეკითხებით ყველას, რანი-ღა ვართ? რაღა ყაზახია ის კაცი, რომელიც გაჭირვების დროს ძალლივით თავს მიანებებს ამხანაგსა და უცხოეთში ამოაღრძობს? რაკი აგრეა, მაშ, და თქვენგანს ყაზახთა პატიოსნება აღარავის რად მიაჩნია, ნებას აძლევთ, რომ ქალარა ულვაშში გაფურთხებდნენ და სიტყვით შეურაცხველენენ, დევ, მე მაინც ნუღარავინ მისაყვედურებს; მე დავრჩები მარტოდ!“

შეყოყმანდნენ ყაზახები.

„მერე, დაგავიწყდა, განა, მამაცო პოლკოვნიკო,“ უპასუხა. კოშევოიმ,“ რომ თათრებსაცა ჭყავთ წაყვანილი ჩვენი ამხანაგები, რომლებსაც, თუ ახლავე არ დავიხსნით, კერპთ-თაყვანისმცემლებს მიჰყიდიან სამუდამო მონებად, რაც ყოველგვარ სიკვდილზე უარესია? დაგავიწყდა, განა, რომ მთლად ჩვენი ხაზინა, ქრისტეანთა სისხლით მონაგარი, ახლა თათრების ხელშია?“

დააფიქრა ყაზახები ამ სიტყვებმა, მაგრამ არ იცოდნენ, რა ეთქვათ. არავის არ უნდოდა სახელი გაეტეხა. გამოვიდა მაშინ მთელს ზაპოროჟიეში ყველაზე მოხუცი კასიან ბოვდუ-გი და სალაპარაკოდ წინ წამოდგა. ყაზახები ყველანი პატივსა სცემდნენ: ორჯერ კოშევოათ იყო ნამყოფი და ბრძოლაშიაც სახელი ჰქონდა გათქმული, მაგრამ დიდი-ხანია მოხუცდა და ლაშქრობაში მონაწილეობას აღარ იღებდა; არ უყვარდა აღარც რჩევის მიცემა და იწვა ხოლმე შორი-ახლო, როცა ყაზახები დასხდებოდნენ და ერთმანერთს ლაშქრობისა და სხვა საგმირო საქმეებს უამბობდნენ და უგდებდა ყურსა. არასოდეს ლაპარაკში არ ჩაერეოდა ხოლმე და უგდებდა მხოლოდ ყურს, თან პირიდან გაუგდებელს ჩიბუხს თითით ფერფლს უტკეპნიდა.

ხოლმე. იჯდა ხოლმე ასე თვალებ-დახუჭული ბოვდუგი და უგდებდა ყურს, თუმცა ვერავინ შეატყობდა—ეძინა თუ ყურს უგდებდა. ყველა ლაშქრობის დროს შინა რჩებოდა ხოლმე ბოვდუგი, მაგრამ ამ უამაღ არ მოისურვა. გააქნია ხელი ყაზახურად მოხუცმა და სთქვა: „რაც იქნება, იქნება!“ მეც წამოვალ: იქნება გამოვადგე რითმე ყაზახობასა!“ ყველამ სული გატვრინა ახლა, ბოვდუგი რომ კრების წინ დაინახეს გამოსული, რადგანაც დიდი ხანია იმის პირიდგან აღარავის რა გაეგონა. სლუკელას უნდოდა შეეტყო, ბოვდუგი რას იტყოდა.

„მოდგა რიგი, ძმანო პანვე, მეცა ვთქვა სიტყვა!“ დაიწყო ბოვდუგმა. „ყური დამიგდეთ, შვილებო, მოხუცი რას გეტყვით. ბრძნული სიტყვა თქვა კოშევოიმ: როგორც უფროსი ყაზახთა ჯარისა, მოვალე არის მფარველობა გაუწიოს და ჯარის სიმღიდე-ქონებაზე იზრუნოს, ამაზე გონივრულს სხვას ვეღარას იტყოდა! აი, რაა! ეს ჩემი პირველი სიტყვა! ახლა-კი ყური დაუგდეთ, რას გეტყვით მეორე ჩემი სიტყვა. აი, რას გეუბნებათ იგი: ტარასმაც, პოლკოვნიკმა, ლმერთმა ადლეგრძელოს, რომ ამისთანა პოლკოვნიკები მეტი ჰყვანდეს უკრაინასა, ძალიან მართალი სთქვა! პირველი მოვალეობა და პატიოსნება ყაზახისა ის არის, რომ ამხანაგობა დაიცის. რამდენი ხანია აგრე, ვცხოვრობ და არსად გამიგონია, რომ ყაზახს ან თავი დაენებებინოს ამხანაგისათვის, ან გაეყიდოს როგორმე. ისინიცა და ისინიც ორივენი ჩვენი ძმები არიან,—ბევრნი არიან, თუ ცოტანი, სულ ერთია, სულ ამხანაგები, ძვირფასები არიან. აი, ამიტომ რას გეტყვით: ვისაც თათრებისაგან წაყვანილები ენანებათ, ისინი თათრებს გამოეკიდნენ, ვისაც ლიახების მიერ დატყვევებულნი და არ უნდათ უსამართლობა შეაწიონ, ესენი აქ დარჩენ. კოშევოი ერთს ნახევარს. თათრებში გაჰყვება, მეორე ნახევარი-კი თავისთვის ნაკაზნოი ატამანს (დროებით მოადგილე) ამოირჩევს. ნაკაზნოი ატამანათ-კი, თუ ჩემს ჭალარს გაუგონებთ, ტარას ბულბაზე უკეთესს ვერავის ამოირჩევთ. მაგას ჩვენგანი მამაცობაში ვერავინ შეეღრება.“

უთხრა ბოვტუგმა და გაჩუმდა; გაუხარდათ ყაზახებს, რომ მოხუცმა ასეთ კარგ ჭიკვაზე დაირიგა. ისროლეს ქუდები და იწყეს ყვირილი: „გმადლობთ, ბატკო! სდუმდი ერთ-თავად, არას ამბობდი, მაგრამ ბოლოსა სთქვი: ტყუილად-კი არ ამბობდი, სალაშეროდ რომ ემზადებოდი, იქნება ყაზახობას გამოვადგეო: მართლა ასრულდა“.

„თანახმანი ხარ ამაზე?“ — დაეკიახა კოშევოი.

„ყველანი!“ — შეჰყვირეს ყაზახებმა.

„მაშ რადეც გათავდა?“

„გათავდა რადე, გათავდა!“ — ყვიროდნენ ყაზახები:

„ყური დაუგდეთ, შვილებო, ახლა ჯარის ბრძანებას“, უთხრა კოშევოიმ, წინ და ქუდი დაიხურა. ზაპოროჟელებმა მაშინვე ყველამ ქუდები მოიხადეს და თავი ძირს. ჩაჰკიდეს, როგორც ეს ჩვეულებადა ჰქონდათ, როცა ვინმე უფროსი ელაპარაკებოდათ. „გაიყვენით ახლა, ძმანო! ვისაც წასვლა უნდა, მარჯვნივ დადექით, ვისაც დარჩენა — მარცხნივ, საითაც კურენის უმეტესი ნაწილი გადავა, ატამანიც იმას გაჰყვება; თუ მცირე ნაწილი გადავა, ის სხვა კურენებს შეუერთდება“:

გადავიდა ყველა, ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ. საითაც კურენის მომეტებული ნაწილი გადადიოდა, კურენის ატამანიც იმ ნაწილს მისდევდა; მცირე ნაწილი სხვას უერთდებოდა; ამ ნაირად ორთავე მხარეს თანასწორად არ გაჰვდება ხალხი. დარჩენა მოინდომეს: მთელმა ნეზამიკის კურენმა, პოპოვიჩის კურენის მომეტებულმა ნაწილმა, მთელმა უმანის კურენმა, კანევისამ, სტებლიკივსკის კურენის მომეტებულმა ნაწილმა, ტიმოშევის კურენის ნახევარზე მეტმა. დანარჩენებმა გადასწყვიტეს თათრებს, გამოჰკიდებოდნენ. ორთავე მხარეს ბევრი იყო სახელგანთქმული, მამაცი ყაზახია. იმათ შორის, ვინც თათრების გამოჰკიდება გადასწყვიტა, იყვნენ ძველი ცნობილი შეომარი ჩერევატი, პოკოტიპოლე, ლემიში, ხომა პროკოპოვიჩი; დემიდ პოპოვიჩიც იმათ მხარეს გადავიდა, რაკი მოუსვენარი ხასიათისა იყო. და ერთს ადგილის დიდ-ხანს დარჩენა არ შეეძლო. ლიახებთან უკვე სცადა თავისი. ძალა, უნ-

დოდა ახლა თათრებით ეცადა. კურენების უფროსებიდან იყვნენ: ნოსტუგანი, პოკრიშვა, ნევილიჩი და სხვა მრავალი მამაცობით განთქმული ყაზახები, რომელთაც თავისს შძლავრის იარაღისა და მკლავის სინჯვა ახლა თათრებზე უნდოდათ. ბევრი იყო ცნობილი და სახელგანთქმული ყაზახი იმათშიაც, რომ ლებსაც დარჩენა გადასწყვიტეს: კურენების ატამანები დემიტროვიჩი, კუკუბენკო, ვერტიხვისტი, ბალაბან, ბულბას შვილი ისტაბი. ბევრნი იყვნენ სხვა განთქმული ყაზახებიც: ვოკტუზენკო, ჩერევიჩენკო, სტეპან გუსკა, ოხრიმ გუსკა, მიკოლა გუსტი. ზადოროვენი, მეტელიცა, ივან ზაკრუტიგუბა, მოსე შილო, დეგტიარენკო, სიდორენკო, პისარენკო, მერე მეორე პისარენკო, კიდევ სხვა პისარენკო და სხვა მამაცი ყაზახები. ყველა ესენი დიდის ხნის ნაცადი და ნავალი ყაზახები იყვნენ: ყოფილიყვნენ ანატოლიის ნაპირებზე, ყირიმის ვეძებსა და მინდვრებში, დნეპრის ჩართულ ყველა დიდსა და პატარა მიღნარებზე, დნეპრის ყველა კუნძულებსა და შესართავებში: მოლდავთა, მოლოხთა და ისმალთა ქვეყანაში. ნავალი ჰქონდათ მთელი ზავი ზღვა თავის ორ-საჭეან (ქვეყნის ნავებით; თავს დაჭიხიან ერთად ორმოცდა ათის ნავით დღიდსა და შდიდარს ხომალდებს; დაუღუპიათ არა ერთი და ორი ისტორიას კატარლა (ნავი) და დაუწვამთ ვინ იცის რამდენი ტყვიანამალი. არა ერთხელ დაუხევიათ ძეირფასიანრეშუმის ქსოვილები უბრალო ფეხის მჩვრებათა და შარვლის ჯიბეები კიდევ ცესინებით ამოუვსიათ. გარდა ამისა, შეჭმით ხომ იმდენი შეუკამია თვითეულს მათვანსა, რომ სხვას საცხოვრებლადაც ეყოფოდა. ყველაფერი ყაზახურად გაატიალეს: ქირაობდნენ მესაკრავეთ, ჰპატიუბდნენ ქვეყნის ხალხსა და ქეიფოდნენ, რომ ყველას ემხიარულა. ეხლაც იშვიათად რომელსამე მათვანს არ ექმნებოდა დამარხული დნეპრის კუნძულებზე ჩალებში: ვერცხლის ფიალები, კულები, სამკლავურები, რომ თათარი შოულობნელად სეჩს არ დასცემოდა და არ წაელოთ. მაგრამ ვერ იპოვიდა თათარი ამ განძსა, რაღვანაც პატრონებსაც კი აღარ ახსოვდათ, სად ჰქონდათ იგი დაფლული. ასეთები იყვნენ ის

ყაზახები, ვინც დარჩენა და ქრისტეს სარწმუნოებისა და ერთგულ ამხანაგებისათვის მაგიერის გადახდა გადასწყვიტეს! მოხუცმა ყაზახმა ბოვდუგმაც მათთან დარჩენა მოისურვა: „იმ ხანში აღარა ვარ, რომ თათრების უკან გამოკიდება შევძლო, აქ კი შეიძლება ყაზახისათვის სასახელოდ მოვკვდე. დიდი ხანია ვთხოვდი ღმერთსა, თუ მოვკვდე, სჯობს ისევ ომში დავლიომეთქი სული ქრისტიანობის წმიდა საქმისათვის მებრძოლმა. ამისრულდა კიდეც. უფრო სასახლო სიკვდილი მოხუცის ყაზახისათვის სხვა აღარ მეგულება“.

როცა გაიყვნენ და დადგნენ ორ პირად, კურენებათ, ჩამოუარა კოშევოიმ და ჰკითხა:

„აბა, პანვე ძმანო, ერთი შეორესი ხომ ორივე მხარე კმაყოფილნი ხართ?“

„ყველანი, ბატონო, ყველანი!“ უპასუხეს ყაზახებმა.

„მაშ, აკოცეთ, აბა, ერთმანეთს და გამოეთხოვეთ, რაღგანაც, ვინ იცის, ნახავთ-ლა კიდევ ერთმანერთს თუ არა. ყური უგდეთ ყველამ თავისს ატამანსა და პატიოსნება არ შელახოთ, დაიცევით“.

და მართლაც ყველა ყაზახებმა, რამდენიც იყვნენ, ერთმანერთს აკოცეს. პირველად დაიწყეს ატამანებმა: გადისვეს ხელი ჭალარა ულვაშებზე, ორთავ მხარეს გადაჲკოცნეს და მაგრად ჩასჭიდეს ერთმანეთს ხელი, თითქოს ეკითხებიანთ: „რაო, პანე ძმაო, ვნახავთ-ლა ერთმანეთს თუ არა?“ მაგრამ სდუმდნენ, არ უკითხავთ,—თითქოს გამოსაცნობად დარჩათ ორსავე ჭალარა თავსაო. ყაზახებიც ყველა ერთმანეთს ემშვიდებოდნენ, რაღგანაც. ორთავ მხარეს კარგად იცოდნენ, საძნელო. საქმე ელოდათ. მაგრამ მაშინვე არ გაყრილან, შეღამებას დაუცავეს, რომ მტერს ეს მათი გაყოფა და შემცირება არ შეენიშნა. მერე ყველანი თავ-თავისს კურენისაკენ წავიდნენ სასაღილოდ.

სადილს შემდეგ წასასვლელებმა ყველამ ღრმად და გულიანად დაიძინეს, თითქოს გრძნობენო, რომ უკანასკნელად-ლა იძინებდნენ ასე თავისუფლად. მზრს ჩასვლამდე აღარ გამოუ-

ლვიძნიათ; მაგრამ ჩავიდა თუ არა მზე და ცოტათი შებინდდა, მაშინვე ურმებს დაუწყეს მართვა და გასაპნეა. გამართეს კველა-ფერი და ჯერ ურმები გაგზავნეს; თითონაც გამოემშვიდობნენ ერთხელ კიდევ ამხანაგებსა და ჩუმად გაჰყვნენ უკანა. მიჰყვნენ ცხენოსანნიც წყნარად და მშვიდად, უყიუინოდ ქვეითებსა და ოდნავ გატკეპნეს გზა; მალე ბნელაში აღარც კი მოსჩანდნენ. ისმოდა ყრუდ მხოლოდ ცხენის ფეხის ხმა და ზოგიერთა ურ-მის ჭრიჭინი, რომლისათვისაც ბნელაში ან კარგად ვერ წაეს-ვათ საპონი, ან ჯერ კიდევ არ გამართულიყო სიარულში.

დიდ-ხანს უქნევდნენ კიდევ დარჩენილები ამხანაგებს ქუ-დებსა, თუმცა დანახვით ვეღარასფერსა ჰედავდნენ. როცა დაბრუნდნენ ბინებზე, აქ-ღა შენიშნეს გამოკაშკაშებულ ვარს-კვლავებზე, რომ თითქმის ნახევარი ურმები აღარსად იყო და ამხანაგთაგანაც ბევრი, ბევრი არსადა სჩანდა და კველას გულს დასწყდა, უნებურად კველა დაფიქრდა, მოწყენილად თავები ჩაჰვიდეს.

ჰედავდა ტარასი, როგორ მოიწყინეს ყაზახებმა, კველა როგორ დანაღვლიანდა, თუმცა მათს მამაცობას ეს სრულიად არ შეჰქონდა. მაგრამ სდუმდა ტარაი: უნდოდა ამ ნაღვლია-ნობასაც შესჩეროდნენ, დრო გასულიყო. თან კი ამ დუმილის დროს ფიქრობდა, უცბად დაეკრა ყიუინა ყაზახურადა და გაე-ლვიძებინა კველა, რომ კველას უცბად და უფრო მეტის ძალით დაჰბრუნებოდა მხნეობა სულისა, რის ნიჭიც მხოლოდ მარტო სლავიანთა ძლიერსა და ლალს მოდგმასა აქვს; შედარებით სხვებთან, იგი მართლაც ზღვაა: თუ დროა შფოთვის, მთლად ქუხსი, ლრიალებს, თანა ღელავს, ზეირთებს აყენებს, რაიცა სუსტს მდინარეებს არ ძალუდთ; მაგრამ თუ წყნარობს, ქარი არა ჰქრის, შუშასავით ზედაპირს, ამ თვალთა სათუთს სამუდა-მო სანებივროს, თვალ-გადუწვდენელს მანძილზე მზესავ-თ მოიკრიალებს.

უბრძანა ბოლოს ტარასმა მსახურთ ერთი სრულიად ცალკე მდგომი ურემი გაეხსნათ. კველაზე დიდი და მაგარი იყო ეს ურემი მთელს ყაზახთა ბანაკში; თვლებს ორ-პირად მაგარი

სალტეები ჰქონდა შემოჭერილი; მძიმედ იყო დატვირთული, ტყავებით გადახურული და გაფისულ თოკებით დაშარტული ურემი.. ურემში სულ საუკეთესო ძველი ღვინოები იყო ბაკლა-გებითა (დაბალი კასრები) და ბოჭკებით, რომლებიც დიდი ხანია ტარასს სარდაფებში ელავა. წამოელო თან ტარასს იმ შემთხვევისათვის, რომ თუ საღმე დიდებული წამი და ისეთი საქმე შეემთხვეოდათ, რომ ღირსი იქნებოდა შთამომავლობას სახსოვრად დარჩენოდა, ამ შემთხვევაში ყველა ყაზახს გაჰვედ-როდა ეს ძველი ღვინო და ყველას საქმის შესაფერისად დიდე-ბული გრძნობა გაჰვიძებოდა, ყველა შესაფერისად აღფრთო-ვანებულიყო. მოჰკრეს თუ არა ყური პოლკოვნიკის ბრძანე-ბას, ეცნენ მაშინვე მსახურნი, დაკრეს დაშნებით თოკები, დაჰსნეს სქელი ტყავები და ჩულები და ბაკლაგებსა და ბოჭ-კებს დაუწყეს ურმიდან გადმოლაგება.

„გადმოიღეთ ყველა“, უუბნებოდა ბულბა: „სულ გად-მოიღეთ და ვისაც კი რამ გაქვთ: წყლის ამოსავსები, ლაპო-ტები, ფიალები, თათმანები, თუნდ მუქა შეუშვირეთ,— აივე-ვით“.

და ყაზახებსაც ყველას მიჰქონდათ: ზოგს წყლის ამოსავ-სები, ზოგს ხელთათმანები, ზოგს ფიალა, ზოგს ქუდი; სხვები მუჭას უშვერდნენ. ჩამოუარეს ტარასის მსახურთ ყაზახთა წყე-ბებს და უსხავდნენ ბაკლაგებიდან და ბოჭკებიდან ღვინოს. მაგრამ აუკრძალა ტარასმა. მის ბრძანებამდე არავის დაელია. ეტყობოდა სათქმელი ჰქონდა რამე. იცოდა ტარასმა; რომ კარგს ძველს ღვინოს დიდი ძალა ჰქონდა და კაცის გამაგრება შეეძლო, მაგრამ არც ის დაუვიწყნია, რომ ზედ დართულს შე-საფერს სიტყვას ერთი ღრად შეეძლო ამ ძალის გამაგრება და კაცის გამხნევება.

„გპატიუობთ, პანე ძმანო!“ დაიწყო ბულბამ, „არა იმიტომ, რომ ატამანად ამომირჩიეთ, თუმცა ამითი დიდი პატივის ცემა გამომიცხადეთ, არც თუ ჩეენის ამხანაგების გამოთხოვებისა გამო,—არა, თუმცა სხვა დროს ერთსაცა. და მეორესაც აზრი ექმნებოდა; გარემოება ამის ნებას არ გვაძლევს ახლა. წინ გვი-

დევს დიდი და ძნელი საქმე, ყაზახთა მამაცობის გამოჩინებისა! მაში, დავლიოთ, ძმანო, ერთად და უპირველესად ყოვლისა წმიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას ვუსურვოთ: დევ, დაგვიდგვს ისეთი დრო, რომ ყველგან დედამიწაზე ერთი წმიდა სარწმუნოება იყოს გავრცელებული და ყველა ბასურმანები ქრისტეანები იყვნენ! ბარებ ერთად სეჩის საღლეგრძელოც დავლიოთ, რომ დიდ-ხანს იყოს შეურყეველი მუსულმანობის დასათრგუნად, რომ ყოველ წლივ იძლეოდეს ერთი მეორეზე უკეთესა და უმამაცესს ახალგაზრდობას. ამასთან ერთად დავლიოთ ჩვენი საღლეგრძელოც, რომ სახელოვანნი ვყოფილიყოთ და შვილებსა და შვილის შვილებს ეთქვათ, რომ გვყვანდნენ მამაპაპანი, რომელთაც ამხანაგობა არ შეარცხვინეს და თავისს მოძმეთაგანი არავინ გასცესო. მაში, სარწმუნოებისა იყოს, ძმანო პანვე, ეს საღლეგრძელო, სარწმუნოებისა!“

„სარწმუნოების გამარჯვებისა იყოს!“ შესძახა ყველამ ბოხის ხმით, ვინც-კი წინა რიგში იდგა. სარწმუნოების გამარჯვებისა იყოს!“ გაიმეორეს შორს მდგომთ—და ყველამ, დიღმა და პატარამ, ერთად დალიეს.

„სიჩის გამარჯვებისა იყოს!“ დაიძახა ტარასმა და ხელი სულ მაღლა ასწია.

„სიჩის გამარჯვებისა იყოს!“ გაისმა ბოხადა წინა რიგებში „სიჩის გამარჯვებისა იყოს!“ გაიმეორეს წყნარად მოხუცებულებმა და ჭილარა ულვაში ჩაუკრეს ერთმანერთს; შეიფრთხიალეს ახალგაზდებმაც, თითქოს ახალგაზრდა შავარდნები არიან და გაიმეორეს: „სიჩისა იყოსო!“ შორს გაისმოდა მინდვრად, მისდავე სასმენად, როგორ იგონებდნენ სიჩს ყაზახები.

„უკანასკნელი ყლუპი, ძმანო, ჩვენის სახელისა და მთლად დედამიწის ზურგის ქრისტეანთა საღლეგრძელო იყოს!“

და ყაზახებმაც ყველამ დალიეს უკანასკნელი ყლუპი სახელის მოპოვებისა და ყველა ქრისტეანეთა საღლეგრძელოდ, რაც კი დედამიწის ზურგზე ქრისტეანებია. დალიეს, მაგრამ კიდევ დიდ-ხანს ისზოდა კურენებსა და ყაზახების წყებებში: „გაუმარჯოს ყველას, რაც დედამიწის ზურგზე ქრისტეანებია!“

სასმლის ჭურჭელში აღარა ედგათ-რა მაგრამ ყაზახები შაინც ხელ-აშვერილები იდგნენ; მართალია, ღვინისგან ოვალები მთლად გაჭმრწყინვებოდათ, მაგრამ რაღაცა ფიქრს-კი ჩაეშუქებინა შიგა. იმაზე-კი არა ფიქრობდნენ, ვინ რას მოიხვეჭდა, ვის რამდენს ოქროს, ძვირფასს იარალს, ნაკერს ტანთსაცმელს ან ჩერქეზულ ცხენებს არგუნებდა ბედი,—არა; ფიქრობდნენ, როგორც მაღალ, დალიპულ კლდოვან მთათა მწვერვალებზე შემომსხდარი არწივები, საიდგანაც ძირს უსაზღვროდ გართხმული ზღვა შორის-შორად მოსჩანს, როგორ არის მთლად მოფენილი გემებით, ხომალდებით და ნავებით; იქ ნაპირებზე ბუზის ტოლად როგორ მოსჩანან ქალაქები. და ხშირი დაბურული ტყე ბალახივით როგორ ბიბინებს. არწივებივით გასცემეროდნენ ირგვლივ მთელს მინდორს ყაზახები და თავისს ბნელით მოცულს ბედს თითქოს ჰქედვიდნენ. მთელს მინდორსა და მისს მიღამო გზებს მოედება იმათი ძვლები, უხვად მოირწყვება მათის სისხლით, დამტვრეულ ურმებითა, ხმლებით და შუბებით მოიფინება, შორად იქმნება გაფანტული მათი ჩუბიანი თავები, დაგრეხილის და ზედ სისხლ-შემხმარის თმებითა და ჩამოშლილის ულვაშებით; დაესევიან არწივნი და თვალებს ამოსჩიჩქიან. მაგრამ დიდებული და სასახელო იქნება ეს ვრცელი და ფართე სიკვდილის მოედანი! არ იკარგება არასოდეს დიდ-სულოვანი საქმე და არც ყაზახთა სახელი გაჭმრება უნაყოფოდ, როგორც არ იკარგება სულ უმცირესი მტვერი, თოფის ლულიდგან გამომავალი. თეთრ-წვერიანი მოხუცი მეფანდურენი ბევრჯელ მოუთხრობენ შემდეგს მოდგმას ამ გმირთა შესახებ თავისს ძლიერს სიტყვასა, და მათი სახელი მთელს ქვეყანას მოეფინება, ყველა მათ საგმირო საქმეებზე ამეტყველდება, რაღგანაც ძლიერი სიტყვა მოგუგუნე ვერცხლ ნარევ ზარის ხმასავით შორს გავარდება და ქალაქებს, სოფლებს, ქოხებსა და პალატებს ყველას შორად მოეფინება ხოლმე, ყველას ერთნაირად იწვევს სალოცავადა.

18

არავის გაუგია ქალაქში, რომ ნახევარი ზაპოროჟელნი თათრებს გამოეკიდნენ. მართალია, მაზრის სასამართლოს კოშ-კიდან დაინახეს დარაჯებმა (მეუამურთ), რომ ერთი ნაწილი ურმებისა ტყისაკენ გაუდგა გზასა, მაგრამ ეგონათ ჩაესაფრნენ ყაზახებით; ასრევე იფიქრა ფრანგმა ინუენერმაც. ტყუილი არ გამოდგა კოშევოის სიტყვა: ქალაქში მართლაც სასმელ-საჭ-მელი შემოელიათ, რადგანაც, წარსულ საუკუნეთა მაგალითი-სამებრ მოქცეულიყვნენ და არ ეფიქრათ, რამდენი რა დასკირ-დებოდათ. სუადეს გამოსულიყვნენ ქალაქიდან, მაგრამ ნახე-ვარი იქვე ამოსწყვიტეს ყაზახებმა, მეორე ნახევარიც უკანვე შერეკეს ქალაქში ხელცარიელნი.. ისარგებლეს ურიებმა ამ მათის ქალაქიდან გამოსვლით და ყოველივე შეიტყეს: სად და რად წავიდნენ ზაპოროჟელნი; თან რომელი სარდლები გაჰყვნენ, რომელი კურენები და სულ რამდენი წავიდა, ან ადგილობრივ რამდენნი დარჩენენ და რასა ფიქრობენ, როგორ უნდა მოიქცნენ, — ერთი სიტყვით, რამდენისამე წამის. შემდეგ ქალაქში ყოველივე იცავდნენ. გული მიეცათ პოლკოვნიკებსა და საბრძოლად მზადება იწყეს. ტარასმა მოძრაობასა და ხმაუ-რობაზე უკვე შეიტყო, რომ ქალაქში დიდი მზადებაში იყვნენ; ამიტომ თითონაც დაფათურდა, უბრძანებდა, საქმიანობდა: დააყენა სამად ყველა კურენები და გარშემო გალავანივით ურმები შემოარტყა, — ბრძოლის წესისამებრ, რის შემდეგაც ზაპოროჟელნი უძლეველნი იყვნენ ხოლმე. ორ კურენს ჩას-ფრება უბრძანა და ერთს ნაწილს მინდვრისას მთლად მწვეტი პალოები და შუბებისა და ხმალ-ხანჯლის ნამტვრევები შემო-ურიგა, რომ ცხენოსანი მტერი ზედ როგორმე შეეგდოთ. და როდესაც ყველაფერი რიგზე გააკეთებინა, სიტყვით მიშმართა ყაზახებს, იმიტომ-კი არა, რომ გაემხევებინა, არა, უიმისოდაც მხნედ და უშიშრად იყვნენ ყველანი, — ისე: თვითონა პსურდა-აღმოეთქვა, რაც გულში ედო.

„მინდა, პანოვე, გითხრათ, რა არის ჩვენი ამხანაგობა. მამა-
პაპისაგან ყველას გექმნებათ გაგონილი, თუ ჩვენი მამული
ყველასაგან როგორ პატივცემული ყოფილა: ბერძნებისთვისაც
თავი უცნობებიათ, ცარგრადიდგანაც ოქროები წამოუღიათ;
ქალაქებიც მშვენივრები ჰქონიათ, ტაძრებიც, თავადებიც,
რუსთა გვარისა, თავანთები ჰყოლიათ და არა ვითომ-მორწ-
მუნე კათოლიკენი. ყველაფერი ბუსურმანებმა წაიღეს, ყველა-
ფერი დავკარგეთ; დავრჩით მხოლოთ ჩვენ ობლადა და ჩვენი
მამულიც ისრევე დაქვრივებულ-დაობლებულია, როგორც ძლი-
ერს ქმარს შემდეგ ცოლი! აი, ასეთ დროს მივეცით საამჭანა-
გოთ ერთმანერთს ხელი! ამაზეა ჩვენი ამხანაგობა დამყარებუ-
ლი! ამხანაგობაზე წმიდა კავშირი დედამიწის ზურგზე არსად
არსებობს. მამას უყვარს თავისი შვილი, დედასაც უყვარს,
შვილსაც უყვარს თავისი მშობლები, მაგრამ ამხანაგობა სულ
სხვაა, ძმებო: ნადირსაც უყვარს თავისი ლეკვი! მაგრამ უსის-
ხლოდ, სულიერად დამოკეთება და დამეგობრება მხოლოდ
ერთად-ერთს აღამიანს შეუძლიან. სხვა ქვეყნებშიაც იციან
ამხანაგობა, მაგრამ მისი მზგავი ამხანაგობა არსად იქნება,
როგორიც რუსეთშია. ბევრჯელ მოგხდომიათ ყველას უცხო-
ქვეყნად ფალაკარგვა; ჰხედავ: იქაც ხალხია! ისეთივე ღვთის
ქმნილება აღამიანი, როგორიც შენ, ისრევე ემუსაილები, რო-
გორც შენსას; მაგრამ, როგორც-კი საქმე იმაზე შიღვება, რომ
გულითადი სიტყვა უნდა უთხრა, ჰხედავ, გული აღარ მიგწევს!
ჰკვიანი ხალხია. მაგრამ ისეთი არა, როგორიც შენია; შენ
გვარივე ხალხია, მაგრამ არა შენ-სული! არა, ძმანო, ისე სიყ-
ვარული, როგორც რუსს შეუძლიან,— სიყვარული იმას-კი არ
დაერქმევა, რომ გონებით ან სხვა რითიმე შეიყვარო, არა,
სიყვარული მთელის სულით და გულით უნდა, ისე სავსებით,
როგორც ღმერთს გაუჩენიხარ! . . . — სთქვა ტარასმა, გაიქნია
ხელი, ქალარა თავი შეარხია, ულვაში შეათამაშა და განაგრძო;
„არა, ასე სიყვარული არავის შეუძლიან! ვიცი, ჩვენშიაც ბევრი
რამ გაუკულმართდა და გაბედასლდა: ფიქრობენ მხოლოდ იმა-
ზე, რომ პურის ზვინები და ფრთაქცეულები ედგეთ, ცხენის

ჯოგები ჰყვანდეთ, საკუჭნაოში კიდევ გაუხსნელი, დაბეჭდილი ღვინოები ედგათ. ეშმაკმა იცის, რაგვარი ბუსურმანთა ჩევულება არ გადმოიღეს; დედა-ენას აღარა კადრულობენ, თვის-ტომი ერთი მეორეს არ ელაპარაკება; უსულო საგნებივით სავაჭრო მოედანზე ერთმანერთს ჰყიდიან. უცხო მეფისა წყალობა და მეფისაც არა, პოლონელ მაგნატის, იმ მაგნატისა, რომელიც თავისის ყვითელ წალით ცხვირ-პირში სცემს მუდამ, მცირედი წყალობაც კი ამხანაგობაზე ძვირფასად მიაჩნიათ. მაგრამ ამათუცა აქვთ, მანო, რუსობის მცირედი გრძნობა, თუმცა მთლად გაჭვარტლულ-გამურულობა და სხვისამონობა-სამსახურში არიან. ამათშიაც გაიღვიძებს ოდესმე ეს გრძნობა და ბედშვები იატაკს დაემხობიან, იტაცებენ თავში ხელსა და თავისს სამარტვინო საქმესა და სიცოცხლეს საქვეყნოდ შეაჩვენებენ, დანაშაულს ტანჯვით მოინანიებენ. დეე, იცოდეს ყველამ, რუსთა მიწაზე ამხანაგობა რას ნიშნავს! თუ სიკვდილზე მიდგება საქმე, აქაც ვერავინ მათგანი ვერ მოახერხებს ჩვენებრ დალიოს სული, წრუშწუნის ღონე და ძალა ამას ვერ შეაძლებინებთ!“

ეუბნებოდა ატამანი და თან თოვლივით თეთრს, ჭარალა თავს არჩევდა. ძლიერმა სიტყვამ ყველაზედ იმოქმედა, ყველას გულს ჩასწვდა; თვით ხნიერნი და მოხუცნიც კი უძრავად იდგნენ და ჭალარა თავები დედამიწისათვის დაეშტერებინათ; მოხუცი თვალები ცრემლით მოპნამვიდათ და სახელოებით მძრველ იწმენდონენ. ბოლოს, თითქოს ერთმანერთს სიტყვა მისაცესო, ყველამ ერთად გაიქნიეს ხელები და ჭირში ნაცადი თავები შეარხიეს. ეტყობოდა, მოხუცის ტარასის სიტყვებმა ბევრი რამ კარგი და ნაცნობი მოაგონა ყველას, ისეთი, რაც ყველა მწუხარებითა, შრომით, ვაუკაცობით და ყოველგვარ გაჭირვებით ნაწრთობ კაცს მოეძებნება ხოლმე გულში, რაც ჯერ კიდევ ყველა ამის გამოუცდელ, მაგრამ მოხუც მშობელთა სანუგეშოდ და სასიხარულოდ ახალგაზრდათა მარგალიტ სულს უკვე გაუგია, შეუტკბია.

ჭალაჭიდან ამ დროს მტრის ჯარი უკვე გამოდიოდა: ის-მოდა დაფ-დაფისა და საყვირის ხმა, გალავნიდან გამოდიოდა

ნენ დოინჯ-შემოყრილი პოლონელი თავად-აზნაურნი, თვისის ურიცხვ მსახურებით გარშემორტყმულნი. ზორბა და სქელი პოლკოვნიკი განკარგულებას ახდენდა, ბრძანებას აძლევდა. მიესივნენ ყველა ერთად ყაზახთა გამაგრებულ ბანაკებს, ემუქ-რებოდნენ, უმიზნებდნენ შაშხანასა და თან თვალებს აბდლვრიალებდნენ, სპილენძის აღკაზმულობას აელვარებდნენ. როგორც კი ნახეს ყაზახებმა, რომ სათოფეზე მიუახლოვდნენ, დააგრიალეს ყველამ ერთად შვიდ-მუხლიანი შაშხანები და აღარ შეუწყვეტიათ, გაბმით ესროდნენ. შორს გაისმოდა თოფის გრიალი მთელს გარეშემო მინდვრებსა და ყანებში და პოლოს განუწყვეტელ გრგვინვად ერთდებოდა. მინდორი. მთლად ბოლით მოიფინა; ზაპოროჟელები კი ისევ ისე უსვენებლივ ისროდნენ. უკანანი წინა მსროლელთ თოფებს უტენდნენ და ამით მთლად პოლონელთა ჯარი განცვითრებაში მოჰყავდათ: ვერ გაეგოთ, როგორ ასწრებდნენ და როგორა სტენდნენ თოფებს, რომ ასე განუწყვეტლივ ისროდნენ. ორსავე ჯარს შუა ჩამდგარ თოფის წამლის ბოლისაგან აღარა სჩანდა, როგორა ცვიოდნენ დედამიწაზე დახოცილები და ჯარის წყება აქა-იქ როგორა თხელდებოდა. მაგრამ გრძნობდნენ ლიახები, რომ ტყვია სეტყვა-სავით მოდიოდა, საქმე მწვავდებოდა. უკან რომ დაიხიეს და ჯარს თვალი გადაავლეს, ნახეს, რომ ძალიან ბევრი დაპკლებოდათ; ყაზახებს კი სულ ასზე ორი-სამი კაცი არ დაჰიალებოდათ. უშენდნენ ისევ განუწყვეტლივ ყაზახები ტყვიასა და მტერს ერთს წამს მოსვენებას არ აძლევდნენ. თვითონ უცხოელი ინუენერიც განცვითრებული იყო ასეთის უნახავის ტაქტიკი და ამბობდა ყველასთან: „მამაცები ყოფილან ზაპოროჟელნი! ასე უნდა იბრძოდნენ ყველგან, აი!“ მერე ურჩია ზარბაზნები პირდაპირ ზაპოროჟელთა ბანაკისაკენ მიებრუნებინათ. მძიმედ მოიღეს გრიალი პირგანიერმა თუჯის ზარბაზნებმა; დედამიწა შეირყა, გაისმა ზუზუნი და მინდორს უფრო სქლად გადაეკრა ბოლი. შორეულსა და მახლობელს ქალაქებში ქუჩებსა და მოედნებზე ყველგან თოფის წამლის სუნი ავარდა. მაგრამ მიზანი ცოტა მაღლა დაეჭირათ, გამდნარმა ტყვი-

ებმა მაღალი წრე შემოავლეს, საზარელის წუწუნით გადუარეს თავზე ყაზახების ბანაკსა, ლრმად გაარღვიეს დედამიწა, აფეთქ-დნენ და შორის გაიტაცეს ჰაერში შავი მიწა. იტაცა თმაში ხელი ფრანგმა ინუენერმა, რომ ასეთი საქმის არ ცოდნა გამოიჩინეს მსროლელთ და ახლა თვითონ დაუწყო ზარბაზნებს მოწყობა, თუმცა ყაზახები განუწყვეტლივ უშენდნენ ტყვიასა.

შორიდგანვე შეპნიშნა ტარასმა, რომ მთელს ნეზამაიკისა და სტებლიკივსკის ორს კურენს დალუპვა არ ასცდებოდა და შეუყვირა: გამოდით ჩქარა ურმებს რო ხართ მოფარებულნი და ცხენებზე შესხედითო!“ მაგრამ ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ მოასწრებდნენ უთუოდ ყაზახები, თუ დროზე ოსტაპი არ ჩარეულიყო საქმეში: გაარღვია ჯარი და ექვს მეთოჩეს (მეზარბაზნეს) პატრუქები დააყრევინა; ოთხს-კი ვეღარ დააყრევინა, უკუაგდეს ლიახებმა. პატრუქი აიღო მაშინ ხელში თვითონ უცხოელმა ინუენერმა და მიიტანა უდიდეს ზარბაზანთან, რომლისა ტოლიც ჯერ ყაზახებს არსად ენახათ. საზარლად გამოიყურებოდა იგი პირ-დალრენილი და ათასი სიკვდილი შიგ შეპყურებდა. დაიგრიალა-დაიგრგვინა, მასთან ერთად სა-მმა ზარბაზანმა კიდევ სხვამ და დააწყებინეს ყრუდ ზანზარი დედამიწას: ბევრი აზარალეს ძალიან ამ ზარბაზნებმა! არა ერთი და ორი ყაზახის დედა ჩაიკრავს გამხმარს ხელებს გულ-ში, არა ერთი და ორი ქვრივი ატირდება მწარედ გლუხოვსა ნემიროვსა, ჩერნიგოვსა და სხვა ქალაქებში. ბევრჯელ გამოვარდება საბრალო და ჩააცეკრდება თვალებში ყველას, ვინც კი შეპხვდება, ჩემი ძვირფასი სატრფო ხომ არისო; მაგრამ ბევრჯერ გაივლის ჯარი და იმათში იგი სატრფოს ვეღარ ჰპოვებს.

თითქოს ნეზამაიკის კურენის ნახევარი სულმთლად არა ყოფილათ, ისე ამოიულიტა! როგორც სეტყვა არ წამოუვლის ხოლმე ყანასა და მთლად მილეწავს, ძირს დასცემს, ისე ამოხუცა და ამოულიტა საბრალონი.

აენთნენ ყველა ყაზახები! ეკვეთნენ მტერსა! გაცეცხლდა კურენის ატამანი კუკუბენკა რომ, კურენის საუკეთესო ნახევარი

მთლად ამოეულიტა და დანარჩენ ნახევარით შიგ შუა-გულ ჯარში შეერია. კომბისტოსავით აკაფა გაბრაზებულმა ვიღაცა შეფეთებული მეომარი, ბევრი ცხენიდგან გადმოაგდო, სხვები ცხენიანათ შუბს გაატანინა, შევარდა, საღაც მეთოფქენი იყვნენ და ნახა, რომ უმანის ატამანიც იქ იბრძვის, სტეპან გუსკა კიდევ აგერა უმთავრესს ზარბაზანს ართმევს მტერსა. დასტოვა აქ ესენი და თითონ თავისის მეომრებით სხვა მხარეს ეკვეთა შეჯგუფებულს მტერს: საითაც-კი ნეზამაიკელებმა გაიარეს, ქუჩა გაიყვა: ნეს, საითაც შეუხვიეს, — ქუჩის შესახვევი გაკეთდა! სჩანდა პირდაპირ, როგორ ძნასავით ეწყობოდნენ და თხელდებოდა ლიახთა ჯარის წყებები! თვითონ ურმებთან ვოვტუზენ კო იბრძოდა, წინ — ჩერევიჩენ კო, შორეულ ურმებთან — დეგტიარენ კო მერე კურენის ატამანი ვერტიხვისტი. ორ-ორი შელიახტიჩი ააგო დეგტიარენ კომ შუბის წვერზედა და ახლა მესამეს. მიეტია, რომელიც როგორლაც სხვებზე მიუკარებელი იყო თითქოს. მარდი და მაგარის აგებულებისა იყო ლიახი, მშვენიერის მოკაზმულობით მორთული, თან ორმოც და ათამდე მარტო მსახური ახლდა. შეაწუხა ძლიერ დეგტიარენ კო, გადმოაგდო ცხენიდან, შემოუქნია ხმალი და შესძახა: „არ არის, ძალლო ყაზახებო, თქვენში, არც ერთი ისეთი, რომ მე გამიმაგრიდესო!“

„აი, არისო!“ მიაძახა და ყაზახი მოსი შილო გადაუდგა წინ. ღონიერი რამ იყო შილო, არა ერთხელ ყოფილა ატამანად ზღვაზე და ბევრი გაჭირვება უნახავს. შეპრეს ყველანი ტრაპიზონთან და ნავებით ტყვეთ წაიყვანეს, გაუყარეს ხელფეხში რკინის ბორკილი, მთელის კვირაობით არას აჭმევდნენ და მხოლოდ საძაგელს ზღვის წყალს ასმევდნენ.. ყველას ითმენ-დნენ საბრალო ტყვენი, ოღონდ მართლმადიდებელი სარწმუნოება-კი დაეცვათ. ვეღარ მოითმინა ატამანმა მოსი შილომ, უღალატა სარწმუნოებას, გათეღა ფეხით. წმიდა კანონი, მოი-ბურდნა ცოდვილი თავი დოლბანდით (ყალმა), მოიპოვა ფაშის ნდობა და ტყვეების უფროსობა და ვემის მეკუჭნავეობა ჩააბარეს. დაღონდნენ საშინალო საბრალო ტყვეებო რაღვანაც იცოდნენ, რაკი იმათგანი ვინმე-სარწმუნოებას უღალატებდა და

მტარვალებს მიექმნობოდა, უარესად მოეპყრობოდა და სიცოცხლეს ჩამწარებდა, ვიდრე სხვა ურჯულო ვინმე. მართლაც ასრულდა: მოსი შილომ ყველას ახალი ბორკილები დაადო, გადააბა სამ-სამი ერთად, დაძაგრა მაგრა თოკებით და კინწის კვრით თითქმის ყველას კისრები დასწყვიტა. მაგრამ, როგორც კი დაიმედდნენ ოსმალნი, რომ ურთგული ყმა ვიშოვნეთო და რჯულის წინააღმდეგ ლამაზად გამოთვრნენ, მოიტანა მაშინვე შილომ ყველა სამოცი გასაღები, დაურიგა ტყვეებს, რომ ბორკილები დაეხსნათ და ზღვაში გადაეყარათ, მისუა ყველას ხმლები და მთლად ამოაულეტინა ოსმალნი. დიდი სიმღიდე და ქონება წამოიღეს და დიდი სახელით დაბრუნდნენ მაშინ ყაზახები სამშობლოში და დიდ-ხანს უქებდნენ მოსი შილოს ვაჟკაცობასა და ერთგულობას მეფანდურენი.

„მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თქვენისთანა ძალ-ლებსა ჰქოცენო!“ უპასუხა მან და მტერს ეკვეთა. შეიქმნა ხმლის ტრიალი! დააჭრეს ერთმანერთს სამხრეები, ჩაეჯეჯკათ და დაელუნათ ორივეს სამკერდები. ლიახმა შილოს რკინის პერანგი მთლად ჩაფქხილა, ხმალშა, კანამდე უწია, პერანგი მთლად შეეღება. მაგრამ არ მიაქცია ამას შილომ ყურადღება და რაც მკლავში ღონე ჰქონდა, მეტგრად შემოუქნია (ძვალ-სხვილი და ღონიერი იყო შილო) ხმალი და უცბად სთხლიშა. დაემსხრა სპილენძის ჩაჩქანი, წაიბარბაცა და რახვანი მოსხრა ლიახსა; შილო-კი მიადგა და დაუწყო თავბრუდასხმულს აჩეხვა. ნუ სჩეხავ მტერსა, ყაზახო, სჯობს მიიხედო უკანა! არ მიიხდა ყაზახმა და მოკლულის ერთმა მსახურთაგანმა ყელში დანა დააბჯინა; მობრუნდა შილო და ბედს აწყევლინებდა უთუოდ გამშედავს მსახურს, მაგრამ თოფის წამლის ბოლმა დაპფარა. ყველა მხრიდან თოფს გაჰქონდა გრიალი. წაბარბაცდა შილო და იგრძნო, რომ სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. დაეცა, დაიდო ხელი ჭრილობაზედა, მიუბრუნდა ამხანაგებსა და უთხრა: „მშვიდობით, ძმანო, ამხანაგნო! შეურყეველი და სახელოვანი იყოს, დეე, მარატის მართლმადიდებელ რუსთა მიწა-წყალი!“ დახუჭა შილომ მოუძლურებული თვალები და სული 7

მკაცრს ხორცს გაჭრორდა. იქით მოდიოდა თავისს მეომრებით ზადოროუენი, აქეთ კურენის ატამანი ვერტიხვისტი მოარღვევდა მტრის ჯარსა; გამოჩნდა ბალაბანიც.

„აბა, პანოვე“, გამოეხმაურა ტარასი კურენების ატამანებსა: „გაქვთ კიდევ წამალი სასწრაფოებში? ჯერ ხომ ძალა არ შეჰსუსტებიათ ყაზახებს, ჯერ ხომ არ გატეხილან?“

„ჯერ კიდევა გვაქვს, ბატკო, წამალი; ჯერ ძალა არ შეგვსუსტებია; არ გავტეხილვართ ჯერა!“

ეკვეთნენ მედგრად ყაზახნი და მტრის ჯარის წყებები მთლად ერთმანერთში არის. უბრძანა მაშინ დაბალმა პოლკოვნიკმა და რვა ნახატი ბაირალი ააფრიალეს, რომ მთელს მინდორში გაფანტული ჯარი ერთად შემოეკრიბათ. ლიახები მაშინვე ბაირალებისაკენ გაექანნენ; ჯერ კიდევ არ დამდგარიყვნენ წყობისად, რომ ნეზამიაკელთა კურენის ატამანმა კუკუბენ კამ წაძოუტია, შევარდა შიგ შუა-გულ ჯარში და დიდ-მუცელა პოლკოვნიკს შეუტია. ვეღარ შესძლო პოლკოვნიკმა წინააღმდეგობა, მიაბრუნა ცხენი და გაქტროლა; დიდ-ხანსა ს-დია ასე კუკუბენ კამა, რომ თავისს რაზმთან ვეღარ მისულიყო. დაინახა ეს იქვე, სხვა მხარეს მდგომ კურენიდგან სტეპან გუსკამა, გააკრა თავი მთლად ცხენის კისერსა და ქამანდით გამოეკიდა; თიდროვა თუ არა, ესროლა ქამანდი და კისერში მოსდომ: წამო-ჭარხლდა მთლად პოლკოვნიკი და ორისავე ხელით თოკს დაუჭიდა, რომ როგორმე გაეწყვიტა, მაგრამ ამაოდ. გააქანა გუსკამ შუბი და პირდაპირ მუცელში ჩასცა. იქვე დარჩა საბრალო მიწაზე მიქედილი. მაგრამ არც გუსკას დაეყარა ხეირი!

ვინემდის მიიხედვილენ, გუსკა უკვე შუბებზე აეგო თხხს ლიახსა. ამის თქმა ძლიერს-და მოახერხა საბრალომ: „ამოწყდნენ დეე, ყველა ჩვენი მტრები და იხაროს რუსთა მამულმაო!..“ და სული დალია.

მიიხედეს ყაზახებმა და ნახეს, რომ ახლა ყაზახი მეტელი-ცა უმასპინძლდება ლიახებსა და ხან ერთს, ხან მეორეს აფორიაქებს; მეორე მხარეს კიდევ ატამანი ნევილიჩი მიჰსევია; ურმებთან ზაკრუტიგუბა ებრძვის მტერსა; იქით, უფრო შო-

რეულ ურმებთან, მესამე პისარენკომ დაირეკა მთელი გროვა მტერი; სხვა მხარეს კიდევ პირდაპირ ურმებიდან ებრძვიან მტერსა.

„რაო, პანოვე“, გაუარა წინ და შესძახა ტარასმა ხელ-ახლად: „გაქვთ კიდევ წამალი სასწრაფოებში? ძალა ხომ არ გამოგლევიათ? ჯერ ხომ არ გასტეხილხართ?“

„ჯერ კიდევა გვაქვს, ბატკო, წამალი; ძალა ჯერ არ შეგვსუსტებია; არც გავტეხილვართ ჯერა!“

და აგერა გადმოაგდეს ურმიდან ბოვდუგიც. შიგ გულში ჰქონდა მოხვედრილი საბრალო მოხუცს ტყვია, მაგრამ მაინც ძალა შემოიკრიბა და სთქვა: „არ ვნანობ, რომ ქვეყანას ვშორდები. ღმერთმა ყველა შეასწროს ასეთს სიკვდილს! დე, მარა-დის ვანთქმულ იყოს რუსთა მამული!“ და ბოვდუგის სულიც ზე აღემართა, რომ დიდის ხნის მიცვლილ მოხუცთათვის ეამბნა, როგორ იბრძვიან რუსნი და წმიდა სარწმუნოებისათვის როგორ იკლავენ თავსა.

მალე კურენის ატამანი ბალაბანიც დაეცა მიწაზედ. სამგან დასჭრეს სასიკვდილოდ — შუბით, დაშნით, ტყვიით. ბალაბანიც ერთი უმამაცთაგანესი ყაზახი იყო; ბევრჯელ გადიხადა საზღვაო ლაშქრობა თავისს ატამანობის დროს, მაგრამ ყველაზედ სახელოვანი ლაშქრობა ანატოლიის ნაპირებზე იყო. ბევრი წამო-იღეს ცეხინებიც (ფულია), ძვირფასი ოსმალური ავეჯი და სამყალიც, მაგრამ უკან დაბრუნებისას უბედურება შეემთხვათ: ოსმალოთ ზარბაზნები დაუშინეს. ესროლეს გემიდგან და ნა-ხევარი ნავები ნაფოტებივით იიტაცა, დააბზრიალა, გადმო-აბრუნა და ბევრიც დააღრჩო. მაგრამ მთლად დაღუპვას ნავე-ბის გვერდით მიბმულმა ჩალის კონებმა გადაარჩინეს. მოუსვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდნა, ნიჩაბი ბალაბანშა, ნავი მზის პირდაპირ დააყენა და გემისთვის უჩინარი შეიქმნა. მთელს ლამეს მერე ქუდებითა და ამოსავსებებით იღებდნენ ნავიდგან წყალსა და თან ნახვრეტებს უკერებდნენ; დასჭრეს მერე საკუთარივე პერანგის შემდეგები, დააკეთეს იალქნები და სწრა-ფს ოსმალთა ხომალდს როგორც იყო გაექცნენ. გარდა იმი-

სა, რომ თვითონ არ დაბრუნდნენ ხელცალიერები სეჩში; მოუტანეს კიევის მეუიგორსკი მონასტრის არხიმანდრიტს ოქროთი ნაკერი საფილონედა ზაპოროჟიის მიძინების საყდარს კიდევ ვერცხლის სამკაული. დიდ-ხანს უქებდნენ მერე მეფანდურენი ყაზახებს გამარჯვებასა. ჩატკიდა თავი ბალაბანმა, რომ ნახასასიკვდილო ჭრილობას ვეღარ გადავურჩებიო და წყნარის ხმით წარმოსთქვა: „ვგონებ, რომ სახელოვანადა ვკვდები, პანვეე-მმანო! შვიდი ავჩეხე, ცხრა შუბს ავაცვი, ბევრი ცხენს გავატანიე, ტყვია რაღამდენს შევძლვენი, ეს-კი არ ვიცი. დეე, ჰყვაოდეს მარადის რუსთა სამშობლო, ძმანო!....“ სთქვა ესა და სული განუტევა.

ყაზახებო, ყაზახებო! ჯარის თვალს მაინც ნუღარ ჩაუგდებთ მტერს ხელში! კუკუბენკას შემოეხვივნენ. მთელის ნეზა-მაიკის კურენიდან შვიდი კაცი-ლა დარჩა, მაგრამ ესენიც ძლივს-ლა იგერიებენ მტერსა. კუკუბენკას ტანისამოსი მთლად სისხლითა აქვს მოთხვრილი. თვითონ ტარასიც გაეშურა მისაშველებლად, მაგრამ გვიან-ლა იყო, ვეღარ მიუსწრეს: ვინემდის მტერს მოაცილებდნენ, გულში უკვე ღრმად დაესვათ შუბი. ნელად დაეშვა კუკუბენკა მიმშველთა ხელზე და ნორჩმა სისხლმა შაღრევანივით გადმოხეთქა, თითქოს ძვირფასი ღვინო მოჰქონდათ მსახურთ შუშის ჭურჭლით და გაუფრთხილებლობით, სწორედ შესავალ კარებთან წაუსხლტათ ფეხი და დაღვარესო. იტაცა თავში ხელი და მოვარდა სახლის უფროსი, რომელიც თავისს სიცოცხლის საუკეთესო შემთხვევისათვის თურმე ინახავდა ამ ღვინოს: იქნება ღმერთმა მომასწროს და მოხუცებისას ახალგაზრდობის ამხანაგს შევხვდე ვისმე და იმასთან ერთად მოვიგონო წარსული, როცა კაცი სხვა რიგ და უკეთ მხიარულობდა ხოლმეო... მიმოავლო თვალი კუკუბენკამ გარშემო ყველას და სთქვა: „მადლობა ღმერთს, ამხანაგებო, რომ თქვენ თვალ-წინ მაღირსა სიკვდილი! დეე, ჩვენს შემდეგ უფრო უკეთესო ეცოცხლოსთ, ვიდრე ჩვენა ვართ და ქრისტეს მიერ შეყვარებული რუსთა მიწა-წყალი მარადის გამშვენებული იყოსო!...“ და ნორჩი სული ხორცი

გავშორდა. დასტაცეს ხელი ანგელოსთ და ზე-აიტაცეს. კარგს დღუში იქნება კუკუბენკა ზეცად. „დასჯედ მარჯვენით ჩემდა, კუკუბენკა!“ ეტყვის ქრისტე: „არ უღალატე ამხანგობას, უპატიოსნო არა ჩაიდინევი-რა, უბედურობის დროს კაცი არ გაეცი და ეკკლესიას მუდამ იცავდი და მფარველობდი“. კუკუბენკას სიკვდილმა ყველა დააღონა. ყაზახთა ჯარის წყებებიც უკვე ძალიან შეთხელდა; ბევრი მამაცი მეომარი იკლდათ უკვე, მაგრამ მაინც მაგრად იდგნენ, კიდევ იბრძოდნენ.

„რაო, პანოვე“, გამოეხმაურა დანარჩენს კურენებს ტარასი: „კიდევ გაქვთ წამალი სასწრაფოებში? ხმლები ხომ არ დაგიჩლუნგდათ? დალლილობა ხომ არ შემოგეპარათ? ჯერ ხომ არ გატეხილხართ?

„კიდევ გვეყოფა წამალი, ბატკო; კიდევ გვიჭრიან ხმლები; ჯერ არ დავდლილვართ, არ გავტეხილვართ!“

და ხელ-ახლად მედგრად მიესივნენ მტერს, თითქოს ჯერ არავითარი ზარალი არ უნახავთო. სამი კურენის ატამანი-ლა დარჩა ცოცხალი. ყველგან წითელი სისხლის რუები მიღიოდა; დახოცილ ყაზახთა და ლიახთა გვამებისაგან გორები დამდგარიყო. შეჭხედა ტარასმა ზეცასა და დაინახა, რომ სონღულთა გუნდი გადაფრინდა. ვილასაც გაახარებს დღეს ბედი! და აგრ, მეტელიცაც შების წვერზედ ააგეს. გაგორდა მეორე პისარენკოს თავიც და ოვალები დაეხუჭა; ოხრიშ გუსკაც თხხათ გაკვეთილი დაეცა მიწაზე. „აბა!“ დაიძახა ტარასმა და ხელსახოცი აიქნია. ინიშნა ოსტაპმა, გამოვიდა საფარიდამ და მტრის ცხენოსანს ჯარს ძლიერად მიეტია. ველარ შეიმაგრეს თავი ლიახებმა და ოსტაპმაც იქით გაირეკა, სადაც მინდორი პალოებითა და შუბ-ხმალ-და-შნების ნამტვრევებით იყო მოფენილი. დაიწყეს ბორბიკი ცხენებმა და ლიახები ყირა-ყირა ცვიოდნენ. რომ ნახეს ურმებს უკან სულ ბოლოში მდგომმა ვორსუნელებმა, ახლა-კი მიუწევს ტყვიაო, იმათაც უცბათ თოვები დაუშინეს. აიბნივნენ და აირივნენ ლიახები; ყაზახებს გული მიეცათ. „ესაც ჩვენი გამარჯვება!“ გაისმოდა ყველა მხრიდგან ზაპოროჟელების ხმა და საყვირსა ჰკრეს, გამარჯვების დროშა ააფრიალეს. მი-

რბოდნენ ყველა მხრიდგან და იმალებოდნენ ლიახნი. „არა, ჯერ კიდევ ეს გამარჯვება არ არის!“ გაჰყურებდა ტარასი ქალაქის გალავნის კარებებსა და იძახოდა. მართალიცა სთქვა.

გაიღო გალავნის კარები და გამოჩნდა ყველაზე უკეთესი, ცხენოსანი. გუსართა რაზმი. ერთნაირს წაბლის ფერს ბედაურებზე ისხდნენ ყველანი და წინ მოუძღოდათ, მოჰქროდა ყველაზე მარდი, ყველაზე ლამაზი გმირი, რომლის შავი თმები და ხელზე დახვეული ძვირფასი, ლამაზ ქალის ნაკერი შარფიც საამურად მოფრიალებდნენ. გაშრა, გაშტერდა ტარასი, რო ნახა ეს ანდრია იყო. ანდრია-კი, ბრძოლის სურვილით გატაცებული, მსურველი მკლავზედ დახვეულ საჩუქრის დამსახურებისა, ახალგაზრდა მწევარივით მიჰქროდა მალი, ლამაზი, მთელს გუნდში ყველაზე უახალგაზრდესი. მიუტრა გამოცდილმა მონადირებ ძალლი და იგიც ისარივით გაექანა, მთლად გვერდზე გაწვა, მიწას გაერთხო თითქმის, თან თოვლს მიარღვევდა და სირბილით გატაცებული ერთი ათად წინ უსწრობდა თავისს მსხვერპლს—კურდღელსა. შედგა მოხუცი ტარასი და დაუწყო ცქერა, როგორა სჩედდა, მიერეკებოდა და ისუფთავებდა გზას, მარჯვნივ და მარცხნივ ყველას როგორა ჰსხეპდა ანდრია. ვერ მოითმინა ტარასმა და შეუყვირა: „როგორ? შენებსა ჸხოცა, შენებს, შე ეშმაკის შვილო?“ მაგრამ ანდრიას არა ესმოდარა, თავისებს ჸხოცდა, თუ სხვებს; ველარასა ჸხედავდა. ჸხედავდა მხოლოდ გრძელს ხუჭუჭებსა და წყლის ბატისავით თეთრს გულ-მკერდს, თოვლივით თეთრს ყელსა და მხრებს, ერთი სიტყვით—, რაც-კი გამაგიუებელ კოცნისათვის არის შექმნილი.

„ეი, ბიჭებო! ტყისაკენ გამოიტყუეთ როგორმე ერთი, ტყისაკენ!“ შეჰყვირა ტარასმა. და მაშინვე გამოვიდნენ მართლა ოც და ათიოდე სულ მარდი ყაზახები, რომელთაც გადასწყვიტეს ტარასისათვის სიტყვა შეესრულებინათ. გაისწორეს მაღალი ფაფახები და პირდაპირ გუსარებისაკენ გაექანენ გზის მოსაჭრელად. მიეკრნენ გვერდიდგან, გაარღვიეს, უკანებს წინანი მოსწყვიტეს, ამას, იმას გაუსვ-გამოუსვეს, გოლოკოპი-

ტენკომ კიდევ ანდრიას პრტყლად უთავაზა ზურგში ხმალი და რაც ძალი და ლონე ჰქონდათ, იმავ წამს გამოექცნენ. აენთო ანდრია! აუღელდა ძარღვებში ნორჩი სისხლი! შემოჰკირა მწვეტი დეზები ცხენსა და გამოეკიდა ყაზახებსა, თუმცა ველარა ჰხედავდა, რომ სულ ოცი კაცი ძლივს-ლა მისდევდა უკან. ყაზახები-კი მიჰკროდნენ, რაც ძალი და ლონე ჰქონდათ და პირდაპირ ტყისაკენ შეუხვიეს. წაურია ცხენსა და ის იყო უნდა გოლოკოპიტენკოს წამოსწეოდა, რომ უცბად ვიღამაც ცხენის სადავეში ძლიერი ხელი უტაცა. მიიხედა ანდრიამ და ნახა, რომ მის წინ ტარასი იდგა! აუცახცახდა მთლად ტანი, გადაფითრდა. ასე დაემართება ხოლმე შეგირდსაც: გაუფრთხო—ლებლობით მოარტყავს რასმე ამხანაგსა და ისიც სამაგიეროდ სახაზავს უთავაზებს შუბლში. აენთება და გაცოფდება სიბრა-ზისაგან, გამოვარდება საჯდომ. პარტადან და შეშინებულს. ამხანაგს გამოეკიდება, რომ შეაზე გაგლიჯოს, — მაგრამ ამ დროს უცბად კლისის კარებში მასწავლებელს შეეხეჩება: უზომო სიბრაზე და უძლური მრისხანება უცბად გადუვლის, დაცხება, დაწყნარდება. ანდრიასაც შეგირდივით ასე უცბად გადაუარა მრისხანებამა. ახლა იგი თვალ-წინ მხოლოდ საზარელს მამას-ლა ჰხედავდა.

„აბა, რა ვემნათ ახლა?“ — ჩაეკითხა ტარასი და პირდაპირ თვალებში დაუწყო ცქერა. მაგრამ ანდრიას ამაზე არაფრის თქმა არ შეეძლო, თვალები დედამიწისათვის დაეშტერებინა.

„რაო, შვილო, გიშველეს ლიახებმა?“

ანდრია ხმას არ იღებდა.

„ასე უნდა ლალატი? ლალატი სარწმუნოებისა? თავისებისა? ჩამო ცხენიდან!“

ბავშვისავით მორჩილად გადმოხტა ცხენიდანა და ცოცხალ-მკვდარივით გაჩერდა ტარასის წინა.

„იდექ, არ გაინძრა! მე გშობე, მევე უნდა მოგკლა!“ სათქვა ტარასმა, გადადგა ერთი ნაბიჯი უკანა და მხრიდგან თოფი გადმოილო. ნაცარივით გაფითრებულიყო ანდრია. ეტ-ყობოდა, რომ ჩუმად ტუჩებს ამოძრავებდა, ვიღასაც სახელი

ახსენებდა,—მაგრამ არ იყო იგი არც სამშობლოსი, არც დედისა, არც ძმების სახელი,—არამედ ლამაზ პოლიაჩვასი. დაცულა თოფი ტარასმა.

ნამგლით მოსხეპილ პურის თავ-თავივით, ბატკანივით გადააგდო თავი ანდრიამ და ბალახზე გაიშალა, გულში სასიკვდილო ტყვია იგრძნო, ხმა აღარ ამოულია.

შედგა მერე შვილის მკვლელი და უსულო გვამს დაუწყო ცქერა. მკვდარიც ლამაზი იყო იგი: ახლად ღონე მოკრებილი ვაჟკაცური სახე, თავისის უძლეველის მომხიბლველობით ქალთათვის, ჯერ ისევ მშვენიერის სილამაზის გამოძეტყველი იყო. სამგლოვიარო ხავერდივით შავი წარბები მისს მიმკრთალებულ სახის მოხაზულობას მეტს გამორკვეულობას აძლევდა. „რით არ იქმნებოდა ყაზახი?“ ჩაილაპარაკა ტარასმა: „ტანი მაღალი, შავი წარბი, სახე ნაზი, კეთილშობილი, მკლავი მაგარი ბრძოლაში? დაიღუპა! ძალლივით უსახელოდ დაიღუპა ბედას-ლად!“

„ბატკან, რა ჰქენი! შენ მოჰკალ?“ ჩაეკითხა ამ დროს მისული ოსტაპი.

ტარასმა თავი დაუქნია.

დააშტერდა ოსტაპი მოკლულს ძმას თვალებში, შეებრა-ლა და უთხრა მამასა: „მიწას მაინც მიევაროთ, რომ მტერმა არ შეაგინოს, მტაცებელმა ფრინველმა არ შესჭამოს, არ მოიტაცოს.“

„უჩვენოდაც დაშარხავენ! ჭირისუფლები და ნუგეშის მცემელნი გაუჩნდებიან!“ მიუგო ტარასმა.

და რამდენსამე წამს ისევ იმის ფიქრში იყო: დაეტოვებინა. ისე ფრინვლისა და მგლის შესაჭმელად, თუ რაინდულ ვაჟკაცულისათვის ეცა პატივი, რომელსაც ყველა მამაცი უნდა აფასებდეს, ვინც უნდა იყოს იგი,—რომ ამ დროს ცხენი მიახეთქა გოლოკოპიტენკომა: „უბედურობა გვეწვია, ატამანო, ლიახებს ახალი ჯარი მოეშველათ, გამაგრდნენ!..“ ჯერ არ გაეთავებინა ამისი თქმა გოლოკოპიტენკოსა, რომ ახლა ვოვტუ-

ზენკომ მთაქროლია ცხენი: „გაგვიჭირდა, ატამანო, ახალი ჯარი მოეშველათ კიდევ!..“ არ გაეთავებინა ვოვტუზენკოს, რომ ახლა პისარენკომ მოიჩინა ქვეითად: „ბატკო; სადა ხარ? ყაზახები გეძებენ. დახოცეს კურენის ატამანები—ნეველიჩი, ზალოროვნი, ჩერევიჩენკო. მაგრამ ყაზახები მაინც მაგრობენ, არ უნდათ შენ უნახავად დაიხოცნენ: უნდათ. სიკვდილის წინ თვალი კიდევ გადაავლო“.

„ცხენზე, ოსტაპ!“ შეუძახა ტარასშა და გაეშურა, რომ ყაზახებისათვის დაეხედა, სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ ენახათ თავისი ატამანი. მაგრამ ჯერ ტყიდან არ გამოსულიყვნენ, რომ მტრის ჯარი უკვე გარს შემოპრტყმოდათ, ხეებს შუა, ყველგან შებ ამოწვდილი, ხმალ ამოღებული ცხენოსანი მეომრები მოჩანდნენ. „ოსტაპ! ოსტაპ! არ ეძლევინო!“ ყვიროდა ტარასი და ხმალ ამოღებული სჩეხავდა მარჯვნივ და მარცხნივ მტერსა. ოსტაპს ამ დროს ექვს-ექვსი კაცი შემოეხვია გარსა; მაგრამ ყველას ანანა: ერთს თავი მოსწყვიტა, მეორე გადააბრუნა, მესამეს გვერდში შები გაუტარა, მეოთხე უფრო მარტი გამოდგა, მთარიდა თავი ტყვიასა და ცხელ-ცხელი ტყვია ცხენს ეცა მკერდში: შედგა გაგიჟებული ცხენი ყალხზედა, დაეცა დამხედარი ქვეშ მოიყოლა. „ეგრე, შვილო! ყოჩალ, ოსტაპ!“ უყვიროდა ტარასი: „აი, მეც უკან მოგდევ!“ და მისეულს მტერს იგერიებდა. მიერეკება და სჩეხავს მტერს ტარასი, ხან ერთს უთავაზებს, ხან მეორეს და თან ოსტაპს თვალს არ აშორებს. ჰედავს ტარასი, რომ ახლა ერთად რვა კაცამდე დაეხვია ოსტაპსა. „ოსტაპ! ოსტაპ! არ ეძლევინო!“ უყვირის ტარასი მაგრამ იმორჩილებენ უკვე: აგერ, ერთმა ქამანდიც მოსდო ყელზე, კიდევაც შეჲკრეს, მიჲყავთ კიდევაც. „ეჲ, ოსტაპ, ოსტაპ!...“ მიჲყვირის ტარასი და გზას მიარღვევს შვილისაკენ, შენაფეთებ მტერს, წინ, თუ გვერდით, კომბისტოსავით ჰეფავს და სჩეხავს. „ეჲ, ოსტაპ, ოსტაპ!...“ მაგრამ აგერ მასაც მოსდეს მძიმე ქვასავით რაღაცა. თავსბრუ დაეხვა, თვალთ აერია,

ერთს წამს ყველაფერი: თოფები, შუბები, კვამლი, ცეცხლის
შუქი, ხის ტოტები და ფოთლები—თვალ-წინ აებლანდა, აე-
რია,—და მოჭრილ მუხასავით მძიმედ მოიღო ჩახვანი. თვალთ
დაუბნელდა.

ან-ანი.

(დასასრული იქნება)

„ს ა მ ნ ი“

მ. გორგაძეს

თარგმნილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ

პირველ ხანობას პაშკის დაკარგვის შემდეგ, ილო რაღა-
საცინაკლისებდა, მაგრამ ისევ მალე გაიტაცა ფანტაზიით შექმ-
ნილმა ცხოვრებამ. ბავშვებმა ისევ წიგნების კითხვას მიჰყვეს
ხელი და ილო ტკბილს ბურანში წავიდა.

გამოლვიძება მოულოდნელი და უხეში იყო მისთვის. ილო
ჯერ ისევ სკოლაში დაიარებოდა, რომ ხშირად ესმოდა ხოლმე
ბიძისაგან:

— იი, საცაა სწავლასაც გაათავებ... თოთხმეტი წლისა
შესრულდები... — ეხლა კი დროა ადგილი მოვიძებნოთ...

— უშოვნით! — შესძახებდა ხოლმე პეტრუხა. — ამოდენა
ნაცნობებში ეგ გამიჭირდება?.. იაშკას არ უნდა ადგილის ძე-
ბნა, იმისთვის მომზადებულია! ერთი წელიწადი კიდევ ეთრიოს
და მერჩე კი დახლოს მოუდგება! შენ კი, ტარენტი, სხვა დუ-
ქანს გაგიღებ ახლო სადმე. იჯეჭი და ივაჭრე პატრონისებ,
მხოლოდ ანგარიშს მომცემ ხოლმე... ეჭ, გმაღლობ შენთვის
ღმერთო, რომ უნუგეშო არ დამტოვე და ცოტა რამ საცხოვ-
რებელი მომეცი!

ილოს ეგონა ეს ლაპარაკი საიდანაც შორიდამ მესმის,
და იმიტომ ვერ გამომირკვევია ვერაფერიო. მას თავი და გული

სულ სხვა ფიქრებითა ჰქონდა მოცული და ეგენი არც აინტერესებდნენ და არც თუ რამე აზრს უღვიძებდნენ. მაგრამ ერთხელ ბიძამ აღრიანად წამოაგდო და უთხრა:

— აბა, ერთი კარგა მოიბანე პირი და რაც შეიძლება ჩქარა ჩიცუვი ტანთა...

— საღ უნდა წავიდე? — ჰქონდა ნამძინარევმა ილომ.

— ადგილზედ გაყენებთ! ვიშოვნეთ, მაღლობა ლმერთსა!. თევზეულობის დუქანში იქნები..

ილოს რაღაც წინაგრძნობამ უკბინა გულზედ. წინანდელი სურვილი რომ მოშორებოდა როგორმე ამ სახლს, რომელშიაც ყველაფერი იცოდა და მეტად მოებეზრებინა ამისთვის თავი უცბათ დაეკარვა და ერთ წუთს ამ ოთახის სიძულვილი სიყვარულზედ შეეცვალა, ის ეხლა სუფთა, ნათელ და ფაქიზ ოთახად ეჩვენა. წამოჯდა ტახტზედ და იატაკს ჩააცქერდა, ტანისამოსის ჩაკრიცა აღარ უნდოდა. ოთახში დაღონებული და თავ დაუვარუხნელი იაკობი, შემოვიდა, ცერად გადაჭხედა ამხანაკს და უთხრა:

— ჩქარა, მამა გიცდის... ხომ შემოივლი წლომე კიდევ ჩვენ კენა?

— ვივლი მა რა!..

— ეგრე... მაშოსთან შეიარე, გამოეთხოვე..

— სამუდამოდ ხომ არ მიკდივარ, — უთხრა გაჯავრებით ილომა.

მაგრამ მაშო თითონ მოვიდა, კარებში გაჩერდა და ნაღლიანად წარმოსთქვა.

— ესეც შენი მშვიდობით!...

გაჯავრებულმა ილომ მძლავრათ გაჰყო მკლავი ბლუზაში კინალამ გახია სახელო და შეიგინა. იაკობმა და მაშომ ერთად ამოიოხრეს.

— უეპელად შემოიარე ხოლმე, გესმის? — უთხრა იაკობმა,

— ეპპ! კარგი! — მკაცრად უპასუხა ილომ.

— აჲ, როგორ იპრანჭება კიდევკა. ვაჭარი გამიხდა!, — შენიშნა მაშომ.

— ეჭვ, შე სულე-ლო! — ჩუმათ და საყვედურით უთხრა ილობ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ილო ქუჩაზედ მიაბიჯებდა და გვერდზედ, გრძელ სერთუკში და ჭრაჭუნა წალებში გამოწყობილი, პეტრუხა მისდევდა და მამობრივი-დარიგებითი კილოთი ეუბნებოდა:

— მე შენ ეხლა მთელ ქალაქში ცნობილ და პატივცემულ კაცთან მიყევხარ, კირილ ივანის სტროგანოვთან.. კეთილი და ლმობიერი გულისთვის იმას მენდლებიც კი აქვს მიღებული, მაშ! და ხმოსნადაც არის ქალაქის საბჭოში არჩეული, მალე ქალაქის თავათაც აირჩევენ. სიმართლით და ერთგულად ემსახურე და, სხვათა შორის, კაცად გამოგიყვანს შენ გაფუჭებული ბიჭი არა ხარ, ჰკუა და ხერხი არ გაკლია... იმას არაფრათ ულირს, რომ სიკეთე უყოს. კაცა, ეს იმისთვის ისევე ადვილია, როგორც ჩვენთვის გაფურთხება...

ილო ყურს უგდებდა და სცდილობდა როგორმე წარმოედგინა სტროგანოვი. რაღაც მიზეზით იმას ეგონა, რომ სტროგანოვი პაპა ერემეის უნდა ჰგავდესო, — ისევე გამხდარი, კეთილი და მაღლიანი სახისა უნდა იყვესო. მაგრამ თევზეულობის სავაჭრო დუქანში, რომ მივიღნენ, დახლს იქით მაღალი და ვეებერთელა მუცლის პატრონი კაცი კი დახვდა. თავზედერთი ბანალი არა ჰქონდა, მაგრამ სახე კი-თვალებიდამ მოყოლებული კისრამდინ დიდი, ქერა წვერითა ჰქონდა დაფარული. წარბებიც ხშირი და ქერა ჰქონდა და მათ ქვეშ პატარა მომწვანო თვალები დახტოდნენ ბრაზიანად.

— დაუკარ თავი! — წასჩურჩულა პეტრუხამ ილოს და თვალით ვაჭარზედ ანიშნა. იმედ გაცრუებულმა ილომ თავი ჩაჰუნა.

— რა ჰქვიან? — ბოხმა ხმამ დაიქუხა დუქანში:

— ილია, — მიუგო პეტრუხამ,

— აბა, ილია, ორი თვალით იყურე, მაგრამ სამით კი ჰქვდე! ეხლა ჩემს მეტი შენ აღარავინა გყავს! არც ნათესავი

და არც ნაცნობი, გე მის? დედაც მე ვიქნები შენი და მამაც,— ამის მეტს მე აღარას გეტყვი...

ილია ჩუმათ, შუბლის ქვეშიდან დუქანს ათვალიერებდა. ღიდ გოდრებში ყინულში ვებერთელა ლოქო და ზუთხები ეწყვნენ, თაროებზედ შეშის ლერებსავით გამხმარი ფარგა და ჭანარი ელაგა და ყველგან თუნუქის კოლოფები ბრჭყვიალებრნენ. დუქანში მძიმე წათხისა და ნესტის სუნი იდგა, ცხელოდა და სივიწროე იყო. ძირს წყლით სავსე ღიდ თაბახებში ჩუმად დასცურავდა ცოცხალი თევზი-ტარალანა, და ქორჭილა შაგრამ ერთი თევზი-ქარიყლაპია კი მოუსვენრად ეხეთქებოდა, თაბახის ხან ერთ მხარეს, ხავ მეორეს, წყალს აჭყაპუნებდა და წინწკლებს ისვროდა აქეთ იქით. ილოს მეტად შეეცოდა საბრალო.

ერთმა ნოქართაგანმა—დაბალმა, მაგრამ სქელი ტანისამ, ღიდის მოკაუჭებული ცხვირით; რომელიც ბუსა ჰგავდა ძალიან, თაბახიდან დაძინებული თევზის ამოყვანა უბრძანა. ზავშმა ხელები დაიმკლავა და როგორც მოხვდებოდა, ისე ავლებდა თევზებს ხელსა.

— თავში მოჰკიდე ხოლმე ხელი, ყუყუჩი! — ნელის ხმით უთხრა ნოქარმა. ხშირად შეცდომით ილო ცოცხალ თევზს წავლებდა ხოლმე ხელს; მაშინ ის კლაკვნით გაუსხლოტებოდა თითებშა, და თაბახს წააწყდებოდა ცხვირით.

— ჩქარა, ნუ კი დაგეძინა! — უბრძანებდა ნოქარი.

ილომ თევზის ფრთას დაატაკა ხელი, თითი-გაიხვრიტა და პირისკენ გააქანა, წუწნა დაუწყო.

— გამოიღე თითი! — ბოხის ხმით დაუღრიალა პატრონმა.

მერე ბავშს ვებერთელა ცული მისცეს და უბრძანეს ქვეით სარდაფში ჩასულიყო და ისე ემტვრია ყინული, რომ ერთ ადგილას არ ყოფილიყო დახროვილი.. ყინული იმტვრეოდა და ნატეხები სახეში და კისერში უცვიოდა ილოს. სარდაფში ციოდა და უკუმეთი სიბნელე იდგა. ცული ჭერს ედებოდა. რადენიმე წუთს შემდეგ ილია სულ მთლად დასველებული ამოძრა სარდაფიდან და უთხრა მედუქნეს:

— ჩრდაც ქილა გავსტეხე.. ქვეით...

ვაჭარი დაშტერდა ბაჟვს და უთხრა:

— პირველად მიპატიებია, ეგეც იმიტომ, რომ შენ თითონ
გამოსტყდი.. მეორედ კი-ყურებს დაგავლიჯავ...

ამ დღის შემდეგ დატრიალდა ილია ერთგვარად და შეუმ-
ჩნევლად, როგორც დიდს მანქანაში პატარა თვალი. ის დილის
ხუთ საათზედ სდგებოდა, უწმენდავდა ფეხსაცმელს ბატონს, მის
ოჯახს, და ნოქრებს, მერე დუქანში მიღიოდა ჰგვიდა, მაგი-
დებს და სასწორს სწმენდდა. მუშტარი მოვიდოდა, — საქონელი
გამოჰქონდა, ნავაჭრი გაჰქონდა და მერე საღილის მოსატანათ
მიღიოდა სახლში. საღილს შემდეგ საქმე აღარა ჰქონდა და თუ
სადმე არ გაჰგზავნიდნენ, იდგა დუქნის კარებში და ბაზარში
ხალხის ფაცი ფუცს, ხმაურობას და სირბილს აღევნებდა თვალსა
და ჰფიქრობდა: რა ბევრი ხალხი ყოფილა ქვეყანაზედ და რა
ბევრს თევზსა, ხორცს და სხ. სანოვაგეს ანადგურებენო. ერ-
თხელ, ბუს რომ ჰგავდა იმ ნოქარს დაეკითხა:

— მიხაილ იგნატიჩ!

— რა იყო?

— მერე რალასა სჭამს ხალხი როცა სულ დაიჭერენ რაც
თევზია ქვეყანაზედ და საკლავი გამოელევათ?

— სულელო! — მიუგო ნოქარმა.

ერთხელ კიდევ აიღო დახლზედ დარჩომილი გაზეთი და
კარებთან კითხვა დაიწყო, მაგრამ ნოქარმა გამოჰვლიჯა ხელი-
დამ, წაჰკრა ცხვირში წკიპურტი და მუქარით ჩაეკითხა?

— ვინ მოგცა ნება, ჳა? ვირო...

ეს ნოქარი ილის როგორლაც ვერ მოეწონა. ბატონს
რომ ელაპარაკებოდა, ყოველ სიტყვას რალაც სხვანაირად აბო-
ლოვებდა, თითქოს მთლათ გაულინთულია. მისი პატივის ცემი-
თაო, მაგრამ პირს უკან კი ლანძღავდა და ქურდს და ავაზაკს
ეძახდა. შაბათობით ან სხ. დღესასწაულის წინადლეობით ბატონი
საღამოს ლოცვაზედ მიღიოდა ხოლმე და ყოველთვის სწორედ ამ
დროს მოვიღოდა ხოლმე ნოქრის ცოლი და სხ. და სხ. თევ-
ზეულობას, ხიზილალის და ბრჭყვიალა თუნუქის ყუთებს წაი-

ლებდა ხოლმე, რომელიც შიც დამარილებული და წნილიათ ჩადებული თევზეულობა ელაგა. ნოქარს ძალიან უყვარდა გლახების ტანჯვა, რომელთ შორის ბევრი მოხუცი იყო და პაპა ერემეს ავლნებდა ილიას. როცა რომელიმე მოხუცი გლახა მოადგებოდა კარებს, და ნელის ხმით მოწყალებას მოითხოვდა, ნოქარი წავლებდა რომელიმე თევზს თავში ხელსა და ისე გაუწოდებდა გლახას, რომ თევზის ფრთას ხელის გულში ეჩხვლიტა და როცა გლახა შეკრთებოდა და უკან გაიწევდა ხელსა, ნოქარი გაჯავრებული დაკინვით დაუყვირებდა ხოლმე:

— რა, არა გნებავს? ცოტაა? გასწი დაიკარგე, მაშა!...

ერთხელ ერთმა გლახაკმა დედაკაცმა გამხმარი ფარგა არ ჩუმავს და თავისს კონკებში დამალა; ნოქარმა დაინახა, მივიარდა მოხუცს კისერში, წაართვა თევზი და შიგ სახეში გაარტყა. გლახაკმა არც ხმა ამოიღო, არც დაიკვნესა, დალუნა, თავი და გატრუნული გავიდა კარში. ილიამ კი კარგათ დაინახა რომ საცოდავს ცხვირიდამ ორტოტათ წავარდა სისხლი.

— მიიღე? — მიაძახა მიმავალ დედაკაცს ნოქარმა.

მეორე მეორე ნოქარს კარპს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჭირივით მეჯავრებიან ეს გლახები!.. მუქთახორები!.. დადიან, თხოულობენ და მაძლრები კი არიან! კარგათაცა სცხოვრობენ და! ქრისტეს ქმებიო ამბობენ მე ვიღა ვარ ქრისტესთვის? უცხო? მთელი ჩემი სიცოცხლე დავძრწი, დავრბიდარ, როგორც მჩეზედ გამოსული მატლი და არც მოსვენება ვიცი რა არის, არც პატივი მაქვს ვისგანმე...

მეორე ნოქარი, კარპი ჩუმი და ლეთისმოყვარე ადამიანი იყო.. ის მხოლოდ ეკალესიებზე, ზგალობლებზე და არქიელის წირვა-ლოცვაზე ლაპარაკობდა და შაბათობით სულ იმის წუზილში იყო ლოცვაზე არ დამიგვიანდესო. იყო კიდევ ერთი რამ, რაც სულის საქმეზე ნაკლებ არ აინტერესებდა მას. გასჩედებოდნენ თუ არა ქალაქში მოგვი, თვალთმაქცი ან ჯადოქარი, ის იმ საათში იმათ სანახავად გარბოდა. კარპი მაღალი და გამხდარი, მაგრამ მარდი კაცი კი იყო: როცა დუქანში ბევრი მუშტარი მოიყრიდა თავსა, ის როგორც გველი ისე დაძვრე-

ბოდა მათში, ყველას ულიმოდა, ყველას ელაპარაკებოდა და სულ კი თავისს ბატონისკენ ეჭირა თვალი, თითქოს თავისს სიმარდეს და გამჭრიახობას იკვეხის იმასთანაც. ილის კი არ კადა რულობდა და სულ მუდამ დასცანოდა, რისთვისაც ბავშვაც შეიძულა.. დილიდან საღამომდინ მოყოლებული ბატონი დახლოთან იდგა და ფულებს ისვრიდა ყუთში. ილია ჰედავდა, რომ ბატონი გულგრილად ექცეოდა ფულსა და გაუმაძლრობა სიძუნწეს ვერ ამჩნევდა მას. ეს მეტად მოსწონდა ილის. ისიც მოსწონდა და ესიამოვნებოდა, რომ ბატონი მას უფრო ხშირად და ალერსით ელაპარაკებოდა ვიდრე ნოქრებსა. ვაკრობა რომ შეჩერდებოდა, როცა მუშტარი არა სჩანდა, ვაკარი მიუბრუნდებოდა ხანდისხან გარინდებულ. ილის:

— ეი, ილია, გძინავს?

— არა!..

— ეგრე... რადა ხარ სულ მუდამ დაფიქრებული?

— მე... არ ვიცი...

— მოგწყინდება ხოლმე თუ როგორ არის შენი საქმე?

— დიალ...

— არა. გიშავს-რა! მეც დიდი ხანი ვიყავ მოწყენილი-ცხრა წლიდან მოყოლებული ოცდა თორმეტამდინ ვიტანჯე... ეხლა კა—ოცდა მესამე წელიწადია სხვებს ვუყურებ როგორ იტანჯებიან. და იწყენენ...

ამასთან ისე გააქნევდა თავს, თითქო იმის თქმა: უნდა;

— რას იზამ, მეტი ჩარა არ არისო!

ორი თუ სამი ამისთანა ლაპარაკის შემდეგ, ილია დაფიქრდა: რისგან არის, რომ ასეთი მდიდარი და პატივუმეული კაცი მთელი დღე ამ გასვრილ-გათხვრილ დუქნში ყუნტია და მძიმე, მღაშე თევზის, სუნით სუნთქვას, როცა იმისთანა მშვენიერი, დიდი და სუფთა სახლი აქვს? საკვირველი იყო ეს სახლი: მასში ყოველთვის მკაცრი სიჩუმე სუფევდა და ყველაფერი ერთხელვე დაყენებულ დონეზე ჰკეთდებოდა. და საკვირველი უფრო ის იყო, რომ თუმცა ართავე სართულში მისი, მისი ცოლის და სამი. ქალის გარდა, მხოლოდ ერთი მზარეული და იგივე სახლის

მომვლელი გოგო და მექარეს—(იგივე მეეტლე) გარდა არაგინა სცხოვრობდა, სივიწროე იყო და კაცს ვერ ამოესუნთქა თავისუფლად. სახლში ყველა დაბალის წმით, ჩურჩულით ლაპარაკობდა და ზიდ დასუფთავებულ ეზოში, რომ გაივლიდნენ კედლებს ეკროდნენ, თითქო შუაგულს, თავისუფალ აღვილს გასვლისა ეშინიანთო. ეს მშვიდი სახლი პეტრუსას სახლს, რომ შეადარა, ილია მოულოდნელად იმ დასკვნამდის მივიდა, რომ პეტრუსას სახლში ცხოვრება სჯობდა, თუმცა იქ სიღარიბე, ჭუჭყი და ხმაურობა იყოვო. ემ აზრმა გააკვირვა ილია და არ უჯერებდა თავისს თავს, მაგრამ თან-და-თან უფრო ხშირად ეწვეოდა ხოლმე და თავს არ ანებებდა. ის კი, რომ თითონ პატრონი იქ არა სცხოვრობდა, უფრო ამართლებდა იმის აზრსა. ბავშვს ძალიან უნდოდა ეკითხნა ბატონისთვის: ამისთანა უწმინდურ ცხოვრებაში რად იწუხებ თავსა და რატომ შინ არა სცხოვრობ, სადაც ყველაფერი სუფთად და მშვენივრადა გაქვს მოწყობილიო?

ერთხელ, როცა კარპი სადღაც წავიდა და შიხაილი სარდაფში გაფუჭებულ თევზს არჩევდა, ღარიბთა თავშესაფარში გასაგზავნად, ბატონი გამოელაპარაკა ილიას და ბავშვმა უცბათ აჩქარებით უთხრა:

— თქვენ, კირილ ივანიჩ, დროა, რომ ვაჭრობას თავი დაანებოთ... ეხლა ხომ საკმაოთა ხართ მდიდარი... სახლი მშვენიერი გაქვთ და აქ კი ყარს და უსუფთაობაა...

სტროგონოვი დახლს დაჰყუდებოდა და ბავშვს ჩასჩერებოდა—ქერა წარბები უთამაშებდნენ.

— მერე?—ჰკითხა, როცა გაათავა ილიამ ლაპარაკი.—გაათავე?

— გავათავე...—უპასუხა დარცხვენილმა და შეშინებულმა ილომ.

— აქ მოდი!

ილია მიუახლოვდა. ვაჭარმა ნიკაპში მოჰკიდა ხელი, თავი მაღლა აუწია და თვალების ჩაცეცებით დაეკითხა:

— დაგარიგეს სხვებმა, თუ შენ თითონ მოიგონე ეგა?

— ლმერთმანი, მე თიდონ...

— ჰოო... თუ შენ თითონა... არა უშავსრა... არ რას
გეტყვი... ამის შემდეგ მე—შენს ბატონს—გესმის?—ბატონს,
მაგის თქმა აღარ გამიზედო! დაიხსომე! წადი შენ ადგილზე!..

კარპი კი რომ მოვიდა, მან სრულიად უმიზეზოდ და
მოულოდნელად მიჰმართა ნოქარს, ცალის თვალით კი ილიას
უყურებდა:

— ადამიანი მთელი თავისი ცხოვრება, სიცოცხლე რამეს
უნდა ადგეს, რამეს უნდა აკეთებდეს—მთელი სიცოცხლე
მეთქი!.. სულელია ვისაც ეს არ ესმის. როგორ შეიძლება კაცმა
იცხოვროს და კი არაფერს აკეთებდეს? რა აზრია, იმისთანა
კაცში, რომელიც რამე საქმეს არ ეძლევა? რის მაქნისია იმის-
თანა კაცი?..

— ქეშმარიტებასა ბრძანებო, კირილ ივანიჩ! — უპასუხა
ნოქარმა და ყურადღებით მიიხედ-მოიხედა, თითქო გასაკეთე-
ბელ საქმეს ეძებსო. ილიამ შეხედა და დაჭვიქრდა. ილიას უფრო
და უფრო სწყინდებოდა ამ ხალხში ცხოვრება. დღეები ისე
გაჭიანურდნენ, როგორც გრძელი უფერული ძაფი, რომელიც
უხილავ და გამოულეველ გორგალიდამ გამოდის. ბავშვს ასე
ეგონა ამ დღეებს დასასრული აღარ ექნებათ და მეც მთელ
ჩემ სიცოცხლეს ამ დუქნის კარებზედ დავალამებ და ბაზრის
ხმაურობის მეტს ვერაფერს ვერ გავიგონებო. მაგრამ წარსულ
შთაბეჭდილებათა და წაკითხულ წიგნებთა ზედ გავლენით ერთ-
ხელვე გამოლვიძებული აზრი არ ემორჩილებოდა ამ მიუქმე-
ბულ, ერთფერ ცხოვრებას და ჩუმად განუწყვეტლივ მუშაობდა.
ბავშვის სული გამუდმებით ილებდა შთაბეჭდილებათ, რომელ-
ნიც იქვე ჰქონებოდნენ, იქვე ლპებოდნენ და თავი კი ამისა გამო
სხვა-და-სხვა მსჯელობათა გავლენის ქვეშ. უმძიმდებოდა. მას
ისეთი არავინ გააჩნდა, რომ მისთვის გაეზიარებინა თავისი ფიქ-
რები, გადაეცა თავისი მსჯელობანი, რომ ცოტათი მაინც
მოეოხა გული და თითონვე ინახავდა და იმარხავდა მათ გულში.
ამისთანა აზრი მრავალი აწუხებდა მას, ისინი ამძიმებდნენ იმის
თავს, რადგან ვერ იყვნენ ნათელნი, აშკარანი, ერთი მეორეში

იყვნენ გადაკვანძულნი, ერთი შეორეს ანადგურებდნენ, არღვევდნენ და მძიმე ლოდსავით აწვებოდნენ იმის გულსა და თავს. დრო გამოშვებით ამ ჩუქუ და დაფარულს ყმაწვილს ისე მოსწყინდებოდა ხოლმე ამ ხალხის ცქერა, ისე შეზიზლებოდა ხოლმე ისინი, რომ სიამოვნებით დახუჭავდა თვალებს და საღმე შორს, შორს გადიკარგებოდა — უფრო შორს ვიდრე პაშკა გრაჩოვი გადიკარგა და ისე კი, რომ აღარასოდეს აღარ დაბრუნებულიყო ამ უფერულს და გაუგებარ ხალხის ფაცი-ფუც-მოძრაობაში.

დღესასწაულებში ილიას ეკკლესიაში ჰეზავნიდნენ ხოლმე. იქიდან ყოველთვის ისე ბრუნდებოდა, თითქოს რაღაც თბილის სუნნელოვანი წყლით გაჰანეს გული და გაუსპეტაკესო. ბიძა-სთან ნახევარი წლის სამსახურის განმავლობაში ორჯერ გაუშვეს. იქ ყველაფერი ძველებურად მიღიოდა. კუზიანი ილეოდა, დღითი დღე დნებოდა და პეტრუსა კი თან და თან უფრო ხმა მაღლა უსტვენდა და სახე წითლად უღვიოდა. იაკობი მამას უჩიოდა — მავიწროებსო.

— სულ მეჩიჩინება: საქმე გააკეთეო... მე მწიგნობარი, როდი მინდაო... თუ კი მეზიზლება დახლთან დგომა? ყვირალი, ღრიანცელი, კვნესა და ტირილი... შენი ხმაც კი აღარ გესმის!.. მე ვეუბნები მიმაბარე საღმე ნოქარათა მეთქი... აი, მაგალითად, იმისთანა ღუქანში საღაც ხატებითა ვაჭრობენ მეთქი... მუშტარი იქ ცოტაა ხოლმე და ხატები კი მე მიყვარს. მეთქი...

იაკობს თვალები ხშირად უხამხამდნენ, შუბლზედ რიღაცისგან კანი გაჰყვითლდებოდა, და ისე უბრჭყვინავდა როგორც მის მამას მოტვლებილი თავი.

— წიგნებს ისევა ჰკითხულობთ? -- დაეკითხა ილია.

— მაშა? მარტო მაგაში თუ ვპოვებ სიხარულს... სანა-ჰკითხულობ, თითქო სხვა ქვეყანაში სცხოვრობო... გაათავებდა.. თითქო სამრეკლოდან გამოგავდესო...

ილიამ შეხედა და უთხრა:

— როგორ დაბერებულხარ... მაშიკო საღლაა?

— ღარიბთა თავშესაფარში წავიდა მოწყალებისთვის. ეხლა
მე ვეღარა ვშველი; მამა მითვალოთვალებს... პერფიშეა კი სულ
ავათმყოფობს... ასე რომ მაშომ სამოწყალოთ დაიწყო სიარუ-
ლი... წვენს აძლევენ და სხვას... მატიცა ჰშველის კიდევ...
ძალიან უჭირს საკოდავ მაშოს...

— თქვენი ცხოვრებაც მოსაწყენი ყოფილა,—სთქვა და-
ფიქრებულმა ილიამ.

— შენ ძალიან მოგწყინდა?

— ოჟ, ნუღარა მკითხავ!...—თქვენ წიგნები მაინცა გაქვთ...
ჩვენ კი მთელ სახლში ერთი „მოგვი და ჯადოქარი“ გვაქვს და
ისიც სკივრში აქვს ნოქარს დაკეტილი, არ მაკითხებს ის
ოხერი.

— ცუდათ წავიდა ჩვენი საქმე, იაკობ...

— ცუდათ, ცუდათ!..

ცოტა კიდე ილაპარაკეს და ორთავე ნაღვლიანი და
დაფიქრებულნი გამოეთხოვნენ ერთმანერთს.

განვლო კიდევ რამდენიმე კვირამ და უცბათ თუმცა
სასტიკათ მაგრამ მაინც გაულიმა ილოს ბედმა. ერთხელ დილით,
გაცხარებული გაჭრობის დროს ბატონმა უცბად დახლზედ
რიღაცის ძებნა დაიწყო აჩქარებული. სახეზედ სისხლი მოაწვა,
წამოწითლდა და კისერზედ ძარღვები დაებრა.

— ილია!—დაიძახა გაჯავრებულმა.—აბა ერთი მოსძებნე
ემანდ... თუმნიანი ხომ არა გდია,...

ილიამ შეხედა ვაჭარს, შერე უცბად გაღაავლო იატაკს
თვალი და დამშვიდებულმა უთხრა:

— არა.

— მე შენ გეუბნები—მოსძებნე როგორც რიგია მეთ-
ქი... —დაიქუხა ბატონის ისედაც ბოხმა ხმამ.

— აკი მოვსძებნე...

— ჰმ.. მაშ კარგი, შე ჯიუტო ძალლო, შენა!.. დაემუქ-
რა ბატონი,

მერე კი, ოოცა მუწერი წავიდა, დაუძახა ილიას, ჩასჭიდა თავისი. მაგარი და მსხვილი თითები ყურებში და დაუწყო შეუბრალებლად გლეჯა და თან ღმუოდა:

— რომ გეუბნებიან მოსძებნეო—მოსძებნე, გეუბნებიან მოსძებნეო—მოსძებნე!

ილიამ ორთავე ხელი ბატონს მუცელში მიაბჯინა, გაიწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა, განთავისუფლდა და ბრაზიანი, ნაწყენი ხმით დაიყვირა:

— რას იცემებით? ფული მიხალ იგნატიიჩა მოიპარა... და მე რა უნდა მომექებნა? უილეტკის მარცხენა ჯიბეში აქვა ეხლაცა...

ნოქრის დაწკვეტებული სახე უცბათ უფრო ჩამოგრძელდა, და შეკრთა. მიუხსლოვდა ილიას და უცბათვე რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაარტყა ყურში. ყმაწვილი შეჰქტა ძლიერი მუშტისავან და კვნესით დავარდა ძირსა, მერე ტირილით და ცრემლების ყლაპით დუქნის კუნკულში მიხოხდა. მას თითქოს ბურანშე ესმოდა ბატონის მხეცური ღრიალი:

— მოიცა! სად მიღიხარ? მოიტა ფული...

— სტყუის... გაისმა ნოქრის წვრილი ხმა.

— აქ მო...

— დაგარტყამ თავში!..

— კირილ ივანიჩ.. ჩემია ესა... ღმერთი არ გამიწყრეს..

— ჩუმად!..

და სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონი თავისს ოთახში გავიდა და იმ წუთსვე ძვლების ჩხარა ჩხური მოისმა იქიდან. ილიას ორთავე ხელები თავში წაევლო, იატაკზედ იჯდა და სიძულვილით უყურებდა ნოქარს, რომელიც დუქნის მეორე კუთხეში იდგა და ისიც ცული თვალებით უყურებდა ყმაწვილს.

— კარგათ მოგარტყი თუ ვერა?—ნელის ხმით დაეკითხა ნოქარი და თან კბილები დაკრიჭა.

ილიამ მხრები შეიშმუშენა და პასუხი არ მისცა.

— აი ემ საათში კიდევ მოგართმევ... სახსოვარს!

ნოქარმა თუჩქარებლივ გასწია ყმაწვილისკენ და დიდ-რონი მრგვალი თვალები დააჭირა მას. მაგრამ ილია ფეხზედ წამოხტა, გაბედულათ წავლო იქვე მაგიდაზედ მიგდებულ გძელ და წვრილ დანას ხელი და შეუტა:

— აბა, მობრძანდი!

ნოქარი შეჩერდა და გაშტერებული თვალებით ახედ და-ხედა მის ჩასხმულ მაგარ ტანს, გრძელ ხელებს, წვრილ ბასრ დანას და ზიზღით წარმოსთქვა....

— ეე, შე საციმბირეს თესლო...

— მოდი რალა, აბა მოდი! — გაიმეორა ყმაწვილმა და წასდგა წინ ნაბიჯი. ილიას თვალებში აერია ყველაფერი და გულში კი ძლიერ-ძალასა ჰერძნობდა, რომელიც ამხნევებ-და მას..

— გადააგდე დანა! — გაისმა ბატონის ხმა.

ილია შეკრთა, შეხედა მის ქერა წვერებს, სისხლ მოწო-ლილ წამოჭარხლებულ სახეს, მაგრამ ადგილიდამ არ და-იძრა.

— დასდე, მეთქი, დანა! — უფრო ხმა დაბლა გაიმეორა ბატონმა.

ილიამ, სადღაც ბურუსში ცურვით დასდო მაგიდაზედ დანა, დაიწყო ისევ ტირილ - ქვითინი და ისევ იატაკზედ ჩაჯდა. თავსბრუ ეხეეოდა, ყური ჩაულურჯდა და ვეღარ სუნთქვდა. გულზედ მოწოლილი სომძიმე გულის ცემას უძნელებდა, ყელ-ში ეჩრებოდა და ლაპარაკს უშლიდა. საიდღამაც შორიდამ ბატონის ხვა მოესმა.

— მიშვა, მიიღე ანგარიში და დამეკარგე...

— ერთი სიტყვა მათქმეინეთ...

— ჩქარა, თორე პოლიციას დაუჟახებ ემ საათში...

— კარგი... მე წავალ, მაგრამ ემაგ ყმაწვილსაც გაუფ-თხილდით... მე გირჩევთ... დანა ხომ დაინახეთ... ხე, ხე! მა-გას მამა კატორდაში ჰყავს... ხე, ხე!

— დამეკარგე მეთქი!

დუქანში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ილიამ მოიხედა, იმას ეგონა ლოკაზედ რაღაცა მიმაცოცამსო, ხელი მოისვა ლოკებზედ, თვალები მოიწმინდა და დაინახა — იქითა მხარიდამ ბატონი და შტერებით უყურებდა. მაშინ წამოდგა და გაუბე დავათ კარებისკენ გასწია.

— დაიცა! — უთხრა ბატონმა. — დაარტყავდი დანას, იქაშ-დინ რომ მისულიყო საქმე?

— დავარტყავდი! — ნელა, მაგრამ გაბედულათ უთხრა ილიამ.

— კარგი.. მამაშენი კატორლაში რაღ არის — მოჰკლა ვინმე?

— ცეცხლი წაუკიდა...

— ეგეც კარგია...

მოვიდა კარპი, დაჯდა კარებთან სკამზედ და დინჯათ და-იწყო ქუჩაში მზერა.

— კარპუშა! — ლიმილით უთხრა ბატონმა. — მიხაილი გავა-გდე...

— თქვენი ნება არ არის, კირილ ივანიჩ!

— ქურდობა დაიწყო, ჰა?

— ეჲ? — ნელა და შეშინებულად შეჭკივლა კასპმა. — რასა ბრძანებთ? დახე იმასა..

პატონის წითელი წვერი სიცილისაგან შეინძრა, რადგან უცბათ გაღიხარხარა და დახლს უკან ქანაობა დაიწყო.

— ხო, ხო- ხო! კარპუშა, ჯადოქარო.... მწყნარო და მშვიდო მტრედო...

მერე უცემ შესწყვიტა. ხარხარი, ღრმათ ამოიოხრა და დაფიქრებულმა, მკაცრადა სთქვა.

— ეჲ, ხალხო, ხალხო! სუყველას ცხოვრება გინდათ, სუყველას ჭამა გინდათ და ისე კი რომ კარგიც იყოს და გემი რიელიცა თქვენი ლუკმა...

დაიქნია თავი და დაჩუმდა.

ილია კი კარებთან იდგა და ნაწყენად ჰერძნობდა თავსა, რადგან ბატონი ყურადღებას აღარ აქცევდა.

— ეგრე, ილია,— დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ვა-კარმა,— მოდი ერთი მოვილაპარაკოთ... ჯერ ერთი ეს მითხა-რი, წინათაც შეგინიშნავს მახაილასთვის ქურდობა?

— შემინიშნავს... სუსყველაფერს იპარავდა... თევზეაც და ყვე...

— მაშ რატო აქამდის არ მითხარი?

— ისე... — ცოტა დაფიქრების შემდეგ მიუგო ილიამ.

— იმისი გეშინობდა თუ?

— იმისი რად შემეშინდებოდა?

— კარგი... მაშ რატომ არ მითხარი, რატომ არ გამაფრ. თხილე—გუარცვამენო...

— რა ვიცი... არ მინტოდა...

— ჰმ... მაშ ეხლა გაჯავრებულმა მითხარი რაღა...

— სწორედ,— გადაწყვეტილ უპასუხა ილიამ.

— ნახე... როგორი ყოფილხარ! — შესძახა ბატონმა. მერე დიდი ხანი ისეამდა წითელ გრძელ წვერზედ ხელსა და მუშტრის თვალით უყურებდა ილიას.

— შენ თითონ, ილო, არაფერი მოგიპარავს?

— არა...

— მჯერა... შენ არა მოგიპარავს-რაც. კარგი... აი ეს კარბი როგორილაა, არ იპარავს?

— იპარავს! — გამოხმობასავით გაიმეორა ყმაწვილმა.

კარპმა განცვითრებით შეხედა ყმაწვილს, თვალები დაახამ-ხამა და ისე მიიბრუნა სახე თითქო საქმე სრულიად იმას არ ეხებაო. ბატონმა სახე მოიღუშა, წარბები შეიკრა და ისევ გა-დისვა წვერზე ხელი, ილია ჰერძნობდა, რომ რაღაც არა ჩვეუ-ლებრივი ამბავი ხდებოდა და გაფაციცებული ელოდა რითი გათავდებოდა, რითი დაბოლოვდებოდა საქმე. დუქნის მყრალ ჰაერზი ბუზის ზუზუნი. და თევზის ფართხალით შეშფოთებული წყლის ჩემთვა ისმოდა.

— კარპუშა! — დაუძახა ვაჭარმი ნოქარს, რომელიც უნძლევლად იდგა და გაშტერებული გაიყურებოდა ქუჩაში.

— რას მიბრძანებთ? — ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდა ბატონს, შეხედა პირდაპირ თვალებში და გამოეხმაურა ნოქარი.

— გაიგონე შენზე რა სთქვეს? — ღიმილით დაგკითხა სტროგანნი.

— გავიგონე...

— მერე, რას მეტყვი მაგაზედ?

— არაფერს... — მხრების მალლა აწევით, უთხრა კარპმა.

— როგორ თუ არაფერს?

— ეგრე... მე, კირილ ივანიჩ, ჩემი ლირსება მაქვს, პატივსა ვცემ ჩემ თავსა და მაშასადამე არ შემფერის, რომ მაგისთვის ბავშვს გაუწყრე. როგორც თითონ თქვენა ჰედავთ, თქვენის კეთილი თვალით, ბავშვი გულახდილი ბრიყვია და არაფერი ესმის... და მე თავისუფლად შემიძლიან თავხედობა ვაპატიო...

— დაიცა! სიტყვას ბანზედ კი ნუ აგდებ! შენ ის მითხარი მართალია თუ არა რასაც ეს ამბობს?

— მართალი რასა ჰქვიან, კირილ ივანიჩ? — უთხრა ნელის ხმით კარპმა, ისევ აიშმუშვნა მხრები და თავი გვერდზე გადაქინდრა: — ყველას თავისებურად ესმის სიმართლე... და, რასაკვირველია, თუ ინებებთ მართლად მიიღებთ სულელის სიტყვებს, არა და ისიც თქვენი ნებაა...

კარპმა ამოიოხრა, თავი დაუკრა ბატონს და ნაწყენმა ხელები გაპარკყა.

— ჰოო, აქ ყველაფერი ჩემი ნებაა... — დაეთანხმა ბატონი, — მაშ შენის აზრით ყმაწვილი ბრიყვია?

— ნამდვილი ბრიყვი გახლავთ, — დაბეჯითებიზა უთხრა კარპმა.

— ემაგას კი სტყუი... — გაურკვევლად სთქია სტროგანნიმ და უცბად გადიხარხარა.

— არა, როგორ მოგარტყა პირდაპირ სახე ში და... ხა, ხა, ხა! კარპიც იპარავს? იპარავს! ხა, ხა, ხა!

ილია იქით მიღვა და კარს ამოეტუზა.. ის გატრუნული ყურს უგდებდა იმათ ლაპარაკს და ჰერძნობდა, რომ ეს ლაპარაკი მას შეურაცხყოფას აყევებდა. მაგრამ მაშინ კი, როცა ბატონშა გადიხარხარა, ნათლად იგრძნოს რომ გულში შურის-ძიების სიხარულმა გაუღვიძა და მედიდურად — გამარჯვებულად გადახედა კარპსა, ბატონს კი მადლობის თვალით შეხედა და თავი ჩაჭინდრა. სტროგანნი ნასიამოვნევი იცინოდა და თვალებს ჰბუტავდა. კარპმაც ყური რომ მოჰკრა ბატონის სიცილს, თითონაც ფრთხილად გაიცინა:

— ხე, ხე, ხე!

მაგრამ სტროგანნიმ მოჰკრა თუ არა ყური მის სიცილს, მკაცრად დაულრიალა.

— დაჰკეტე დუქანი!

შინ როცა მიღიოდა ილია, გზაში კარპი თავის ქნევით ეუბნებოდა:

— სულელო, სულელო. აბა, ერთი დაჰფიქრდი რად გააბი ეგ ქსელები? განა ეგრე უნდა ბატონის წინ თავის გამოჩენა და პირველი ადგილის დამსახურება? რეგვენო! შენა გონია თითონ კი არ იცოდა, რომ მე და მიშვა ვიპარავდით ხოლმე? გარდა ამისა თითონაც მაგითი აქვს ცხოვრება შეძენილი... ხა, ხა, ხა! მიშვა რომ გააგდო სწორედ გითხრა მე დიდი მადლობელი. ვარ შენი! ის კი, რაც ჩემზედ სთქვი არა-სოდეს არ გეპატიება... წინდაწინვე გეუბნები! მაგას სულელურ თავხედობას ეძახიან! ჩემთან და ჩემ შესახებვე მაგისთანა სიტყვა? არა! მოგაგონებ მე მაგას კიდევ, დამაცა... ეგ იმას ამტკიცებს, რომ შენ ჩემი პატივის ცემა არა გქონია.

ილია ნოქარის ლაპარაკს გაჩუმებული ყურს უგდებდა მაგრამ ცუდათ კი ესმოდა მისი აზრი. იმის აზრით კარპი გაჯავრებული უნდა ყოფილიყო და ესე კი არა: ის დარწმუნებული იყო, რომ ნოქარი გზაში გალახმდა და შინ წასვლისაც

კი ეშინოდა... ეხლა კი ბრაზის ნაცვლად მის ლაპარაკში და-ცინვა სჩანდა მარტო და მისი მუქარისაც აღარ ეშინოდა. კარ-პის სიტყვების აზრი და მარილი ილიამ მაშინ გაიგო, რო-ცა სალამოზედ ბატონმა თავისთან დაიბარა, მაღლა სართულ-ში.

— აჰა! აბა, შიბრძანდი ეხლა! — მიაცილა კარპმა ილია ბოროტის ლიმილით.

ილია ავიდა მაღლა და დიდი ოთახის კარებში შეჩერდა. შუაში ჭერიდამ ჩამოშვებული სანათის ქვეშ დიდი მრგვალი მაგიდა იდგა, რომელზედაც დიდივე სამოვარს ხითხითი გაუ-დიოდა. მაგიდას შემოსხდომოდნენ თითონ. ბატონი, მისი ცო-ლი და სამი პატარა ქალი, სამთავენი ერთი ერთმანეთზედ მა-ლლები იყვნენ და ყველა მათგანს წითელი თმა ეყარა თავზედ და თეთრი კანი გრძელი პირისახისა სამთავეს ჭორფლითა ჰქონ-დათ სავსე. ილია, რომ შევიდა, სამთავენი მიიჭუჭკნენ და სა-მი წყვილი შემკრთალი თვალი მიაჩერეს მას.

— აი, ეს გახლავს! — სთქვა ბატონმა.

— ნახე მაგასა, როგორი ყოფილა! — მიშით შესძახა ვა-ჭრის ცოლმა და ისე შეხედა, თითქოს წინათ არასოდეს არ უნახავსო. სტროგანნიმ ჩაიცინა, წვერზედ ხელი ჩაისვა, დაა-კაჯუნა თითებით მაგიდაზედ და დარიგების კილოთი დაი-წყო:

— იმისთვის დაგიძახე, ილია, რომ გამომეცხადებინა-შე შენ აღარ მინდიხარ მეოქი, მაშასადამე მოკრიფე შენი ბარგი ბარხანა და წალი..

ილია შეკრთა, განცვითრებულმა პირი დაალო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, გაბრუნდა და გასწიდა ოთახია დგან.

— დაიცა! — დაუძახა ვაჭარმა, მერე ხელის ვული მაგიდას დასცხო და უფრო ხშა დაბლა გაიმეორა:

— დაიცა!

მერე თითო აიშვირა მაღლა. და აუჩარებლივ დაიწყო:

— მარტო მაგისთვის არ დაგიბარე... არა... დარიგებაც მინდოდა შენი... უნდა აგისხნა რად გახდი შენ ჩემთვის უვარე გისი და რატო აღარ მინდიხარ. შენ ჩემთვის ერაფერი დაგი შავებია... წერა კითხვა იცი... ზარმაცი არა ხარ... პატიოსანი და ჯან მრთელი ბიჭი ხარ... ჰო! ეს სულ შენი სიკეთეა, მაგრამ მაგისთანა სიკეთიანიც კი არ მინდიხარ... ესე იგი გამოსადეგი არა ხარ ჩემთვის... ახლა მკითხავ რადაო? აი, სწორედ ეს მინდა აგისხნა... — ილია ჰერევლა და ესმოდა; რომ მას აქებდიენ, მაგრამ მაინც აგდებლნენ. ეს როგორლაც არ შეეფერებოდა მის აზრებს და გრძნობებს; მას ეგონა, რომ თითონ ბატონსაც არ ესმის რას სჩადისო... სტროგანნის სახე კი, მისი გამომეტყველება თითქოს, მის აზრს ეთანხმებოდა და ამართლებდა მას: სახე ისე დაეჭიმა, რომ კაცს უეგონებოდა რაღაც აზრს მოუკვავს მთელი მისი არსება, მაგრამ ვაჭარს ვერ დაუძლევია და სიტყვით ვერ გამოუთქვავსო. მაშინ ყმაწვილმა წინ წასდგა ფეხი და დინჯათ, პატივის ცემის კილოთი ჰკითხა:

— თქვენ დანისთვინ მაგდებთ, განა?

— უი, ღმერთო! — შეჰკივლა შეშინებულმა დიასახლისმა, — რა თავხედია! ღმერთო!...

— აი! — დაიწყო ბატონმა სიამოვნებით და გაულიმა ილია, — შენ თავხედი ხარ! დიალ სწორედ, რომ თავხედი ხარ... მოსამსახურე ყმაწვილი კი წყნარი უნდა იყოს... და სათნოიანი, როგორც სამლრთო რჯული ბრძანებს... მას სუყველაფერი ბატონისა უნდა ჰქონდეს — კუუაცა, პატიოსანებაც... შენ კი ეს ყველაფერი შენი საკუთარი გაქვს, შენებური... ეს რიგი არ არის... და კიდეც იმიტომაა, რომ თავხედი ხარ... შენ მაგალითად, პირში ეუბნები კაცს-ქურდი ხარო! ეს კარგი არ არის, ეს თავხედობაა... შენ თუ პატიოსანი ხარ, მე მითხარი რომ ესა და ეს კაცი ქურდი არის თქო, მაგრამ ჩუმათ კი მითხარი... მაშინ მე თითონ გავარჩევ სუყველაფერს... მე ვარ

პატრონი ხომ?.. შენ კი საქვეყნოდ ჰყვირი-ქურდიაო... არა, დაიცადე... თუ სამი კაციდან ერთია პატიოსანი-ეს ჩემთვის ურაფერს, ნიშნავს... აქ სულ სხვა ანგარიშია საჭირო... თუ ერთი პატიოსანია და ცხრა კი უსინიღისო, აქ არავინ იგებს, მხოლოდ კაცი იღუპება. თუ შვიდია პატიოსანი და სამი უსინიღისო-მაშინ შენ გაიმარჯვებ... გაიგე? რომელ მხარესაც მეტნი არიან, ის მხარე გაიმარჯვებს და მართლებიც ისინი გამოვლენ... თუ ერთია და რა აზრია იმაში? აი, როგორ უნდა უყურებდე პატიოსნებას, ... და სანამ წაეჩირებოდე ხოლმე შენი პატიოსნებით, კარგათ მოისაზრე, საჭირო კი არის ეს შენი პატიოსნება ხალხისათვისა?

სტროგანნიშ შუბლზედ ოფლი მოიწმინდა, ამოიოხრა და სიამოვნების ლიმილით განაგრძო:

— ახლა ისიცა.. დანას, რომ მივარდი...

— ოჳ, ღმერთო! — შესძახა შეძრწუნებულმა დიასახლისშა და გოგოები უფრო ახლო მიეჭუჭკნენ ერთი მეორეს..

— ნათქვამია-დანის ამღები, დანითვე მოკვდებაო... ჰოო... აი სად არის მიზეზი, რომ შენ ჩემთვის მეტი ხარ სრულიადა... აი, გამომართვი ათი შაური და წადი... გახსოვდეს-არც შენ დაგიშავებია რამე ჩემთვის, არც მე შენთვის... პირ იქით-აი, ათ შაურსაც გაძლევ... და პატარა ბალანას ისრე გელაპარა-კებოდი, როგორც დიდ აღამიანს შეჭფერის... — იქნება, მე მეცოდები კიდევა... მაგრამ მაინც საჩემო არა ხარ! თუ ჭინ-ჭილაკი ღერძზე მოწყობილი და მოყვანილი არ არის გამ-გზავრებამდის უნდა გადააგდო..., ახლა წადი...

— მშვიდობით! — უთხრა ილიამ. ბატონის ლაპარაკს გულის დადებით ისმენდა და ისე გაიგო — ვაჭარი მე იმარტო მაგდებს, რომ კარპს ვერ გააგდებს, რაღან ეშინიან უნოქარო არ დავრჩეო. ამ აზრმა ილია გაახარა და კი გუნებაზედ დააყენა. ბატონიც რაღაც უბირ და მშვენიერ კაცათ ეჩენა.

— გამომართვი ფული!

— მშვიდობით! — გაიმეორა ილიამ და მაგრა მოუჭირა ფულს ხელი. — დიდახა გმადლობთ!

— არა ღირს! — თავის ჩაწევით, უპასუხა სტრომინ-ნიშ.

— ოი, ოი, ოი! ერთი ცრემლიც კი არ გადმოაგდო... გაიგონა მიმავალმა ილიამ დიასახლისის გაკვირებითი შეძანება.

ზურგზედ ბოხა შემოგდებული ილია ვაჭრის ეზოდან, რომ გამოვიდა, ისეთ გრძნობაზედ და ფიქრზედ იყო, თითქოს შორს, რაღაც, გადავარდნილ და გადაკარგულ ქვეყნილან მოდენილიყოს, სადაც არაფერი იყო, არც ხალხი, არც მცენარეები და არც თუ სხვა რამე სულდგმული და სადაც მხოლოდ დიდი პიტალო კლდეები იყვნენ გამეფებულნი და მათში ერთი მოხუცი მისანი სცხოვრობდა, რომელიც ყველას, ვინც კი ამ უდაბურ მხარეს მოხვდებოდა გზა და კვალს უჩვენებდა. ამისთანა მხარეზედ მას რაღაც საოცნებო წიგნაკი ჰქონდა წაკითხული.

გაზაფხულის ნათელი საღამო იყო. მზე ჩადიოდა და ფანჯრების შუშებზედ წითლად დანთებულიყო ცეცხლი. ამან ის დღე მოაგონა ყმაწვილს როცა მან პირველად დაინახა ქალაქი მდინარის იქითა მხრიდან. ბოლჩის სიმძიმემ ზურგი ატკინა და ფეხთ მოუკლო ქუჩების ქვა ფენილზედ ხალხი დაქუთმათობდა და ხან ვინ მოედებოდა მის ბოხას, ხან ვინა; ეტლები გრიძლით და რახა რუხით მიდი-მოდიოდნენ. მზის ცერად წამოსულ სხივებში მტვერი სცურავდა; ირგვლივ ხმაურობა და მხიარული მოძრაობა იყო. ყმაწვილს ყველაფერი მოაგონდა, რაც კი გამოევლო მას ამ ქალაქში, ამ ორი წლის განმავლობაში. ის ვაუკაცად ჰგრძნობდა ეხლა თავსა, გული გაბედულად და ამაყად უცემდა და ყურებში სულ ვაჭრის სიტყვები უბზუოდნენ..

— წერაკითხვა იცი, ზარმაცი არა ხარ... პატიოსანი და ჯანმრთელი ბიჭი ხარ, ეს სულ შენი სიკეთეა...

— მაშ ჯერ კიდევ შეგებრძეით! — შესძახა გულში ილიაშ
და ისევ მოუქარა ფეხი. ის მიღიოდა, გულში უხაროდა და
ნება უნებურად უღიმოდა იმ აზრს, რომ ხვალ სათევზეულოს
ღუქანში წასვლა აღარ დასჭირდებოდა.

(შემდეგი იქნება)

არჩეოლოგიური მოგზაურობანი

და

შენიშვნანი

სოფელი იქალთა. იყალთოში ღენერალ ვლადიმირ ათა-
ნასეს ძის მაყაშვილის ოჯახში ჩვენ ვნახეთ შემდეგი ხელთ-
ნაწერები:

I: ხრონოლრაფი არჩილ მეფის თაოსნებით თარგმნილი
და შედგენილი, მხედრული ხელთნაწერი $32,5 \times 23$ სანტიმეტრი,
ყდით. თავში აკლია ერთი ფურცელი, შეიცავს სულ 649
გვერდს, გადამწერა არა სჩანს, ხელი მე-XVIII საუკუნის არის.

II. ვეფხის-ტყაოსანი ლურჯ ქალალდზე in folio დაშლი-
ლი, ყდაში, $35,5 \times 21,5$ სანტიმეტრი, გადმოწერილია მე-XIX
საუკუნის დასაწყისში ვახტანგ მეექვსის ალბეჭდილის ვეფხის-
ტყაოსნისაგან.

III. კითხვა-მიგება და შემდეგ კანონები ითანება მმარხვე-
ლისა, ვასილისი და სხვა, მხედრული ხელთ-ნაწერი, ყდაში.
სათაურები ასომთავრული გრეხილით არის ნაწერი; შეიცავს
სულ 195 გვერდს. მიწერილი აქვს ტექსტის ხელით:

ყდ უსამღედელოესს წას მეუფეს არხიმანდრიტელ ნინო
წმინდელ მიტროპოლიტს სულითსა მწყემსა ჩემს მოწყალეს
ხელმწიფეს.

წინასიტყუაობა წიგნისა ამის რაღა ეზედწოდების ნა-
ცვალ კიტყვაობა.

მეორე თავი. მრავალმთის ნათლის-მცემლის მონასტერ-
სა შა უდაბნოსა გარესჯისასა წელთა ქრისტესიონგან: 1801.

ჩეა. თხვესა დეკემბერსა ათერთმეტსა:: თქუმნი უქუმნაესი მონა ოდესმე მისის სიმაღლის მეფის ირაკლის კარის არხი-მანდრიტ ყოფილი ყვდ უხმარიდა ულიტსი:: გერონტი::.

ბოლოს ხუცურად სწერია:

დავჩხიპე ყვდ ულიტსმან ბერმან ნიკოლოზ: ივლისის და წელსა ჩეიზ.

აქ მოხსენეული ნიკოლოზი გვარად ყოფილა კიკნაძე. შემდვე მოყვანილია ანბანთ-ქება და ბოლოს უწერია:

ანბანთ ქება ესე გაბრიელ ბერისაგან გადაწერილი იყო სამ ფურცელ ქალალდზე და მე სურვილის გამო ამ წიგნზე გადავსწერე დაუკარგაობას მიზეზით ანნამ.

IV. მხედრული ხელთნაწერი ყდაში ლურჯ ქალალდზე,
21 X 16 სანტიმეტრი, შეიცავს შემდეგ შრომებს:

1) კურთხევა მირონისა.

2) ისტორია საქართულოსა აღწერილი ფრანციცისა ლენარალ კარლოს მიერ, ხოლო თარგმნილი ფრანციცულით რუსულად უფლისა. პრორევფისაგან. ბრუსულით ქართულსა ენასა. ზედა თარგმნილი. თავადის თარხანოვისაგან წელსა.

1782:-

სულ ეს ისტორია შეიცავს 4 ფურცელს. ბოლოს სწერია: სრულ იქმნა წიგნი ესე თქუმნა ფეხერვალსა ნ-სა წელსა 1823-სა.

3) მოხილვა წმიდათა ადგილთა ტიმოთე მთავარ ეპისკოპოსისა.

ბოლოს სწერია:

სრულ იქმნა დიდება ყოვლისა მპყრობელსა ღმერთსა ამინ 1822 წელსა აგვისტოს 20.

V. სიტყვანი წმიდათა მამათანი, მხედრული ხელთნაწერი: ლურჯ ქალალდზე, ყდაში, 33 X 2 სანტიმეტრი. წიგნის ბოლოს ვრცელი მინაწერი უჩვენებს, რომ წიგნი გადაწერილია ბეჭან ერისთვის ასულის ანნას მიერ:

„სრულ იქმნა ივნისის. ტ. წელთა. ჩელდ.

ბოლოს მოყვანილია ეპიტაფია გიორგი ბექანისძის არა-
გვის ერისთავის შვილისა გაღმოწერილი ტფილისძის მთაწმიდის
ეკლესისაგან მის დის ანნას მიერ გიორგი ყოფილა 21 წლისა,
სამს წელს და რვა თვეს მეცულლედ ყოფილა. ცოლად ჰყოლია
ოშერთა მეფის დის ასული.

VII. ცხოვრება პარასკევასი და ავგაროზი, შედრული ხე-
ლონაწერი ქალალდზე, $16, 5 \times 10, 5$ სანტიმეტრი. გადაწე-
რილი ჩეგბ წელსა, ჰკუთნებია ერისთვის ასულს ანნას.

VIII. წიგნი სამუელ რაბინ იუდიანისა ერთი რვეული,
შეიცავს 87 გვერდს, მე-82 გვერდზე სწერია:

იყალთოს წმიდა შიოს ეკლესის აწერის შემდეგი ეპიტა-
ფია:

საქართველომ თქვა: მეც ვიყავ, დრო მქონდა კეთილ
[მყოფელი],

ვადიდნი ჩემნი მოსავნრ, ვტანჯნი უარი[ს] მყოფელნი,

ვყვაოდი სამოთხის მსგავსად, ურ ვიყავ გასაყოფელი

და ვინც ახლა მნახონ, გაშინჯეთ რა ამაოა სოფელი.

ნეტარ დროსა, რომელსა იყავ შენ აღშენებული
აღვესილის მაღლის წყაროთი და სიბრძნით განათლებული
შემკული ყოვლის წესითა და ესრეთ განბწყინებული
და ვინ არ გიტიროს, რა გნახოს აწ ასე გაცუდებული.

წიგნი გადაწერილია ნიკო ათანასის ძის მაყაშვილის მიერ
1860 წელსა, 20 იანვარს.

VIII. ცხოვრებანი იოანე გლახაკისა, ალექსი ლვორისა კა-
ცისა, ქსენეფორესი, ანდრონიკესი, ანტილონესი, ევგრაქსიასი
ბოლოს იამბიკო არის ამა წმინდათათვის იოანე მონაზონის
თქმული, ხელონაწერს ყდა აქვს, დაწერილია ქალალდზე მეცხ-
რამეტე საუკუნის ხელით, $15 \times 10, 5$ სანტიმეტრი.

IX. ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა ნისიმესი, პარა-
კლისი წ. ნინოსი, თხრობა ლვორივ სულიერ ლირსისა ბენიამე-

ნისა ქორწინებისათვის, შედრული ხელთნაწერი, მეცნიერებულის დასაწყისისა, ბოლოს სწერია: ითარგმანა ესე წიგნი..

ულირსი ხუცესი
ითანე ასეს ძე
ოკტომბერსა თთუმ-
სა, დღესა 17:
წელსა 1785:
ტფიოლისს.

ბერძენი ითანე
მიხაილის ძე
პაპუწის შვილი
ქსიფი-
ლიონ.

X. ცხოვრება და მოქალაქეობა მარიამ ეგვიპტელისა, ხუცური ხელთნაწერი, რვეულათ, 54 გვერდი, 20 × 16, 5 სანტიმეტრი, უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკუნეს.

XI. წამება კვირიკესი და ივლიტასი რვეულათ, ქალალ-
დზე მეცნიერებულის ხელით.

XII. სიტყვა ითანე ოქროპირსა, 21 × 16 სანტიმეტრი,
ლურჯქალალზე, გადაწერილია ცნობილის ანნასაგან ფებერ-
ვალს 17, 1833 წელს. აქვე სიტყვა ჩივილთაოვის. ბასილი
ისავრელ ეფისკოპოზისა და სხვა საკითხავები, ბოლოს სწერია:

ყოვლად სამღვდელო არსენ არხიეპისკოპოსი კაწარელი
მაყაშვილი ბრძანებულია. ყოვლად სამღვდელო კაწარელი ით-
ანე მაყაშვილი ბრძანებულია.

დოდოს მონასტრის არხიმანდრიტი ეპიფანე მაყმშვილი
ბრძანებულია.

იერო-დიაკონ-მონაზონი ზაქარია მაყაშვილი.

მღვდელ მონაზონი გაბრიელ მაყაშვილი.

მიტროპოლიტი ბოდბელი ითანე მაყაშვილი ბრძანდე-
ბოდბელი.

XIII. წამება ქეთავან დედოფლისა დაბეჭდილი 1819 წელს
და მასთან ერთათ ხელთნაწერიც იმავე ცხოვრებისა, თხზული
მეფის თეიმურაზის მიერ, რვეულათ, ერთ წიგნათ შეკრული,
ანნას ნაქონი.

XIV. წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა და ითანე დამასკე-
ლის სიტყვა, პარაკლისი დავით გარესჯელისა. (ეს ხუცურად

არის ნაწერი, სხვები მხედრულად), 16×11 სანტიმეტრი. ბოლოს უწერია:

ღო შე ფრ ცი გლანკი
ბერი მკრიოს წინდაო და
ლირსო მომ ღთ უნდო.
ესე შრ[ო]მა მიირთვი სახდ
სლისა ჩა ქეს ქეს აქთ ჩდეზ.

XV. პარაკლისი წ. გიორგისი მხედრული ხელოთნაწერი, 16×11 სანტიმეტრი, მეცხრამეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

XVI. განმარტება სამღვდელო შესამოსლისა; შემოკლებით მოთხრობა ისტორიის წთა მამათა, რომელნიცა მოსრნა შახაბაზ უდაბნოსა გარესჯისასა; ხილვა მარტომყოფელისა დანიილისა, რომელი იხილა 1764 წელს, ნოემბერსა თვესა. მხედრული ხელოთნაწერი, ყდაში 16×10 სანტიმეტრი, ბოლოს სწერია:

ხოლო ლირსისა დანიელ მარტო მყოფისა ძილის შორისი ესე გამოცხადება. ბერძულისაგან ქართულსა ენასა ზედა ითარგმანა წმიდის ქეს საფლავის არხიმანდრიტის ვენედიკტეს მიერ სამეუფოსა ქალაქსა შინა ტფილისა 1823 წელსა, იანვრის 23 დღეს.

XVII. უამნი ხუცური ხელოთნაწერი ქაღალდზე, ყდით, $16,5 \times 11$ სანტიმეტრი. ბოლოს უწერია:

უო იკ ქე შმიწყლე მე
ცდვილი ამის მწერლი
თომა ჟინც იხილოთ და
წრიყითხოთ შენდობა
ჰყვთ ჩმთას და ჩმთა
მშობლთა თს ლის
გლისა თს ნუ მწყევთ თუ.

რამ შეცოტომით მოქმედოდეს
რემე, არა ვინ რს აღმის
მონათესავე უცოტომელი:
ალიწერა წე ესე უმნი ქლესა
ტფლის სა ტრდისა სიონსა
კლითა ჩრ ცდვლის თომას.
ზრ ქუსა: უბგ. (1738).

XVIII. ცხოვრება მარიამ ეგვიპტელისა მხედრული ხელთნა-
წერი, რვეულათ, მეცხრამეტე საუკუნის ხელით, 22 × 17
სანტიმეტრი, გადაწერილი და ნაქონია ანნასი.

XIX. წამება პირველ მოწამისა არხილიაკონისა სტეფანესი,
რვეულათ, მხედრული. წიგნი მიურთმევია ათანასი მაყაშვილი-
სათვს გაბრიელ მღვდელს. აქვე სწერია:

მხილველნო წიგნისა ამის ლოცვა ჰყავთ ცოდვითა მდიდ-
რისა სულით გლახაკისა ბერის გაბრიელისათვს. წმინდის დო-
დოს ქართველის საფლავის ლავრა დაიცალა ულმრთოთა ლეკ-
თაგან: წელსა ჩლნე-სა.

წიგნი გადაწერილია გაბრიელის ბრძანებით იოანე ნათლის-
მცემლის მონასტრის დიახოქის მიხაილ ხანდალოვისაგან ჩელ-სა
წელსა, იანვრის 5 დღესა, ქუს ფიზ.

ამავე მაყაშვილის ხელთ ნაწერში ჩვენ ვიპოვნეთ ეპიტა-
ფია იოანე ბოდბელისა მაყაშვილისა, რომელიც ბოდბის ეკ-
ლესიის საფლავის ქვიდან გადმოუწერია 1861 წელს ნიკოლოზ
მაყაშვილს:

..შენივარ...მაცხოვნე, რამეთუ მცნებანი შენნი... მრაწმე-
ნეს მე.

დაშრტა ლაპარისა ესე მდებარე სასანთლესა ზედა ჭეშმა-
რიტისა მღვდელთ მთავრობისასა საჩინო მწყემსი ბოდბელ-
მიტროპოლიტი სანატრელი იოანე კახთა თავადთაგანი მაყაშვი-
ლი რომელი მწყსიდა სიტყვიერთა სამწყსოთა ქერსთა 54 წელ
და განაშვენებდა წმინდასა ამას ტაძარსა და ადგილსა ყოვლი-

თა შემკულობითა და წესიერებითა და აწ პასაკ სიბერისად
მიწევნილმან დაუტევნა საწუთრო ესე 24 სეკტემბერს თვესა
1837-ისა წლისასა და დასხნა აქა 94 წლისა მონაზონებით დამა-
შურალნი სხეულნი თვესნი სახსენებელად საუკუნოდ და თვე
წარდგა წინაშე მეუფისა თვესისა.

შუამთა. შუამთის გუმბათიანი და ლამაზი მონასტერი
ლვთისმშობლისა ძევს შვიდ ვერსზედ თელავიდან ცივ-გომბო-
რის მთის კალთაზე, რომელიც ამ ადგილის თვის სილამაზით
და ატეხილის ტყე-მაღნარით სწორედ რომ წალკოტს წარმოად-
გენს. ახალი მონასტერი შუამთისა აშენებულია მეთექვსმეტე
საუკუნეში დედოფალ თინათინის მიერ, კახეთის მეფის ლეონ
მეორის მეულლისა და გურიელი მამისა ასულისა. თინათინი
აქვეა დასაფლავებული ჩრდილოეთის კედელთან კანკელის მახ-
ლობლად. შიგნით ეკლესია ძეველათ სულ დახატული ყოფილა
შვენიერი ნახელავი სურათებით, მაგრამ მხატვრობა დღემდის
სანახევროდ მოჩანს აქა-იქ, სხვა შეთეთრებულია კირით. შერ-
ჩენილ მხატვრობათა შორის ჩვენ გავარჩიეთ სურათები. ეკლე-
სიის მაშენებელთა დედოფალ თინათინისა და ლეონ მეფისა
ძითურთ, რომელთაც ხელები გაპყრობილი აქვთ აქვე დახატუ-
ლის, მაგრამ ცუდათ შენახულის ეკლესის გეგმისკენ. ეს სუ-
რათები მოიპოვება დასავლეთის სვეტის მარჯვნივ. სხვა სუ-
რათებს წმინდანებისას უჩვენებენ ასომთავრული წარწერები:
„წ ტრიფ-ნ, წ ა თ ე ტირონი, თ ე ევხაჭტელი, წ ნიკიტა,
წ ა კაკი, წ მინა, წ გ ი, წ ნიკოლოზ ახალი, სოლო-
მონ წწული, დ თ წწული“; ჩრდილოეთის კედელზე შენიშ-
ნავთ მხატვრობას, რომელიც წარმოგვიდგენს ჯვარიდან ჩამო-
ლებას იქსოქრისტეს გვამისას, დასავლეთის კედელზე მეორედ
მოსვლას, ზემოთ ლვთისმშობლის მიძინებას და სხვა.

ეკლესიის მახლობლათ ამართულია მაღალი ოთხ-სართუ-
ლიანი სამრეკლო, რომელიც, როგორც გადმოცემა ამბობს,
აღუშენებია თინათინ დედოფლის ძიძას.

გარ-შემო მონასტერს უვლის მაღალი ქვითკირის კედელი კოშკებითურთ, რომელიც იფარავდა ძველათ მონასტერს მტრების შემოსევიდან *). ეკლესია განახლებულია ირაკლი მეორეს დროს და ამ განახლების ამბავს მოგვითხრობს სამხრეთის კარის ზემოთ ნაწერი მხედრულათ:

1. ქ: ეკლესია ყ-დ შობისა აღშე[ნე]ბული სანატრელად
- 2 ხსნებულის დედოფლის თინათინისა დაძველებული და დაქცეული და ლორფინიდგან
3. განძარცული კ-დ მეფემან ს-დ ქვემდესა საქართველოს- მნ მეორემან ჰრაკლიმ ბრძნებითა და სფასთა
4. წარგებითა გუბათით მოკიდებით სმხროებით.....

ნიგოზები

I. ხატი ლვთისმშობლისა ძითურთ ოქროსი $49 \times 41,5$ სანტიმეტრი, მდიდრულად შემკობილი ძვირფასი ქვებით, ფრინულებით, ლალებით, მარგალიტებით და ზურმუხტებით და მრავალის (44) ნაწილებით. ამ ხატის პირი გაღმოლებულია თინათინ დედოფლის დროს გელათის ხახულის ლვთისმშობლის ხატიდან. ხატს აწერია ასომთავრულით:

ქ. ყ-დ წ-ა იპ ჭ-ე.

მეორე გვერდზე:

1. ქ: ჩრდილოდ: მთდ: კიბედ: კიდობნ-დ: და: ტროჟა
ბჭედ:
2. და კრძლუდ: კურთხდ: აღყვზ-ლდ: მგ-სწვბდეს: შ-ნ:
წწყლნი.

*) სრული ლიტერატურა შუამთის მონასტრისა იხილე: Пл. Йос- სеліани. Путевые записки по Кахетии, стр. 91—99. Brosset. Voyage arch, Rapp. I, p. 57—58. Муравьевъ. Грузия и Арmenия. I, стр. 194—202. Хахановъ. Экспедиція на Кавказъ. Мате- ріалы по археол. Кавказа, вып. VII, стр. 4—7.

3. ღისა: დედაო: ქიშლო: უბიწო: მეცა: გქდაგზ: ჭიდ:
- ღის: მშო
4. ბლად: იქსეს: ძირით: აღმსრლო
5. ქლწო: შენგ: შობილსა: მე
6. უფესა: ესრეთ: არქუ: გიყრ:
7. თუ: ტკბილო: ძეო: ჩემო:
8. ისმინე: მამკბსა: ჩემსა:
9. მეფესა: ლეონს: და: ონა:
10. მეცხედრესა: პტრინსა
11. დუღლსა: თინათინს: ნუ
12. დასჯი: რუს: გნიკოხვდე: კუთა: შევმკვით: ხტი:
- ესე: ხელისა
13. ღის: შშბლი: მფობსა: ჩენისა: წრსამრთებლდ: და:
- სლისად ჩენისა: საკ
14. სრად: და: ძეთა: ჩენთად: სადლეგრძელოდ: ან. ან. ან.

უქარაგმოთ ეს წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: უჩრდილოდ, მთად, კიბედ, კიდობნად და ტრაპეზ-ბჟედ და კრძალუად, კვერთხად აღყვავებულად მოგასწავებდეს შენ წინასწარმეტყველნი, ღვთისა დედაო, ქალწულო უბიწო, მეცა გქადაგებ ჭეშმარიტად ღვთის მშობლად, იქსეს ძირით აღმოსრულო. ქალწულო, შენგან შობილსა მეუფესა ესრეთ არქვი: გიყვარ თუ, ტკბილო ძეო ჩემო, ისმინე მამკბსა ჩემსა მეფესა ლეონს და თანამეცხედრესა. პატრონსა დედოფალსა თინათინს ნუ დასჯი, რაუმს განიკითხვიდე კაუთა. შევამკევით ხატი ესე ხასულისა ღვთისმშობელი მეფობისა ჩვენისა წარსამართებელად და სულისა ჩვენისა სახსრად და ძეთა ჩვენთა სადლეგრძელოდ, ამინ, ამინ, ამინ“.

ამ ხატის საბურველზე ბროსეს წაუკითხავს (ჩვენ არ შეგვინიშნავს):

ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ, საბურველი გვაშისა შენისა ეკლესიასა შენსა შევსწირე კნეინა მარიამ ერისთოვმან

მამისთვეს. გევედრებით მშედობა მომატლე სამთა ძეთა ჩემთა, მეოხ ეყავ სულთა ჩვენთა.

ფოტოგრაფიული სურათი ამ ხატისა მოიპოვება როინოვის ფოტოგრაფიაში.

II. გარდამოხსნის კუბოზე გადასაფარებელი ხუცური წარწერით:

ჩედ წელსა აპრილის იგ მარიამ რევაზ მაყაევის ასულმა ვიმუშაკე სულისა ჩემისა საოხად.

III. ჯვარი რუსული ხელობისა ამობერვით განჭედილის სურათით იქსო ქრისტისა. ქვემოთ ხეცურათ უწერია:

ღო: შე	ქეს
ამისი	აქეთ
გამკე	ჩლპდ
თებელი	
არხიეპ	
ისკოპო	
სი რუსთ	
ველი	
ინე	

IV. იოანე ნათლის მცემელის, ხატი კარგი ნამუშაკევი, ფიცარზე, 35, 5 × 25, 5 სანტიმეტრი. აწერია ასო მთავრულით: „იოანე ნათლის მცემლი“. სხვა წარწერა არა აქვს.

V. ბარძიმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: შეწევნითა: მღთისათა: ჩვენ: მეფემ: ირაკლიმ: შევწირეთ: წმინდა: ბარძიმი: ესე: ხახულისა მღთის მშობელს მისხალი როდ. ქუს: უძგ: (1758).

VI. ოთხი ხომლი ვერცხლისა ყველა ერთგვარი მხედრულის წარწერებით:

ქ: ჩვენ: მეფემ: კახეთისამ ირაკლემ: გავაკეთებინე: კანდელი ესე: ხახულისა: მღთის: მშობლისა: მისხალი უთ. ქუს უძგ (1758). მეორეზე მისხალი ნაჩვენებია „შგ“, მესამეზე „რ“ და მეოთხეზე რც.

VII. ხომლი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ: ჩვენ: მეფემ: ირაკლიმ. გავაკეთებინეთ: შუამთის: ხა-
სულისა: მღვთიშობლისათვის თავისის მამულის: შემოსავლიდამ:
კომლი: ესე: მისხალი: ცხრაას: ორმოცდა: ცამეტი; ქ'ს:
უნა: (1763).

VIII. ვერცხლის თასი მხედრულის წარწერით:

ქ. ღივნის ქალის ქეთევანის ნიშნისა ვარ მისხალი რდა
შემოგწირე აბაშიძის ქალმან სიღონიამ სასულიეროთ მიცვა-
ლებულთა ჩემთა.

VIX. განსაზავებელი მხედრული წარწერით: შ-ს. მ-ს შ-ე
მ-დ გ-ს. სოფიო კურდლელოვისა.

X. პატარა თებში წარწერით: სოფიო კუ (კურდლელო-
ვისა).

XI. ფეშემი ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. შეწევნითა: მღვთისათა: ჩვენ: მეფემ: ირაკლემ: შევ-
წირეთ: წმინდა: ფეშემი: ესე: ხასულისა: მღვთის: მშობელს:
მისხალი ღთ: ქ'ს: უმჯ: (1758)

XII. ლვთისმშობლის ხატი, დახატულია ფიცარზე და აწე-
რია: ყ-დ წ-ა.

XIII. საცეცხური მხედრულის წარწერით: მღაბალი არჩი-
მანდრიტი კარდანებს წის საბისა პ[ა]ფნოტიოს.

ხელთნაწერები და სხვა ნივთები შუამთის მონასტრისა
ჩვენ ვერ გავშინჯეთ, ვინაიდან ჩვენს იქ ყოფნის დროს ეკო-
ნომი იქ არ იყო და გასაღები მას წაელო. ეხლა ხელთნაწერე-
ბი შუამთის მონასტრისა გაღმოტანილია საეკლესიო მუზეუმში,
ზოგიერთ მათგანს იხსენიებს პლატონ იოსელიანი.

ებიტაფიები.

აქ მოვიყვანთ სრულათ ზოგიერთ ეპიტაფიებს და სხვებისას
მხოლოდ მოკლე შინაარს გაღმოვსცემთ:

I. ეკლესიასა ამას შინა მღებარებს მარიამ თავადის გარ-
სევან ჭავჭავაძის მეულლე ასული ავალიშვილის თავადის ითა-

ნესი შობილი აპრილის პირველს 1752 წელსა და გარდაცულილი 19 მაისს 1826.

II. საფლავი თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც გარდაცულილა 60 წლისა ექვსს იანვარს 1846 წელს. ზედ სხვათა შორის სწერია: მარად საუკიწყოფესა სიმამრისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმან დავით დადიანმა.

III. აქვეა დამარხული მისი შვილი დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, რომელიც დაბადებულა 1818 წელს და გარდაცულილა 15 იანვარს 1884 წელს.

IV. სოფიო ბატონიშვილი გარდაცულილი პირველ იანვარს 1868 წელს.

V. საფლავი ომანის ძის მაყაშვილისა, გარესჯის მწირმონაზონისა, რომელიც გრძელაცულილა 1831 წელს.

VI. საფლავი ენდრონიკაშვილის ასულის თინათინისა, აბელ ჩოლოყაშვილის მეუღლისა, რომელიც გარდაცულილა 29 ივნისის 1839 წელს.

VII. საფლავი სერაფიონ კიუნაძისა, რომელიც ბროსკეს მოგზაურობის დროს ცოცხალი იყო და მას მიეგება შუამთის მონასტერში:

ლოდისა ამას შინა ქუბშე აკლდება და მას შინა განისვენებს ამიერ სოფლით. გარდაცვალებული მღდელ მონაზონი სერაპიონ კიუნაძე ოზ-სა წლისა მონასტრისა ამის ნამსახური მხილველნო შენდობა ბძანეთ შობითგან წლისა ჟ-სა. ლმერთმან აცხონოს სერაფიონ.

ძგელი შუამთი: სამი ვერსის მოშორებით ახალი შუამთის მონასტერიდან, არის შესანიშნავი ნაშენები ძველი შუამთისა. ეკლესია ძველი შუამთისა თუმცა პატარაა, მაგრამ ძრიელ ლამაზია გეგმით, გუმბათი დაბალი აქვს, როგორც ყველა უძველეს დროის ეკლესიებს. გარშემო სხვა ეკლესიების და სენაკების ნანგრევებია და მასთან ძველი გეგმისვე სამრეკლო რომელიც ცალკე საყდარსაც წარმოადგენს იმავე დროს. ეკ-

ლესია ძველი შუამთისა შესანიშნავია სხვათა შორის ძველი ლამაზი ალებასტრის კანკელით, რომლის მიხედვით გააკეთა გაგარინშა ტფილისის სიონის ახალი კანკელი. ეკლესიის კედლები შემკობილი ყოფილა ძველათ მშვენიერის სურათებით, რომლის ნაშთები ემჩნევა, როგორც კედლებზე ისე კანკელზედაც. აქ კიდევ განირჩევა სურათები მთავარანგელოზების მიხაილისა და გიორგიელისა; ღვთისმშობლისა ძითურთ; მსოფლიო მამების სურათებზე იკითხება: წე გრიგოლი, წე ბასილი, წე ნიკოლოზ, წე პავლე. კანკელზე მხედრულის არა ძველის ხელით ჩვენ ამოვკითხეთ:

ღო შე ფრიად ცი ალავერდელი არსენი.

საკურთხეველში მარცხნივ ეპისკოპოზ კირიონს ამოუკითხავს წარწერა, რომელიც ჩვენ არ შეგვინიშნავს:

ქე შე ამ... ივნე თემას (?) ძედ.

სხვა ძველი წარწერა აქ სამწუხაროთ არ შენახულა. მხოლოთ მუხის კარებზე მოიპოვება ასომთავრული წარწერა არა უგვიანესი მეთუთხმეტე მეთექვსმეტე საუკუნისა: „ჯი ქსი“. და შემდეგ:

ღო:.. შე:.. კტე:..

რი *) შგულ:..

ესე:.. კარი:..

მ-ნ ქნა

წ ღო და ყ-დ წ-ო

შ-ლენ:.. მძ-ლრი:..

ნ-ზ:.. და ხ-რნი:.. მ-ქლ

და დტრე:.. წ:.. ღო:.. შ-ე

ბჭ-კრი:.. შიო:.. ან:..

უქარაგმოთ: ღმერთო შეიწყალე პეტრე, რომელმან შეა-გულ ესე კარი ქმნა.

*) უკანასკნელი ასო უფრო წააგავს „კ“-ს ქარაგმით.

წმიდაო ღმერთო და ყოვლად წმიდაო შეიწყალენ პო-
ძლვარი ნიკოლოზ და ხურონი მიქელ და ღემეტრე. წმიდაო
ღმერთო, შეიწყალე ბუჭუკური შიო ამინ.

დაწვრილებით ცნობები ამ ძველი შესახებ იხი-
ლე ეპისკოპოზ კირიონის სტატიაში: Старая Шуамта. Духов-
ный Вѣстникъ за 1901 г. № 6—7.

კისიტაური. თავადის კიაზო ერისთვის სახლში, რომელ-
მაც დიდი სტუმართ მოყვარეობა გაგვიწია, ჩვენ ვნახეთ შემდე-
გი წიგნები და ხელთნაწერები:

I. ჯვარი ათონური, 39×14 სანტიმეტრი, ვერცხლის
არშიით, ქვემოთ ვერცხლის ტარზე აწერია მხედრულად:

ჭი.: შენ საშინელო ჯვარო ცხოველს მყოფელო მე შა-
რაფალ (sic) ცოდვილი და წყალობისა შენისა ულირსი მარიამ
შემიწყალე მომხედე. ოდეს მოუკდა ქართლის კემწიფე მეფე
გიორგი სამს მარიამობისთვეს დღესა პარ[ა]სკევსა მოიღე შენი
წყალობა და იხსენ ყათლავსაგან ჩემი გიორგი და ბარძიმ ავ-
თანდილ და ონოფრე გაუმარჯვე სრულა ქართველზედ იმ
დ[რ]ოისათვის მოგაჭედინეთ შემინდევი ცოდვანი და მიღლე-
გრძელე შვილები ამინ*).

აქ მოხსენებული ამბავი ეკუთვნის გიორგი მეთერთმეტის
დროს, 1688 წელს და მოთხრობილია ვახუშტის მიერ (ქ. ცხ.
II, გვ. 59). გიორგი და ბარძიმ იყვნენ არაგვის ერისთავები,
ავთანდილ და ონოფრე მათ მებათ ბროსეს გენეალოგიურ
რუქაში ცნობილი არ არიან. მარიამი, დედა ამათი, ყოფილა
ერისთვის ოთარის ანუ ოტიას მეუღლე.

II. ხატი ღვთისმშობლისა, ვერცხლ შემოჭედილი, 31×23
სანტიმეტრი, ზოგიერთი ძვირფასი ქვებით შემკული, ნაწილე-
ბით, რომელთაც აწერიათ: იოანე ნათლის მცემელი, პანტე-

*) ამ წარწერას ნამდვილზე ყოველი სიტყვის შემდეგ უზის სამ-სამი
წერტილი, რომელსაც ჩვენ არ ვიცავთ.

ლეიმონ, ბართლომე, მარკოზ, ესტატე, მათე, აბიბოს, წ. სერგისა, ნიკოლოზ, იაკობ, კალიმია, ბაქოს.

მეორე გვერდზე აწერია:

1. ქ.: წყალობითა მღთისათა ჩვენ ცვითა და ფარვითა მისითა მინდობილმან და ყოვლად უ
2. ღირსმან ციციშვილმა სარდარ სახლის უხუცესმა ზაზამ და თან მეცხე
3. დრემან ჩვენმან ლთის მოყვარულმან ციციშვილის მანუჩარის ასულმან პატ-
4. რონმან ანუკამან მოვაჭედინეთ ხატი ყოვლად წმინდის ესე დღეთ ჩვენთა წ
5. ასამართებლად ძისა და ნაყოფის მომაცემელად ცოდნათ ჩვენთა შესნდობლათ
6. რათა მეოხ გვაყავა (sic) დღეს მას დიდსა განკითხვისას ამინ ქუს ფხე (1669).

ქვემოთ წინა პირზე უფრო ახალი დროის წარწერაა:

1. ქ. მე არაგვის ერისთავმა მდივანბეგმა ბეჟანმა მოვაჭედინუ ესე მღთის მშობლის ხატი სულ
2. თა ჩემთა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ ენკენისთვის ი წელსა ჩეგ***).

ხელთნაწერები

I. დაუჯდომელი ხუცური ხელთნაწერი, გაეშვილს ქალალდზე, შემკობილი მშენებირის ნახატვებით, 20×14 სანტი-მეტრი. სულ 70 ნახატვია სხვა-და-სხვა წმიდანებისა. ყველა ნახატვს ერთი და იმავე შინაარსის წარწერა აქვს:

ღო: დღეგრძელობილ: აკმარე: კათალიკოზის: ნიკოლოზის:-

თქვენ: მეოხ: ექმენ: წინაშე: მღთისა: კზს: ნიკოლაოზის:

**) ამ წარწერასაც ყოველი სიტყვის შემდეგ უხის სამ-სამდ-წერტი-ლი, მაგრამ ჩვენ არ აღვნიშნავთ.

სულ ხელთნაწერი შეიცავს 86 ფურცელს. სათაურები ნაწერია ჩართულის ასომთავრულით და ოქროთი. ბოლოს სწერია:

ღმა ღა ყლისა კ-თლისა წარმმართებელ-სა რ-ისა შე-წევნითა აღვაწერინე წ-ე ესე წიგნი დაუჯდომელი მისის შედე-გებითა და ზიარების ლოცვანი შევამკევ და დავახატვინე მე ამლ-ხორის შვილმ-ნ კ-ზნ პატრონ-მნ ნიკ-ზს ცდვ-თა ჩ-ნთა შესანდობლად დღეთა ჩ-ნთა წარსამრთებლად:. მფ-ობასა პ-ტრონის გრგისსა:. ქ-სა:. ცმთა: კ-ლითა მიქელის-თა: ღ-ო შ-ე ფ-დ ც-დვლი მიქ-ლი ღ-ო შ-ე ფ-დ ც-დვლი კ-ზნ ა-ნ ჲ.

ბოლოს ამ ხელთნაწერს მიკერებული აქვს ორი ფურცე-ლი, რომელზედაც მოყვანილია ნუსხახუცურით ნაწერი ორ სვეტად ქრონიკა, რომელიც იწყებ ბაგრატ IV სიკვდილიდან და თავდება 1605 წლით. ვინაიდგან ეს ქრონიკა ცალკე გამოვეცი, აქ აღარ განვიმეორებ (ნახ. ხრонიკა მრისტოვსკაგი აკათისტა XXIX ვუ. «Сборника матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа», стр. 1—20).

II. ფსალმუნის განმატება, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, ქალალდზე, 17 × 11 სანტ., თავში სწერია კინოვარით: ამბავი მაჰმადისი თარიგმანთა შ-ა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთა-გან მაჰმადიანთასა გამოლებული და ნათესაობა მათი:

ბოლოს: აღვწერე წიგნი ესე განმარტება-პ: ბ: ფსალმუ-ნისა. რლ-ცა გვაუწყებს წვლილად სარწმუნოებათა მახმადიანთასა და სჯულსა მათსა ყლისა კეთილ-მსახურებასაგან განვრდომილსა გარე: ქირ-თ წელსა 1822: ჩეგბ: ხ- ქართულისა წელთ მოქცევსა-დასაბამიდგან მეათოთხმეტისა ქორონიკონისასა; 509: ფთ, ხ: პეტრებუკრგს:.

ვ-ა ნათლისა და შარავანდედისა გაშორება შეუძლებელ-არს მზისაგან ეგრეთვე არა ძალიდების კეშმარიტისა ქრისტია-ნეთა სარწმუნოებისაგან განშორება სამართლისა და კეთილ-მო-ქმედებისა. ხ- სარწმუნოება და ჰსჯული მოცემული მოჰმედის მიერ ყოვლითურთ საკუთრ წინა აღმდგომ არს ამისსა: მა-შასადამე ბნელ არს იგი და ყოვლითურთ საკუთრ: არა ჭე-

შმარიტება ად სიცრუე და არა კეთილის მოქმედება ად ყალი ბოროტის მოქმედება რლიცა მდის შეუდგების მას და წარწყმედს დიდებისაგან ღისა ყლთა შემდგომთა მისთა: მე ესე წიგნი გადმოვსწერე უმეტნაკლებოთ მღვდელმა დიმიტრიმ აქროაშვილმა სანკტ-პეტერბურლს: ფეხერვლის. კდ. დღესა. წელსა ჩეკდ:

III. სამართალი ვახტანგ მეფისა. $34,5 \times 21,5$ სანტიმეტრი, მხედრული ხელთნაწერი ლურჯ ქალალდზე. თავში მოიპოვება სრული საძიებელი სხვა ხელითა. ბოლოს აწერია:

„ცოდვილო დავით ღმერთმან გაცხონოს ამინ“. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერია.

IV. გვირგვინი. მხედრული ხელთნაწერი. ტყავ გადაკრულ ხის ყდაში, თეთრ ქალალდზე. 21×14 . სანტ., ოცდა კამეტი რვეული. ბოლოს არის თარიღი ამ რიგათ: 1796. 5. 13. ჩლევ. იგ. პორფირი (ასო მთერულით ჩართული).

V. წმიდა გიორგის ცხოვრება: თვესა აპრილსა. კგ. წმ. გიორგისა. დაწერილია მოლურჯო ქალალდზე ხუცურის ნუსხა ხელით. შეიცავს 52 გვ. ზის ტყავ გადაკრულ ხის ყდაში, $11,5 \times 9,5$ სანტ.

VI. დაუჯდომელი მინიატურული, მხედრული ხელნაწერი, კარგი ნამუშაკევი, ყდაში, $5,6 \times 3,6$ სანტ. სულ 8 რვეული. ხელი ძრიელ წვრილია. მე-18 საუკუნის ხელთნაწერი.

VII. დაუჯდომელი მხედრული ხელთნაწერი ყდაში, მე-18 საუკუნის ხელით, $8,5 \times 6$ სანტ. სულ თოთხმეტი რვეული.

VIII. სძილის პირი $13, 5 \times 9,5$ სანტ. ხუცური ხელთნაწერი ყდაში, 13×9 სანტ. თავი აკლია, სძილის პირის გარდა ამ წიგნში არის განმარტებანი შვიდთა ცოდვათანი და აქვე რუქები მხატვრობით მაღლთა, საკითხავები ეფრემ ასურისა; ნუსხა მსოფლიო კრებათა. სძილის პირის ბოლოს აწერია, „და ქესა სრლ მყოფლა. ცოდვილმან. რომანოზ: ა“. „კ.“ ბევრ ალაგას არის მოხსენებული ტექსიტის ხელით:

„ქე შე ცი რომანზ: — წიგნის ბოლოს სწერია:

ქ ე შ ე ულირსი. მღდელ მონაზენი რომანოზ: — ოდეს იგი
მოხვიდე:

კიდევ წარწერა ტექსტისავე ხელით: დ თ შ ე ფ დ ც ი
მონოზანი. მთავრ დიაკონი. რომანოზ: — აქვე არწივი დახატუ-
ლი ჯვარით. შეუში ერთი ლოცვა სომხურათ არის ტექსტის
ხელით ხუცურათ დაწერილი.

IX. დაუჯდომელი მხედრული ხელთნაწერი უყდოთ, დაშ-
ლილი მეცხრამეტე საუკ. ხელით. თავი და ბოლო აკლია,
 $10,5 \times 7,5$ სანტიმეტრი.

X. სამართალი მეფე ვახტანგისა ყდაში, $22 \times 66,6$ სანტ.:
ლურჯ ქალალდზე კარგის ხელით და სარჩევით, 97 გვერდი:
ბოლოს სწერია: ღიდება პატივი და მადლობა. დამბადებელსა.
და სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა: ფეხერვლის. ც.
1810.

აქ მარტო ვახტანგის სამართალია.

ე. თაუადშვილე

(შემდეგი იქნება).

გ ა კ ბ ე ტ

გერგინუსისა *)

(დასასრული)

ბანქოს შვილი ფლეანსი გაექცა სიკვდილს, და ამ გარე-
მოებას უნდა მოეგონებინა მაკბეტისათვის, რომ რაც ბედისაგან
განწესებულია, ის შეუცვლელია, მხოლოდ მაკბეტი ახლა თავს
იმით ინუგეშებს, რომ ფლეანსს ჯერეთ არ უჭრის კბილი და
დღეს უვნებელია. ბანქოს მოკვლას იმან— შეუწყო ხელი; რომ
მაკბეტს ეშინოდა მისი და გულმოსული იყო მაზედ, როგორც
საიდუმლოს თანამოზიარეზე. ამ შიშმა კვლავ შეარყია მისი და-
სუსტებული სიმამაცე, როდესაც გამოეცხადა ბანქოს აჩრდილი.
აჩრდილმა მთლათ დასუსტადა გამოსცვალა მისი ბუნება; მისი
ცოლი ცდილობს დაამშვიდოს სტუმრები; წინანდელივით გულ-
მაგრათ ცდილობს ბოდიში მოიხადოს ქმრის ავათმყოფობისა-
თვის და შემდეგ წინანდებურათ მკაცრის საყვედურით აგრძნ-
ობინებს ქმარს მის სისუსტეს: „კაცი არა ხარო“? ეკითხება
მაკბეტს.— „კაცი ვარ, მაშა“, უპასუხებს იგი: „და ფრიადაც
გულადი კაცი, რომ შევცერივარ ამ სანახავს, რომელიც თო-
თონ ტარტაროზაც- კი შეჰარავდა“. მაგრამ ცოლი მაინც
განაგრძობს თავის მწარე სარკაზმებს: „ეგ რიდი, ძრწოლა ნამ-
დვილის შიშის მიმბაძვნი უფრო შვერიან დედაკაცისგან ბუხ-
რის ცეცხლთან მოთხრობილს ამბავსო“. მაგრამ მაკბეტი მაინც:

გაძელავს და დალევს ბანქოს საღლეგრძელოს, როგორ კი გაჭქრება მისი აჩრდილი, მხოლოთ როდესაც ხელახლა შემობრუნდება ბანქო, მაკბეტის ნერვები კვლავ დაიწყებს კანკალს. ბაკბეტი დაიტრაბახებს: „რაც კი კაცს ძალუს, მეც ყველაფერი შემიძლიაო“, მაგრამ სიმამაცე ეკარგება, როგორც-კი დაინახავს ბანქოს აჩრდილს. ყველაფერი ეს შედეგია სინიდისის ძრწოლისა და მისის საშინელის წარმოდგენებისა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, როცა იგი სინანულის ღროს შურით შეჰყურებდა ღუნკანის უშფოთველს ძილს; ეხლა კი ისე ღრმათ ჩაეფლო სისხლში, რომ მისთვის სულ ერთია—წინ წავა თუ უკან დაბრუნდება. ამდენხანს ბანქოს ეჭვების და ვერაგობის ეშინოდა, ეხლა-კი ყველა სახლს ჯაშუ შებით- აავსებს, სდევნის საეჭვო პირებს, ემუქრება გაქცეულ პრინცებს, მოითხოვს განზე გამდგარ მაკდუფს და მოაკვლევინებს მას ოჯახობას. აქამდის მისის სინიდისის ტანჯვა, სხვათა შორის, გამოიხატებოდა იმით, რომ მან, რომელმაც მოუკლა სხვებს ძილი, მოკლა თავისი ძილიც, რომ იგი მოკლებული იყო ამ ბუნებრივ სიამოვნებას, რომ მას აწუხებდა საშინელი სიზმრები; ეხლა-კი მას უნდა იძინოს, იძინოს წინააღმდეგ ყოველისავე განსაკლელისა, თავის ყოველ გვარ სასტიკ განზრახვების ღროსაც. ოდესლაც უბრალო ყვირილიც კი აფრთხობდა მის ცოცხალ ფანტაზიას; ეხლა თითქოს გამძლარია საშინელებით და დაკარგული აქვს ყოველივე გრძნობა შიშისა. წინათ იგი რჩევას აძლევდა თავის თავს, როგორ მოვიქცეო, ეჭვები ებადებოდა; ეხლა კი ისეთი განზრახვები უტრიალებს თავში, რომლებიც მოითხოვნ განხორციელებას, ვიდრე განიხილავდეს მათ. ბავშვათ სთვლის თავის თავს ბოროტ საქმეებში, ვიდრე არ მიაღწევს იქამდის, როდესაც ყოველივე მისი განზრახვა დაუყოვნებლივ სრულდება; სცდილობს, რომ ერთათ-ერთი. მისი დევიზი იყოს: ვიფიქრე და შევასრულე. მოქმედების ასეთი წყურვილი აღძრა მასში, სხვათა შორის, მაკდუფის გაქცევამ. წინასწარ გრძნობდა შიშს მაკდუფის მხრივ, მაგრამ გადადვა მისი მოკვლა, და მოულოდნელად ესმის გრძნეულ დებისაგან, რომ სწორედ

მაკდუფისაგან უნდა მოელოდეს ცუდს. აი ამის შემდეგ არ უნდა არც ერთის საქმის გადადება. ამ მდგომარეობაში ამაგრებენ კუ-დიანები, რომელიც მიუწერდობენ ეხლა მაზედ თავის მშრალე-ბელის ხელმძღვანელობით. ეხლა, გრძნეულის დების მიზანია, ყოველთვის აღუძრან მას იმედები, მუდამ ამყოფონ ცოდვებ-ში, ხელი შეუწყონ მის მარტო ადამიანის ძალ-ლონებე დამყა-რებას. მის მიერ ყოველგვარ ლვთიურ კანონის უარყოფას. ამ ყოველისავე საჩწმუნოებრივის გრძნობის უარყოფას, ამ სინი-დისის ყოველისავე ეჭვების უკუგდებას, ამ უზომო დამყარებას ადამიანის ძალაზე—გრძნეული დები პირდაპირ უწოდებენ იმ მტერის სახელს, რომელიც ყველაზე უფრო დამლუპველად მოქმედობს ადამიანზე. კუდიანების ორ-აზროვანი წინასწარ-მეტყველობანი ჩაგონებენ მაკბეტს უშიშროებას, მათ უნდათ, რომ მაკბეტმა დააჩქაროს თავის ბედისწერის შესრულება, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სიკვდილს და დაამყაროს თავისი იმედი გარეშე ყოველისა ზომიერებისა, მოწყალებისა და ში-შისა. და როდესაც მაკბეტი ხედავს ეშმაკის უკანასკნელს მოტყვილებას, ხედავს, თუ როგორ ახლოვდება მისი ტრაგი-კული დასასრული,—მისი მამაკაცური მოუღრეკელობა იზრდება და დან-და-თან მატულობს. როდესაც ბოლოს მაინც ამ მოტყვი-ლებამ ეჭვები აღუძრა, მას ცოტა-ცოტა ეპარება შიში, მხო-ლოდ კიდევ სძლევს შიშს; თუმცა მისი სინიდისი უკვე მხდა-ლია, მაგრამ მხნე და მაგარი აქვს ნება. როდესაც ახლოვდე-ბა ბირნამის ტყე, მაკბეტი ერთს წუთს ჰყარგავს გამბედაობას, მაგრამ შემდეგ გაბრაზებული გამოდის თავის თავის დასაცვე-ლათ. მაკდუფი რომ ეტყვის: მე უდროოთ ამოგლეჯილი ვარ დედის მუცლიდან და არა შობილიო, მაკბეტს კვლავ შეიძ-ყრობს შიში: „მე შენ არ გებრძვიო“, ეუბნება მაკდუფს. მაგრამ როგორც კი დასცინებს მაკდუფი და მხდალს, ლაჩარს უწო-დებს, მასში ხელახლავ ილვიძებს გმირი, რომელიც მზათ არის გმირულათ შეხვდეს სიკვდილს. მაკბეტი დიდი ადამიანია, რო-გორც გაგენი ნიბელუნგებში და თუმცა საშინელს საქმეებს ჩაიდენს, მაგრამ მაინც ძალა უნებურათ პატივისცემას იწვევს.

ჩვენში; თანდაყოლილი გმირობა. მას შერჩება უკანასკნელ წუთამდე და სიღიადე მისი მამაცურის ძლიერებისა და ძალა მისი გამბედაობისა თითქმის მეტობს და პფარავს მისი დანაშაულობის სიღიადეს.

პიესის აზრი, ტენდენცია ისაა, რომ მაკბეტი, რომელიც წინათ კეთილშობილი და გულკეთილი აღამიანი იყო, პატივ-მოყვარეობის ცდუნების და მამაცურის სიამაყის ზედგავლენით გარდაიქმნას წინდაუხედველ და გულდაჯერებულ აღამიანათ. ამ მხრივ მაკბეტი წარმოადგენს სრულს წინააღმდეგობას ჰამლეტისას. მამის პატიოსანი აჩრდილი მოუწოდებს ჰამლეტს მართალ საქმისათვის; საიქიოდან მოსული სული აღძრავს მასში აღამიანურ ბუნებას წმინდა აღამიანურ გრძნობისათვის; მაკ-ბეტს-კი აცდუნებენ ბოროტი ძალები, არსებანი, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ აღამიანურ სიმპატიას და ორ-აზროვანის სიტყვებით აქეზებენ მაკბეტს ბოროტ და ყოვლად არა-ბუნებრივ საქმისათვის. ბუნება და გონება აქეზებს ჰამლეტს, მაკბეტს-კი იკავებს. ჰამლეტი იძულებულია იმოქმედოს, მხოლოდ გვიანობს და უცდის, მისით ხომ არ გაკეთდება საქმეო. მაკბეტს-კი ყველაფერი მოცდას ეუბნება, მაგრამ იგი ძალათ მიღის წინ და წინვე მოიპოვებს გამარჯვებას. გარემოება ორივეს ხელს უწყობს, მაგრამ ერთი არ სარგებლობს მით, მეორე კი ხელს სტაცებს, და ორივე ერთნაირად ჟესინიდისოთ იქცევა. ერთს აქეზებს ყველაფერი; თვითონ უსაყველურებს თავის თავს, უწოდებს მხდალს, საძაგელს, მაგრამ ვერრას აკეთებს და ვერ ამაღლდება საკუთარ თავის ღირსებამდე; მაკბეტი კი აღემატა თავის თავს, როგორც-კი მიმართა ცოლმა მის მამაკაცობას. ერთი უმოქმედობით შეპყრობილი, უფრო და უფრო ზოზინობს, მეორე, გატაცებული თავის საქმეებით, უფრო და უფრო მიისწრაფვის წინ. ჰამლეტ ერთხელ უცაბდება სისხლის გზას დაადგა, მაგრამ მაინც გაუბედავი და გულ-სუსტი დარჩა მაშინ, როდესაც მაკბეტი პირდაპირ შეებრძოლება უმაღლეს ძალებს, ერთი რაღაც ივადმყოფურათ გაურბის საქმეს, მეორე-კი ავადმყოფურათ დაეძებს.

საქმეს. ჩვენ ვხედავთ, ომშ ჰამლეტის იჭვიანობას, მხდალს სინიდისს და ზნეობრივს დაუჯერებლობას საკუთარის თავის შესახებ შექსპირმა დაუპირდაპირა უღვთო და შესახარი გულ-დაჯერებულობა მაკბეტისა, ომელიც ბოლოს და ბოლოს მიიღებს დემონის სახეს. ამას იქით ამ ორს ხასიათს არაფერი აქვთ საერთო. ამას შემდეგ მაკბეტის აღარებდენ რიჩარდ III-ს, ვიდრე ჰამლეტს. მაკბეტიც და რიჩარდიც პატივ-მოყვარეობის გამო დაადგნენ დანაშაულობის გზას და ორივე თითქმის ერთნაირის სიტყვებით ამბობს: ისე ღრმათ ჩავი-ფალით სისხლში, ომშ ერთი დანაშაულობა ძალათ იწვევს მეორეს. მაგრამ რიჩარდი ბუნებითად ბოროტი ადამიანია და ჩადის ბოროტებას თავის ნებით, კარგად მოფიქრების შემდეგ; მაკბეტი-კი დაბადებით ობილი და კეთილშობილი ადამიანია, ბოროტებას ჩადის ცოლის ჩაგონებით და გარეგან მაცდურ პი-რობების ზედგავლენით; ორივენი მოღალატენი არიან, უზურ-პატორები, მტარვალები; მაგრამ რიჩარდი შეიქნა ასეთად მატ-ყუარობის, ფარისევლობის და პოლიტიკის შემწეობით; მაკბე-ტი-კი მხოლოდ მეომარია. რიჩარდს ჰკლავს მაზედ უფრო ფარისეველი ადამიანი, მაკბეტი—უფრო კეთილშობილი პირი. ორივეს გარს ახვევიან ისეთი პირები, ომმლებმაც იციან მათი დანაშაულობა, მაგრამ რიჩარდი ზიზლით უყურებს ყოველს ადამიანს და ყურადღებას არ აქვევს უმნიშვნელო მოქიშხეს—ბუკინგამს, მაკბეტი კი, ომელიც მოკლებულია ზიზლს ადამიანებისადმი, უნებურის პატივის ცემით ეპყრობა მაზედ მაღალი ნიჭს, ისეთს ადამიანებს, ობოროც არიან ბანქო და მაკდუფი. ორივენი დაიხშობენ სინიდისს ძლიერის ნების შემ-წეობით, მხოლოდ რიჩარდი სისხლით მოპოებულ გამარჯვების დროს მხიარულია და კარგს გუნებაზედ, მაკბეტი-კი არ ახა-რებს გამარჯვება, მის შესახებ იყო ნათქვამი: „მასში რაც არის, ყველაფერი სწყვევლის თავის თავსო.“

გულნატკენი გადაავლებს ბოლოს მაკბეტი თვალს თავის გაურუებულს იმედებს და ძლიერ სწუხს, ომშ არ შერჩა არც შეგობრები და არც პატიოსნება; რიჩარდი კი არ მიაქცევდა

ამას ყურადღებას. ორივეს აწეულებს გაჭირვების დროს შიში და სინიღისი; ორივე ერთნაირად სცემს ცუდის ამბების მომტანს, ეწინააღმდეგებიან თავის თავს გულმავიწყობის დროს, გზა და კვალი ებნევათ განსაცდელის დროს. მაგრამ რიჩარდი ყოველთვის ავაზაკია, რომელიც ცდილობს ხელიდან დაუძვრეს მსაჯულს, მაკბეტი კი მეომარია, რომელიც პატიოსნურად ებრძვის მოწინააღმდეგეს. ორივენი ჰგვანან ერთმანეთს თავის გულდაჯერებულობით და შეურყეველის მხნეობით, სტივენსმა მართალი სთქვა, რომ შექსპირის საყვარელი აზრია: ავაზაკობა და ბიწიერობა მამაცებსაც კი სულ-მოკლეებად შეკემნისო; მხოლოდ ამ შემთხვევაში. მაკბეტიც და რიჩარდიც წარმოადგენს გამორიცხვას: მათში დანაშაულობასთან ერთად იზრდება უშიშრობა და სიმხნევე. მაგრამ მაინც მაკბეტი რიჩარდზე მეტს უშიშრობას იჩენს, როდესაც უკანასკნელად გადის. საბრძოლველად, თუმცა ცხადია, რომ დამარცხდება.

რაც შეეხება პოეტიურ სამართლიანობას დუნკანის, ბანქოს და მაკდუფის შესახებ, უნდა ვსთქვათ, რომ ისინი წარმოადგენენ მაკბეტის წინააღმდეგობას, როგორც პასტინგსი რიჩარდ მესამისას. როგორც მაკბეტი იჩენს ძალების გადამეტულობას, შეუპოვრობას აღამიანების და ღმერთების წინააღმდეგ; უშიშრობას მოწინააღმდეგების წინაშე, რომლების დასამარცხებლად ხმარობს ყოველგვარს კანონიერს და არა კანონიერს საშუალებას, ისე დუნკანი, ბანქო და მაკდუფი იჩენენ სისუსტეს, გაუბედაობას, გაუფრთხილებლობას, რის გამო ხელიდან უსხლტებათ თავის დაცეს სამართლიანი საშუალება, მოუფიქრებლობას და პასივობას. ამ ორს უკიდურესობას შორის ხასიათის ზომიერებას წარმოადგენს მაკდუფი, რომელიც მწარებამოცდილებამ გამოაფხიზლა ბოლოს, და უფრო გამჭრიახი მალკოლმი. ჯერ ქრონიკაში დუნკანი არის დახატული უფრო სუსტ ადამიანად, ვიდრე ეს შეპფერის მეუეს; ლალატი ჩვეულებრივი ამბავი იყო მის დროს; მას არ შესწევდა იმდენი ძალა, რომ მოესპონ დალატი, არც იმდენი დაკირვება, რომ სახით გამოეცნო მოლალატენი; კავდორის თენმა ცუდათ ისარგებლა მისის

მეგობრობით, და ახლა კიდევ აჯილდოებს მაკბეტს და ეფერება მის პატივმოყვარეობას და სრულიად უყურადღებოთ სტოვებს წყნარს ბანქოს. აამაღლა მაკბეტი და ძალიანაც მოტყვილდა. ამგვარივე წინდაუხედველობა ჰლუპავს ბანქოსაც. იცოდა გრძნეულ დების საიდუმლო. დაახლოვებული იყო მაკბეტთან და შეეძლო დაენახა მისი გულ ჩახვეულობა. ეჭვები აქვს, რომ მაკბეტმა დანაშაულობა ჩაიდინა, მაგრამ არავითარს ზომას არ ხმარობს არც მის წანააღმდეგ, არც თავის თავის სასარგებლოთ. ცოტა სხვანაირათ, ვიდრე სხვანი მხდალნი: ექიმი, სეიტონი, როსსე და ყველაფრის მეთვალყურე ლენქისი, — ბანქო იმარხავს გულში თავის ფიქრებს და თავს იბრძმავებს თვალ ხილული: იგი იღუპება უმოქმედობისა გამო საშიშარ მეზობლისაგან. მკლუფი არ არის იმდენათ წინდაუხედველი, ამიტომაც დასჯილ იქმნა არა პირადათ, არამედ ცოლშვილის სიკვდილით, რომელთაც ჰლუპავს მაკბეტი და ამის გამო მაკლუფი შეიქნება წამებულ გმირათ. პიესაში ნათქვამია, რომ მაკლუფი კეთილშობილია, ჭკვიანი, შორს გამჭვრეტელი და შშვენიერათ ესმის ყოველივე გარემოება. აგეთია ნამდვილათაც. თავში გულწრფელათ უფრო ის სჯერა, რომ მეფე დუნკანი მოსამსახურეებმა (პაუებმა) მოჰკლეს; მეფის მაკბეტის მიერ მოკვლა მას ახირებულათ მიაჩნია, და თავის ეჭვს ღრმათ იმარხავს გულში. მაგრამ არ ესწრება მაკბეტის გვირგვინის კურთხევას, ერიდება მაკბეტს და ბოლოს სიფრთხილის გულისათვის კიდეც გაიქცევა უცხოეთში. ასეთი წინდახედულია, პაგრამ მაინც ივიწყებს თან წაიყვანოს თავისი ოჯახობა. მაკბეტი მოჰკლავს მაკლუფის ოჯახობას და ეს უბედურება აიძულებს მაკლუფს პირდაპირ შეებრძოლოს მაკბეტს. როდესაც დამშვიდებულია, მაკლუფი შოგვაგონებს მაკბეტს: წარმოადგენს ძლიერების და ხასიათის სიწყნარის შეერთებას. ამ მხრივ იგი მაკბეტზე მაღლაც დგას, რადგან მოკლებულია ყოველგვარს პატივმოყვარეობას. და როდესაც ღონალბენი გადაიკარავა შორს და მის შესახებ არავითარი ცნობა არ არის, მალკოლმი-კი ყოველგვარს უზნეობას აბრალებს თავის თავს, მაკლუფს უბრა-

ლო ფიქრიც არ გაუვლის თავში, თვითონ დაიჭიროს ტახტი; იგი ამბობს მხოლოთ: მშგიღლია ვითიქროთ, რომ წყნარს და კეთილ-შობილს მაკდუფს არა ჰქონდა იმდენი პატივმოყვარეობა, რომ შეძლებოდა მაკბეტის დამარცხება. მაგრამ შექსპირმა ცოლშვილის მოკვლით იმდენათ გაამწარა მაკდუფი, რომ შეაძლებინა გამარჯვება. ეს მშვენიერათ არის დასურათებული ორის სიტყვით მაკდუფის და მალკოლმის სცენაში. როდესაც საშინელი ამბები ესმის, მაკდუფი თვალებზე ქუდ ჩამოიფარებს და ასე მალავს თავის მწუხარებას. „ჩემი შვილებიც? ჩემი ცოლიც?“ ამ მხოლოთ მისი სიტყვები და შემდეგ მისი საყვედური გამოიხატება ამ სიტყვებით: „და მე უნდა შორს ვყოფილიყავ!“ მალკოლმი ურჩევს ჯავრი მოიკალი შურისძიებითათ. მაგრამ მაკდუფი ყურადღებასაც არ აქცევს იმას. „ეგ უშვილოა!“ გაიძის. ტიკმა სთქვა, ეს მაკდუფის სიტყვები მალკოლმს შეეხებაო (*).

მაგრამ მელონიც, გორნიც და სიმროკიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეს სიტყვები შეეხება მაკბეტს, მხოლოთ ამ სიტყვებში ხედავდენ მაკდუფის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ არ შეუძლია. სავსებით შური აგოს მაკბეტს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მაკდუფის კეთილშობილობას და ჭკვიანობას, მის და მაკბეტის დაპირდაპირებას არავითარი აზრი არ ექნებოდა. ეს ერთი იმ

*) ტიკს არ მოჰყავს ერთათ-ერთი საბუთი, რომელიც შეეძლო მოეუფანა თავის აზრის დასამტკიცებლათ. ლეგი მაკბეტი ამბობს, რომ მაკბეტს ჰყავდა შვილები. მაგრამ აქედან არა სჩანს, რომ მათ ჰყავთ შვილები; ის სჩანს მარტო, რომ ოდესლაც ჰყოლიათ შვილები. ამ შემთხვევაში მაკბეტისათვის შესაძლებელი იყო იმის გრძნობა, თუ რა არის შვილების დაკარგვა, მაკდუფის აზრით კი ვითომც მაკბეტს არ შეუძლია ამის გრძნობა. დაავიწყდა შექსპირს ეს უცაბედათ, როგორც გერე ჰიქიქ-რობს, იმიტომ, რომ მას ამ შემთხვევაში ესაჭიროებოდა ერთი დამახა-სიათებელი თვისება, მეორეში — მეორე მაგრამ ამვეარათვე შეგვიძლია: ვსთქვათ: მაკდუფს დაავიწყდა ეს, რადგან ძლიერ შეწუხებული იყო და წაართვა მამის გული იმას, ვისაც არ ჰყავდა ცოცხალი შვილები.

შშვენიერ მაგალითთაგანია, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ კარე ა ქტიორს უკეთ შეუძლია შექსპირის განმარტება, ვიღრე შეცნიერს კომინტრატორს. გარჩიყის დროის ცველაზე უფრო ცნობილს მოთამაშეებს მაკლუფისას ისე ესმოდათ ეს ადგილი, რომ აქტიორმა ამ სიტყვების წარმოთქმის დროს უნდა გამოხატოს მამის ულრმესი მწუხარება, რომლის შემდეგ მოიპოვებს მაკლუფი სიმაგრეს და დაებალება. შურისძიების გრძნობა: ეს სრულიათ აშკარაა. „გულმაგრათ დახვდი მაგ სატანჯველს, როგორც კაცს ჰფერობს“, ეუბნება მას მალკოლმი. „მეც აგრე ვიქ, მაგრამ გრძნობაც რომ მაქვს კაცისა!“ უპასუხებს მაკლუფი: „ვით დავივიწყო, რომ ისინი იყვნენ ჩემთვისა უძვირფასესნი.“ და ხელახლათ უსაყველურებს თავის თავს, რომ მისის მიზე ზით დაიღუპენ ისინი. მაშინ მალკილმი ეუბნება: „სალესი იყოს ეგ შენის ხმლისაო“. მაკლუფი ორათ არის გაყოფილი მამის მწუხარებასა და შურისძიების წყურვილს შორის: „როგორ! თვალთ ცრემლი მოვიდინო დედაკაცივით და ფუჭ სიტყვებით კვეხნასა მოვყვე!“ ამბობს. მხოლოდ ბოლოს შეიძყრობს სრულიათ შურისძიება, რომელიც აიძულებს მოუთმენლათ საქმის შესრულებას.

ამ უზრუნველ და დაუდევარ ადამიანების წინაამდევობას წარმოადგენს მალკოლმი. საყურადღებოა, რომ მისი და მაკლუფის ლაპარაკი უკვე იყო ქრონიკაში და იგი სრულიათ შეფერა შექსპირის პლანს. მალკოლმმა თავიდანვე აიღო ეჭვები, და გაიქცა, მაკბეტი ეფერებოდა და უნდოდა მისი მოტყვილება; ამის გამო შეიქმნა შეტათ ფრთხილ და წინდახედულ ადამიანათ. ყოველთვის აუჩქარებელია, უნდობლად ეპყრობა მაკლუფსაც. ეჭვის თვალით უყურებს მაკლუფის მიერ ცოლის დატოვების ამბავს. პირდაპირ ეუბნება მერე თავის ეჭვებს: ამ ეჭვიანობამ შეურაცხყოფა კი არ უნდა მოგაყენოს შენ, არამედ უნდა დამიფაროს მეო. თავის-თავს ათასნაირს სიცუდეს და უზნეობას სწამებს, რათა გამოსცადოს მაკლუფი. ეს ბუნებრივია იმ ადამიანის მხრივ, რომელმაც ბევრი განსაცდელი გამოიარა, ობლად დარჩა, რომელიც ხშირად იყო მოტყვი-

ლებული და ჯერ კიდევ ახალგაზდაა, მით უმეტეს რომ უნდო-
და გამოეცადა ის ადამიანი, რომლისაგან უნდოდა მართლის
გაგონება და რომლის იმედი ყველაზედ უფრო ჰქონდა. მაკბე-
ტის წინააღმდეგ ომის დროსაც ამგვარსავე სიფრთხილეს და
გვიანობას იჩენს მალეოლმი; ბირნამის ტყეში შტოების მოჭრას
დამახასიათებელი მნიშვნელობა აქვს მისთვის.

მაკბეტის წარმოდგენა მოითხოვს დიდს ყურადღებას. ეს
ისეთი პიესაა, რომ შეუძლებელია მისი შესწორება ან შემოკ-
ლება; წარმოადგენს ისე მჭიდროდ შეკავშირებულს ერთს
მთელს, რომ მას დაამახინჯებს სულ მკირე შემოკლებაც. შილ-
ლერმა გამოუშვა მაკდუფის ცოლ-შვილის მოკვლა. ყველა
ზემო ნათქვამიდან აშენარაა, რომ ასეთი გამოშვება უადგილოა.
მაკბეტის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა საშინელებას ცენაზე
უნდა იყოს წარმოდგენილი; მაკდუფის მწუხარება, რომელმაც
აღუძრა შურისძიების წყურვილი, მაშინ არის გასაგები ჩვენ-
თვის, თუ დავინახავთ საკუთარის თვალებით მისის მწუხარების
მიზეზს. ჯერ კიდევ კოლრიჯმა აღამაღლა ხმა შექსპირის და-
საცველად იმათ წინააღმდეგ, რომლებიც უსაყვედურებლნენ
დიდებულს პოეტს გადამეტებულს სასტიკობას პიესებში: „თუ
დავტოვებთ უყურადღებოდ ტიტს, რომელიც შექსპირს არ
ეკუთვნის და აგრეთვე გლოსტერის დაბრმავებას (საღაც უარ-
ყოფილია ჰორაციუსის ne palam coquiat), მე თამამად შემი-
ლია ესთქვა: „არ არის დამნაშავე“. შექსპირმა აქაც ყოველივე
ღონე იღონა, რათა შეესუსტებინა აუცილებელი სისასტიკე,
ბავშის მოკვლის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ:
დედისაღმი კი, რომელიც მეამბოხეთ სთვლის მაკდუფს მეფის
—მაკბეტის—წინაშე, შექსპირი არ აღვიძრავს თანაგრძნობას;
მას ჰქონდენ სცენის გარეთ. ყველანი თანახმანი არიან, რომ
საჭიროა ამ სცენის და მეკარის სცენის გამოტოვება. ამ აზრის
იყვნენ კოლრიჯიც და კოლიერიც, რომლების ფიქრით, მეკა-
რის მონოლოგი ვინმე აქტიორის ჩამატებულია. ეს შესაძლებე-
ლია. მაგრამ ეს სცენა მაინც მთლად უხერხული არ არის. ეს არა-
სასიამოვნო მხიარულება, რაგორც კონტრასტი, ძალიან შეეფე-

რება გარემოებებს: მთვრალი მექარე ალეგორიულად გვიხატავს ჯოჯოხეთის უფსკრულს, და მისი სიტყვები სინამდვილეს შეიცავს და შეგვიძლია დავეთანხმოთ. მას გარჩიკი კიდევ უარესს შვრებოდა, უშვებდა სხვა ადგილებსაც და უმატებდა ახალს სცენებს. მაინც პირველად მან გააცნო საზოგადოებას ეს პიერა. მანამდის დავენანტმა გადააქცია იგი რაღაც ოპერად, მორთავ-და ხოლმე კუდიანებს და უმატებდა ახირებულს ადგილებს. გარჩიკის თამაში დღესაც დარჩენილია აქტიორებში ისე, რო-გორც მის მიერ ჰამლეტის როლის შესრულებაც. როდესაც იგი, თეატრის გარეთაც, წარმოსთქვამდა მონოლოგს, სადაც მაკეტის ფანტაზიას ეჩვენება ხანჯალი, ძალა-უნებურად იპყრობდა მაყურებლებს ცეცხლის თვალებით, მიმიკით და ბევრის მეტყვე-ლის სიტყვით. მის შემდეგ მაკეტი შეიქმნა საყვარელ რო-ლად ყველა ცნობილს მხატვრისათვის: კემბელების, კინების, მაკრიდებისათვის. კემბლმა თხზულებაც კი დასწერა ამ ხასია-თის განსამარტებლად. გარჩიკთან მისტრის პრიტჩარდი თამა-შობდა ლედი მაკეტს. მისი თამაში მემკვიდრეობით გადმო-ვიდა მერმინდელ აქტიორებზე. იგი უხატავდა მაყურებლებს სუ-რას ბოროტის განზრახვის საშინელებისას, გამბედაობის და შეურყეველის უგრძნობელობისას. მისი თამაში ნადიმის დროს იყო უდიადესი ხელოვნება, აგრეთვე სცენა სომნამბულიზმისა, სადაც მისი თამაში მოაგონებდა მაყურებელს მოულოდნელს გაელვებას, რომლის შემდეგ კიდევ უფრო შემაწუხებელია საშინელი წყვდიადი. 1785 წლიდან ამ როლს ლონდონში თა-მაშობდა მისტრის სიდდონსი და იგიც აკვირვებდა ყველას თავის თამაშით. ხატავდა ამ როლს, როგორც ანტიკურ ტრა-გედიის გმირს, უბრალოთ, თავი ეჭირა როგორც მარმარი-ლოს ქანდაკებას და წარმტაცის ენერგიით. როგორც გაღმო-გვცემენ, მისი თამაში იმ სიტყვების წარმოთქმის დროს, რო-დესაც იგი მხათაა, კეფიდან ტვინი გაღმოუნთხილს თავის მომლიმარე შეილს, —უზომოთ გადამეტებულ და დამახინჯებული იყო. საკვირველია, რომ იგივე ქალი, რომელმაც დასწერა ჩამდენიმე შენიშვნა ამ როლის შესახებ, თეორიულათ სულ

სხვას გვიმტკიცებს, ვიდრე თავის თამაშს. იგი გრძნობდა ამ ხასიათში დედაკაცურ თვისებებს და მისის შეხედულობით ლელი მაკბეტი არ იყო მოკლებული ქალურ თავაზიანობას და სილამაზეს. ამით ის უფრო უახლოვდებოდა სინაძღვილეს, ვიდრე თავის თამაშით. მაგრამ ადვილათ შესაძლებელია, რომ ეს როლი უკეთესათ მიაჩნდა მას იმ სახით, როგორც თამაშობდა. ასეთი თავისუფალი თამაში მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, როდესაც თვითონ ავტორს ვერ დაუხატავს საკმაოთ ესა თუ ის პირი. შექსპირის პიესების ასეთნაირათ წარმოდგენაკი ყოვლათ უხერხულია.

პირველის შეხედვით, შექსპირი მხოლოდ ერთს რასმე აფალებს აქტიორს: გაიგოს ავტორის აზრი. მაგრამ ნამდვილათ-კი იგი მოითხოვს აქტიორისაგან დიდს შრომას, თუ უკანასკნელი სერიოზულათ მოეკიდება თავის საქმეს.

უცხოეთის მიმოხილვა

1. სერბია.—2. რუმინია.—3. Laissaz faire, laisser passer.—
4. მაკედონია.—5. კლერიკალისმი.

ბალკანეთის ნახევარი კუნძული დიდ სახელმწიფოების დიპლომატიის საყვარელი სასახარეზო აღვილია. არსად ისე არ არის ამღვრეული წყალი, როგორც ბალკანეთის ხალხებ შორის და ამიტომაც დიპლომატია ისე არსად სცდილობს თევზის ჭერის მღვრიე წყალში, როგორც აქ. ბალკანეთის პატარა სამეფოები ხან ერთ სახელმწიფოს დიპლომატიის ანკუს ამოკვებიან, ხან მეორე სახელმწიფოს ბადეში გაეხვევიან. არ იქნა, არა ეშველა-რა არც დიპლომატების თევზაობას და არც ბალკანელ სამთავრო-სამეფოების დაწყნარებულ ცხოვრების დამყარებას. მთელი ენერგია და ძალ-ღონე ამ სამეფოებისა იმას უნდება, რომ ანკუსებსა და ბაადეებს თავი დაახტიონ; შინაგანი, ორგანიული სამუშაო კი სრულებით უყურადღებოდ ჭრის მიტოვებული და ზოგვან ბეჭავმა ხალხმა არც კი იცის, თუ რა სჯობდა, ასმალეთის მთავრობის უღელი, თუ ეხლანდელი „თავისუფალი და დამოუკიდებელი“ ცხოვრება...

მაგრამ სერბიასთან გაჭირვებული ბალკანეთის არც ერთი სამეფო არ არის. სანამ მეფე მილანი განაგებდა სამეფოს ბედილბალს, სერბია ავსტრიის დიპლომატიის ყურ მოჭრილი ყმა იყო—ავსტრია ისე საშიში არ არის სერბიისათვის, როგორც რუსეთით. მოკვდა მილანი და სურათი გამოიცვალა: სერბიის ახალ გაზდა მეფე ალექსანდრე რუსეთისაკენ გადავიდა. ანკუსად აქ რუსეთის დიპლომატიის მეფის ცოლის შერთვა გამო-

აღგა: როგორც ეხლა გამომულავნდა, მეფე ალექსანდრეს საიდუმლო რომანის მფარველი და ხელის შემწყობა რუსეთის წარმომადგენელი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ჯვარის წერისა და გვირგვინის კურთხევის შემდეგ ალექსანდრეს პირველი მოლოცვა რუსეთის იმპერატორისაგან მიუვიდა.

სამაგიეროდ ავსტრია მეტად უკმაყოფილო იყო საქმეთა ასეთ მიმართულების გამო და ყოველ ღონეს ღონობდა ჩარქი მოეცხო სერბიის ახალ დედოფლისათვის. თუ იმის მეასედიც მართალია, რასაც ავსტრიელი გაზეთები დედოფალ დრაგაზედ სწერდნენ, ალექსანდრეს მართლა ახირებული ცოლის შერთვა მოსვლია... მაგრამ აქ ეს კი არ არის საყურადღებო, არამედ ის, თუ როგორ შეხედეს ამ ფაქტს ავსტრიასა და რუსეთში. მაშინ, როდესაც ავსტრიაში ასე ლანძღავდნენ და ამცირებდნენ სერბიის მეფე - დედოფალს, რუსეთის გაზეთები აღტაცებაში იყვნენ მოსული ალექსანდრეს გაბუდულობით; დიდ ქებას ასე ამდნენ დედოფალ დრაგის და ულოცავდნენ სერბიას ავსტრიის ულლიდან განთავისუფლებას და „ეროვნულ“ გზაზე დადგომას.

სერბიის მეფეც ანკეს მოხვდა; სიტყვას სიტყვაზე ამბობდა, ამტკიცებდა რუსეთის პოლიტიკის უანგარობას, მასთან მეგობრობისა და კავშირის დიდ სარგებლობას და სხვა. ამ განახლებულ მეგობრობას გარეგანი დამტკიცება, დაგვირგვინება ესაჭიროებოდა. როცა ბოლგარიის მერკვიდრე პრინცს ბორისს მართლ-მადიდებლობა მიაღებინეს და ამით რუსეთი და ბოლგარია შეარიგეს, მთავარი ფერდინანდი პეტერბურლში იყო და იქ დიდის ამბით მიიღეს. სერბიის მეფის სურვილი იყო, იგიც მიეღო რუსეთის იმპერატორს. ეს მით უფრო საჭირო იყო ალექსანდრესათვის, რომ დედოფალიც თან უნდა წაეყვანა და დრაგის პეტერბურლში მიღება კი სრული მისი რეაბილიტაცია. იქნებოდა იმ ლანძღვა-თრევის შემდეგ, რომლითაც სავსე იყო ერთ დროს ავსტრიისა და გერმანიის გაზეთები. ესეც რომ არ ყოფილიყო, სხვა მხრივაც იყო საჭირო დრაგასთვის პეტერბურლის სასახლეში მიღება: მიუხედავათ იმისა, რომ ალექსანდრეს მაშინ პაპა სერბიელი გლეხი იყო, რომელსაც ღორის.

ჯოგი პყავდა, მისი ცოლის შერთვა mesalliance'-ად ითვლება.

რუსეთის დიპლომატმა ჩარიკოვმა მიიღო თავზე მოეწყო სერბის მეფე-დედოფლის პეტერბურლში მგზავრობა და მიღება. მოაწყო კიდეც საქმე და ოფიციალურადც გამოცხადებული იყო ეს პოლიტიკური მგზავრობა. მაგრამ ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა: სერბის დედოფალი მეფის სისხლის არ არის, მას ვერ მივიღებთ როგორც ჩვენს სწორსაო, სთქვეს რუსეთის უმაღლეს წრის ქალებმა და ამდენის ხნით მომზადებული საქმე ერთბაშად ჩაიშალა.

შეურაცხყოფილმა და გულნატკენმა ალექსანდრემ მაშინვე დაითხოვა თვისი სამინისტრო, რომელიც რუსოფილური იყო, და ახალი მინისტრები მოიწვია. რუსული გაზეთები ირწმუნებიან, რომ სამინისტროს გამოცვლა არ შესცვლის სერბის გარეშე პოლიტიკას, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. სერბის მეფეს რომ სურვილი შესრულებოდა. და დედოფალთან ერთად პეტერბურლში მიეღოთ, სერბია დიდხანს დარჩებოდა რუსეთის პოლიტიკის გავლენის ქვეშ. ეხლა კი, ამ შეურაცხყოფილ თავმოყვარეობაზე, შეუძლებელია, რომ ავსტრიის ხერხიან დიპლომატის ანკეს არ მოჰყვეს. ავსტრიის გაზეთები სიხარულით ცას ეწევიან და ამტკიცებენ, რომ სერბია ისევ ავსტრიის მეგობარი გახდება.

თვითონ სერბიას ამითი, რასაკვირველია, არ ეშველება. იგი ისევ სხვების სათამაშო ბურთი იქნება, სანამ... სანამ ბალკნეთის ხალხები არ შეგვნებენ ერთმანერთან შეკავშირების აუცილებელ საჭიროებას. ფედერაციით გაერთიანებული ბალკანელი სამეფოები არავის სათამაშო ბურთი არ გახდება, იმდენად ძლიერი იქნება იგი. მანამდე კი საქმეთა ეხლანდელი მიმდინარეობა არ შეიცვლება.

* * *

რუმინია იმ თავითვე უფრო გარკვეულ პოლიტიკურ გზას ადგა. რუსეთის ვრცელი იმპერიის მეზობლად მდებარე პატა-

რა სახელმწიფო კარგად ჰქედავს ამ მეზობლობის შოსალო-ლნელ შედეგს. ერთხელ იგემა კიდევ იგი. 1878-ში, როცა რუსეთის ჯარები დიდ გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვივნული პლევნასთან, რუსეთის იმპერატორმა დეპეშა მისწერა რუმინიის მეფეს კარლოსს და ჯარებით დახმარება სთხოვა; თუმცა წინათ არ უნდოდათ მისი ამ საქმეში ჩარევა. რუმინელ ჯარებმა დიდი სამსახური გაუწიეს პლევნასთან რუსეთის მხედრობას. ბერლინის კონგრესზე კი ასეთ სამსახურის საზღაურიდის მიიღო რუმინიამ, რომ ბესარაბია ჩამოართვეს. წინააღმდეგი არავინ ყოფილა საქმის ასე უსამართლოდ გადაწყვეტისა: ბესარაბია შეიქნა ის უფსკრული, რომელიც ჰყოფს რუსეთსა და რუმინიას და ამ უფსკრულის არსებობა კი დიდად ხელსაყრელია გერმანიისა და ავსტრიისათვის.

რუმინიამ იმ თავითვე შეაქცია ზურგი რუსეთს და ავსტრიას დაუხლოვდა: მრავალ-ერიანი ავსტრია ყოველ შემთხვევაში ნაკლებ საშიშია რუმინიისათვის, ვიდრე რუსეთი. ბერლინის კონგრესის შემდეგ ეს დაახლოვება ბუნებრივი მოვლენა იყო. მაგრამ რა ხასიათი ჰქონდა ამ დაახლოვებას, აქამდე ცნობილი არ იყო. ეხლა კი გამომეუღლავნდა, რომ ავსტრიასა და რუმინიას შორის ნამდვილი სამხედრო კონვენცია ყოფილა. პირველად ეს ფრანგულ „ტან“-მა გამოაცხადა და ეხლა ავსტრიელი გაზეთები სწერენ ამ საგანზე. სხვათა შორის, „ნოიე ფრაიე პრესს“-ში სწერე: „ავსტრიასა და რუმინიას შორის არსებობს სამხედრო კონვენცია, მაგრამ მისი პირობები დაწვრილებით არავინ იცის, თვით მაღალ წრეებშიაც კი. ეს საქმე არასოდეს არ განუხილავს მინისტრების საბჭოს. პირობების შემუშავებაში მიიღეს მონაწილეობა მეფემ, პირველმა მინისტრმა და მთავარ შტაბის უფროსმა. ამასთან ეს კონვენცია გუშინდელი არ არის — ათი წელიწადია, რაც იგი არსებობს. შეგვიძლია ვსთკვათ, რომ რუმინია ძალიან დაახლოვებულია სამთა კავშირთან, თუმცა მას ხელშეეკრულობა მარტო ავსტრიასთან აქვს დადებული. კონვენცია, ისე როგორც სამთა კავშირი, რამდენჯერმე, განახლდა და შეიცვალა კიდევ. აგრეთ-

ვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ რუსეთის იმპერიასა და ავსტ-
რიას შორის ომი ატყდა, რუმინიამ იმ თავითვე ოთხი კორპუსი
ჯარი უნდა წამოაყენოს: ორი კორპუსი მდ. პრუტზე უნდა
იდგეს რუსების შემოსევის შესაჩერებლად და ორიც ბოლგა-
რიის საზღვარზე, ვინიციაბაა, თუ ეს სამთავრო რუსების მხა-
რეს დაიჭრს ომის დროს“.

რკინის კანკულერმა ბისმარკმა სთქვა ერთხელ საფრანგე-
თისა და რუსეთის დამოკიდებულებაზე: რუსეთი სრულებით არ
საჭიროებს ხელშეკრულობა ჰქონდეს საფრანგეთთანაო; თუ გერ-
მანიასა და რუსეთ შორის ომი ატყდა, არ არის ისეთი ძალა,
რომ საფრანგეთი შეაჩეროს და ომში მონაწილეობა არ მია-
ღებინოსო.

ესევე ითქმის ავსტრიასა და რუმინიაზე: თუ რუსეთის
იმპერიასა და ავსტრიას შორის ომი ატყდა, მთელი რუმინია
ფეხზე დადგება და მთელის თავის ძალ-ლონით ჩაერევა საქმეში
იმის მიუხედავათ, აქვს მას სამხედრო ხელ-შეკრულობა ავსტ-
რიასთან თუ არა. ბესარაბიამ საუკუნოდ წაჰკიდა რუსეთი და
რუმინია; მათ შორის ეხლა გადუვალი უფსკრულია.

* * *

იყო დრო, როცა განთქმული laissez faire, laissez pa-
sser დაურღვეველ და უცვალებელ ჰეშმარიტებად ითვლებოდა
პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც და მეცნიერებაშიაც. სახელმწიფოს
საქმე არა აქვს ჩაერიოს საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ
დამოკიდებულებაში, აღამიანი თავისუფალია და ეს თავისუფალი
პიროვნება თვითონვე დაიცავს თავის ინტერესებს, მოაწყობს
თავის ცხოვრებასო; სახელმწიფოს ჩრევა საქმეში თავისუფლე-
ბის პრინციპის შელახვა იქნებათ და სხვა.

მაგრამ ეხლა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ
სახელმწიფოს არ ჩარევა სოციალ-ეკონომიურ საქმეებში, მისი
ეგრე ვსთქვათ „მიუდგომლობა“ ნიშნავს ძლიერებისა და მაძ-
ლრების ქომაგობას. აღმოჩნდა, მაგალითად რომ „თავისუფლე-
ბა“ კაპიტალისტისა და „თავისუფლება“ მუშისა სულ სხვა-და-

სხვა ლირსებისაა. პირველი თავისუფლება თავისუფლებაზე მეტი გამოდგა: გარდა იმისა, რომ კაპიტალისტი მართლა თავისუფალია, მას შეუძლია შეპბოჭოს სხვის პიროვნებაც და პბოჭის კიდეც; მუშის თავისუფლება კი ის არის, რომ იგი „თავისუფალია“ დასთანხმდეს კაპიტალისტის მიერ წარმოდგენილ პირობებს; თუ არ დასთანხმდა, შიმშილით უნდა მოკვდეს.

როცა ორი ასეთი ძალაა პირის-პირ დაყენებული, სახელმწიფოს საქმეში არ ჩარევა იმას ნიშნავს, რომ ღონიერს ნება მიეცეს სუსტი დაჩაგროს.

სახელმწიფო დიდხანს იყო ძლიერის ასეთი ქომაგი, მაგრამ ბოლოს, სხვა-და-სხვა გარემოებათა ზედ-გავლენით, იძულებული შეიქნა პოლიტიკა გამოეცვალა. უმთავრესი ამ გარემოებათა შორის, რასაკირველია, თვით მუშების გათვითცნობიერება და მათი ორგანიზაცია იყო.

პირველი შედეგი სახელმწიფოს საქმეში ჩარევისა იყო სამუშაო დღის შემოკლება და ფაბრიკა-ქარხნების სანიტარულ შდგომარეობის გაუმჯობესება. ამას მოჰყვა მუშათა დაზღვევის დიდი საქმე და მათი ორგანიზაციის დაკანონიერება. მუშათან-დან-და-თან დაემზგავსა თავისუფალ აღამიანს...

მაგრამ იყო ერთი მხარე მუშების ცხოვრებისა, რომელსაც სახელმწიფო სიფრთხილით უვლიდა გვერდს, ეს არის მუშის ქირის რაოდენობის განსაზღვრა. ეხლა ამ „წმინდათა-წმინდის“ შეხებაც შეიქნა საჭირო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიაში, მთელი ხუთი თვე გაფიცული იყვნენ ქვა-ნახშირის მუშები, რომელთა რიცხვი ასი ათასს აღემატებოდა. დგებოდა ზამთარი და ამერიკას მოელოდა „ნახშირის საშინელი. შიმშილობა“. მუშებიცა და მაღნების პატრონებიც მტკიცედ იდგნენ თავ-თავიანთ აზრზე და ამიტომ პირდა-პირ მათ შორის მორიგება მოსალოდნელი არ იყო. ერთის მხრივ იმოდენა გაფიცული მუშები, მეორეს მხრივ უნახშირობითა და სიცივით. შევიწროებული ხალხი ვერ წარმოადგენდნენ კარგ გარანტიას სახელმწიფოს მშვიდობიან ცხოვრებისათვის... შეერთებულ შტატების პრეზიდენტი რუ-

ზველტი კარგად ჰქედავდა საქმეთა მდგომარეობას და ენერგიულად ჩაერია საქმეში... მოლაპარაკება გაჭმართა მუშების ორგანიზაციასთანაც და კაპიტალისტების კომპანიასთანაც და შუამავლობის წინადადება მისცა მათ. მუშები მაშინვე დასთანხმდნენ. კაპიტალისტები ერთხანს ყოყმანობდნენ, მაგრამ მალე ესენიც დაითანხმა და გაფიცვაც შესწყდა. გაზეთების სიტყვით, ძლიერი გაფიცვის ასე შევიღობიანად გათავება სამი კაცის გავლენის საქმე არისო: პრეზიდენტი რუზველტის, რომელიც ასე მხურვალე გულით შოეკიდა საქმეს, ტრესტების მეფის პირპონტ მორგანისა, რომელმაც ერთის სიტყვით დაიყოლია საომრად გამზადებული თავისი ამხანაგები და მიჩელისა, მუშების ფედერაციის თავმჯდომარისა, რომელმაც შეგნებულად აამოძრავა ამოდენა ხალხი, ერთობა შეანახვინა მიუხედავათ გაჭირვებისა და, როცა პრეზიდენტი რუზველტი ჩაერია საქმეში, დაითანხმა ამხანაგები მუშაობისათვის ხელი მოეკიდათ. მიჩელის ორგანიზატორობის შესანიშნავი ნიჭი განსაკუთრებით იმ გარემოებიდან სჩანს, რომ გაფიცული მუშები ენათა შერევის ნამდვილ ბაბილონის გოდოლს წარმოადგენნ: ვინ არ არის პენსილვანიის ნახშირის მაღნების მუშა! ინგლისელი, ფრანგი, სლავი, იტალიელი, პუნგრელი და სხვანი.

მეორე ასეთივე მოვლენა საფრანგეთში მოხდა: 140 ათასი მუშა იყო გაფიცული. ამოდენა უსაქმოდ დარჩენილი, კაპიტალისტებზე კბილ გალესილი ხალხი, და ვრცელ სამართლ მრეწველობის შეჩერება მეტად საშიში იყო საფრანგეთისათვის, იმდენად საშიში, რომ პარლამენტმა შესწყვიტა კამათი კლერიკალისმისა და კონგრეგაციების საქმის გამო და მთელი თავისი ყურადღება მაღნის მუშების საქმეს მიაქცია. დეპუტატ უორესის წინადადების თანახმად პარლამენტმა დაავალა საფრანგეთის პირველ მინისტრს კომბს შუამავლობა გაეწია მუშებისა და კაპიტალისტებ შორის და სადაც კითხვები სამედიატორო სამართლამდე მიეყვანა. კომბი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს და მუშები მაშინვე დაითანხმა; თან-და-თან თანხმდებიან კაპიტალისტებიც. ჯერ გამართულია მოლაპარაკება თვით მუშე-

ბისა და კაპიტალისტების წარმომადგენელთ შორის. რაშიც ვერ შეთანხმდებიან, ის სამედიატორო სამართალში უნდა გა-დასწყვიტოს (უმთავრესი საკითხი, როგორც თითქმის ყოველ-თვის, ქიზის რაოდენობა და მუშაობის ხანგრძლივობა).

რუსელტისა და კომბის მაგალითმა გავლენა იქონია ბელგიაშიც; აქ ჯერ არ არის გამოცხადებული ნამდვილი გა-ფიცვა, მაგრამ დამზადებული კი არის. გაფიცვის თავიდან ასა-ცილებლად სოციალისტ-დეპუტატებმა წინადადება მისცეს მთავრობას შუამავლობა დაეწყო მუშებსა და კაპიტალისტებ-შორის და სადაც კითხვები სამედიატორო სამართლამდე მიე-ყვანა. მთავრობამ უარი უთხრა დეპუტატებს, მაგრამ იმაზე კი დასთანხმდა, რომ პროვინციის მართველები ოფიციალუ-რად ჩერიონ საქმეში და დაესწრნენ მუშებისა და კაპიტალის-ტების თათბირს.

ერთის სიტყვით, სახელმწიფოს „საქმეში არ ჩარევა“— laissez faire laissez passer, კაპიტალისტის გალალებული თარე-ში და მუშის „თავისუფალი იძულება“ თან და თან ისტორიის კუთვნილებად ჰქდება.

მაგრამ რამდენი ტანჯვა-წამება, რამდენი შრომა იყო საჭირო მუშებისა და მათის მეთაურების მხრივ, რომ საქმეთა მიმღინარეობა ასეთ რაციონალურ კალაპოტში ჩამდგარიყო!

* * *

მაკედონია, ეს „დაუქრობელი კერა ბალკანეთის არეუ-ლობისა“, ისევ ღელავს და მძინვარებს. მაკედონელი აჯან-ყებულია, ასმალო სცდილობს აჯანყებულის დამორჩილებას და დასჯას. ვინ რა მდგომარეობაშია, რამდენად ძლიერია აჯან-ყება, რა არის მოსალოდნელი, არვინ არ იცის, ან თუ არის ასეთი მცოდნე, საქვეყნოდ არას ამბობს. გაზეთების ცნობები ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან; მკითხველს ვერავითარი დასკვნა ვერ გამოუყვანია მათის ცნობებიდან. მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება—მაკედონელების ეხლანდელი მოძრაობა უფრო სე-რიოზულია, ვიდრე წინა წლებისა.

ოსმალეთის წყაროებს თუ დავუჯერეთ, აჯანყება ეხლა სრულებით ჩამქრალა: დარჩა რამდენიმე რაზმი აჯანყებულებისა მთებში, მაგრამ ზამთრის სუსზი ამათაც მალე ჩამოდენის ბარში და ხელში ჩაგვივარდებიანო, ამბობენ ოსმალები. ბოლგარიელი გაზეთები კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ. საფიქრებელია, რომ ორივე მხარე სტყუის: „ნოვოე ვრემია“—ს სიტყვით, სიმართლე ორივ მხრის ცნობებში უნდა ვეძიოთ. ეჭვს გარეშე უნდა იყოსო, ამბობს ეს გაზეთი, რომ ბარი ოსმალოს ჯარების ხელშია და ჩვეულებრივის შეუბრალებლობითა და სისასტიკით არბევენ მას; მათსავე ხელში უნდა იყოს მთების უმთავრესი გასავალები. რაც შეეხება მთა-გორებს, აქ ოსმალები უძლური არიან, ამიტომაც არის, რომ ბოლგარები ამტკიცებენ— აჯანყების გათავება ჯერ კიდევ შორს არისო.

ყველაფერი იმაზედ არის დამოკიდებული, რამდენად კარგად იყო მომზადებული აჯანყება მატერიალურად. თუ აჯანყებულებს საკმარისად აქვთ დამზადებული სურსათი და თბილი ტანისამოსი, მაშინ ოსმალების მდგომარეობა მაინცა და მაინც უზრუნველ ყოფილი ვერ იქნება: აჯანყებულები შესძლებენ გაზაფხულადე მთებს შეაფარონ თავი და იქიდან თარეშით არ მოასვენონ ოსმალოს ჯარი. გაზაფხულზე კი, როგორც ხშირად ყოფილა, აჯანყება კიდევ უფრო გაძლიერდება. ბოლგარები ირწმუნებიან, რომ აჯანყებულებს ყველაფერი აქვთ, რაც მათთვის საჭიროა, და არც დაუჯერებელია ეს ამბავი, რადგან წინათ ბევრს ლაპარაკობდნენ მაკედონელების საიდუმლო საწყობებზე.

ბოლგარულ გაზეთ „დნევნიკ“ს სწერს ერთი კორესპონდენტი, რომელიც აჯანყებულებ შორის უნდა იმყოფებოდეს: „აჯანყებულების უმთავრეს ბანაკში, რომელიც სრულებით მიუდგომელ ადგილს იმყოფება, საკმარისად დამზადებულია საზამთრო ტანისამოსი და ფეხ-საცმელი და გაკეთებულია მიწურები. დიდ-ძალი ხორბალია თავ-მოყრილი მიღამოებიდან; აქვთ წისქვილებიც, ფქვავენ და ყოველ დღე ახალ დამცხვარ პურს სჭამენ. მოახლოებული ზამთარი აჯანყებულებს არ აში-

ნებს. ბანაკამდე ასცლისათვის საჭიროა შვიდი საათი, ჩამოსცლისათვის—სამი; ოსმალები ვერ შესძლებენ იერიში მიიტანონ მახე. მთის სოფლებიც სრულებით უშიშარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ყოველი მისასვლელი ადგილი გამაგრებულია და შეიარაღებული გლეხები დარაჯობენ. ოსმალები თუ გამოჩნდებიან, გლეხებს უმთავრეს ბანაკიდან ეხმარებიან.

ჯუმაის ახლო დიდი სისხლის ღვრაა. ჯუმაის გარნიზონი ყოველ დღე გამოდის სიმაგრიდან და მთებში მიღის, სადაც მუდამ სროლა არის გამართული. 12 ოქტომბერს ბრძოლა იყო რაზლოგთან (აღმოსავლეთით პირინიდან, სადაც აჯანყების კერა არის) ბანსკა და დობრონიცას შეუა. ოსმალები უკუაქციეს და 40 კაცი მოუკლეს. ბრძოლა არის ნევროკოპის მაზრაშიაც, რაზლოგის სამხრეთით და მდ. ვარდარის ჭალაშიაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აჯანყება თან-და-თან უფრო ვრცელდება“.

ოსმალები კი ამბობენ, ყველგან ჩვენა ვართ გამარჯვებულიო და აჯანყებაც სრულებით მისუსტდაო.

როგორც უნდა იყოს მებრძოლ მხარეთა ეხლანდელი მდგომარეობა, მაკედონიის საქმის საზოგადო ხასიათი ისეთია, როგორსაც ბოლგარის ექზარხატის ორგანო „საეკლესიო უწყება“ ხატავს. „მაკედონიის უბედურება, რომელიც ყოველთვის მუქარაა საზოგადო მშვიდობიანობისათვის, შედეგია არა იმ ბოლგარების მოქმედებისა, რომელნიც ბერლინის კონგრესშია ოსმალების უდელ ქვეშ დასტოვა, არა ბოლგარის სამთავროს ინტრიგებისა და ბოლგარის ერის ეროვნულ იდეალებისა, არამედ ოსმალეთის მთავრობის საშინელ სიმკაცრისა.

ევროპას რომ გულწრფელად სურდეს ბალკანეთზე მშვიდობიანობის დამყარება, ბალკანელ ერების კულტურულ გზაზე გამოყვანა, და ის, რომ მაკედონელები იარაღის ასხმისა და მთაში გავარდნის მაგიერ, ქალაქებსა და სოფლებში ყოფილიყვნენ და მშვიდობიან კულტურულ ცხოვრებას მისცემოდნენ, იგი არ ჩაიდენდა აშკარა უსამართლობას, ბერლინის კონგრესით დაკანონებულს, არ დასტოვებდა მაკედონელებს ისეთ

მართვა-გამგეობის ქვეშ, რომელმაც 1877-ის ომიანობა გამოიწვია.

ეხლაც, ოცდა-ხუთის წლის შემდეგაც, რომ ევროპას გულწრფელად სურდეს ბალკანეთზე მშვიდობიანობის დამყარება, უყურადღებოდ არ დასტოვებდა განუწყვეტელ არეულობათა ნამდვილ კერას და არ დაუწყებდა მას ძებნას იქ, სადც არ არის და არც შეიძლება იყოს.

იმის მაგიერ, რომ არეულობათა მიზეზი პანსლავისმში, კომიტეტებში ან ბოლგარიის სამთავროში სძებნონ, ევროპაშ უნდა შემოიკრიბოს იმდენი სულის სიმტკიცე, რომ ოსმალეთის მთავრობის აუტანელი მართვა-გამგეობა იცნოს კერად მაკედონიის უბედურებისა, კერად, რომელზედაც ცეცხლი არასოდეს არ გამქრალა და შზად არის მოედოს მთელ ბალკანეთს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სიმტკიცე და გაბედულობა ევროპის მწერლობასაც კი არა აქვს. ის ორგანოები, რომელთაც რაიმე მოსაზრების გამო არ სურთ უჩვენონ უბედურების ნამდვილი მიზეზი, სწერდნენ და უხლაც სწერენ, რომ ძალმომრეობა, ძარცვა-რბევა და მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენაა ოსმალეთში, მაგრამ ამას არ დაუღუპავს არც ერთი ხალხი ოსმალეთის სახელმწიფოშიო.

გავლენიან გაზეთების ასეთმა უგულო, შეუბრალებელმა შეხედულებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ოსმალეთის ქრისტიანები, რომელთა სიცოცხლეს, პატიოსნებას ყოველ დღე ფეხ-ქვეშ თელავენ ისმალები. ევროპის პრესის ამ შეუბრალებელმა კილომ ცეცხლი გააჩალა კერაზე; მხნეობა მოუმატა ოსმალებს და სასოება წაართვა ქრისტიანებს. ოსმალებმა გააორკეცეს თავიათი მხეკობა. ძალ-მომრეობამ, მკვლელობამ, ქალების გაუპატიურებამ მოთმინების ფიალა აავსო. თავის დაცვა მოვალეობა გახდა მამებისათვის, რომელთა შვილებს აუპატიურებდნენ და ქონებას ანადგურებდნენ; მოვალეობა გახდა შვილებისათვის, რომელთა მამებს აწამებდნენ ოსმალები და დედალებს აუპატიურებდნენ. ბევრ აღგილს მოჰკიდა ხელი იარაღს მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა და შეებრძოლა მოხელეებს,

უანდარმებსა და ბაში-ბუზუკებს. ბევრ ადგილს მიანებეს თავი გუთანს და გავარდნენ მთებში ამდენ შეურაცხყოფისათვის სა-მაგიეროს გადასახდელად. ამათ მიეშველნენ ბოლგარიის სამთავ-როში გადახიზნული მაკედონელები.

ამ გვარად ასტყუდა აჯანყება მაკედონიის ზოგ ადგილას. ამ აჯანყების მომზადებისათვის ყველაზე მეტი იშრომეს თვით ოსმალებმა უმაღლეს მოხელედან დაწყებული უცანასკნელ პოლიციელამდე. თავიანთ ძარცვა-რბევით, ძალ-მომრეობით, მკვლელობით, თავიანთ სასამართლოებითა და აღმინისტრაციით ოსმალები დაუღალავად ამზადებდნენ აჯანყებას ყველგან, სანამ ხალხი უკიდურესობამდე არ მიიყვანეს.

რევოლუციონურ კომიტეტებმა კი არა, ოსმალების მხე-ცურმა ქცევამ ააღებინა ხალხს იარალი თავის დასაცველად. და ამ თავის დაცვას, რომლის უფლება ყველას აქვს, ოსმა-ლეთის მთავრობამ ურჩიბა უწოდა და ევროპაშ აჯანყება. ოსმალეთის მთავრობისა და ევროპისათვის ყველაფერში დამნა-შავე ის მამები არიან, რომელთაც არ სურთ ოსმალების მსხვერპლი გახადონ თავიანთი შვილები და ქონება, და ბოლ-გარიის სამთავროც, რომელმაც შეიხიზნა 200,000 ოსმალეთი-დან დევნილი ბოლგარელი.

საშინელი უსამართლობაა ოსმალეთის მთავრობის უნიჭო-ბისა და ოსმალების მხეცობის პასუხის მგებლად ბოლგარიის სამთავრო გამოიყენონ. უსამართლობა იმაში მდგომარეობს, რომ სამთავროს პასუხი უნდა აგებინონ დევნილ მაკედონელებს ბის მამულის-შვილობისა და თავ-განწირვისათვის. რომელ ძალას შეუძლია არ გააგონოს ამათ ტირილი და გოდება მათის მშობ-ლებისა და და-ქმებისა, რომელ ძალას შეუძლია არ გაუშვას ისინი უბედურ თავისიანების დასახმარებლად.

ოსმალეთის ჯარი თავის რიცხვით და სიმკაცრით მოხ-პობს აჯანყებას; სასტიკი ზამთარიც შეუწყობს მას ხელს. მაგ-რამ იგივე ოსმალეთის ჯარი, ოსმალეთის მოხელეები შეჰქმნიან ნიადაგს ახალ, უფრო საშინელ, უფრო ძრიელ აჯანყებისათ-ვის. ოსმალეთში ყოველთვის იქნება აჯანყება, სანამ იარსებებს

მისი აუტანელი წესწყობილება და ევროპა ქომაგი იქნება ამ წესწყობილებისა. ვერ მოვსთხოვთ სულთანს მშვიდობიანობა დაამყაროს თავის სამფლობელოში: ამისთვის მას დასჭირდებოდა სიკვდილით დაესაჯა ყველა თავის მოხელეები, დიდიდან დაწყებული პატარამდე. მაგრამ რასაც სულთანს ვერ მოვსთხოვთ, უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ ევროპას. მაკედონიას, აღრიანობოლის ოლქს, სომხითს უულება აქვთ ითხოვონ თუ თავიანთ მტარვალების დასჯა არა, ალაგმვა მაინც. ოსმალეთს ვერ ასწავლეს ჭკუა ვერც აჯანყებამ და ვერც კატასტროფავ. 1876-წლის ხოცვა-ულეტვის შემდეგ სომხების გაულეტა მოხდა 1897-ში; ეხლა ახალი ულეტა მზადდება. 1876-ის საშინელება და მთელ პროვინციების დაკარგვამ ტყვილად ჩაიარა ოსმალეთის აღმინისტრაციისათვის: მართველობა ისევე ბიწიერი და სისხლის მშელია, როგორც იყო.

ბალკანეთის ქრისტიანების სისხლის დაღვრაში დიდი ბრალი მიუძღვის ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ბერლინის ხელშეკრულობაში საჭირო რეფორმები შეატანინეს და. მათი განხორციელებისათვის კი არათერი გაუკეთებიათ. თუ ეხლაც არ იქმნა შემოლებული ეს რეფორმები, ევროპა იქნება მიზეზი საშინელის ცეცხლისა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე“.

ევროპამ დიდი ხანია ყური შეაჩვის ასეთ საყვედურებს და ხშირად ყურადღებასაც არ აქცევს, თუ ერთბაშად ისეთი უბედურება არ დაატყდა თავს, როგორც ამას წინად ოსმალეთ-საბერძნეთის ომი იყო. თუ აჯანყებამ გაზაფხულამდე გასტანა და მაკედონელებმა არ შესწყვიტეს ბრძოლა, შესაძლებელია, ევროპა იძულებული გახდეს ჩერიოს საქმეში და ძალაუნებურად გააკეთოს ის, რაც დიდი ხანია უნდა გაეკეთებინა. საბერძნეთი დამარცხდა, მაგრამ კრეტი მაინც განთავისუფლდა ოსმალეთის ულლიდან, შეიძლება, განმათავისუფლებელთა სურვილის წინააღმდეგაც. მაკედონელებიც დამარცხდებიან, თუნდა ბოლგარიამ აშკარად ან საიდუმლოდ დიდი დახმარება გაუწიოს; მაგრამ თუ ბრძოლამ დიდ-ხანს გასტანა, მაკედონია, იქნება, ბედს ეწიოს. და კრეტისებური ავტონომია იშოვოს.

მკითხველს ეცოდინება, რომ კონგრეციების წინააღმდეგ გამოცემულმა კანონმა საქმაო და ძლიერი მღელვარება გამოიწვია საფრანგეთის ზოგიერთ პროვინციებში, განსაკუთრებით ბრეტანში. გაიხსნა თუ არა პარლამენტის სესია, ეხლანდელ მთავრობის მოპირდაპირებმა ტრიბუნაზე გადაიტანეს ის ბრძოლა, რომელიც ვაკაციების დროს ქუჩებში ხდებოდა. მაგრამ მთავრობა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. უმრავლესობა მტკიცედ აძლევდა მას მხარს და მოპირდაპირეთა იერიში ყოვლად უღონო გამოდგა. პალატიდან სენატში გადავიდა ბრძოლა. აქაც გაცხარებული და გამტვავებული კამათი იყო; მაგრამ სენატის უმრავლესობაც მთავრობის მომხრე შეიქნა, მიუხედავათ იმისა, რომ სენატი ზომიერ რესპუბლიკელების ბუდეა.

სენატში ატეხილ კამათში ჩაერია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჟ. კლემანსო, რომელიც ერთ დროს რადიკალების მეთაური იყო და განთქმული იყო, როგორც შესანიშნავი მებრძოლი პარლამენტში—მეტ სახელად კლემანსოს „pourfendeur des ministères“ (სამინისტროების დამცემი, მომჭრელი) ერქვა. ეხლანდელ მის სიტყვას არ ეტყობა ძველებური სიმწარე და ირონია; მისი კილო დინჯი და დამშვიდებულია; იგი როდი იბრძვის, არამედ, ეგრე ესთქვათ, ფილოსოფიურად არკვევს საკითხს. მოგვყავს რამდენიმე ადგილი მისი სიტყვიდან, რომელსაც ყურადღება მიაქცია მთელშა პრესაშ.

„....ის არეულობა, რომელიც ბრეტანში მოხდა კონკრეციების კანონის გამო, სასაცილომდე პატარა ინციდენტია იმ დიდის დუელისა, რომელიც ერთი საუკუნეა არსებობს ორ მიმართულებას შორის; ერთი თავისუფლებაა; მეორე ავტორიტეტი.

თუ ჩვენ მოპირდაპირეთ დავუჯერეთ, ეხლანდელ ბრძოლაში თავისუფლების წარმომადგენლები ისინი არიან. რესპუბლიკელებმა ნება არ უნდა მისცენ ასეთ გაუგებრობის შექმნისა. თავისუფლება, რომელსაც ეხლა თხოულობენ ჩვენი მოპირდაპირენი, ყოველთვის უარყოფილი ყოფილა მათ მიერ. თავისუფლების წარმომადგენელი ჩვენ, რესპუბლიკელები, ვართ...

მთავრობას აბრალებენ, ვითომც მას სარწმუნოების მოსკობა უნდოდეს. ასეთი ბრალდება ყოვლად უნიადაგოა. მთავრობას შეუძლია მხოლოდ სარწმუნოების დევნა და დევნა კი მას უფრო მტკიცედ ჰქინის. სიმართლე კი ის არის, რომ ჩვენ არ გვინდა რომის პოლიტიკა ან რომის ოეკურატია. ამ კორპორაციას აქვს ყველა ის ნაკლულევანება და ღირსება, როგორც საზოგადოთ სჭირო ყველა იმათ, ვინც ღმერთის უფლებათა წარმომადგენლობას ჩემობს ამ ქვეყნად. მისი ერთადერთი მიზანია გაბატონდეს ერის კაცების საზოგადოებაზე. პაპისმის მთელი ისტორია ამტკიცებს რომის ეკლესიის ასეთ ტენდენციას...

ეხლაც იგივე პრეტენზიები აქვს რომის ეკლესიას, რაც ოფიციალურად არის გამოცხადებული Syllabus'-ში (1871-ში მომხდარ კრებაზე კათოლიკებმა სავსებით მიიღეს ძველი პაპისმი). რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში?

პირველად ყოვლისა უარ ყოფილია ის „სინიდისის თავისუფლება“, რომელსაც ეხლა ჩვენი მოპირდაპირენი თავიანთ დროშად წმარობენ. სინიდისის თავისუფლება შემცდარი და დასაგმობი აზრია და ყოველი მთავრობა, რომელიც გარდა კათოლიკისმისა სხვა სარწმუნოებასაც ითმენს და პატივს სცუმს, ბრძა ან უფლების აფად მომხმარეაო.

ამ გვარად ეკლესია უარჲყოფს სინიდისის თავისუფლებას; იგი აძლევს ადამიანს მხოლოდ იმ უფლებას, რომ ირწმუნოს კატოლიკისმი და მისი დოგმები. მიუხედავათ ამისა მორწმუნები თხოულობენ თავისთვის სწორედ ამ სინიდისის თავისუფლებას, რომელზედაც თვითონ სხვებს უარს ეუბნებიან თეორიულად; და სწუხან კიდეც, რომ პრაქტიკულადაც ვერ ასრულებენ ამას.

აი აქ იწყება გაუგებრობა, რომელიც გარს არტყია უცხლა ამ კითხვებს.

თქვენ, კათოლიკები; ორს რამეს გვთხოვთ: თქვენის რწმენების თავისუფლებას და უფლებას შეიტანოთ ჩვენ საქმეებში რომის გავლენა და სული.

სანამ თქვენ რწმენებისა და სარწმუნოების თავისუფლებას თხოულობთ, ჩვენ თანახმანი ვართ; უარს არაფერზე გეუბნებით.

მაგრამ როცა თქვენ სკლილობთ, რომ ჩვენი შინაური პოლიტიკა რომისა და თქვენ სოციალურ აზრების სასარგებლოდ დაატრიალოთ, ჩვენ ვერ დაგეთანხმებით. აქ პოლიტიკური მიმართულებანი ხვდებიან ერთმანეთსა და თქვენ აზრებს არ გავამარჯვებინებთ ჩვენ აზრებზე.....

თავისუფლებას მარტო რესპუბლიკა იძლევა. მარტო რესპუბლიკამ მოახერხა თავისუფლებისა და ავტორიტეტის პრინციპების შეთანხმება....

რომის ეკლესიას არ უარუყვია არც ერთი თავისი ძველი პრეტენზიები. დღესაც სულის მართველობას ჩემობს, მაგრამ სულის მართველობასთან სხეულის მართვაც უნდა. უნდა დავმორჩილდეთ? არა და არა!

იმპერატორს შეუძლია კანოსაში წავიდეს. ხალხები კი არ მიდიან კანოსაში. რომის ულლისაგან განთავისუფლებული ხალხი ჰქმნის ყველგან თავისუფალ ქვეყანას; იგი იფლობს მიწას, რომ დააფუძნოს თავისუფლებისა და სიმართლის საზოგადოება.

... რომის საფრანგეთი თუ რევოლუციის საფრანგეთი ვიქებით? ჩვენ არ დავივიწყნია 1789 წლის წინაპრების ტრადიცია. ჩვენ ვიმოქმედებთ ცოდვილ თავისუფლებისათვის ისე, როგორც თქვენ, კათოლიკებს, ვერ ვიმოქმედნიათ უცოდველ ავტორიტეტისათვის. ჩვენ გვსურს, რომ საფრანგეთმა შეირჩინოს თავისი ადგილი ქვეყანაზე. ჩვენ ვაძლევთ ყველას განთავისუფლებულ სინიდისის მშვიდობიანობას, სრულ ცხოვრებას".

თაც იქნებოდა, აუცილებელი იყო მათი დახსნა. დაუყოვნებლივ გაგზავნეს ელჩები ათინაში ზავის სათხოვრად, მაგრამ კლეონი წინააღმდეგი იყო — ჯერ დამწყვდეულმა ჯარის კაცებმა იარაღი დაყარონ და დაგვნებდნენო, თხოულობდა იგი. მოლაპარაკება ამაზე შეწყდა. ათინელებმა ვერ გაბედეს თვითონ კუნძულზე გადასვლა, სამაგიეროდ ალყა შემოარტყეს. რომ სიმშილის გამო არ დანებებოდნენ ათინელებს ჯარის კაცები, სპარტანელებმა გამოაცხადეს, რომ თავისუფლებას მიანიჭებენ იმ ჰილოტს, რომელიც სურსათს მიაწვდიდა ალყა. შემორტყმულებს. თავისუფლებას მსურველი ბევრი აღმოჩნდა და მართლაც მოახერხეს სფაკტერიაზე სურსათის მიტანა. ათინაში კი მოუთმენლად ელოდნენ საქმის გათავებას. კლეონი ცეცხლს ჰყრიდა პირიდან სიბრაზის გამო და ათინელ სარდალს უნიჭობას უკიუინებდა. ბოლოს ნიკიასი და მისი ამხანაგები მოთმინებიდან გამოვიდნენ და უთხრეს დემაგოგს: „თუ ასეთი ნიჭიერი ხარ, შენ თვითონ მიიღე სარდლობაო.“ კლეონი პირველში გაძალიანდა, მაგრამ დრო აღარ იყო და აიძულეს სფაკტერიაზე წასულიყო. ეს კია, რომ დემოსთენესიც თან წაიყვანა და გამოაცხადა, რომ ოც დღეში მის ხელში იქნებიან სპარტიატები ცოცხლები ან მკვდრები. აასრულა კიდეც, რაც სთქვა: კლეონი და დემოსთენესი გადავიდნენ სფაქტერიაზე და სუსტ წინააღმდეგობის შემდეგ სპარტიატები დანებდნენ მათ. მთელი საბერძნეთი გამოუთქმელ განცვიფრებას მიეცა, როცა გაიგეს, რომ სპარტიატებმა სიკვდილს ტყვეობა არჩიეს (425).

6. ბრაზიდასი თრაკიაში; მისა გამარჯვება; კლეონისა და ბრაზიდასის სიკვდილი ამფიბოლისთან. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი შესძინა კლეონს და ათინელებსაც მხნეობა მოუმატა. სპარტას, მისდა საბერძნიეროდ, ჰყავდა ბრაზიდასი, დიდი პატრიოტი, ძველ დროის სპარტიატსავით. პატიოსანი და კეთილ შობილი, რომელიც ახალ აზრებს მტრულად არ უყურებდა, ამასთან ნიჭიერი და მოხერხებული ორატორი და დაუღალავი მოსაქმე ჯარის კაცი. ბრაზიდასმა იგივე დამართა ათინელებს,

რაც ამათ სპარტანელებს დამართეს: გადაიტანა ბრძოლის ველი ათინის მოკავშირეების ტერიტორიაზე. თრაკია ათინელებისათვის თვალის ჩინი იყო; აქ იყო მათი ოქროს მაღნები; აქ შოულობდნენ ხის მასალას თვეიანთ გემების ასაშენებლად. ბრაზიდასი თრაკიაში მოვიდა და დიდათ მოიგო კიდეც. პირველად ქ. აკანთამ გაულო თავის კარები: რთველის დრო იყო და აკანთელებს წლის მოსავლის დაკარგვა არ უნდოდათ. ასეთისავე სიადვილით დამორჩილდა სპარტანელების სარდალს ამფიპოლისიც. ათინელებმა სამშობლოდან გააძევეს თავის ჯარის უფროსი თუკიდიდე, რომელმაც ვერ შესძლო ამ ქალაქის დაცვა სპარტანელებისაგან, ეს ის თუკიდიდე იყო, რომ მელმაც შემდეგ პელოპონეზის ომიანობის ისტორია დასწერა. გადადგომა და ბრაზიდასის მოწვევა გადამდებ სენსავით მოედო ათინის მოკავშირეებს; როგორც თუკიდიდე ამბობს, არავინ უფრთხოდა ათინის გადადგომას ახალ მდგომარეობის მიზჩიდველობის გავლენის ქვეშ. ათინაში კლეონი ჰყვიროდა, ილანძლებოდა და ღმუოდა. „უნდა ისევ ავილოთ ამფიპოლისია და ეს ძნელი საქმე არ არისო“, გაიძახოდა. ერთხელ კიდევ დაიჭირეს იგი სიტყვაზე და ჯარების უფროსობა აკისრებინეს. ომის ველზე კლეონმა დაამტკიცა პირადი ვაუკაცობა, მაგრამ თან თავის უნიჭობა სარდლობის საქმეში. ბრაზიდასმა მოასწრო მას ამფიპოლისთან და დამარცხა; თვითონ კლეონიც. მოჰკლეს, მაგრამ ვერც ბრაზიდასი გადარჩა ცოცხალი.

7. ნიგიასის ზაგი (421). ომის ორი უკიდურესი მომხრე აღარ იყო. სპარტამა და ათინამ მოლაპარაკება გამართეს. ათინის მხრივ წარმომადგენელი იყო ნიკიასი. ხელშეკრულების ძალით საბერძნეთი უნდა დაბრუნებოდა იმ მდგომარეობას, რომელიც ომის წინ იყო (statusquo ante bellum). რაც წართმეული ჰქონდათ ერთმანერთისათვის, ისევ დაუბრუნეს. ასავეირველია უკავშირობის იუვნენ და ომის მოტრფიალენი პროტესტს აცხადებდნენ; მაგრამ მათი ხმა აღარ ისმოდა საერთო სიხარულში. „რა სასიხარულო ამბავია! ამბობს ხორო არისტოფანესის კომედიაში, რომელსაც „მშვიდობიანობა“ ჰქვია; აღარც

მუზარადი, აღარც ყველი და ხახვი. არა! ომი სრულებით არ მიყვარს. მე მიყვარს კარგ მეგობრებთან ერთად გადაკვრა კე-
რასთან, სადაც ტკაცა-ტკუცი გააქვს შუაგულ ზაფხულში მო-
ჭრილ ხმელ შეშას. სწვი მუხუდო ნაკვერჩხალზე და გაახვიე
ცხელ ნაცარში წითლის კაკალი. განა სჯობს რამე მეგობართან
მასლაათს იმ დროს, როცა წვიმა ანაყოფიერებს ჩვენ ნათესებს!
აბა სთქვი, კომარხიდეს, რა ვქნათ დღეს? მე სიამოვნებით დავ-
ლევდი, სანამ კა ჩვენ ყანებსა რწყავს. აბა, ქალო, მოგვიხარ-
შე ლობით და ცოტა ხორბალიც გაურიე. ლელვიც მოგვიტა-
ნე. სირა, მანეს ყანიდან დაუძახე, დღეს არც გასხვლა შეიძ-
ლება და არც კვალების გაყვანა, მიწა მეტად დასველებულია.
მომიტანეთ შაშვი და ორი ჩიტი, მაწონი და ყურდგლის ოთ-
ხი ნაჭერიც იყო, თუ გუშინ საღამოს კატამ არ მოიპარა—
რაღაც საშინელი ხმაურობა მესმოდა. ბიჭო, სამი მე მომიტანე
და ერთიც მამაჩემს წაუდე. გამოართვი ესხინადესს მირტის
ტოტები თავის ნაყოფით და შემდეგ, ესეც ხომ იქეთკენ არის,
დამიპატიუე ხარიმადესი. დავლიოთ იმ ღმერთის პატივსაცემ-
ლად, რომელიც ჩვენ ყანებს მფარველობს!“

თ ა მ ი ს მ ა მ დ ე - X V I I - 0

შეღობონეზის ომიანობა ნიკიასის ზავიდან ათინის
აღებამდე (421-404)

სარჩევი. 1. ნიკიასის ზავი დაირღვა.—2. ალკიბიადე.—3. ალკიბიადეს პოლიტიკა.—4. სიცილია; სირაკუზის ძლიერება გე-ლონისა და ჰიერონის დროს.—5. სიცილიელ ბერძნების ქალაქები დასახმარებლად იწვევენ სპარტასა და ათინას.—6. ალკიბიადეს გავლენა ათინაში; მისი მეგობრები და მტრები.—7. სიცილიზე გალაშქრება გადაწყვეტილია.—8. გალაშქრების მრმზადება; ჰერ-მესის ძევლების შეურაცხყოფა.—9. ათინის ფლოტისა და ჯარის წასვლა სიცილისაკენ. პირველი დამარცხება; ალკიბიადეს დაბარება.—10. სირაკუზელების მზადება წინააღმდევობისათვის.—11. ათინელი ჯარი სირაკუზის წინ.—12. ალკიბიადეს ინტრიგები სპარტაში; გილიპოსის გაგზავნა სიცილიაში.—13. ახალ ჯარების გაგზავნა ათინიდან; ათინელების სრული დამარცხება.—14. ათინის მძიმე მდგომარეობა; სპარსეთის მეფის ჩარევა საბერძნეთის შინაურ ომიანობაში.—15. დეკელეას დაცყრობა სპარტანელებისაგან. ალკი-ბიადეს ახალი ინტრიგები.—16. ოლიგარხიულ პარტიის ჩევო-ლიუცია ათინაში.—17. ოთხასის მართველობა. ათინელ ჯარისა და ფლოტის წინააღმდევობა; ხუთი ათასი.—18. ალკიბიადეს მოწ-ვევა.—19. ალკიბიადე ისევ უკმაყოფილებას იწვევს.—20. ლიზან-დროსი.—21. არგინუზოს ბრძოლა. ათინის გამარჯვებულ სარდ-ლებს სიკედილი გადაუწყვიტეს.—23. ეგოს-პოტამოსის ბრძოლა.—24. ათინის ძლიერების დაცემა.—25. ალყა და აღება ათინისა (404) *).

1. ნიკიასის ზავი დაირღვა. ერთი დღეც კი არ დარჩე-ნილა დაურღვეველი ნიკიასის ზავი. სპარტას მოკავშირეების მეტი წილი წინააღმდევი იყო ამ ზავისა; და არც სპარტა და

*) ბიბლიოგრაფია: 1) ძევლი მწერლები—თუკიდიდესი, წ. V, VI, VII და VIII; პლუტარხოსი, ნიკიასის, ალკიბიადეს და ლიზანდროსის ცხოვრება; არისტოფანესი, „მშვიდობიანობა“, „მხედრები“; ქსენოფონი, საბერძნეთის ისტორია წ. 1 და 2. 2) ახალი მწერლები: კურციუსი, ტ. III, ტ. IV, ტ. IV და V; დიურუი ტ. XXV და XXVI.

არც ათინა სრულებით არ ჰყიქრობდნენ თავის სიტყვა შეეს-
რულებინათ. ამფიპოლისი სპარტას ხელში იყო და პილოსი
ათინისაში; იქაც და აქაც ომის მომხრე პარტიების ხელში
გადავიდა მთავრობა; სპარტაში ახლად არჩეულ ეფორების კოლე-
გია პირდაპირ წინააღმდეგი იყო მეფე პლისტონაქსის მოკრძა-
ლებულ პოლიტიკისა; ათინაში ნიკიასის გავლენამ ადგილი და-
უთმო ალკიბიადეს უფრო ბრწყინვალე და ლალ ვარსკვლავს.

2. ალკიბიადე. არის პირები, რომლებზედაც ისე შეი-
ძლება ლაპარაკი, რომ არა შეეხო მათ გარეგნობას; მაგრამ



ალკიბიადე.

შეუძლებელია გაგება ალკიბიადეს პიროვნებისა და იმ სიკ-
ვარულისა, რომელსაც მთელი ათინა გრძნობდა მისდამი, თუ ამ

მხარეს ჩრდილში. დავტოვებთ. პირველად ყოვლისა ალკიბიადეს გარეგნობას ჰქონდა ერთი თვისება, რომელსაც ასე აფასებდა ლამაზ ფორმის მოყვარული ათინელი ხალხი: სახის სწორი და წმინდა მოხაზულობა, ჰარმონიულად შეწყობილი ტანი, სალი და ლონიერი; თითქოს ღმერთი ჩამოსულიყოს ამ სოფლად და განხორციელებულიყოს ამ კაცში, რომლის ფიზიკური სიმშვენიერე მოხუცებამდე ბრწყინავდა. საუბედუროდ, ეს ლირსება, ასე სასიამოვნო, როცა მას ბუნებრივობა თან ახლავს, გაფუჭებული იყო მასში გადამეტებულის ფაქიზობითა და პარნჭიაობით, რომელიც ყოველ დროს მოდის მეფეებს სჭირო ნებსით თუ უნებლიერთ; მისი ზარმაცი და უზრუნველი სიარული, შეურაცხმყოფელი ზრდილობა, გრძელი ტანისამოსი, ცოტათი წაგდელებული კისერი და მოქცეული (მოჩლექილი) ენა, რომელიც ლაპარაკის დროს გვერდს უვლიდა ხოლმე სინაზეს მოკლებულ ხმა რ-ს, ძველ ხალხს მხრებს აწევინებდა და გაიძვერა პირფერთა ბრბოსა და სულელ თაყვანისმცემლებისათვის სათაყვანო და მისაბაძი საგანი იყო.

ალკიბიადეს რომ ფიზიკურ შშვენიერებისა და პარნჭიაობის მეტი არაფერი ჰქონებოდა ისტორიის ყურადღების შესაჩერებლად, მისი საქმე უცბად გათავდებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ მდიდრად დასაჩუქრებულ სხეულში იმყოფებოდა რჩეული გონება, უფრო მოქნილი ვიდრე ლრმა, მაგრამ თან გშვენიერების შემგნები და მისი სწორედ დამფასებელი: ეს გონება განსაკუთრებით განვითარდა მას შემდეგ, რაც ოცის წლის ალკიბიადე გაეცნო სკულპტორ (მქანდაკებელი). სოფრონის შვილს, სოკრატეს, რომელიც იმდენად მახინჯი იყო, რამდენადც ალკიბიადე ლამაზი და იმდენად ცუდათ ჩაცმული, რამდენად ალკიბიადე გამოპრანჭული. სოკრატეს დიდი გაფლენა ჰქონდა ალკიბიადეს გონების განვითარებაზე; მაგრამ მოწაფის ზნეობრივი მხარე მის გავლენის გარეშე იყო. მდიდარ და წარჩინებულ ოჯახის შვილი ალკიბიადე (იგი პერიკლეს ნათესავი იყო) გაიზარდა დაბალ პირმოთნეთა წრეში, რომელიც ყოველთვის მზად იყო მოწონების ტაში დაეკრა ბავშვისათვის,

რაც უნდა წარმოუდგენელი სიგიურ ჩაედინა.. ეს იყო მიზეზი, რომ ალკიბიძე აუტანელ ხასიათის პატრონი გახდა: მან არ იცოდა, თუ რა იყო რისიმე მორჩილება ან არ შეეძლო მისი ატანა; იგი ბატონობისათვის იყო დაბადებული და მისი ხელ-მძღვანელი შეუთვისებელი სიამაყე იყო: ალკიბიძეს კარგად ესმოდა პერმოთნეთა გადაჭარბებულ ქება-დიდების ფასი, ეცი-ნებოდა კიდეც, მაგრამ თან იმდენად ზვავი და ფუჭ პატივის მოყვარე იყო, რომ უმისობა არ შეეძლო; იგი მეტად მოწა-დინებული იყო ხალხისთვის თვით მოეწონებინა, მისთვის თვით შეეყვარებინა, მაგრამ აქაც უფრო თვითონ კი არ ემო-რჩილებოდა სხვის ნებას, სხვებს უმორჩილებდა თავის ნებას. ალ-კიბადე მეტად მხიარული, მოსიყვარულე და მიმზიდველი, იყო, მაგრამ ამასთან უინიანი, ახირებული თვითონება და ფი-ცხი. უფრო დამნაშავე აქ შეიძლება ათინელი ხალხი იყო, ხალხი არტისტების კრებული, რომელიც ბედნიერი იყო, რო-ცა ლამაზ თავს დაინახევდა. ან ლამაზ გამოთქმას ტაშს უკრავ-და, უსაქმურთა კრებულიც, რომელიც ყოველთვის სიცილით ეგებებოდა თავის საყვარელ პირის ყოველ სიგიურს, და დაბალ წრის პირების კრებულიც, რომელსაც ხიბლავდა ქცევა და ზვაობა მისგან ასე განვევავებულ არისტოკრატისა. ათინელებ შორის, რომელნიც ერთ დიდ ოჯახის წევრებს მიემზგავსე-ბოდნენ, ალკიბიძეს განებივრებულ ბავშვის ხასიათი ჰქონ-და, მაგრამ უფრო ბავშვი კიდევ ათინელი ხალხი იყო. ერთ დღეს ალკიბიძე მიდიოდა მოედანზე, სადაც ხალხს ფულს ურიგებდნენ; იგი ვერ იტანდა, როცა სხვა უინმე რსმე აკე-თებდა და თვითონ კი მონაწილეობას არ იღებდა, იმდენად ფუჭ-სახელის და არა ნამდვილ დიდების მოყვარე იყო; ამი-ტომ თვითონაც ამოიღო ქისიდან ფული და ხალხს გადაუ-ყარა; ხალხმაც მოწონების ტაში დაუკრა და სიცილი მორთო; ხმაურობამ დააფთხო მწყერი, რომელიც ალკიბიძეს მოსა-ხურავ ქვეშ ჰყავდა, და ჩიტი გაფრინდა; ხალხი სიცილითა და სიხარულით ჩიტს უკან გამოუდგა; ბოლოს, ერთ მეზღვეურს ხვდა წილად ბედნიერება დაეჭირა გაფრენილი ჩიტი და მოე-

ყვანა ალკიბიადესთვის, რომელიც მეტად მაღლობელი დარჩა მას ამ სამსახურისათვის.

3. ალკიბიადეს ბოლოტიდა. ასეთი იყო ის პირი, რომელ-საც ათინაში პირველი პოლიტიკური როლი უნდა შეეს-რულებინა, თუმცა საკითხი კი იყო, რამდენად მომზადებული იყო იგი ამ როლისათვის. ალკიბიადეს გადაწყვეტილი ჰქონდა გამხდარიყო პირველი პირი ათინაში, მაგრამ საეჭვოა, რომ მას სცოდნოდეს, თუ რა საშუალებით უნდა გამხდარიყო ამ პირ-ველ პირად, საეჭვოა, რომ მას გადაწყვეტილი შეხედულება ჰქონებოდეს მომავალ თავის ქცევაზე და მიმართულებაზე. პირ-ველი იგი სპარტას მომხრეების წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ ერთბაშად მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა ნიკიასის შურით. გარემოებამაც ხელი შეუწყო მას და ნიკიასი სახტად დარჩა, როცა დაინახა, რომ ზავი, რომლის მამა იგი იყო, ასე უნაყოფო შეიქ-ნა. ალკიბიადეს მოხერხებით პელოპონეზში შესდგა სპარტა-საგან დამოუკიდებელი ლიგა, რომლის მეთაური ათინა იყო. მაგრამ ამ ახალ მოკავშირეებს კარგი სურვილების მეტი ძალა და მნიმნიშვნელობა არ ჰქონდათ: 418-ში მანტინეასთან არ-გოსელები ბრძოლის დაწყებამდე გაიქცნენ ომის ველიდან. ზღვაზე მაინც ათინელები დარჩნენ გამარჯვებული: ლაკედომო-ნის ძველი ახალ შენი კუნძული მელოსი: აიღეს, კველა ასაკში მოსული მამაკაცები დახოცეს და ქალები და ბავშვები მონებად დაჰყიდეს. ასეთი საშინელი სისხლის ღვრა მშვიდობიანობას ვერ დაამყარებდა საბერძნეთში. ყოველის მხრიდან საომრად ემზადებოდნენ. სწორედ ეს წამი აირჩია ალკიბიადემ ათინის ჩასათრევად სიცილიის საბედისწერო გალაშქრებაში. ეს მძი-მე საქმეც ჩვეულებრივის თავ მომწონე უზრუნველობითა და უნიადაგო ოცნებით დაიწყო ასეთ ღროს ალკიბიადემ.

4. სიცილია. სირაკუზის მფიერება. გელონისა და ჟა-რონის დროს. სიცილია, ისე როგორც დიდი საბერძნეთი (სამ-ხრეთი იტალია) სრულებით დამოუკიდებელი იყო მეტროპო-ლიიდან. მისი ნაპირები დასახლებული იყო ბერძენთა ახალ-შენებით: აქ იყვნენ იონიელებიცა და დორიელებიც. ვაჭრო-

ბის მიზეზით ყველა გამდიდრებული და ფუფუნბაში და ბიწიერ ცხოვრებაში ჩატლული იყვნენ. კუნძულის შუაგული ნაწილი, რომელიც მთავრიანი და მიუვალი იყო, მკვიდრის ხელში იყო. სიცილის ახალშენების ისტორია ჩვენ ვიცით მხოლოდ 500 წლიდან. საბერძნების შვილები არ იქნებოდნენ ისინი, რომ უკიდურესობამდე გამწვავებული პარტიული ბრძოლა არ ჰქონდათ და ამასთანავე ერთმანერთს შეუბრალებლად არ ჟღეტლნენ. ბოლოს თითქმის ყველა ახალშენში ტირანი იყო გაბატონებული. ტირანები, რასაც კვირველია, მოწადინებული იყვნენ გაემტკიცებიათ და გაემართლებინათ თავისი ბატონობა ახალშენის ტერიტორიის გავრცელებით. ქ. გველამ, სადაც მართველი იყო ტირანი ჰიპოკრატე, წართვა სირაკუზის კამარინას ტერიტორია; ლეონციუმი, ნაქსოსი, ზანკლეც გველას ტირანის ხელში გადავიდა. ჰიპოკრატეს ასეთი გამარჯვება ნიჭიერ სარდლის გელონის საჭმე იყო. ტირანის სიკვდილის შემდეგ გელონმა ჩაიდინა ის, რაც გელონამდე და მის შემდეგ ამდენ სარდლებს ჩაუდენია — ხელში იგდო ბატონობა და განიზრახა ვრცელ სამეფოს დაარსება სიცილიაში. მიაღწია კიდეც მიზანს. თავის სატახტო ქალაქად გელონმა სირაკუზი აირჩია. მას მონაწილეობა არ მიუღია ბერძენ - სპარსელების ომიანობაში ან იმიტომ რომ იგი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რადგან მას არ მისცეს ყველა ბერძენთა ჯარების მთავარ-სარდლობა, ან და იმის მიზეზით, რომ მოცალება არ ჰქონდა, რადგან ამ დროს სიცილიაში კართაგინელები შემოვიდნენ. გელონმა საშინაოდ დაამარცხა ახალ მოსულები მდ. ჰიმერასთან (480). ამ გამარჯვებას იგონებს პინდაროსი ერთ თავის ოდაში: „სალამინშა შეიძინა დიდება, რომელიც ათინელებს ეკუთვნის; სპარტას ვუქებ კითერონის მთის ძირში მომხდარ ბრძოლას, სადაც სპარსელების მეშვილდისრენი დაიღუპნენ; მავრამ წყაროებით მდიდარ ჰიმერას ნაპირებზე გამარჯვების გვირგვინი ეკუთვნის დინომენისის (გელონის მამის სახლია) შვილს, რომელმაც სძლია მტრის მეომრები“.

ᬁ. სიცილიელ ბერმების ქადაქებია დასახმარებლად იწ-
ვევენ სპარტასა და ათინას. გელონი მოკვდა 476 წელს. მისი
ძმა და მემკვიდრე ჰერონიც მასავით ძლიერი იყო. მაგრამ
სირაკუზამა მაღლე დაიბრუნა დამოუკიდებლობა; განთავისუფლ-
დნენ სხვა ქალაქებიც და ისევ დაიწყო შინაური განხეთქილე-
ბა პარტიებისა და ქალაქების ბრძოლა. დორიელი ქალაქები
სპარტასაკენ მიიქცნენ, იონიელი ათინისაკენ იცქირებოდნენ.
427-ში რიტორი გორგიასი ათინაში გაგზავნეს ლეონტიელებ-
მა. ხერხიანმა და შემპარავმა ენამ, სასიამოვნო და ყვავილებით
მოქარებულმა სიტყვამ, სიტყვაწყობილების უნაკლო ხელოვ-
ნებამ გორგიასი მოდის კაცად გახადეს. ამიტომაც მიზანს მიაღ-
წია—427 წლის ზაფხულის ბოლოს ათინის ფლოტი სიცი-
ლიის წყლებში იყო: ჯერ თითო მოჰყვა ბორბალ ქვეშ, შემ-
დეგ ხელი და ბოლოს მთელი ტანიც უნდა მოჰყოლოდა.
პირველში ცოტა ყოყმანი იყო; მაგრამ 416-ში ათინაში მო-
ვიდა ეგესტოსის დეპუტატია, რომელმაც დახმარება ითხოვა
სელინონტისა და სირაკუზის წინააღმდეგ. ხალხმა თავი ველარ
შეიმაგრა—დიდი ხანია მას რაღაც ზღაპრული წარმოდგენა
შეუდგინეს სიცილიაზე და მის სიმდიდრეზე. სიციილიის ომის
ბრალი ედება ათინის ხალხს და არა ალკიბიდეს.

ᬁ. ალკიბიადეს გავლენა ათინაში; მისი მეგობრები და
მცრები. ათინაშიაც იყვნენ მიხვედრილი პირები, რომელ-
ნიც ეჭვის თვალით უყურებდნენ განზრახულ საქმეს და „მხედ-
რები“ს ხორცოსთან ერთად ამბობდნენ: „ხალხო, შენი ძლიე-
რება დიდია; ყველას ეშინია შენი, როგორც ბატონისა, მაგ-
რამ შენი მოტყველება ადვილია; გიყვარს, როცა პირში გა-
ქებენ და გატყვილებენ: ვინც გელაპარაკება, გატყვილებს და
გონიერი მოსაზრება გშორდება“. მაგრამ ამათ ლაპარაკისათვის
ყურიც არავის უთხოვებია. სიცილიასაც მელოსსავით ადვილად
ავილებთო, პფიქრობდნენ ათინელები; სიცილიის ფლოტი
სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ და როცა სიცილიის წარმო-
დგენილი საუნჯეები მოაგონდებოდათ, სიხარბესაგან წინდა-
წინვე თვალებს აჭყეტდნენ. ტყვილა კი არ ილაპარაკა ალკი-

ბიადემ და არ შეჰქირდა ხალხს უცხო საუნჯეთა მთელი გორები: ეს მიმზიდველი მატყუარა, თავისავე მჭერმეტყველებით მთვრალი, რაღაც დაუჯერებელ ამბებს უთხრობდა ხალხს და ეს არც მას თითონ და არც მსმენელებს არ უკირდათ. მისი მეგობრები, გაკოტრებული ხარისხოვანი ახალგაზღობა, რომელნიც მის ხარჯზე სცხოვრებდნენ, ტაშის კვრით ხელებს იმტვრევდნენ და სიცილიაში ჰფიქრობდნენ წასვლას დაკარგულ ქონების შესაძენად. უველაფერი უღიმობდა ალკიბიადეს: იგი ყოველის მხრივ ბედნიერი იყო. მისი საჯინიბო სადოლო ცხენებით იყო სავსე და შვიდი ეტლი ჰყავდა გაგზავნილი ოლიმპიაში სადოლოდ. უველა მას ეფერებოდა და ელაქუცებოდა; იგი აღარ ჰგავდა თავისუფალ ათინის მოქალაქეს—იგი უფრო აღმოსავლეთელი მთავარი იყო, რომელიც ქვეშევრდომების ერთგულებას სიამაყით იღებს. მთელ ათინაში მოკავშირეებისა და უცხოელებისათვეს მარტო ერთი კაცი იყო-ალკიბიადე.

მაგრამ ალკიბიადეს მტრებიც ჰყავდა: პირველად ქურუ-მები, რომელნიც ხედავდნენ, რომ მათი გავლენა თანდათან უფრო მცირდებოდა, რადგან ალკიბიადე უპატივცემულოდ ეპყრობოდა მათ სარწმუნოებას: ერთ დღეს მან წამოილო აკროპოლისიდან ოქროს ვაზები, რომლებსაც ღვთის მსახურების დროს ხმარობდნენ, და თვითონ იხმარა; შემდეგ დემა-გოგი ორატორები, რომელთა ადგილი მან დაიკავა; ზელი დროის ხალხი, რომელიც მწარედ ოხრავდა, როცა ხელონისა და არისტიდეს დრო მოაგონდებოდა; ზნეობის მიმდევარნი, პირმოთნეები და წარჩინებულებიც, რომელთა თვალში ალკი-ბიადე მოღალატე იყო და რომელნიც კავშირებს და ამხა-ნაგობებს არდგენდნენ ერთმანერთის დასაცველად. ასე-რომ, მიუხედავათ გარეგან გამარჯვებისა, მდგომარეობა უშიშარი არ იყო და ალკიბიადეს საფრთხე მოელოდა.

7. სიცოლიაზე გადაშქრება გადაწყვეტილია. მოვიდნენ ეგესტოსის დესპანებიც. ათინელებმა მოისმინეს ამათი სიტყვა და თავისი კაცები გაგზავნეს სიცილიაში ქვეყნის საშუალებისა

და სიმღიდრის გასაცნობად. აქ მათ თვალწინ გადმოშალეს, თუ რამ ებადათ დახმარების მთხოვნელებს; უჩვენეს ძეგლები, დაარონიეს ტაძრებში და ხშირად ნადიმებს უმართავდნენ; ნადიმებზე ხმარობდნენ სულ ვერცხლის ჭურჭლეულობას, რომელიც ნათხოვარი ჰქონდათ მეზობელ ქალაქებიდან. აღტაცებული დაბრუნდნენ სიცილიდან გაგზავნილი კაცები; ეს აღტაცება ათინელ ხალხსაც გადაედო და სიცილიაში გალაშქრებაც გადაწყდა. გასაგზავნ ჯარის სარდლებად დანიშნეს ალკიბიადე, ლამახოსი და ნიკიასი. ესენი უნდა დახმარებოდნენ ეგისტოსელებს და სამსახური გაეწიათ ათინის ინტერესებისათვის.

ყველაფერი უცნაური იყო ამ გალაშქრებაში, ყველაფერი — სარდლების არჩევით გათავებული. ნურას ვიტყვით ლამახოსზე, რომელსაც მეორე ადგილი ეკავა ჯარში. ალკიბიადე დაუდეგარი თვითნება ვინმე იყო, ასე რომ მისი იმედი არავის უნდა ჰქონებოდა; რაც შეეხება მის ამხანაგს, ნიკიასს, — მას ერთი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ეს ნაკლი დიდი იყო: მას იმედი არ ჰქონდა იმ საქმის გამარჯვებისა, რომელსაც სათავეში უდგა, და იმდენად, რომ იგი სცდილობდა შეეგონებინა ხალხისათვის მიღებულ გადაწყვეტილების შეცვლა. რასაც ნიკიასი ამბობდა, გონივრულად ნათქვამი იყო, მაგრამ ნიკიასი იმ პირთაგანი იყო, რომლის სიტყვა ვერ აჯერებს და ვერ არწმუნებს კაცს და სწორედ მრჩნის წინააღმდეგ შედეგს აღწევს. ხალხმა წინადადება მისცა ნიკიასს თვითვე მას გადაეწყვიტა, თუ რამდენი გემი და ჯარი იყო საჭირო ამ საქმისათვის. მან მოითხოვა ასი. ტრირება და ხუთი ათასი ჰოპლიტი. ხალხმა მისცა, რასაც სარდალი თხოულობდა. ნიკიასი იძულებული შეიქნა გაჩუმებულიყო და საქმეთა მიმღინარეობას აჰყოლოდა. ხალხი უკიდურესობამდე იყო აღტაცებული: ყველას ერთბაშად უნდოდა შიმავალ გემებზე ასვლა; ყველა მიისწრაფოდა იმ ელდორადოსაკენ *)

*) ზღაპრული, საოცნობო ქვეყანა, სადაც ყველა შედნიერი, და მრიდარია.

საიდანაც საუკუნოდ გამდიდრებული უნდა დაბრუნებულია ყვნენ. ეს იყო ბედის ძიება და გამდიდრების ციებ-ცხელება, რომელიც ესპანიელებს მოედო ახალი ქვეყანა (აშერიკა) რომ კოლუმბმა აღმოაჩინა.

8. გადაშქრების მომზადება. ჰერმესის მეგდის შეუფაცხუფთა. მომზადებას ენერგიულად შეუდნენ. მთელი ათინა და პირეოსი ვრცელ სახელოსნოს დაემზგავსა, სადაც ყველა მუშაობდა. ექვს კვირაზე ყველაფერი მზად იყო დანაგსაღგურიდან გასვლის ბრძანებაც უნდა გამოსულიყო, რომ მოხდა ერთი ამბავი, რომელიც იმ დროში არ გაგონილა და რომელმაც ხალხს დაავიწყა თავის გატაცება. ერთ მშვენიერ დილას გაოცებულმა ათინელმა დაინახა, რომ ჰერმესის ძეგლები, რომელიც მოედანზე, ტაძრებთან და კერძო სახლებთან იდგა ათინაში, მეტ წილად დამსხვრეული იყო და ქუჩები სავსე ნამსხვრევებით. ეს სიწმინდის შეურაცხყოფა კი არა, შებილწვა და გმობა იყო: ჰერმესი ათინის მფარველად ითვლებოდა; ძეგლების ძველი ფორმა კიდევ მეტ პატივისცემას იწვევდა მორწმუნე ხალხში. წარმოიდგინეთ, რომ საშუალო საუკუნოებში ვინმემ ხელი შეახო წმინდანებისა და ლვთისმშობლის ხატებს, ქუჩის მოსახვევებში რომ იდგა, და გაიგებთ, როგორი გულისწყრომა და ალშფოთება ასტყდა ათინაში. ვინ იყო მკრეთელობის ჩამდენი? ნამდვილად ეს ვერასოდეს ვერ გაიგეს; ერთი კი უეჭველია: ალკიბიადეს მტრები იქნებოდნენ — არის ტოკრატები ან დემოკრატები, შეიძლება ორივენი ერთად. ყოველ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ეს ამბავი მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ფლოტი სიცილიისაკენ წასვლას ემზადებოდა, იმის მაჩვენებელია, რომ ამ ორ ფაკტ შორის კავშირი იყო. იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი ალკიბიადეზე მიიტანდა ეჭვს: იგი ცნობილი იყო თავის ურწმუნოებით, რომელსაც სრულებით არ ჰქონავდა; აგდებით და თამამად ეპყრობოდა ყველაფერს, რაც კი კულტს ეკუთვნოდა და თავიც მოჰქონდა ასეთის ქცევით. ცოტა მიკიბ-მოკიბვის შემდეგ ალკიბიადეს ბრალი დაადეს, რომ მან დაჰვარ წმინდა საიდუმლოება და

რომ იგი მოთავეა საიდუმლო საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად აქვს დაარღვიოს არსებული სახელმწიფო წესწყობილება. ალკიბიადე არ შეუშინდა თავის მტრებს, იგი მზად იყო ბრძოლისათვის; ამიტომ ბრალმდებლებმა სხვა გზა არჩიეს: შემოიტანეს წინადადება, რომ საქმის განხილვა გადადებულიყო იმ დროისათვის, როცა სარდალი სიცილიიდან დაბრუნდებოდა: ალკიბიადე კარგად ხედავდა დაგებულ მახეს და სცდილობდა საქმე სიცილიაში წასვლამდე გათავებულიყო, მაგრამ არა გუვიდა რა; იძულებული შეიქნა თავის გაუმართლებლად წასულიყო ათინიდან და ბრძოლის ჯელი მტრებისათვის დაეტოვებია. ამ გვარად სიცილიის უბედურ ექსპედიციას ორი ისეთი სარდალი ჰყავდა, რომელთაგან ერთი წინდაწინვე დარწმუნებული იყო საქმის ცუდათ დაბოლოვებაში და მეორეს შძიმე ბრალი ედებოდა.

9. ათინის ფლოტისა და ჯარის წასკვედა სიწილისაკენ; შარველი დამარცხება; ალგაძიადეს დაბარება ათინაში. ფლოტი და ჯარი 415 წლის ივლისის პირველში დაიძრა ნავსაღგურიდან. წასვლა დიდის ამბით მოხდა: მთელი ქალაქი გათენებისას პირეაში იყო სხვა და სხვა გრძნობით შეპყრობილი; ბევრი აღტაცებაში იყო, მაგრამ არა ერთს ეწურებოდა გული, როცა წარმოიდგენდა გასაულელ გზასადა მოსალოდნელ ხიფათებს. „როცა მთელი ჯარი ავიდა გემზე და საჭირო სურსათიც აიტანეს, დაპკრეს ბუკი და სიჩუმეც დადგა. წასვლის წინ მიღებული ლოცვები ერთად სთქვეს ყველა გემებზე; ჩაასხეს წყალ ნარევი ლვინო ფიალებში და ჯარის კაცებმა ოქროსა და ვერცხლის სასასმოებით ლერთი ახსენეს. ნაპირიდან ხმას აძლევდნენ ათინელები და უცხოელები. შემდეგ სთქვეს პეანი (საგალობელი); გათავდა ლვთის ხსენება და ლოცვა; ნავებმა ამართეს აფრები და ეგინისაკენ წავიდნენ; ყველა სცდილობდა პირველი მასულიყო კუნძულზე. შემდეგ ფლოტი გაემართა კორცირასაკენ, სადაც მოკავშირებს უნდა მოეყარათ თავი.“ კორცირასთან შეკრებილ ჯარსა და ფლოტში იყო: 134 ტრირება და ორი როდოსელი პენტეკონტორასი (ორმოცდა ათ ნიჩიანი ძველი

გემი), 30 ტრანსპორტი (სურსათისა, და სამხედრო მასალის გემი) და დიდალი სავაჭრო გემები, რომელიც თავის ნებით მიჰყებოდა სამხედრო ფლოტს. მეზღვეურების რიცხვი თითქმის 25,000 იყო; ჯარში 5000 ჰოპლიტი (მძიმედ შეიარაღდებული) იყო, დანარჩენები იყვნენ კრეტელი მეშვილდისრენი, როდოსელი მეშურდულენი და სხვა სუბუქად შეიარაღდებული ჯარის კაცები, სულ—36,000 მეომარი. გალაშქრების დაწყებისათანავე ათინელების საქმე ცუდად წავიდა: იტალიის ბერძნულ ქალაქებმა არ მიიღეს მათი ფლოტი, ეგესტაში გაგზავნილმა კაცებმა მოიტანეს ამბავი, რომ ქალაქს ფული არ შოეძევა. რაღა უნდა ექნათ? ნიკიასის წინადადება იყო სახლში დაბრუნება; ლამახოსის ჭრი იყო დაუყოვნებლივ იერიშის მიტანა სირაკუზზე: მას უნდოდა ესარგებლნა იმ არეულობით, რომელიც ათინელების მოახლოვებამ გამოიწვია ქალაქში; მიიღეს ალკიბადესის წინადადება—ჯერ მოკავშირე ქალაქები უნდა ჩამოეშორებინათ სირაკუზისათვის, და მერე დასხმოდნენ. თავს თვით ამ ქალაქს. ქ. კატანა მოულოდნელად აიღეს; კამარინაში კი ათინელები არ შეუშვა ამ დროს. ათინიდან მოვიდა სახელმწიფო გალერა (გემი) და მოუტანა ბრძანება ალკიბადეს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ათინაში და თავი გაემართლებინა ბრალდებისაგან, რომელიც მას ედებოდა. ალკიბიდიადე ვითომ დამორჩილდა ბრძანებას და წამოვიდა ათინისაკენ, მაგრამ გზაზე გაეპარა დარაჯებს და სპარტაში მივიდა. აქ იგი სცდილობდა რაც შეეძლო მეტი ვნება მიეტანა. ათინისათვის. ალკიბიადეს ქონება სახელმწიფოდ ჩარიცხეს და თვითონ, მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; ქურუმებმა იგი დასწყევლეს ძველ წესის მიხედვით; არ მოინდობა წყევლაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ თეანომ; ქურუმმა ქალმა: ქურუმი დაწყევლისათვის კი არ არის, არამედ დალოცვისათვისო.

10. სირაკუზედების მჴადება წინააღმდეგობისათვის. ალკიბიადეს წასვლა დიდი დასაკლისი იყო ათინელების ჯარისათვის: დაპარაგეს იმედი მესინის ალებისა, სადაც ალკიბიადემ

მომხრეები გაიჩინა; ჯარი უკმაყოფილო იყო; ალკიბიადე, მართალია, თავხედი იყო, მაგრამ მასთან გაბედული და ენერ-გიულიც; ნიკისს კი მძიმედ მიჰყავდა საქმე, მას არ ჰქონდა გამარჯვების იმედი და მის მეთაურობას ენერგია და გაბედუ-ლება აკლდა. ამასობაში ზამთარიც დადგა: საქმე არა გაკეთე-ბულა-რა. სირაკუზი, ომელსაც უფრო ემუქრებოდა ათინე-ლების ჯარი, გამხნევდა; ქალაქს ხელმძღვანელობდა ჰერმოკრა-ტესი, კაცი მეტიც გონიერი და საქმიანი. მის რჩევით სირა-კუზელებმა სარდლების რიცხვი სამამდე ჩამოიყანეს. ერთ სარდ-ლად თვითონ ჰერმოკრატესი აირჩიეს. ზამთრის განმავლობაში იგი სწროთვიდა ჯარს და ამაგრებდა ქალაქს. სირაკუზი სამის ნაწილისაგან შესდგებოდა—კუნძული ორტიგია, ახრადინა და ტიხეს მაღლობები. ჰერმოკრატესმა ახალის კედლით შემო-უერთა ქალაქს მისი განაპირა ნაწილი ტემენიტი და გაამაგრა მაღლობი.

11. ათინელების ჯარი სირაკუზის წინ. მაგრამ მთელი ეს მომზადება საკმარისი არ შეიქმნა. ზაფხულის დაწყებისათანავე ნიკიასმა და ლამახოსმა გადასწყვიტეს სირაკუზის კედლებთან ჯარის გადაყვანა და შეასრულეს კიდეც; მიადგნენ ქალაქს ჩრდილოეთის მხრიდან ლეონის უბით, საიდანაც მათ არ მოე-ლოდნენ სირაკუზელები, აიღეს იერიშით ეპიპოლის მაღლო-ბები და, მიუხედავათ წინააღმდეგობისა, გააშენეს კედელი, ომლითაც ქალაქი სრულებით მოსჭრეს კონტინენტს; ზღვა ხომ ისედაც ათინელების ხელში იყო. ლამახოსი მოჰკლეს, მაგრამ ათინელები მაინც კარგ პირობებში იყვნენ—სირაკუზი ზღვიდან და ხმელეთიდან ალყა შემორტყმული იყო.

12. ალკიბიადეს ინტრიგები სპარტაში; გილიპოსის გაგზავნა სიცილიაში. სირაკუზი დალუპული იყო, მაგრამ ალკი-ბიადემ იხსნა იგი. ალკიბიადე კარგად მიიღეს სპარტაში და მალე დიდი გავლენაც შეიძინა; სასტიკი სპარტიატებიც დაი-მორჩილა მისმა მომხიბლველ პიროვნებამ. ალკიბიადემ ურჩია მათ დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ სირაკუზს და რჩევაც მიი-ღეს: სპარტის უნიჭიერესი მხედრთ-მთავარი, გილიპოსი, გაგ-

ლებისათვის; დასტოვეს მხოლოდ ჯარის კაცის ჯამაგირი ომიანობის დროს; დაწესეს „ოთხასის რჩევა“, რომელსაც უნდა განეგო სახელმწიფო საქმეები თავის სურვილისამებრ; სახალხო კრებას, რომელიც 5000 მოქალაქისაგან უნდა შემდგარიყო, რჩევა მოიწვევდა რამდენჯერაც და როდესაც უნდოდა. ძველი სენატი (Bule) გაჰქრა ისე, რომ წინააღმდეგობაც კი არ გაუწევია.

17 „ოთხასის“ პაროგედობა. ათისედ ჯარისა და ფლოტის წინააღმდეგობა. ხუთი ათასი. ახალმა რჩევამ რევოლუციონური მართველობა დაამყარა ათინაში; მკლელობასა და გაძევებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ჯარმა და ფლოტმა, რომელიც სამოსზე იმყოფებოდა, არ იცნეს კანონიერად ახალი მართველობა და ფიცი დასდეს, რომ „ოთხასს“, როგორც სამშობლოს მტერს, ისე მოჰყორობიან. ამ გვარად ორი ათინა გაჩნდა — ერთი სამოსზე, მეორე თვით ქალაქში; არეულობა უკიდურესობამდე მივიდა და ასეთ პირობებში ათინის დაღუპვა აუცილებელი იყო. ალკიბიალემ სწორედ ეს მომენტი აირჩია სცენაზე გამოსასვლელად. იგი გაჩნდა სამოსზე და მისებურ ურცხვის კვეხნით ჯარის კაცების ყურადღება დაიმსახურა. მე ისეთი გავლენა მაქვს ტისაფერნეზეო, ეუბნებოდა იგი ათინელ ჯარის კაცებს, რომ სატრაპი ათინელების დიდი მეგობარი შეიქნადა ისეთი, რომ თუ ფული არ ეყო მათ დასახმარებლად, იგი მზად არის გაჰყიდოს საკუთარი ლოგინიო. ჯარის კაცებსაც სჯეროდათ ეს სიტყვები — ალკიბიალე მეტად სასიამოვნო მატყუარა იყო! იგი სტრატეგად აირჩიეს, მაგრამ მოქმედებას არ შესდგომია, სანამ „ოთხასი“ ათინაში არ დამარცხდა, რაც მალე მოხდა. უკიდურესმა კონსერვატორებმა, რომელთაც მეთაურობდა ანტიფონი, სახელი გაიტეხეს ხალხის, თვალში სპარტანელების მომხრეობით; გაიმარჯვეს უფრო ზომიერმა კონსერვატორებმა და ანტიფონი იძულებული შეიქნა. საწამლავი დაელია. დაპრისდა ახალი მართველობა; ყოველ ათინელს, რომელსაც კი თავის ხარჯით შეიარაღება შეეძლოა უნდა.

ჰქონებოდა ხმისა და მართველობაში მონაწილეობის უფლება (411).

18. აღვიძიადეს მოწვევა. ალკიბიადეს მოწვევაც მაშინ გადაწყდა, მაგრამ იგი მაშინვე როდი წამოსულა: ალკიბიადე მანამ არ დაბრუნდა ათინაში, სანამ გამარჯვების დიდი სახელი არ მოიხვეჭა ბოსფორზე და თავისი თავი სანატრელი არ გახადა ათინელებისათვის. მისი ათინაში მოსვლა ისეთის ამბით მოხდა, როგორც ეს მის მედიდურ ხასიათს შეეფერებოდა: ყველა მისი გემები მორთული იყო დიდალ ნადავლითა და ფარებით; გემები მოათრევდნენ მტრის გალერებსა და მოპერნდათ დიდალი დროშები ზღვაში დალუპულ გემებისა. იმასაც კი ამბობენ, ვითომც თლიმპის დღეობაზე გამარჯვებულ ქრიზოგენსბი ფლეიტას უკრავდა და მეზღვეურები ფლეიტის ხმას აყოლებდნენ ნიჩბის მოსმას, ვითომც ტრალიკუსი მსახიობი კალიპიდესი, ბრწყინვალე სათეატრო ტანისამოსში გამოწყობილი, გემის მოწეს-რიგეს თანამდებობას ასრულებდა და თვით გემი ვარდისფერ აფრებით შევიდა ნავსადგურში. ნაპირზე აღტაცებული ხალხი სიხარულით გაჰკიოდა და ტაშს უკრავდა. ალკიბიადე მიდიოდა ქალაქისაკენ აუარებელ ხალხით გარშემორტყმული. პნიქსზე (გორაკი სახალხო კრების ადგილი) მან მიჰმართა ხალხს თავდაბალ და გონივრულ სიტყვით. ალკიბიადეს დაუბრუნეს წართმეული ჰქონება და წყევლა უკანვე წაიღეს. მხოლოდ ჰიეროფანტესმა (ერთი უმთავრესი ქურუმთაგანი) თეოდორესმა არ ინდომა წყევლის უკან წაღება: „მე იგი არ დამიწყევლია, თუ მას ათინისათვის ცუდი არაფერი უქნიაო,“ უთქვას ქურუმს (408).

19. აღვიძიადე. ისევ უგმაფოლებას იწვევს. ათინას ისევ ჰყავდა თავისი ნებიერი შვილი, მაგრამ ძველებურად აღარ სწამდა მისი ბრწყინვალე მჭერმეტყველება და გაბედული ხასიათი. გარდა ამისა ათინელ დას-დასობას იარაღი არ დაუყრია და ალკიბიადეს მტრები, რომელნიც ცოტა ხანი მიჩუმდნენ, ეხლა ისევ აბეზღებდნენ მას ხალხთან. ალკიბიადე გაგზავნეს, ცოტა მის სურვილის წინააღმდეგ, იონიის ხელ-ახალ დასაპყრობად.

მის სახელით, ისე კი, რომ მან არა იცოდა, რა, შეჭპირდნენ
ხალხს ბრწყინვალე გამარჯვებას, ხალხის ფარტაზია აამუშავეს და
ხერხმა მიზანს მიაღწია: როცა ათინელებმა შეიტყეს, რომ
ალკიბიადე სამოსთან იდგა თავის ფლოტით და რომ ერთი
მისი თანაშემწეთაგანი ლაკედელონელებმა ეფესის უბეში დაა-
მარცხეს, წინანდელ ენტუსიასმა და გატაცებამ ადგილი ალ-
შფოთებასა და სიბრაზეს დაუთმეს. ხალხმა ეხლა ყური ათხო-
ვა თრაზიბულოსს, რომელიც ბრალს დებდა ალკიბიადეს, რომ
იგი ქეიფსა და განცხრომაში ჰარგავდა დროს, და ხალხმა
მეორედ ჩამოაგდო იგი იმ პიედესტალიდან; რომელზედაც
თვითონ აიყვანა: ალკიბიადეს წაართვეს ფლოტის უფროსობა
და იგი ხერსონესში გაიქცა (407).

20. ლიზანდროსი. ამაზე უარესის მოფიქრება ძნელი იყო:
სპარტას სწორედ ამ დროს ორი უპირატესობა ჰქონდა ათი-
ნასთან შედარებით—ფარნაბაზის მაგიერ დაინიშნა მცირეაზია-
ში კიროსი, სპარსეთის მეფის დარიოსის შვილი, რომელიც
სპარტას თანამგრძნობელი იყო, სხვათა შორის იმიტომაც, რომ
იმედი ჰქონდა, მის დახმარებით სპარსეთის ტახტს ჩაიგდებდა
ხელში მამის სიკვდილის შემდეგ; გარდა ამისა პელოპონეზის
ფლოტის უფროსად დაინიშნა ლიზანდროსი, კაცი შესანიშნავ
ნიჭის პატრონი. ლიზანდროსი არ იყო ძველ სპარტიატის ტი-
პის კაცი; მამით იგი პერაკლიდესი იყო, მაგრამ მისთ დედა
პილოტი იყო; ამიტომაც მისი მდგომარეობა სპარტიატების
საზოგადოებაში გაურკვეველი და საეჭვო იყო, რამაც თავისი
დაღი დაასვა მის ხასიათს. მისი პატიოსნება ძველ დორიელის
პატიოსნება არ იყო, მას არ უყვარდა სწორე და პირდაპირი
გზა; იგი მოქნილი, ხერხიანი და აღამიანის ხასიათის კარგი.
მცოდნე იყო; ალკიბიადესავით მოსიყვარულე კაცი არ იყო,
მაგრამ საშუალებას არც ეს არჩევდა.

პელოპონეზის ფლოტი, რომლის უფროსად ლიზანდროსი
დაინიშნა, მისი შექმნილი იყო; იონიაში სპარტას პოლიტიკა
წინეთ რყევაში იყო, ლიზანდროსის დროს კი აქ სპარტა ყო-

ველ ქალაქში ოლიგორხიულ პარტიის მოკავშირე შეიქნა. კი-
როსი ლიზანდროსის აღტაცებული თაყვანისმცემელი იყო და
მის თხოვნით მეზღვეურებს ჯამაგირი მოუმატა. ათინის ფლო-
ტის ერთი ნაწილი შეისყიდეს და აღკიბიადეს თანაშემწის-
დამარცხებაც ლიზანდროსის საქმე იყო.

21 არგინუზჲოს ბრძოლა. სპარტას საუბედუროთ, ლიზან-
დროსის მაგიერ პელოპონეზის ფლოტის უფროსად დანიშნეს
კალიკრატიდასი, კაცი უფრო პატიოსანი და პირდაპირი, მაგ-
რამ ნაკლებ ნიჭიერი და მოხერხებული. კალიკრატიდასს ფული
შემოაკლდა და იძულებული შეიქნა კიროსისათვის ეთხოვნა:
ასეთი დამცირება მას გულში მოხვდა და დაიფიცა თანამხლებ-
ლების წინაშე, რომ სპარტაში დაბრუნების შემდეგ პირველი
მისი საქმე იქნება ყველაფერი შესძრას ბერძნთა შორის თან-
ხმობის ჩამოსაგდებლად, რათა საბერძნეთი საშიშარი გახდეს
ზარბოროსებისათვის და იძულებული არ იქნეს დახმარება
რმათხოვროს მათგან თავისავე დასაღუპავად

პირველ ხანებში კალიკრატიდასის საქმე კარგად მიღიოდა;
მან დაამწყვდია აღკიბიადეს მაგიერ დანიშნული კონონი
მიტილენეს ნავსადგურში; მაგრამ ათინამ უკანასკნელი ლონის
ძიება იხმარა, დააცალიერა ხაზინა, გამარჯვების ქალ-ლმერთის,
ოქროს ძეგლები ფულად აქცია, თავი მოუყარა ყველა გემებს.
რომელიც კი მოეპოვებოდა, მხედრებიც კი დასთანხმდნენ ტრია-
რემაზე სამსახურს (სათაკილოდ ითვლებოდა); არა-ათინელელე-
ბიც მიიღეს გემებზე; მეტექებს ათინელის უფლების მიცემას
დაპირდნენ, მონებს თავისუფლებას, და 155 გემი მიტილენე-
საკენ წავიდა. კალიკრატიდასი, იმის მაგიერ, რომ მოეცადნა
მტრის ფლოტისათვის, თვითონ წავიდა მის შესახვედრად არგი-
ნუზოს კუნძულებთან და პირდაპირ იერიში მიიტანა; პირველ
შეტაკებისათანავე კალიკრატიდასი გადავარდა თავის გემიდან
და ზღვაში დაიხრჩო; პელოპონეზის 120 გემიდან მხოლოდ 43
გადარჩა. იმ დროს, როცა გამარჯვებული ათინელი ფლოტი
სცდილობდა დახმარების თავის მოყრას, ეგეის ზღვაზე. სა-

შინელი ქარიშხალი ამოვარდა და ცოცხლებს მარტო თავის
გადარჩენაზე შეეძლოთ ეზრუნათ.

22 ათასის გამარჯვებულ სარდლებს საეგდილი გადუ-
შევიტეს. სპარტამ ზავი მოითხოვა. ათინელებმა დემაგოგ კლეო-
ფონის სიტყვის გავლენის ქვეშ უარი უთხრეს. უარესიც მოხდა;
როცა ათინაში მოვიდა ასეთ სახელოვან. და მოულოდნელ
გამარჯვების ამბავი, სიხარულის ყიუინის მაგიერ ხალხში კბილთა
ღრუჟნა და გაბრაზება იყო გამეფებული. დემაგოგებმა ისევ
მოიპოვეს ხალხზე უსაზღვრო გავლენა და მათის მიზეზით
გამარჯვებული სარდლები გადააყენეს თანამდებობიდან, რად-
გან მათ ვერ აღმოუჩინეს არგინუზოს ბრძოლაში დახოცელებს
შესაფერი და სავალდებულო პატივისცემა. გარდა კონონისა,
რომელსაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, ექვსი სარ-
დალი, მათ შორის პერიკლესის შვილიც, პასუხის გებაში მისცეს
და ყველას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს; წინააღმდეგ
ყოველ კანონისა და სიმართლისა. სიკვდილის წინ ერთი გამარ-
ჯვებული სარდალოაგანი, დიომედონი, ხალხს ლირსებითა და-
დადაშვიდებით ელაპარაკა. ჩემი ნატვრა არისო, სოჭვა მან, რომ
ასეთმა გადაწყვეტილებამ ბედნიერება მოუტანოს ქალაქს; თან
წინადადება მისცა მოქალაქეთ შეეწირათ მხსნელ ღმერთებისა-
თვის სამაღლობელი მსხვერპლი, რომელიც აღუთქვეს მათ
სარდლებმა გამარჯვების შემდეგ.

23. ეგას-თოტაშოს ბრძოლა: ამდენი უსამართლობა და
ცრუ მორწმუნეობა მალე სასტიკად დაისაჯა. ქიოსის და ეფე-
სის დეპუტატები და თვით კიროსი სთხოვდნენ სპარტას ლიზან-
დროსის დაბრუნებას. მართალია, კანონით არ შეიძლებოდა
ერთი და იმავე პირის ორჯელ ფლოტის უფროსად დანიშვნა,
მაგრამ კანონის შემოვლაც შესაძლებელია: დანიშნეს ფლოტის
უფროსი, რომელიც სპარტაში დარჩა, და მის თანაშემწედ
დანიშნული ლიზანდროსი კი იონიაში წავიდა. მის მოსვლისა-
თანავე საჭმის მიმდინარეობა ერთბაშად შეიცვალა. ლიზანდ-
როსმა შშვენიერად იკოდა მოწინააღმდეგეს მდგომარეობა და
აშიტომ დიდის ენერგიითა და სიჩქარით შეუდგა სამხედრო

მოქმედებას. იგი ხან ეგინაში იყო, ხან სალამინში, ხან თვით ატიკაში და ბოლოს ჰელესპონტშია. აქ მან იერიში მიიტანა ქ. ლამფსაკოსსზე და აიღო იგი; ამ გამარჯვებამ სპარტას ფლოტი მთელ სრუტეზე გააბატონა, ათინის ფლოტი სიჩქარით მოვიდა ჰელესპონტში და ლამფსაკოსის პირდაპირ ეგოს-პოტამოსის უბეში გაჩერდა. მას უფროსობდა ექვსი სარდალი, რომელთა შორის უნიჭიერესი კონონი იყო; დანარჩენები ან სრულიად უნიჭო ან და მოყიდული იყვნენ; თვით მეზღვეურები, ვინ იცის, როგორ იყვნენ თავმოყრილი: აქ იყო ყოველი ჯურის ხალხი, დისციპლინა და პატრიოტისმს. მოკლებული. ამასთან, გასაჩერებლად არჩეული ადგილი მოკლებული იყო ყოველგვარ საშუალებას. ალკიბიადე, რომელსაც ახლო მამული ჰქონდა, მოვიდა ათინელების ბანაში და უჩვენა თანამემამულებს მათი საშიში მდგომარეობა, მაგრამ არ დაუჯერეს; არც მისი სამსახური მიიღეს.

ლიზანდროსი ადგილიდან არ იძვროდა. ოთხჯერ გამოიწვიეს იგი ათინელებმა საბრძოლველად, მაგრამ ის მაინც გაჩერებული იყო. მეხუთე დღეს გულდაჯერებული ათინელები ნაპირზე გადავიდნენ სურსათის საშოვნელად თუ დასასვენებლად. ლიზანდროსმა რამდენიმე დამზვერავი გემი გაგზავნა ათინელების თვალ-ყურის საგდებლად. დაინახეს თუ არა მზვერავებმა, რომ ათინელები ნაპირზე გადავიდნენ, მაშინვე გამოსწიეს ლიზანდროსისაკენ და, როგორც მოლაპარაკებული ჰქონდათ, შორიდან ანიშნეს ათინელების ნაპირზე გადასვლა. სანამ ეს მოხდებოდა, ლიზანდროსი მიღი-მოდიოდა თავის გალერით, ამნევებდა მეომრებს, სთხოვდა მათ ყოველ წუთისათვის მზად ყოფნას და ნიშნის მიღებისათანავე მტერზე იერიშის მიტანას. მზვერავების გამოჩენისათანავე სარდლის გემიდან ბუკი დაჰკრეს და მთელი ფლოტი მწყობრად დაიძრა ადგილიდან; ხმელეთის ჯარიც სიჩქარით წავიდა იმ ცხვირისაკენ (ზღვაში შესული მაღლობი), რომელიც მთელ ნაპირებს ზემოდან დაჰკურებდა, რომ თავის თვალით ენახა ბრძოლა. ამ ადგილას ზღვის სრუტეს სიგანე სულ ორ ვერსტ ნახევარია და მარჯვე და ლონი-

ერ მეზღვეურებმა იგი მალე გაიარეს. ათინელ სარდლებში პირველად კონონმა დაინახა ნაპირიდან მტრის ფლოტი და გემებზე ასვლა უბრძანა მეზღვეურებს. კონონი გულის ტკივილით ხედავდა უბედურებას, რომელიც ათინის ფლოტს მოელოდა, და სულილობდა მუქარითა თუ ხვეწნით ჯარის გემებზე აყვანას; მაგრამ არა გაუვიდა რა; ჯარის კაცები გაბნეული იყვნენ ნაპირზე, რადგან არას მოელოდნენ; ზოგი სეირნობდა, ზოგი სავაჭროდ იყო წასული და ზოგსაც კარავში ეძინა: სარდლების გამოუცდელობით არავინ არ იყო მომზადებული ასეთ შემთხვევისათვის. გულ მოცემული მტერი გაბედულის ყიუინით სულ ახლო მოვიდა; კონონი რვა გემით გაიქცა კუნძულ კიპროსისაკენ, სადაც იგი მეფე ევაგოროსმა შეიფარა. პელოპონეზლები თავს დაესხნენ ნახევრად ავსილ თუ ჯერ კიდევ ცალიერ გემებს და ხელში იგდეს კიდეც ყველაფერი. ათინელი ჯარის კაცები, რომელნიც სიჩქარით მორბოდნენ ნაპირისაკენ, გაიულიტნენ; ვინც გადარჩა, ტყვედ წაიყვანეს; დატყვევებულებ შორის სარდლებიც იყვნენ. ათინელების ბანაკის აკლების შემდეგ ლიზანდროსი ლამფსაკოსში დაბრუნდა და უკან ათინელების გემებს მიითრევდა; საკრავები გამარჯვების ხმებს უკრავდა.

24. ათინის მდიდარების დაცემა. დამარცხების ამბავმა თავზარი დასცა ათინელებს. ამავე დროს ათინაში მოვიდნენ ლიზანდროსის მიერ აღებულ ქალაქების—ბიზანტიონის, სესტოსის, ხალკედონის—გარნიზონები, რომელნიც განზრახ, ათინელების შენეობის გასატეხად, გამოეშვა პელოპონეზლების სარდალს. ყველგან ბოლო ელებოდა ათინელების ბატონობას; ეგინა და მელოსი ისევ წაერთვათ, ძველი უსამართლობდა დაისაჯა. მეფე პავზანისი მოადგა ათინას ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით; ლიზანდროსი რარას სამხედრო გემით პირეოსის ნავსადგურში იდგა.

25. აღება და აღება ათინისა. ქ. ათინა კიდევ შესძლებდა წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის, რომ ათინელებს შორის ჟრობა ყოფილიყო. ბევრი მათგანი მზად იყო თავი გაეწირა.

სამშობლოსათვის, მაგრამ ოლიგარხები აფერხებდნენ ყოველ ზომას, ქალაქის დაცვისათვის მიღებულს, და მხოლოდ თავის დასის გამარჯვებაზე ჰყიქრობდნენ. ამათ დააწესეს ხუთ წევრიანი კომიტეტი, რომელიც თვითნებობით მართავდა ქალაქს. ალექ შემორტყმული ქალაქი მაღე არ დანებებია მტერს: ალექ დაძრულ შემოდგომის გასულს და გაგრძელდა მთელი ზამთარი; მტერი არ ჩეარობდა ძალ-ლონის დახარჯვას, რადგან იცოდა, რომ ქალაქში მომხრეები ჰყავდა. ათინელების მდგომარეობა თან და თან უარესდებოდა და თან უთანხმოებაც ძლიერდებოდა მათ შორის. ოლიგარხები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში და ამიტომ მოწინააღმდეგეთ აღარ ზოგავდნენ; სიკვდილით დასაჯეს დემაგოგი კლეოფონი და თერამენოსის საშუალებით მოლაპარაკება გამართეს სპარტასთან. ეფორებმა მოითხოვეს: ა) ათინის და პირეოსის კედლები დაენგრიათ, ბ) ატიკის საზღვრებს არ გაშორებოდა ათინის ბატონობა, გ) გაძევებულნი (არისტოკრატები) დაებრუნებინათ, დ) ათინა პელოპონეზის ლიგაში შესულიყო და ე) მთელი სამხედრო ფლოტი მოესპონო.

როცა თერამენოსმა თითქმის სიამოვნების ღიმილით შეატყობინა ხალხს ზავის პირობები, ხალხმა მოლალატე უწოდა მას, მაგრამ გვიანდა იყო—პირობები უთუოდ უნდა მიეღოთ (404, აპრილი). უარესიც შესაძლებელი იყო. ამბობენ, ვითომც პელოპონეზლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ათინელების მონებად გადაქცევა, ქალაქის მიწასთან გასწორება და ქალაქის აღგილის საქონლის საძოვრად მოხმარება. მაგრამ ამ გადაწყვეტილების შემდეგ გამართულ ნადიშე გამარჯვებულთა გული მოლბა: ერთმა ფოკეელმა დამკვრელმა განზრას თუ შემთხვევით ევრიპიდეს დრამის „პელეკტრას“ ლექსები სთქვა, სადაც მეფის ქალი პელეკტრა თავის უბედურებას ჩივის დარმელშიაც თავის წარსულ დიდებაზე მოტირალ ათინას დანხვა შეეძლოთ მონადიმეთ. გრძნობით წაკითხულ ლექსის გავლენის ქვეშ ყველამ ერთხმად წამოიძახა თურმე, რომ საშინელება იქნებოდა დანგრევა ასეთ სახელოვან ქალაქისა, რომელმაც

ხავნეს იტალიაში. არჩევანი კარგი მოუვიდა სპარტას: გილია პოსი ჩუმად მივიდა სიცილიაში, გადმოხტა ქ. ჰიმერასთან და, ხმელეთით გასწია სირაკუზისაკენ. ათინელებმა მოინდომეს მისი შეჩერება, მაგრამ გილიპოსმა მაინც მოახერხა ქალაქში შესვლა. მზის ერთი სხივი და იმედის პატარა ნაპერწყალია. საკმარისი, რომ მხურვალე და დაუდეგარი სამხრეთელი სულიერად გამო ხნევდეს. გილიპოსის სირაკუზში მოსვლამ გამარჯვების სრული იმედი გაუღვიძა სირაკუზელებს. დამშვიდებითა და აღმშეფოთებლად შეუდგა სპარტანელი სარდალი სამხედრო მოქმედებას. ჯერ ლაბდალონის სიმაგრე; წაართვა: იერიშით ათინელებს. და ააშენა კედელი ათინელების. სიმაგრეების პირდაპირ. შემდეგ მოიარა თითქმის მთელი სიცილია და ააჯანყა: იგი ათინელების წინააღმდეგ. ამათი მდგომარეობა. საშიში ხდებოდა. დაავად მყოფებული და დაქანცული ნიკიასი ხედავდა, რომ საქმე ცუ დათ მიღიოდა. ჯერ კიდევ ზამთარში მისწერა ათინაში და გააცნო ხალხს მდგომარეობა. არავის არ მოსვლია აზრად, დაწყებულ საბედისწერო საქმისათვის თავი. დაენებებინათ; გადასწყვიტეს დამხმარე ჯარის გაგზავნა, თუმცა. ამ დროს თვით საბერძნეთში იწყებოდა ომიანობა და საეჭვო. იყო, რომ ეს დამხმარე ჯარი მოასწრობდა დროზედ მისვლას სიცილიაში. ამასობაში ათინელებმა ხმელეთზე დაპკარგეს მეორე სიმაგრეც—პლემირიონი; ერთხელ ზღვაზედაც დამარცხდნენ და ამ გვარად ლიც ზღვა მათ ხელში აღარ იყო.

13. ახალ ჯარების, გაგზავნა ათინიდან; ათინელების სრული დამხარცხება. მოვიდა დამხმარე ფლოტიც, რომელიც 73 გემისაგან შესდგებოდა. უფროსი იყო პილოსის გმირი დემოსითენე, რომელსაც თან ჰყავდა 5000 ჰოპლიტი, მოკავშირეუები, ბარბაროსები (არა ბერძნები) და ბერძნები, მეშურდულებნი, მეშვილდისრენი და სხვ. დემოსთენეს საქმის გაჭიანურება და ნახევარი ზომები არ უყვარდა. მივიდა თუ არა, მაშინვე იერიშით მიიყვანა ჯარი ეპიპოლზე. იბრძოდნენ მთვარის მკრთალსინათლეზე. დიდ არეულობაში. ათინელები დამარცხდნენ. დავმარცხდით და წავიდეთ აქედანა, გაიფიქრა და სთქვა კი-

დეც დემოსთენემ. მაგრამ ნიკიასი, რომელიც ამავე აზრის იყო რამდენისამე ჭვირის წინეთ, ეხლა წინააღმეგი გაუხდა დემოსთენეს: მას გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რა მოელოდა ათინაში, როცა სასამართლოში წაათრევდნენ და სტულიის ლაშქრობის პასუხის ვებასა და ანგარიშს მოსთხოვდნენ. ამ გვარად შეტად ფრთხილი და გაუბედავი სარდალი იძლეოდა მეტად მოუფიქრებელსა და გაბედულ წინადადებას. დარჩნენ და დაილუპნენ კიდეც. აგვისტოს დამლევს ნიკიასი მზად იყო აზრი შეეცვალა, მაგრამ მთვარის დაბნელება მოხდა და მისნებმა გამოაცხადეს, რომ წასვლა მხოლოდ მთვარის გამოცვლის შემდეგ შეიძლებაო. სანამ ეს მოხდებოდა სირაკუზელებმა დაჲკეტეს ნავსადგური ჯაჭვით გადაბმულ ლუზიან გემებით. საშინელი ბრძოლა მოხდა ნავსადგურში და ისევ ათინელები დამარცხდნენ. დადგა საშინელი წამი: როგორ უნდა წასულიყვნენ სიცილიდან ან როგორ დარჩენილიყვნენ? სარდლებმა გადასწყვიტეს ერთხელ კიდევ ეცადნათ ბედი ზღვაზე, მაგრამ მეზღვეურები უარზე დადგნენ და ჯარმა ხმელეთით წასვლა მოითხოვა. საით? კატანასაკენ. მაგრამ როგორ უნდა მიეღწიათ ამ ქალაქამდე? საშინელი და გულის შემზარავი იყო ჯარის ეს უკან დახევა. სარდლები დალვრემილი იყვნენ, მაგრამ თან თავ-გამოდებულიც. სამაგიეროდ შესაბრალისად დაცემულ ჯარის კაცებს არ შესწევდათ ძალა წინააღმდეგობისათვის და არც გაბედულობა ბრძოლისათვის: ნების ძალას ისინი მხოლოდ უფროსების არ მორჩილებაში იჩენდნენ. ათინელებს სირაკუზელები კვალ-და-კვალ მოსდევდნენ, ხოცუდნენ ჩამორჩენილებსა და მარტოდ დარჩენილებს, იტაცებდნენ სურსათსა და ტყვეებს. ათინელი ჯარი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა კატანას გზა და სამხრეთისაკენ. ქ. ჰელოროსისაკენ წასულიყო. დემოსთენე, რომელიც ჯარის არიერგარდს (უკანა ნაწილს) უფროსობდა, ვერ მიდიოდა ისე ჩეარა, როგორც ნიკიასი და ამიტომ იძულებული შეიქნა 6000 ჯარის კაცით გილიპოსს დანებებულიყო. რაც შეეხება ნიკიასს, მან მიიყვანა თავისი ჯარი მდ. ახინარორამდე, მაგრამ ეს ჯარი აუწერელ მდგომარეობაში

იყო: ჯარის კაცებს სულის თქმა უჭირდათ საშინელ სიცხისაგან, წყურვილი ახრჩობდა მათ და დაინახეს თუ არა მდინარის შვრიელი წყალი, თავდაუჭერელად მისცივდნენ დასალევად. მაგრამ მათზე აღრე აქ სიცილიელები მისულიყვნენ და გალმიდან ისრები დაუშინეს. ცხენოსანი ჯარი კი ხმლით დაერია ათრნელებს, რომელნიც თავზარ-დაცემულნი გარბოდნენ. ხოცუა-ულეტა საშინელი იყო. ნიკრასი და ვინც მასთან გადარჩა, დანებდნენ სირაკუზელებს და ამათაც ესენი დიდის ამბით სირაკუზში მიიყვანეს. შებრალება მოსალოდნელი არ იყო გამარჯვებულისაგან. ტყვეები დაამწყვდიეს ქვის სატეხ ადგილებში, სადაც დღისით აუტანელი სიცხეები იყო და დამით საშინელი სიცივეები. ვინც ამ წამებას გადურჩა, მონებად დაჰყიდეს და როგორც ამბობენ, არა ერთმა და ორმა მათგანმა იშოვა ისევ თავისუფლება ევრიპიდეს დრამების დეკლამაციით. ნიკრასი და დემისთენე სიკვდილით დასაჯეს (4.13).

14. ათინის მმამე მდგრადარება. სპარსეთის მეფის ჩარეგა საბერძნეთის შინაურ ღმიანობაში. სიცილის ლაშქრობის დაღუპვით დაიწყო ათინის აღონია (სულთა-ბრძოლა). მაგრამ ცხრა წლის ომიანობა შეიქნა კიდევ საჭირო საბერძნეთის პირველ ქალაქის დაღუპვისათვის; საჭირო შეიქნა სპარსეთის ჩარეგაც ათინისა და სპარტას ბრძოლაში. მომთმენი და ჯიუტი სპარსეთი უარს არ ამბობდა იონიაზე; იგი დიდ-ძალ ფულს ხარჯავდა და ყოველ მნიშვნელოვან ქალაქში მომხრეები ჰიყვდა. ბერძნების შეცდომება, შემთხვევა მისცეს მას ისევ გამოსულიყო ასპარეზზე. დარიოს მეორის წარმომადგენლები იყვნენ მცირე აზიაში ტისაფერნე, ზღვის პირულ პროვინციების სატრაპი, და ფარნაბაზი, ჰელესპონტის მხრის, ფრიგიის, ბითინიის და კაპადოკიის სატრაპი. ორივეს დამოკიდებულება ჰქონდა სპარტასთან და ორივე ფულითა და ჯარით ეხმარებოდა ათინის მეტოქეს.

15. დეკელეას დაპულობა სპარტანელებისაგან; აღვიხია-დეს ახალი ინტრიკები. თვითონ საბერძნეთში ათინის მდგომარეობა ნაკლებად საშიში. არ იყო. სპარტასთან ომი დაიწყო

414 წელს და ალკიბიადეს რჩევით მეფე აგისშა დაიპურო დეკელეა, პარნესის მთის წინა ნაწილი (ათინიდან 20 ვერსის მანძილზე), რომელიც ზედ დაჰყურებდა ევტეაში მიმავალ ორ გზას. დეკელეამ სრულებით გააღატა ატიკა, რადგან იგი წელს უშლიდა მიწის მუშაობას და საიმედო თავშესაფარს აძლევდა გაქცეულ მონებს. ამავე დროს ალკიბიადემ გააბედვინა იონის ზღვისპირულ ქალაქებს ათინელების უღლის თავიდან მოშორება. ათინელების საბედნიეროდ მოლალატეს ეჭვის თვალით დაუწყეს ცეკრა ახალმა მეგობრებმაც. იგი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა სპარტა და წასულიყო მაგნეზიაში ტირაფერნთან. აქ ალკიბიადე სცხოვრობდა სიმდიდრესა და განცხრომაში, როგორც რომელიმე დიდებული სპარსელი, მაგრამ ნამდვილად კი იგი მოიქანცა ამდენის ხნის განდევნით და სწყუროდა სამშობლოში დაბრუნება.

16. თლიგაზრხებულ პარტიას რევოლუცია ათინაში (411). მაგრამ ეს ადვილი არ იყო და ალკიბიადე დაბრუნდა ათინაში მხოლოდ იმ გარემოების წყალობით, რომ ოლიგარხიულმა პარტიამ (არისტოკრატებმა) რევოლიუცია მოახდინა. ათინელი არისტოკრატები ყოველთვის ცუდი პატრიოტები ყოფილან: მათი ყოფაქცევა სპარსელებთან ბრძოლის დროს საეჭვოზე მეტი იყო. სიცილიის ლაშქრობის შემდეგაც არ უღალატნიათ თავიანთ წარსულისათვის. ამათ მეთაურებმა (ანტიფონი, თერამენი, ფრინიხოსი) ისარგებლეს იმითი, რომ ათინელები მოიქანცნენ ომიანობათ და მშვიდობიანობას მოწყურებული იყვნენ — ჩვეულებრივი შედეგი დიდ და ხანგრძლივ ომიანობისა, რაც უნდა ომის მოყვარული იყოს ხალხი. არისტოკრატიამ ტერორით დაიწყო მოქმედება — მოკვლევინეს გავლენიანი ორატორები და ის მოქალაქენი, რომელნიც, შეიძლება, საშიში ყოფილიყვნენ. იმ არეულობის წყალობით, რომელიც ასეთ უკიდურესს საშუალების მოხვარებას მოჰყვა, არისტოკრატიამ ერთბაშად შესცვალა არსებული წესი და ეს ცვლილება მიაღებინა სახალხო კრებასაც: მოსპეს ჯამაგირები, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა მოქალაქეთ რაიმე მოვალეობის. ასწაუ-

ამდენი დიდებული კაცები შექმნა. ათინა გადარჩა დანგრევას, მაგრამ როგორის ფასით! ლიზანდროსმა ვერ მოიხმარა სულ-გრძელებითა და ლირსებით თავისი გამარჯვება. იმ დღეს, როცა შეუდგნენ ათინის კედლების დანგრევას, მან მიიწვია დიდძალი დამკვრელები და საკრავების ხმაზე, ყვავილის გვირგვინებით მოკავშირეების თანადასწრებით, წერა-ქვი შეატანინა ათინის კედელზე; ამ დროს პირეოსის მხრიდან ცეცხლის ალი და კვამლი ამოვარდა და ამცნო ათინელ მამულის-შვილთ, რომ მათი სიამაყე და იმედი ფლოტი აღარ არსებობდა. კედლების დანგრევისა და ფლოტის მოსპობასთან ერთად გაჰქრა ათინის პოლიტიკური სიდიადეც; მაგრამ იგი მაინც დარჩა კაცობრიობის ცივილიზაციის ლამპრად ანტიურ ხანის ბოლომდე და ათინის სკოლები მხოლოდ მეექვსე საუკუნეში. დაიკეტა, მაშინ, როდესაც სხვაგან ქრისტეს სარწმუნოებას დიდი ხანია გაემარჯვნა ჰელენისმზე.

თ ა მ ი მ ე -XIX-ი

საბერძნეთის ხელოვნება დასაწყისიდან მეზუთე
საუკუნის ბოლომდე *)

საჭჩევი. 1. საიდან წარმოსდგა საპერძნეთის ხელოვნება? — 2. აღმოსავლეთის გავლენა. — 3. ბერძნთა ხელოვნების საბოლოო გან-
თავისუფლება. — 4. ბერძნულ არხიტეკტურის (ხუროთ-მოძღვრების)
სათავე. — 5. ბერძნულ ტაძრის საბოლოო ფორმა. სამი სტილი. —
6. დორიული სტილი. — 7. კონიური სტილი. — 8. კორინთული
სტილი. — 9. ბერძნული ტაძრი; შინაგანი და გარეგანი წყობილე-
ბა. — 10. პართენონი და სხვა ტაძრები. — 11. ტაძრის გალავანი და
სხვა ნაწილები; პროპილე. — 12. ბერძნულ სკულპტურის (ქანდაკე-
ბის) სათავე. — 13. სკულპტურის განვითარება მცირე აზიასა და
ჰელადაში. — 14. ძველ ბერძნულ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები;
პიონეროს აპოლონი და ეგიპტის მარმარილოები. — 15. ბერძნულ
სკულპტურის ოქროს ხანა. — 16. ფიდიასი. — 17. პართენონის მარ-
მარილოები. — 18. ფიდიასის უმთავრესი ლირსებანი. — 19. ფიდიასის
მეტოქენი; ალკამენესი და პოლიკლეტესი.

1. საიდან წარმოსდგა საბერძნეთის ხელოვნება? ბერძ-
ნები პირველად ყოვლისა ხელოვანები იყვნენ. მათი ხელოვ-
ნების საუკეთესო ნიმუშები, რომელნიც ეხლა ასე იშვიათი
და თან ასე შელახული არიან, ჯერ კიდევ მთელ მსოფლიოს
აღტაცებას იწვევენ. ორი ათას წლის შემდეგაც ბერძნები ამ
მხრივ ჩვენი მასწავლებლები არიან. ბერძნი ღიღად დაჯილ-

*) ბიბლიოგრაფია: ძველი ავტორები — პავზანიასის აღწერა საბერ-
ძნეთისა; ეხლანდელი ავტორები: დარენბერგი — სიძველეთა ლექსიკონი,
პერო — ძველ ხელოვნების ისტორია (ტ. VI და VII), კოლინიონი — ბერძ-
ნული არხეოლოგია, მისივე — ფიდიასი, ბოლე — ხელოვნება პერიკლესამდე
და სხვა.

ლოვებული იყო ბუნებისაგან; ბერძენთა ტომი წმინდა (fine), ფაქიზი და გონება მახვილი იყო, მას თან დაყოლილი ჰქონდა ნიკი მშვენიერების შეგნებისა და მის მრავალგვარად გამოხატვისა.. მაგრამ ხელოვნების პირველი ელემენტები ბერძნის გამონახული და გამოგონილი არ არის: მან მიიღო ეს პირველი ელემენტები წინამორბედთაგან; ამ გარემოების დავიწყება და არ დაფასება უსამართლობა იქნება; თვით ბერძნები კი სიამოვნებით ჩადიოდნენ ასეთ უსამართლობას.



დომის კარი (უძველესი ნაშთი ბერძნულ ხელოვნებისა).

2. აღმოსავლეთის გავლენა. პირვანდელი ბერძნული ხელოვნება აღმოსავლეთისა იყო. ამ ისტორიის პირველ თავებიდან ვიცით, რომ ბერძნებს იმ თავითვე დამოკიდებულება ჰქონდათ მცირე აზიასთან, ფინიკიასთან და ეგვიპტესთან; ამ

ქვეყნებთან ვაჭრობით გაეცნო ბერძენი აღმოსავლეთის ხელოვნებას და მალე მაბაძვასაც შეუდგა. ბერძენი ხან ფინიკიის გავლენის ქვეშ იყო, ხას ეგვიპტის, ხან ლიდიისა და ხან ფრიგიის. საბერძნეთში პირველად ფინიკიელებმა მოიტანეს ოქრო-ვერცხლის, მინისა და სპილოს ძვლის ნივთები, ნახატებიანი ვაზები, ბრინჯაოს და თიხის ჰატარა ანდრიანტები, რომელთაც ბერძენი ჯერ უხერხულად ბაძავდა და შემდეგ კი მეტის ხელოვნებით. ფინიკიელებმავე მოიტანეს ეგვიპტელ და ასირიულ ხელოვნების ნაწარმოებნიც: კუნძულ კვიპროსზე ნაპოვნი ანდრიანტები, ფეხზე მდგომი და ხელებ დაკიდებული ფიგურები, რომელთაც თმა ეგვიპტურ გემოვნებაზე აქვთ გაკეთებული და წინ-საფარიც ეგვიპტური აქვთ ჩამოფარებული ხელოვნების სხვა ნაწარმოებს, მაგალითად, ფიბლებს, ნინევიის სასახლის დეკორაციის მოტივი აქვს ნასესხი. გარდა ამისა, თვით ბერძნების შეხედულებით, ღმერთების უძველეს ძეგლებს ეგვიპტის ტრადიციასთან ჰქონდა კავშირი. დედალოსი პირველი იყო, რომელმაც წმინდა ბერძნულ ხელოვნების შექმნას ცალდა. რაც შეეხება ასირიას, ასირიულ ნაშთების უძველეს ბერძნულ ნაწარმოებთან შედარება გვიმტკიცებს, რომ იონიკ ელები ასირიულ ხელოვნებას ბაძავდნენ. პირვანდელ ხანის ბერძნულ ვაზებზე ჩვენ ვპოულობთ ლოტოსის ყვავილს, სფინქსს (ლომის ტანი, თავი და მკერდი ქალის ან კაცის), ცხოველებს ადამიანის თავით, რაც ასე ხშირია ნინევიის ფიალებზე და ბარელიეფებზე (ამოქრილი სურათი). ლიდიისა და ფრიგიის გავლენაც ეტყობა ბერძნების პირვანდელ ხელოვნებას; ამ ქვეყნების საშუალებით იყო, რომ საბერძნეთი ასირიას გაეცნო.

3. ბერძენთა ხელოვნების საბოლოო განთავისუფლება. ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ როდის განთავისუფლდა ბერძნული ხელოვნება აღმოსავლეთის გავლენისაგან და როდის გახდა იგითავისებური, ორიგინალური. შესაძლებელია მივიღოთ, რომ ეს შეშვიდე საუკუნის (ქრისტეს დაბადებამდე) დასასრულს მოხდა. ამ დროს ბერძნულ ხელოვნების სხვა-და-სხვა სკოლა

მ ა ტ ე ბ ა

წელიწადი შეცრე

გამოცემის ურთელ თვე

ფასი უურნბლ „მოამბისა“ გაგზავნით:

რუსეთის დაკავკასიის ქალაქებში:	საზღვარ-გარედ:
ერთის წლით 10 მან.	ერთის წლით 13 მან.
ექვსი თვით 6 მან.	ექვსის თვით 7 მან.
სამი თვით 4 მან.	სამი თვით 5 მან.

8066 „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწვეს „ცხობის ფურცელი“ და სურათების დაგაფეხა უცასოდ დავთმობა ფასის განაწილება შეიძლება ასე, პირველად 5 მან. 1-ლ აპრილამდე — 3 მან., და 1-ლ აგვისტომდე — 2 მან.

ხელის-მოწერა მიღიღება ტფილისში, ურნბლი „მოამბის“. ჩედაჭიაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, წერტილი 7.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერმა ადრესის გამოცვლისათვის 1 რიტი მანე-თი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცნობებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Моамбе“**

უურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩედაჭია შეამწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა ჩედაჭიაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ველარ მოსთხოვენ რედაქტიას; არავითარ მიწერ-მოწერას: აუცემდავ ხელნაწერების შესახებ რედაქტია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭვალად ცველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ, უურნალმა თავისი აზრი წარმოსთქმას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნის რედაქტიას.

პირისპირ მოლაპარაკება ჩედაჭიასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უეჭმებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის არ საათამდინ.

რედაქტია უმორჩილესადა სთხოვს ცველა ხელის-მოწერთ, რომელთაც კი უურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქტიას წარმო უგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მისულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტ არი
ად. ჭეთაძე.

გამომცემელი
ად. ჭაბადაძე.